ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

1.1982

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

1.1982

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

შინაარსი

ს. ჩხარტიშვილი, ისტორიული დადგენილება 5

წერილები

ბ. ბეჟუაშვილი, ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ-დემოკრატიული კომიტეტების შექმნა აღმოსავლეთ გერმანიაში 1945—1946 წლებში . . 20

მ ნიკოლეიშვილი, ქუთაისი და ამიერკავკასიის რკინიგზა 32

ბ. მაჭარაძე, ‘ქართლიხა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა აზერბაიჯანულ სახანოებთან XVIII ს-ის 40—50-იან წლებში . 49

ო. ჯაფარიძე, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში . 61

ცნობები და შენიშვნები

ჯ. გიუნაშვილი, ირანის ისტორიული გეოგრაფია და სპარსული ტექსტოლოგიის ზოგიერთი საკითხი. 89

ი. მერაბიშვილი, ახრრის ფილიალი საქართველოში 92

ძ. კეკელია, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის გადაადგილების ზოგიერთი საკითხი XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. 99

მ. ბერაძე, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან . . 108

ა. ხარაძე, დმანისის ხევის ტოპონიმები — 122

დ ალდიაშვილი, XIV საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიიდან . 141

ვ. ცისკარიშვილი, ქართული ზარები — . . . 153

დისკუსია და განხილვა

ნ. ლომოური, კვლავ პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის — 167

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ს. ჩხარტიშვილი, რ. კოპლამაზაშვილი, საქართველოს გლეხთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (1930—1937 წწ.) 185

ჯ. სტეფნაძე, თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში . 190

ნ. ხაზარაძე, უ. სიდამონიძე, ედ. მენაბდე (ნეკროლოგი) . 192

ა. ავალიანი, ჯ. სტეფნაძე, ო. გვინჩიძე (ნეკროლოგი) . . 194

СОДЕРЖАНИЕ

С. ЧХАРТИШВИЛИ, **Историческое постановление** 5

СТАТЬИ

Г. БЕЖУАШВИЛИ, **Создание антифашистско-демократических комитетов молодежи в Восточной Германии в 1945—1946 гг.** . . 20
М. НИКОЛЕЙШВИЛИ, Кутаиси и Закавказская железная дорога 32
Г. МАЧАРАДЗЕ, **Политические отношения Картлийского и Кахетинского царств с азербайджанскими ханствами в 40—50-х годах XVIII века** 49
О. ДЖАПАРИДЗЕ, **Восточная Грузия в позднебронзовом периоде** 61

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Дж. ГИУНАШВИЛИ, **Историческая география Ирана и некоторые вопросы персидской текстологии** 83
И. МЕРАБИШВИЛИ, **Грузинский филиал АХРР** 92
К. КЕКЕЛИЯ, **Некоторые вопросы размещения виноградников и виноделия Грузии в последней четверти XIX века** 99
Т. БЕРАДЗЕ, **Из исторической географии Западной Грузии** . . . 108
К. ХАРАДЗЕ, **Топонимы Дманисис-хеви** 122
А. КЛДИАШВИЛИ, **Из политической истории Грузии начала XIV в.** 141
В. ЦИСКАРИШВИЛИ, **Грузинские колокола** . . 153

ДИСКУССИИ И ОБСУЖДЕНИЯ

Н. ЛОМОУРИ, **Вновь к вопросу об этническом составе населения Понтийского царства** 167

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

С. ЧХАРТИШВИЛИ, **Р. Кочламазашвили, Из истории общественно-политических взаимоотношений крестьян Грузии (1930—1937 гг.)** 185
Дж. СТЕПНАДЗЕ, **Т. Берадзе, Мореплавание в Древней Грузии** 190

Н. ХАРАДЗЕ, У. СИДАМОНИДЗЕ, **Э. А. Менабде (некролог)** 192
А. АВАЛИАНИ, ДЖ. СТЕПНАДЗЕ, **О. Ш. Гвинчидзе (некролог)** 194

სანდრო ჩხარტიშვილი

ისტორიული დადგენილება

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების—„სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ", მიღებიდან ათი წლისთავის შესრულების გამო)

გავიდა ათი წელი მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ"[1]. იგი გახდა ისტორიული მობრუნების პუნქტი როგორც საქართველოს კომპარტიის, ისე მთელი რესპუბლიკის ცხოვრებაში. განვლილმა ათმა წელმა ნათლად დაადასტურა არა მარტო ეს, არამედ ისიც, რომ ეს დადგენილება დღეს მოქმედებს, მუშაობს და მისი საბოლოოდ განხორციელებისათვის მომავალშიც საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება. იგი საფუძვლად დაედო შემდეგში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ რამდენიმე ფუნდამენტურ დადგენილებასა და მრავალ ათეულ გადაწყვეტილებას საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საკითხებზე. თანამედროვე ეტაპზე ეს დადგენილებები, რომლებიც მიღებულია ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით, მისი პირადი მითითებები, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ზეიმის დღეებში გამოთქმული რჩევები წარმოადგენს სამოქმედო პროგრამას რესპუბლიკის მშრომელებისათვის თანამედროვე ეტაპზე და უახლოეს მომავალშიც.

1972 წლის 22 თებერვლის აღნიშნულ დადგენილებაში ჩამოყალიბებული ამოცანების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ განხორციელების პროცესშია და მისი მიღებიდან ათი წლის თავზე ჯამდება მხოლოდ პირველი მიღწეული შედეგები და ისახება მისი საბოლოოდ განხორციელების ძირითადი მიმართულებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილება მიიღო უაღრესად საჭირო პერიოდში. რესპუბლიკას ამ დროს, ბუნებრივია, ჰქონდა მნიშვნელოვანი წარმატებები ეკონომიკის და კულტურის, სოციალური განვითარების საქმეში, მაგრამ ამავე დროს ისინი გაცილებით მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო. გარდა ამისა, უკვე ისახებოდა ამ დროს საერთო საკავშირო განვითარების დონიდან რესპუბლიკის ჩამორჩენის საშიში

---

[1] Коммунистическая партия Грузии в резолюциях и решениях съездов, конференций, пленумов ЦК, т. 4, 1980, გვ. 12—19.

ტენდენციები, რომლების მავნე შედეგები დროთა განმავლობაში აშკარად გამოჩნდებოდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მასში პირველად იქნა შემჩნეული ეს ტენდენციები და მიღებული იყო ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

რესპუბლიკის ინდუსტრიულ და სოციალურ განვითარებაში ჩამორჩენის გაღრმავება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა არა მარტო ეკონომიკას, არამედ მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმესაც.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნაკლოვანებების ნაწილი უდავოდ გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზებით. მაგრამ ამასთან ერთად, იგრძნობოდა პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის შესუსტება მეურნეობისა და სოციალური განვითარების გაძღოლის საქმეში. ამავე დროს საკმაოდ ძლიერი იყო ტენდენცია დაეფარათ ეს ნაკლოვანებები. ეს ნათლად გამოჩნდა იქიდანაც, რომ პირველ ხანებში ამ დადგენილებისათვის საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას არც კი მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება. იგი არ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციას არც კი განუხილავს ეს დადგენილება და ბუნებრივია არც დაუსახავთ შესაბამისი ამოცანებიც.

რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში ჩამორჩენის და პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების სურათი ყველაზე ნათლად გამოჩნდა დედაქალაქის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში და მათდამი თბილისის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პრაქტიკაში.

ჯერ კიდევ მეხუთე ხუთწლედიდან დაწყებულა რესპუბლიკის ეკონომიკურ განვითარებაში საერთო საკავშირო მაჩვენებლებიდან ჩამორჩენის ტენდენცია. ნაკლოვანებანი შეიმჩნეოდა ცხოვრების მრავალ დარგში: ვაჭრობაში, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. ირღვეოდა საკადრო პოლიტიკა, ინერგებოდა ბიუროკრატიზმი. ამასთან ერთად იყო პოლიტიკური ცხოვრებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებიდან გადახვევის ფაქტებიც. სერიოზული ხასიათისა იყო პროპაგანდისტულ და მასობრივ პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებანი, ჯეროვან სიმაღლეზე არ მიმდინარეობდა მშრომელთა აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით. პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში სჭარბობდა ვიწრო პრაქტიციზმი, ფორმალიზმი. ჩამორჩებოდა მეცნიერული აზრი. მძლავრდებოდა დოგმატიზმი და მედავითნეობა, მოდუნდა კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლობა იწვევდა მათ გამრავლებას წლების განმავლობაში. პარტიულ ორგანიზაციებში თავიანთ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობაში სრულად ვერ ითვალისწინებდნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ყველა მხარეს. თბილისის პარტიული ორგანიზაცია ვერ იყენებდა დედაქალაქის ხელსაყრელ პირობებს და შესაძლებლობებს. ვერ ამჩნევდნენ ან არ ამჩევდნენ ბევრ ნაკლოვანებას.

პარტიული ცხოვრებიდან და პარტიული ხელმძღვანელობის ნორმებიდან გადახვევის რეციდივებთან ერთად, ფეხს იკიდებდა ყოყოჩობა, არაკომპეტენტურობა და ზერელობა, კადრების შერჩევის მანკიერი ფორმები. ნაკლები ყურადღება ეთმობოდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას.

პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებისა და მეურნეობის გაძლიერების საქმეში დაშვებული შეცდომების შედეგად მრეწველობის ბევრი დარგი ამცირებდა პროდუქციის გამოშვებას და მის რეალიზაციას, დაბლა ეცემოდა შრომის ნაყოფიერება, ნელა მიმდინარეობდა ტექნიკური პროგრესი. რესპუბლიკა ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩა საერთო საკავშირო მაჩვენებელს.

გაჩნდა ბევრი ნეგატიური მოვლენა. იგი გამოვლინდა კერძომესაკუთრული, მომხმარებლური, მომხვეჭლური ტრადიციების გავრცელებაში. თავი იჩინა მექრთამეობამ, პროტექციონიზმმა და სხვ.

ზემოთჩამოთვლილ ნაკლოვანებებს ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად მიაქცია ყურადღება საქართველოს კომპარტიასა და რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას და მიიღო ეს ისტორიული გადაწყვეტილება. ეს იყო ჩვენი პარტიის შტაბის დიდი ყურადღების გამოვლენა რესპუბლიკისადმი ასეთ ყურადღებას მუდამ გრძნობდა საქართველოს კომპარტია. მაგრამ იგი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1964 წლიდან, რაც დაკავშირებულია უშუალოდ ლ. ი. ბრეჟნევის სახელთან და მის მოღვაწეობასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებას საფუძველად უდევს პარტიის ყრილობების გადაწყვეტილებანი, ლ. ი. ბრეჟნევის მითითებანი, რომლებიც მან გამოთქვა 1966 და 1971 წლებში თბილისში ყოფნის დროს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ჩამოყალიბებული იყო არა მარტო ნაკლოვანებები და ახსნილი იყო მათი წარმოშობის მიზეზები, არამედ დასახული იყო მათი გამოსწორების ღონისძიებანიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა პარტიული ორგანიზაციებისაგან ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მკვეთრ ამაღლებას, მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის გაძლიერების, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და მისი ქმედითობის ზრდის ღონისძიების გატარებას. პარტიულ ორგანიზაციებს უნდა ებრძოლათ გეგმების შესრულებისათვის, პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, საწარმოთა სიმძლავრეების სრულად გამოყენებისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, კაპიტალურ მშენებლობაში მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების ამოცანები.

პარტიულ ორგანიზაციებს დღენიადაგ უნდა ეზრუნათ სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების, სასწავლო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ასამაღლებლად, გაეძლიერებინათ პარტიული ზემოქმედება მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკების საქმიანობაზე, მიეღწიათ მეცნიერების კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის წარმოებასთან.

პარტიულ ორგანიზაციებს არსებითად უნდა გარდაექმნათ იდეოლოგიური მუშაობა, იგი წარემართათ მშრომელებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, მაღალი ზნეობრივი თვისებების გამომუშავებისაკენ, ბრძოლის

გაძლიერებისაკენ მშრომელებში ხალხთა შორის მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების გამოსამუშავებლად.

სპეციალური ღონისძიებების დასახვა იყო საჭირო ბრძოლის გასაძლიერებლად სოციალისტური საკუთრების დატაცებათა, მექრთამეობის, სპეკულაციის, მუქთახორობისა და სხვა ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, კერძომესაკუთრული ტენდენციების აღმოსაფხვრელად და ამ საქმეში შრომითი კოლექტივების როლის ასამაღლებლად.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა მტკიცედ ყოფილიყო დაცული კადრების შერჩევის, მათი აღზრდისა და განათლების ლენინური პრინციპი.

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების ყოველგვარი დარღვევის აღმოფხვრასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ შინაპარტიული დემოკრატიის დაცვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისათვის. მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ასევე ყურადღებას მოითხოვდა მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციები: საბჭოები, პროფკავშირი, კომკავშირი.

ამრიგად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ დროულად იყო დასახული საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსწორების ღონისძიებანი. ამაშია მისი მთავარი ისტორიული მნიშვნელობაც.

მაგრამ, როგორც ითქვა, ამის მიუხედავად, პირველ ხანებში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა აქედან ვერ გააკეთეს სათანადო დასკვნები. მათ არ დაუსახავთ სათანადო ღონისძიებანი. ამ დადგენილების განხორციელებისათვის სერიოზული მუშაობა გაჩაღდა მხოლოდ 1972 წლის ბოლოდან, რაც დაკავშირებული იყო უშუალოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობაში მოხდარ ცვლილებებთან. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ე. ა. შევარდნაძის არჩევას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1973 წლის თებერვალში პირველად აღინიშნა, რომ ამ დადგენილებას მნიშვნელობა ენიჭებოდა ხანგრძლივი პერიოდისათვის. ის მართლაც გახდა ახალი ეტაპის დასაწყისი რესპუბლიკის ისტორიაში, მისი პარტიული ორგანიზაციის ისტორიაში.

საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიული დადგენილების განსახორციელებლად შეიძლება ორ ძირითად პერიოდად გაიყოს: პირველი ამ დადგენილების მიღებიდან 1976 წლის ივნისამდე, მეორე 1976 წლის ივნისიდან 1981 წლის მაისამდე. ეს ბრძოლა საქართველოს კომუნისტებმა დაიწყეს იმ პრინციპით, რომ ღირსეულად შეაფასეს ადრინდელი მიღწევები, რომ საჭირო იყო არ შეერყეულიყო ადამიანების რწმენა ჩვენი ცხოვრებისა და იდეალებისადმი. პარტიული ორგანიზაციები ანგარიშს უწევდნენ იმას, რომ ნეგატიურის ღაგმობასთან ერთად არ გაგვეუფასურებინა და არ დაგვეკნინებინა წინა თაობათა შრომის ნაყოფი და მიღწევები.

პარტიულმა ორგანიზაციებმა პირველ რიგში მიზნად დაისახეს გაეტარებინათ ქმედითი ღონისძიებანი ეკონომიკის გასავითარებლად ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, შეემცირებინათ განსხვავებანი საერთო საკავშირო და რეს-

პუბლიკურ მაჩვენებლებს შორის, აემაღლებინათ პროდუქციის ხარისხი, გაეუმჯობესებინათ მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონე.

საქართველოს კომპარტია, ამბობდა ე. ა. შევარდნაძე, გამოდიოდა იქიდან, რომ ღირსეულად „შეგვეფასებინა მიღწეული და გაკეთებული, არ შეგვერყია ადამიანების რწმენა იმ მთავარისა და არსებითის მიმართ, რითაც გამსჭვალულია ჩვენი იდეალები. არ შეგვექმნა უნდობლობის, შიშისა და ეჭვის განწყობილება“[2].

საჭირო იყო პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მრავალი რგოლის განმტკიცება. მაგრამ არ შეიძლებოდა ყველას ერთნაირად მივდგომოდით, განურჩეველად ყველაფერი ისტორიის სანაგვეზე გადაგვეყარა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებებზე 1973 წლიდან დაწყებული სისტემატურად განიხილავდნენ სახალხო მეურნეობის და კულტურის განვითარების პრობლემებს. ცენტრალური კომიტეტი მიღებულ დადგენილებებში სახავდა ღონისძიებებს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისათვის, შრომითს კოლექტივებში დისციპლინის განმტკიცების, მშრომელთა შრომითი და შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერებისათვის. იგი მხარს უჭერდა მრავალ ახალ თაოსნობას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებას. ამ დროს შეიქმნენ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიები. სერიოზული ღონისძიებები გატარდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ვაჭრობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის.

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას კარგად ესმოდა, რომ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, კომუნისტების აქტივობის ზრდას. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ეს საკითხი გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სპეციალური მსჯელობის საგანი 1973 წლის ოქტომბერში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამდე გაატარეს მრავალი ღონისძიება თავიანთი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის. იგი გამოვლინდა დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში, რომლებიც შეეხებოდნენ ცალკეულ საწარმოთა და გაერთიანებათა პარტიული ორგანიზაციებისა და კოლექტივების საქმიანობას, კადრების შერჩევისა და განაწილების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, მშრომელთა ინტერნაციონალური აზრდის გაძლიერების, ლექციური პროპაგანდის ქმედითობის საკითხებს[3].

პირველ ეტაპზე ჩაეყარა მტკიცე საფუძველი რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრის, საბჭოთა ცხოვრების წესისათვის შეუფერებელი ჩვეულებისა და ადათების დაძლევის, მექრთამეობის, საზოგადოებრივი ქონების

---

[2] ე. ა. შევარდნაძე. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 8.

[3] Коммунистическая партия Грузии в резолюциях., т. 4. გვ. 124—139.

დატაცების, ვაჭრობის წესების დარღვევების შემთხვევების დაძლევისათვის ფართო ბრძოლას.

ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში, როგორც მქონებელი კლასების პრივილეგიური სისტემა, ინერგებოდა პროტექციონიზმი. იგი ერთბაშად არ შეიძლება მოისპოს ახალ საზოგადოებაშიც. საქართველოში პროტექციონიზმმა გარკვეულ ვითარებაში მიიღო საშიში ფორმები. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ პროტექციონიზმი დიდ ზიანს აყენებს ჩვენს საზოგადოებას. პირველად ჩვენი პარტიის ისტორიაში 1974 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". მან უკვე შეასრულა გარკვეული დადებითი როლი. მაგრამ მომავალში ბრძოლა პროტექციონიზმის წინააღმდეგ კიდევ დიდ ყურადღებას მოითხოვს.

არც მეორე დადგენილებას „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ". რომელიც მიღებულია 1975 წლის 24 ნოემბერს, არა აქვს ანალოგიები. არც მას შეიძლება ჰქონდეს კამპანიური ხასიათი, რადგან იგი ეხება ახალი ადამიანის ფორმირების საქმეს. ამ დადგენილებას უდავოდ აქვს გარკვეული საერთო პარტიული მნიშვნელობა

როგორც აღინიშნა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების პირველი ეტაპის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ 1976 წლის იანვარში. ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის მუშაობა ამ მიმართულებით, ის რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები გაემიჯნენ შეცდომებს, თვითკრიტიკულად შეაფასეს თავიანთი საქმიანობა და შეიმუშავეს სწორი პროგრამა, რომლის შესრულებით რესპუბლიკა მოწინავე პოზიციებზე გავიდა სამეურნეო, სოციალური და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში. ბრძოლა ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის იქცა რესპუბლიკის ინტერესების, ღირსების, პრესტიჟის საქმედ, ეს იყო ბრძოლა მისი ავტორიტეტისათვის.

ყრილობამ შეაფასა რესპუბლიკაში გაჩაღებული იდეოლოგიური მუშაობის შედეგები. იგი მიმდინარეობდა მეცნიერულ საფუძველზე, რამაც უზრუნველყო მნიშვნელოვანი წარმატებები არა მარტო მეურნეობის განვითარებაში, არამედ დიდი გავლენა მოახდინა სხვადასხვა დარღვევების, საქმოსნობის, კომბინატორობის, მექრთამეობის და გამომძალველობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის, წარსულის გადმონაშთების დაძლევის საქმეზე. სავსებით სწორად აღნიშნა ყრილობაზე ე. ა. შევარდნაძემ, რომ წინათ „ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის გამოვლენის პირობებში ეკონომიკაზე უფრო მეტად დაზარალდა ადამიანის ფსიქიკა, მისი სულიერი სამყარო, მისი მსოფლმხედველობა"[4].

ყრილობამ აღნიშნა ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის, ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხების შემოქმედებითად გადაწყვეტისა და წარსულის გამოცდილებასთან შეხამების საქმეში. სწორი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია. რომ ძველისაგან და უცხოსაგან გამიჯვნა არ ნიშნავდა წარსულთან კავშირის

[4] ე. ა. შევარდნაძე. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო ბოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 110.

გაწყვეტას. პირიქით, ნეგატიური მოვლენებისაგან გამიჯვნა წარმოადგენდა წარსულში ყოველი პოზიტიურის მემკვიდრეობით დაცვას.

საქართველოს კომპარტიის ოთხ წელზე მეტი ხნის ზემოთაღნიშნული ნაყოფიერი მუშაობის, მისი სწორი პოლიტიკური კურსის მაღალი შეფასება მოცემული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეორე საეტაპო დადგენილებაში „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ"[5]. იგი მიღებული იყო 1976 წლის 24 ივნისს.

ეს იყო არა მარტო სკკპ ცენტრალური კომიტეტის სერიოზული დამოკიდებულების გამოვლენა საკუთარი დადგენილებისადმი, არამედ უდიდესი ყურადღებაც საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისადმი, მათთვის ქმედითი დახმარებაც. .

დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დაძლეული იქნა ამ დროისათვის არსებითი ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით ეკონომიკური და სოციალური განვითარების, მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებისა და პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლებით რესპუბლიკამ მოწინავე ადგილი დაიკავა ქვეყანაში.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კადრებთან მუშაობა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა საქართველოს კომპარტიის დიდი და ნაყოფიერი მუშაობა პარტიული ხელმძღვანელობის სტილის და მეთოდების, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების, სოციალისტური დემოკრატიის განმტკიცების საქმეში. მკვეთრად გაუმჯობესდა საკადრო პოლიტიკა, ამაღლდა პარტიული კადრების, კომუნისტების ავანგარდული როლი, პლენუმების მნიშვნელობა, სერიოზული წარმატებები იქნა მიღწეული მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. იდეოლოგიური მუშაობა წარმოებდა კლასობრიობის, პარტიულობის, საჯაროობის, მეცნიერულობის საფუძველზე. იგი მჭიდროდ დაუკავშირდა საზოგადოებრივი განვითარების, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობისათვის ასეთი მაღალი შეფასება წინათ არასოდეს არ მიუცია პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ამავე დროს ეს დადგენილება იქცა მათ სამოქმედო პროგრამად 70-იანი წლების მეორე ნახევარში. ისევ ამოცანად რჩებოდა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების მხრივ ჩამორჩენის დაძლევა, საჭირო იყო ღონისძიებათა გაგრძელება პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად, პირველი რიგის ამოცანად ისევ იდგა ბრძოლის გაძლიერება ადამიანთა შეგნებაში და ქცევაში წარსულის გადმონაშთებისა და კერძომესაკუთრული ტენდენციების აღმოსაფხვრელად.

როგორც ითქვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუდმივ ზრუნვას საქართველოს რესპუბლიკისადმი მოწმობდა ის ფაქტიც, რომ 1975—1980 წლებში

---

[5] გაზ. „კომუნისტი", 1976 წლის 27 ივნისი; Коммунистическая партия Грузии в резолюциях. т. 4. გვ. 31—37.

მიღებული იყო საქართველოს შესახებ 5 ფუნდამენტური დადგენილება და მრავალი გადაწყვეტილება. მათ შორის აღსანიშნავია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ“ (1974 წლის იანვარი); „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (1976 წ.); „აფხაზეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ“ (1978); მარნეულის მძიმე უნიკალური ჩარხსაშენებელი ქარხნის მშენებლობის, ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ძირეული რეკონსტრუქციის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მცირე მექანიზაციის საშუალებათა საწარმოთა სიმძლავრეების გადიდების შესახებ მიღებული დადგენილებები და სხვ.

70-იანი წლების მეორე ნახევარი მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი იყო რესპუბლიკის ცხოვრებაში. არასოდეს მას წინათ არ მიუღწევია ასეთი წარმატებებისთვის როგორც ამ წლებში. მთლიანად მეათე ხუთწლედი წითელ-დროშოვანი ხუთწლედი იყო. მან 1980 წელს მერვედ მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს კი წარმატებათა უტყუარი მაჩვენებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ „საქართველოს მშრომელები იოტის ოდენადაც არ დათმობენ სოციალიზმის უდიდეს მონაპოვრებს. რესპუბლიკის პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლენინური ნორმების დამკვიდრების პროცესი შეუქცევადია“, — თქვა ე. ა. შევარდნაძემ 1981 წლის მაისში ზეიმის დღეებში[6].

მაგრამ ამ წარმატებებს იქით იმალებოდა მრავალი წლის დაძაბული, მიზანდასახული ბრძოლა. აღნიშნულ დადგენილებათა განუხრელი გატარებით რესპუბლიკა მოწინავე პოზიციებზე გავიდა ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით. ამან შექმნა მტკიცე საფუძველი იმისა, რომ საბოლოოდ იქნეს საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით რესპუბლიკის ინდუსტრიული და საერთო ეკონომიკური ჩამორჩენილობა გადალახული.

რესპუბლიკამ მტკიცე სტარტი აიღო მეთერთმეტე ხუთწლედში. ვადამდე შესრულდა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი, ხოლო ბევრი მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით გაანაღდა. რესპუბლიკამ მეცხრედ ზედიზედ დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის თაობაზე დადგენილების მიღებიდან გასული ათი წლის განმავლობაში რესპუბლიკამ მოიპოვა დიდი წარმატებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში. ამას ნათლად მოწმობს ქვემოთმოტანილი ცნობები რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ 1971—1981 წლებში[7].

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წილი ქვეყნის

---

[6] გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 19 მაისი.

[7] გაზ. „კომუნისტი“- 1982 წლის 6 მარტი.

ეროვნული შემოსავლის წარმოებაში 1,4 პროცენტიდან გაიზარდა 1, 75 პროცენტამდე;

მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში გადიდდა 1,2 პროცენტიდან 1,4 პროცენტამდე;

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში (საშუალო წლიური გაანგარიშებით) — 1,25 პროცენტიდან 1,6 პროცენტამდე;

საქონელბრუნვის მოცულობაში I — 1,5 პროცენტიდან 1,6 პროცენტამდე. 1971—1981 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით შემცირდა:

ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ეროვნული შემოსავლის წარმოებაში — თითქმის 18 პროცენტული პუნქტით;

გამოყენებული ეროვნული შემოსავლის მიხედვით — 19 პუნქტით და მეტად; მრეწველობის პროდუქციის მიხედვით — 11,7 პუნქტით; სოფლის მეურნეობის საშუალო წლიური პროდუქციის მიხედვით — 20 პუნქტით; საცალო საქონელბრუნვის მიხედვით — 7 პუნქტით; დიდ წარმატებებს მიაღწია რესპუბლიკამ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით.

აღნიშნული წარმატებანი მიღწეულია იმის მეოხებით, რომ დაჩქარებით ვითარდებოდა მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროს ყველა დარგი. 1981 წელს 1971 წელთან შედარებით წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობა გაიზარდა 96 პროცენტით, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები გადიდდა 78,2 პროცენტით, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა — 73,7 პროცენტით, საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაცის მოცულობა — 2,4-ჯერ, რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით — 60,7 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი — 37,1 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — თითქმის 2-ჯერ, აღნიშნულ პერიოდში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონე 61,6 პროცენტიდან 84,4 პროცენტამდე გაიზარდა. ამენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო (სასარგებლო) ფართობი 17,2 მილიონ კვადრატულ მეტრს შეადგენს.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის ტემპი. ორი ხუთწლედის მანძილზე საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 1,8-ჯერ და თითქმის 15 პროცენტით შემცირდა განსხვავება საკავშირო და რესპუბლიკურ მაჩვენებლებს შორის. ამ მაჩვენებლების მკვეთრი შემცირება აღინიშნება აგრეთვე ეროვნული შემოსავლის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დარგშიც.

მხვედელობაში ჰქონდა რა ეს მიღწევები, ლ. ი. ბრეჟნევმა თბილისში ზეიმის დღეებში აღნიშნა, რომ „მთლიანად რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის საერთო დოვლათში ახლა ნიადაგ იზრდება. ათი წლის მანძილზე მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაორკეცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება ერთნახევარჯერ გაიზარდა. მეათე ხუთწლედის დავალებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ვადამდე შესრულდა. ეს ამხანაგებო, კარგი მიღწევაა“[1].

70-იანი წლების მეორე ნახევარში მიმდინარეობდა აქტიური იდეოლოგი-

[8] გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 23 მაისი.

ური და ორგანიზატორული მუშაობა. გაუმჯობესდა სოციალური ჯგუფებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, არსებითად დაძლეული იქნა ხელმძღვანელობის მოწყვეტა მასებისაგან. საქართველოს კომპარტიამ ამ წლებში მიიღო მრავალი დოკუმენტი და იბრძოდა მათი განხორციელებისათვის. მათში ჩამოყალიბებული და განზოგადებული იყო მრავალი აქტუალური პრობლემა. მაგალითად, საწარმოო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფის პრაქტიკული საკითხები; შრომითი კოლექტივების ფორმირების დარგში ეროვნულისა და ინტერნაციონალურის დიალექტიკის შესახებ მომწიფებული სოციალიზმის პერიოდში; სოციალისტური და შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების; მასების ორგანიზებულობის, დისციპლინისა და აქტიურობის ამაღლების; მართვის კულტურის გაუმჯობესების; ადამიანის შესახებ მეცნიერების განვითარების; ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევის ღონისძიებათა შესახებ და სხვ.

ამასთან მჭიდრო კავშირში ათწლეულში და განსაკუთრებით მეათე ხუთწლედში სისტემატურად უმჯობესდებოდა იდეოლოგიური მუშაობის ფორმები და მეთოდები. თუ 70-იანი წლების დამდეგს პარტიული ორგანიზაციების მთავარი ამოცანა იდეოლოგიის დარგში იყო, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა შეგნებაში და ქცევაში ანტიპოდურ ფსიქოლოგიური განწყობილების აღმოფხვრისთვის ბრძოლა, 70-იანი წლების მეორე ნახევარში და 80-იანი წლების დამდეგს მეტი ყურადღება ექცეოდა და ექცევა პიროვნების ჩამოყალიბების დადებითი მომენტების, ყველასათვის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველური მრწამსის ჩანერგვას. თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ შეწყდა ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ამ ახალი პერიოდის დამახასიათებელია მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარების საგრძნობი გაჯანსაღება. დადებითი გარდაქმნები რესპუბლიკის ცხოვრებაში შეუქცევადი და რადიკალური გახდა. მავნე ტრადიციების, კარიერიზმის, ფორმალიზმის, შოვინისტური, ნაციონალისტური ცრურწმენების, კერძომესაკუთრული ტენდენციების, მექრთამეობის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მიღებული იყო მეცნიერულად შემუშავებული რეკომენდაციები.

ამას გარდა, საქართველოს კომპარტიის პლენუმები განიხილავდნენ მნიშვნელოვან, აქტუალურ პრობლემებს. მათზე სუფევდა ისეთი ატმოსფერო, რომელიც ამტკიცებდა, რომ დემოკრატიზმი პარტიული ცხოვრების ფუძემდებელი პრინციპი გახდა. დემოკრატიზმს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა პარტიულობა, მეცნიერულობა, სიმართლე, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი. პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1979 წლის ოქტომბერში მიღებულმა დადგენილებამ იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

ადამიანთა იდეური სიმწიფის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ გამოვლენას თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შემდგომი ამაღლება. იგი ახალი ადამიანის ფორმირების გადამწყვეტი პირობაა. ამ ძვრებზე ნათლად მეტყველებს ის, რომ გაჩნდა რესპუბლიკაში მრავალი თაოსნობა. მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. გაიზარდა სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობა. მათ ნახევარზე მეტი მონაწილეობს მოძრაობაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის. სოციალისტური შეჯიბრება თანამედროვე ეტაპზე მასობრივი მოძრაობიდან

მთელი ხალხის მოძრაობად გადაიქცა. მთავარი ხდება მასობრივი შრომითი მამაცობა, სინდისი მშრომელი კაცის მთავარ საზომად იქცევა.

ათწლეულში მკვეთრად ამაღლდა კულტურის განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე. წარმატებით მიმდინარეობდა კულტურის მოღვაწეთა პოლიტიკური და მხატვრულ ღირებულებრივი ორიენტაციის ინტეგრაცია. მათი პოლიტიკური, და მხატვრული მიზნობრივი ღირებულებების შერწყმა. ბუნებრივად მაღლდებოდა ლიტერატურის და ხელოვნების იდეოლოგიური ეფექტი, მისი იდეოლოგიური ფუნქცია.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომდევნო გადაწყვეტილებების განუხრელი შესრულების შედეგად მიღწეული იყო მნიშვნელოვანი წარმატებები. აფასებდა რა საქართველოს კომპარტიის საქმიანობას გასულ ათწლეულში, ლ. ი. ბრეჟნევი თბილისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1981 წლის 22 მაისს ამბობდა: „ყველას გვახსოვს რა უარყოფითი მოვლენები იყო თავის დროზე ფეხმოკიდებული რესპუბლიკაში. ისინი აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ სხვა დოკუმენტებში, რომლებიც უშუალოდ ეხებოდა საქართველოს კომუნისტებსა და მშრომელებს. ამ დოკუმენტების მიზანი, უწინარეს ყოვლისა, ის იყო, რომ ძირეულად გაგვეჯანსაღებინა მისი ეკონომიკური პოტენციალი, დავხმარებოდით მშრომელებს უფრო წარმატებით გადაეჭრათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ კრიტიკიდან სწორი დასკვნები გამოიტანა. თქვენ შეძელით გაგეჩაღებინათ პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული და სახელმწიფოს დისციპლინის განმტკიცებისათვის, სწორი საკადრო პოლიტიკისათვის. ბევრი გაკეთდა საიმისოდ, რომ რესპუბლიკის ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში პოზიტიური პროცესები დამყარებულიყო“[11].

იმავე სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოს მშრომელებს ახალი ამოცანებიც დაუსახა. „კვლავაც, — ამბობდა იგი, — ნიადაგ უნდა იზრუნოთ იმისათვის, რომ საქართველოში მორალური ატმოსფერო ისეთივე წმინდა იყოს, როგორიც თქვენებური ჰაერია, ხოლო ახალგაზრდობა კარგად იცნობდეს და განაგრძობდეს უფროს თაობათა, თავდადებულ მშრომელთა და სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგულ პატრიოტთა საუკეთესო ტრადიციებს. საბჭოთა საქართველოს მოწინავე ადამიანები ჩვენს საერთო სიამაყესა და დიდებას შეადგენენ და იუბილეს დღეს ქვეყანა მათ საყოველთაო სახალხო მადლობას ეუბნება“[12].

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პირადად ლ. ი. ბრეჟნევი არაერთხელ მიუ-

---

[9] გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 23 მაისი.

[10] იქვე.

[11] იქვე.

[12] გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 19 ივნისი. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე: „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანები თბილისში ეამართულ ზეიმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესახებ-მისად“.

თითებდნენ საქართველოს კომპარტიას, რომ საქმის წარმატებები დამოკიდებულია მიღებული სწორი დადგენილებების შესრულებაზე. „აუცილებელია, — ამბობდა თბილისში ზეიმის დღეებში ლ. ი. ბრეჟნევი, — გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს ვუფრთხილდებოდეთ, რომ საჭიროა ვადევნოთ თვალი იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი ჯეროვნად სრულდებოდეს რესპუბლიკაშიც და ცენტრშიც“[13].

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი და შემოწმება საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის უმნიშვნელოვანეს პრინციპად იქცა. ამ ლენინური პრინციპების განუხრელად დაცვა ჩვენი წინსვლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. იგი მარტო ორგანიზატორული საკითხი როდია, არამედ პარტიული, სახელმწიფოებრივი საქმეა, ხელმძღვანელი ორგანოების პრესტიჟის, მათდამი მშრომელთა ფართო მასების, მთელი მოსახლეობის ნდობის საკითხია.

მიღებულ გადაწყვეტილებათა ავტორიტეტის დაცვისა და მისი შესრულებისადმი ლენინური მიდგომის მაგალითს აძლევს საქართველოს კომპარტიას და მთელს ჩვენს პარტიას სკკპ ცენტრალური კომიტეტი ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. კონკრეტულად ეს ნათლად გამოჩნდა იმ ყურადღებაში, რასაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი აქცევდა და აქცევს საქართველოს შესახებ 1972 წლის 22 თებერვლისა და მომდევნო დადგენილებების შესრულების მიმდინარეობას. ცენტრალური კომიტეტი დღენიადაგ სწავლობდა მისი შესრულების მიმდინარეობას, სახავდა ახალ ღონისძიებებს.

ეს დადგენილებები ძირითადად ხორციელდებოდა, მაგრამ მათი ცალკეული პუნქტების შეუსრულებლობა იწვევდა რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ გავითარებაში გარკვეულ ნაკლოვანებებს.

ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით 1981 წლის ივნისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებას იმის თაობაზე თუ როგორ სრულდება საქართველოს შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიღებული დადგენილებანი[14].

დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტმა, რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაუკითხავად დაუშვეს დადგენილ დავალებათა შესწორება-შემცირება. რაც პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევაა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მათ მოთხოვა დაამყარონ წესრიგი ამ საქმეში და გააძლიერონ პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე აღნიშნა ე. ა. შევარდნაძემ ამ დადგენილებას დიდი საერთო პარტიული, საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რომ „იგი ამაღლებს ყველა რანგის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის“[15]. ეს დადგენილება ხელს უწყობს უფრო სწრაფად მოხდეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხრივ საშუალო საკა-

---

[13] გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 19 ივნისი.
[14] გაზ. „კომუნისტი“, 1982 წლის 6 მარტი.

ვშირო დონეზე ასვლა. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ყველა ორგანოს უზრუნველყონ დასახულ ღონისძიებათა შესრულება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაევალა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება, მან უფრო სრულად უნდა გამოიყენოს წარმოების ეფექტურობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, ახალ სიმძლავრეთა ათვისების, საწარმოთა რიტმული მუშაობის უზრუნველყოფის რეზერვები, უფრო აქტიურად გადაწყვიტოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანა. სოფელიც უნდა დაწინაურდეს საკავშირო დონემდე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება საფუძველი გახდება იმისათვის, რომ მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედში უზრუნველყოფილი იყოს რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტა. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების ცალკეული პარამეტრების მიხედვით კიდეც გადაჭარბებულ იქნეს საშუალო საკავშირო დონე, გაძლიერდეს სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, ამაღლდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და ხარისხი. დადგენილება ქმნის შესაძლებლობას უფრო სრულყოფილი იქნეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. პირველ რიგში ამაღლდეს ინდუსტრიული განვითარების დონე, სწრაფად მოხდეს ჩამორჩენილი რეგიონების დაწინაურება, მათ შორის მთისა და მთისწინა რაიონების ეკონომიკა.

რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანები, რომლებიც დასახული იყო თბილისში ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში და სკკპ 1981 წლის ივნისში მიღებულ ახალ დადგენილებაში, მოითხოვენ ორგანიზატორულ-პარტიული, იდეოლოგიური და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას, პარტიის გავლენის გაძლიერებას ცხოვრების ყველა სფეროში და უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას.

პარტიული კომიტეტები პოლიტიკური ლიდერები, მშრომელთა ფართო მასების ნამდვილი ხელმძღვანელები უნდა გახდნენ და კისრულობდნენ პასუხისმგებლობას ადგილებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის. ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას და კონტროლს. იგი შემდგომი წინსვლის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად იქცევა თანამედროვე ეტაპზე. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტიური და კოლეგიური ხელმძღვანელობის სწორ შეხამებას პირად პასუხისმგებლობასთან, პირველადი პარტიული რგოლების მუშაობის გაუმჯობესებას სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის სრულყოფის, დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, იმაში, რომ ნამდვილად საყოველთაო სახალხო ბრძოლა მიმდინარეობდეს დაუდევრობისა და უნიათობის წინააღმდეგ, სახალხო დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ლ. ი. ბრეჟნევი მოითხოვენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან გააძლიერონ მუშაობა საკადრო პოლიტიკის სრულყოფისათვის, მორალური ატმოსფეროს სულ უფრო გაუმჯობესებისათვის, ნეგატიური მოვლენების საბოლოოდ დაძლევისათვის.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ხალხთა

მეგობრობის შემდგომი განმტკიცება. საჭიროა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის დარგში მრავალი გამოცდილების განზოგადება და გავრცელება. რაც უფრო მაღალია მასების ინტერნაციონალური შეგნება, მით უფრო მნიშვნელოვანია მათი წვლილი კომუნისტურ მშენებლობაში.

„დღეს საბჭოთა საქართველოში ჭეშმარიტად ინტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფერო სუფევს, — ნათქვამია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში რესპუბლიკის კომუნისტებისა და ყველა მშრომელისადმი ამ დადგენილების მე-10 წლისთავთან დაკავშირებით, — ქართველები და რუსები, აფხაზები და ოსები, სომხები და აზერბაიჯანელები, ბერძნები, ქურთები, ებრაელები და მრავალი სხვა ეროვნების მშრომელები ერთმანეთის მხარდამხარ იღწვიან და ირჯებიან რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ“[1].

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ განვლილ ათი წლის განმავლობაში ერთაშორისი ურთიერთობის ლენინური პრინციპების განუხრელ დაცვას, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ დამახინჯებებისა და დეფორმაციების გადაჭრით დაგმობას შედეგად მოჰყვა საბჭოთა საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების სულიერი ცხოვრების აქამდე არნახული, უმაგალითო აყვავება.

განვლილი ათი წელი გამოირჩეოდა არა მარტო კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანებით, არამედ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც. მოხდა პარტიული მუშაობის ძირეული გარდაქმნა, გაჩნდა ახალი ფორმები. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პლენუმების, თათბირების, ბიუროს სხდომების წინასწარ მომზადების პრაქტიკა, ამ საქმეში ყველა პარტიული ორგანიზაციის, მშრომელთა დიდი უმრავლესობის ჩაბმა.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ ათი წლის განმავლობაში მიიღეს ისეთი ხასიათის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ეკონომიკის, კულტურის განვითარებისათვის, ნეგატიური მოვლენებისა და ძველი ტრადიციების აღმოფხვრის მიზნით, რესპუბლიკაში ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესების და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მრავალ საკითხზე, რომლებსაც საერთო პარტიული მნიშვნელობა აქვთ.

ყოველივე ამის შედეგად უაღრესად ამაღლდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტი ჩვენს დიდ პარტიაში. ამისი ნათელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის მიერ საქართველოს კომპარტიისა და მისი ხელმძღვანელობის მუშაობის არა ერთი მაღალი შეფასება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში საქართველოს კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი სამართლიანად არის მითითებული, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის ათი წლის ბრძოლის შედეგად შევძელით წარმატებით დაგვემკვიდრებინა დადებითი ტენდენციები სამეურნეო პრაქტიკაში, მკვეთრად გაგვეძლიერებინა მომთხოვნელობა სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგის, დისციპლინის დაცვის დარგში. შევძელით მაღალი ავტორიტეტი დაგვებრუნებინა მშრომელი ადამიანისათვის, ბევრს მივაღწიეთ ისეთი ზნეობრივი კატეგორიე-

ბის აღდგენაში, როგორიც არის შრომისმოყვარეობა, სამართლიანობა, პატიოსნება, წესიერება... თავის მხრივ, სოციალისტური ცხოვრების წესის ღირებულებითი ორიენტაციებისაკენ დაბრუნებამ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში დაამკვიდრა ახალ პირობებში, კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე, ახალი ამოცანების გადაწყვეტისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რომელსაც ახასიათებს გაბედულება, ენერგია, ნოვატორობა ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ყველა სფეროში. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ მუშაობის ყველა მიმართულება ზუსტად შეუსაბამა ლენინური პარტიის საპროგრამო მოთხოვნას — „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

არსებითად დღეს არ არის რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისეთი სფერო, სადაც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ განვლილ წლებში არ იყო მიღწეული რადიკალური ცვლილებები უკეთესობისაკენ. ასეთი დასკვნა გამოიტანა სკკპ XXVI ყრილობამ, რომლისადმი საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნული იყო საბჭოთა საქართველოს სერიოზული მიღწევები ეკონომიკური განვითარების დარგში, იგივე შეფასება დაადასტურა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თავის შთამაგონებელ გამონათქვამში იმის შესახებ, რომ საქართველოში საქმე კარგად მიდის. ეს შეფასება ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა დაწვრილებით ჩამოაყალიბა თავის სიტყვაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მისი კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბარში. ასეთი შეფასება, ასეთი დასკვნები არ შეიძლება სიამაყით არ აღავსებდეს რესპუბლიკის თითოეული კომუნისტის, თითოეული პატიოსანი მშრომელის გულს.

განვლილი ათი წლის შედეგები დიდ წარმატებასთან ერთად ცხადად მეტყველებენ იმაზე, რომ ჯერ კიდევ ბევრია გადასაწყვეტი, რათა საბოლოოდ იქნეს დაძლეული ყველა არსებული ნაკლოვანება, ჩამორჩენა ეკონომიკურ და სოციალური განვითარების საქმეში. შემუშავებულია შემდგომი წინსვლის კონკრეტული პროგრამა. იგი ნათლად განსაზღვრული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში საბჭოთა საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელისადმი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის დადგენილების მე-10 წლისთავთან დაკავშირებით. დადგენილების ახალი ამოცანები ეყრდნობა 70-იან წლებში მიღწეული წარმატებების შეუქცევადობას.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით დაიწყო რესპუბლიკისა და მისი პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელების მესამე—გადამწყვეტი ეტაპი.

გიორგი ბეჟუაშვილი

ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ-დემოკრატიული კომიტეტების შექმნა აღმოსავლეთ გერმანიაში 1945—1946 წლებში

ფაშისტებმა მათ მიერ წამოწყებული მეორე მსოფლიო ომით გერმანელი ხალხი კატასტროფის პირამდე მიიყვანეს. ჰიტლერული აგრესიის განადგურებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა, რომელმაც საკუთარ მხრებზე გადაიტანა მსოფლიო ომის უდიდესი სიმძიმე. ფაშისტური დიქტატურის დასამხობად იბრძოდნენ და დიდი მსხვერპლი გაიღეს გერმანელმა ანტიფაშისტებმა, მათ შორის გერმანელი ხალხის საუკეთესო ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა. მაგრამ მიუხედავად გმირული ბრძოლისა და წინააღმდეგობისა გერმანელმა ხალხმა ვერ დასძლია ფაშიზმი საკუთარი ძალებით.

ომმა და დროებით ოკუპირებულ ქვეყნებში ჰიტლერელთა მიერ ჩადენილმა უმძიმესმა დანაშაულმა დიდძალი გერმანელი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, ასე მაგალითად, 1924 წელს დაბადებული ყოველი 100 გერმანელოდან 25 ბრძოლის ველზე მოკვდა, 31 კი ომის მძიმე ინვალიდი შეიქნა[1]. 1945 წლის პირველი დეკემბრისათვის 20 წლის ასაკის ქალიშვილთა რიცხვი სამჯერ სჭარბობდა მათი თანატოლი ვაჟების რაოდენობას. 19 187 ქალიშვილი მოდიოდა 6 327 ჭაბუკზე ბერლინში[2]. ბევრ ახალგაზრდას დაენგრა სახლ-კარი და მოეშალა კერა. ომის შედეგად გერმანიის მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ, ტრანსპორტმა და სხვა დარგებმა დაკარგეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ასეულ ათასობით ახალგაზრდა.

უპატრონოდ და უსახლკაროდ დარჩენილ მოზარდებს შორის, რომელთაც არ გააჩნდათ წესიერი სასკოლო განათლება და შესატყვისი რაიმე პროფესია, ფეხი მოიკიდა კრიმინალურმა დანაშაულმა. იმედგაცრუებულ და დაუსაქმებელ ახალგაზრდობაზე უარყოფითად მოქმედებდა აგრეთვე ომის შედეგად წარმოქმნილი შავი ბაზარი, რომლის აყვავებასაც ძლიერ უწყობდნენ ხელს ინგლისელ-ამერიკელი საოკუპაციო ხელისუფლები[3]. კერძოდ, ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა ლუკმა-პურის საშოვნელად და თავის სარჩენად იოლი გზა გამონახა შავ ბაზარზე. ისინი ეწეოდნენ სპეკულაციას, წვრილ გარიგებებს, ინგლისელ-ამერიკელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან იძენდნენ მოხმარების სხვადასხვა ნივთს: სიგარეტებს, სანთებლებს, კონსერვებს, კვების პროდუქტებს. სამაგიეროდ ინგლისელ-ამერიკელ მოსამსახურეებს ისინი სთავაზობდნენ სხვადასხვა ძვირფასეულობას, ხელოვნების ნიმუშებს, ოქროს ანტიკვარულ მონეტებს, ომის ქაოსში სხვადასხვა მუზეუმიდან დაკარგულ ექსპონატებს, რომლებიც მეტად საეჭვო გზით იყო მათ ხელში მოხვედრილი. შეძენილ ნივთებს და კვების პროდუქტებს ისინი მამასისხლად

---

[1] Geschichte der deutschen Arbeiterjugendbewegung, Berlin, 1973, გვ. 604.

[2] Inge Pardon, Der Beginn einer grossen Freundschaft, Berlin, 1977, გვ. 12.

[3] Wie die FDJ entstand, Berlin, o. J., გვ. 34.

ჰყიდდნენ მოსახლეობაში შავი ბაზრის უჩინარი არხების მეშვეობით. ახალგაზრდობის ეს ნაწილი გაიტაცა, აგრეთვე, ოკეანისგაღმელთა კულტივირებულმა ექსცენტრულმა გართობებმა და სხვა მსუბუქმა თავშესაქცევმა[4].

გერმანიის ახალგაზრდობას მილიტარიზმთან, შოვინიზმთან და რეაქციასთან ბრძოლის მდიდარი ტრადიციები ჰქონდა, რაც ერთ-ერთ წინაპირობად უნდა ქცეულიყო გერმანიის დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე თაობის აღსაზრდელად. ფაშიზმს შეურიგებლად ებრძოდა გერმანიის კომკავშირი, ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიული კავშირი, ასევე კათოლიკური და პროტესტანული ახალგაზრდობის გაერთიანებები. თუმცა ისინი ერთიან ფრონტში არ იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ და მათი დათრგუნვა. ისევე როგორც სხვა ოპოზიციური ძალებისა, ფაშისტებმა ადვილად შეძლეს.

გერმანიის კომპარტიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მტკიცე კადრები აღზარდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, რომლებიც ომის შემდგომ პერიოდში ქვეყნის განახლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში იდგნენ. ასეთები იყვნენ ე. ჰონეკერი, პ. ვერნერი, ფ. გროსე, და სხვ.

1945 წლის 19 ივნისს გერმანიის კომპარტია (გკპ) და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია (გსდპ) შეთანხმდნენ მოქმედების ერთიანობაზე, რამაც თავის მხრივ ფართო ნიადაგი მოუმზადა ახალგაზრდა კომუნისტებსა და ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. 1945 წლის ივნისის მიწურულში გკპ-ს ინიციატივით გაიმართა კონსულტაციები ორივე მუშათა პარტიის ახალგაზრდული სამდივნოების წარმომადგენლებს შორის. ეს მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ვ. პიკსა და ო. გროტეოლს შორის და გკპ-ს ცკ-ის ახალგაზრდობის განყოფილების ხელმძღვანელს ე. ჰონეკერსა და გსდპ-ს ცენტრალური მმართველობის ახალგაზრდული სამდივნოს ხელმძღვანელს თეო ვიკერტს შორის[5]. ანალოგიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ივნისის მეორე ნახევარში ორივე მუშათა პარტიის საოლქო, სარაიონო და ადგილობრივ წარმომადგენლების დონეზე. ამ მოლაპარაკებების მთავარი მიზანი იყო გამოემუშავებინათ საერთო პლატფორმა ფართო, ანტიფაშისტური, მასობრივი ახალგაზრდული მოძრაობის ჩამოსაყალიბებლად. „მივცეთ ახალი იდეალი ახალგაზრდობას, რომლისთვისაც ღირს ცხოვრება, მუშაობა და ბრძოლა, — ასეთია ჩვენი ამოცანა ახალგაზრდობის მიმართ" — აღნიშნავდა ვ. პიკი 1946 წლის აპრილში[6].

მრავალ ადგილას ანტიფაშისტური ახალგაზრდული კომიტეტების შექმნას კომუნისტი ფუნქციონერები ხელმძღვანელობდნენ. უკვე 1945 წლის 25 ივლისს შემდგარ გერმანიის კომპარტიის დიდი ბერლინის პარტიულ კონფერენციაზე ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, რომ გერმანელ კომუნისტებს სჯერათ გერმანიის ახალგაზრდობის, რომ ისინი გამოცდილი ანტიფაშისტების დახმარებით შესაბამის დასკვნებს გააკეთებენ იმ კატასტროფიდან, რომლის წინაშე ჰიტლერმა დააყენა გერმანია. ამავე კონფერენციაზე კომუნისტებმა, ფხიზლად შეაფასეს რა შექმნილი მდგომარეობა, უარი თქვეს ახალგაზრდობის

---

[4] Wie die FDJ entstand, გვ. 38.

[5] Wissenschaftliche Zeitschrift der Universität Rostok, Geselschafts — und Sprachwissenschaftliche Reihe, XXIII Jahrgang, Heft 2, გვ. 158 (შემდგომ შემოკლებით: «Wissenschaftliche...,

[6] В. Пик, Избранные статьи и речи, М., 1976, გვ. 322.

კომუნისტური კავშირის შექმნაზე[7]. პირველ რიგში საჭირო იყო მთელი დემოკრატიული ახალგაზრდობის გაერთიანება ერთიან ფართო მოძრაობაში, მიუხედავად მათი იდეური შეხედულებებისა და სარწმუნეობისა.

1945 წლის 31 ივლისს, საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის ბრძანებით, საბჭოთა საოკუპაციო ზონის დიდ და საშუალო რანგის ქალაქებში ადგილობრივი საქალაქო თვითმმართველობების სახალხო განათლების განყოფილებებთან იქმნებოდნენ ანტიფაშისტური ახალგაზრდობის კომიტეტები. მაგრამ ამავე პერიოდში გერმანიის კომპარტიის ზოგიერთ ფუნქციონერს შორის ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების საკითხში მემარცხენე რადიკალურმა შეხედულებებმა იჩინა თავი. კერძოდ, ისინი შეეცადნენ ზოგიერთ ადგილას შეექმნათ, ზოგან კი კვლავ აღედგინათ გერმანიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი, ხოლო იქ სადაც ყალიბდებოდა ანტიფაშისტური ახალგაზრდობის კომიტეტები, ისინი ცდილობდნენ არ დაეშვათ ყოფილი არც ერთი ჰიტლერ-იუგენდელი და გერმანელ ქალიშვილთა კავშირის წევრი. შევნიშნავთ, რომ გკპ-ს რიგით წევრებსა და ფუნქციონერებს შორის ასეთი რადიკალური ტენდენციების არსებობა იმის პირდაპირი შედეგი იყო, რომ ფაშიზმის წლებში გერმანიის კომპარტიის მრავალ წევრს ციხეებში, საკონცენტრაციო ბანაკებში და კატორღაში ყოფნისას რაიმე ცოდნა ან ინფორმაცია არ მიუღია გკპ-ს მიერ კომინტერნის VII კონგრესის შემდეგ გაწეული მუშაობისა და მისი გენერალური ხაზის შესახებ[8].

გერმანიის კომპარტიის წევრების მემარცხენე სექტანტური მიდგომა ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების საკითხში დროებით აფერხებდა გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილის ცალკეულ რაიონებში დემოკრატიული ახალგაზრდობის ერთიანი ორგანიზაციის ფორმირების პროცესს, თუმცა მათ არ შეეძლოთ გადამწყვეტი გავლენა მოეხდინათ ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე. გკპ-ს ცენტრალური კომიტეტის, და კერძოდ ვ. პიკის მიზანსწრაფული მუშაობით შესაძლებელი გახდა 1945 წლის დამლევისათვის სექტანტური ტენდენციების დაძლევა გერმანელი ახალგაზრდობის ერთიანი ორგანიზაციის შექმნის გზაზე. გერმანიის კომპარტიის მუშაობის ამ მიმართულების კონკრეტული შედეგი იყო ის, რომ 1945 წლის ზაფხულში შექმნილი გერმანიის კომკავშირის ჯგუფები ჰერცბერგში (ელსტერში), ლიუბეცში, პარჰიმში, პერლებერგში, ვარენში, ვაიმარში, ისევე, როგორც სხვა რიგ ქალაქებში და თემებში გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში გერმანიის კომპარტიის საოკრუგო, სარაიონო და ადგილობრივი თემების ხელმძღვანელობის ჩარევით 1945 წლის მიწურულისათვის დაშლილ იქნა[9].

გერმანიის კომკავშირის შექმნა გარდუვალ განხეთქილებას შეიტანდა გერმანელი ახალგაზრდობის პროგრესულ ძალებში, რომლებიც მზად იყვნენ დემოკრატიულ პრინციპებზე აღედგინათ გერმანია. ამასთან, ეს ძალები აშკარად როდი სცნობდნენ გერმანიის კომკავშირს ავანგარდის როლში მთელი ანტიფაშისტური ახალგაზრდობის ინტერესების გამომხატველად. არ იყო გამორიცხული, რომ ახალგაზრდობის ეს ნაწილი შექმნიდა თავის საკუთარ კავშირებსა და გაერთიანებებს. გამომდინარე აქედან, ბუნებრივია, აღმოცენ-

---

[7] Wir sind die Kraft, Der Weg zur DDR, Berlin, 1959, გვ. 89.

[8] Wissenschaftliche..., გვ. 159.

[9] Wissenschaftlice..., გვ. 159.

დებოდა უთანხმოებათა პირველი ფესვები გერმანიის კომკავშირსა და ამ ორგანიზაციებს შორის გერმანიის ანტიფაშისტურ-დემოკრატიული განახლების საქმეში, ვინაიდან გერმანელი ახალგაზრდობის ეს გაერთიანებები არ იქნებოდნენ იდეურად, ორგანიზაციულად ან რაიმე ნიშნით გერმანიის კომკავშირზე დამოკიდებულნი.

გარდა ამისა მოსალოდნელი იყო, რომ სარწმუნოების მაღიარებელი ახალგაზრდობა, რომელთა რიგებშიც იმატა პესიმისტურმა განწყობილებამ, კიდევ უფრო უნდობლად და ცივად შეხვდებოდა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის შექმნას საბჭოთა საოკუპაციო ზონაში. ასეთი არასწორი ნაბიჯის გადადგმა ხელს აძლევდა გერმანიის რელიგიურ-კლერიკალურ რეაქციულ ძალებს, რომლებიც უკვე ინგლისელ-ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა ძლიერი გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. ასევე უარყოფითად შეხვდებოდა გერმანიის კომკავშირის შექმნას დასავლეთის ზონების პროგრესული, ანტიფაშისტური ახალგაზრდობა, რომელიც მომხრე იყო ერთიანი ფრონტით გამოსულიყო მთელი გერმანიის დემოკრატიული აღდგენისათვის.

გერმანელი ახალგაზრდობის ერთიანი დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის იდეით გამოვიდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიაც აღმოსავლეთ გერმანიაში. გსდპ-იის მხარდაჭერა ერთიანი ახალგაზრდული მასობრივი ორგანიზაციის შესაქმნელად დაჩქარდა მას შემდეგ, რაც გკპ-მ უარი თქვა კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის შექმნაზე და მიღწეულ იქნა პირველი წარმატებები ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატებსა და ყოფილ გერმანელ კომკავშირლებს შორის ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ კომიტეტებში თანამშრომლობისას.

1945 წლის სექტემბერში გსდპ-ს ერთ-ერთმა აქტიურმა ახალგაზრდა ფუნქციონერმა ფრიც შრაიბერმა მოუწოდა თავისი პარტიის წევრებს ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი ახალგაზრდობის ერთიანი ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გაერთიანების შექმნისათვის. ერთი თვის შემდეგ გსდპ-ს საქსონიის პროვინციის ყრილობაზე ამ პარტიის პროვინციული ახალგაზრდობის მდივანმა ჰ. შნაიდერმა სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობას მოუწოდა აქტიურად ეთანამშრომლათ საქალაქო და სათემო ადგილობრივ ანტიფაშისტურ ახალგაზრდულ კომიტეტებში. ათასობით ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი გაჰყვა ამ მოწოდებას. მრავალი მათგანი ამ კომიტეტებში მაღალ საპატიო თანამდებობებზე დაინიშნა. ის ახალგაზრდები, რომლებიც ომის დამთავრებისთანავე სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ერთიანდებოდნენ, ახლა აქტიურად ჩაებნენ ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტების მუშაობაში.

თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მოწინავე, კლასობრივად შეგნებული ძალები გამოვიდნენ გსდპ-ს ცენტრალური მმართველობის იმ წევრების წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ თანმიმდევრულ ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ გარდაქმნებს და შეთანხმებას კომუნისტებთან და რომლებიც აშკარად თუ ფარულად ილაშქრებდნენ ერთიანი ახალგაზრდული მოძრაობის წინააღმდეგ. ოპოზიციურ ძალებს გსდპ-ში აღმოსავლეთ გერმანიაში მეთაურობდნენ გ. დარენდორფი და კ. ჰერმენი. ისინი იზიარებდნენ და მხარს უჭერდნენ გერმანიის დასავლეთ ზონებში მოქმედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის კურტ შუმახერის ანტიკომუნისტურ შეხედულებებს. ეს ძალები რეფორმისტულ გავლენას ახდენდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკაზე ახალგაზრდობის მიმართ აღმოსავლეთ გერმანიაში. მათ მხარს

უმაგრებდა ახალგაზრდობაში მუშაობისათვის პასუხისმგებელი პარტიის ზოგიერთი ფუნქციონერი. მათი ცდები მიმართული იყო იქითკენ, რომ შეენარჩუნებინათ გათიშულობა გერმანიის მუშათა და ახალგაზრდულ მოძრაობაში.

1945 წლის ოქტომბერში ბსდპ-ს საქსონიის პროვინციის ყრილობამ მხარი დაუჭირა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის შექმნას. ყრილობაზე გამოსულმა დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახალგაზრდობის მხოლოდ ასეთ ორგანიზაციას ექნება უნარი ხელახლა აღზარდოს გერმანელი ახალგაზრდობა მშვიდობისა და დემოკრატიის იდეალებზეო, განახორციელებს ცხოვრებაში ახალგაზრდობის ყველა პოლიტიკურ და სოციალურ უფლებასო. დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწინავე ძალებმა შეძლეს გაეუქმებინათ უკვე ომის შემდგომ პირველ თვეებში შექმნილი სოციალისტური მუშა-ახალგაზრდობის და ახალგაზრდა სოციალისტების ჯგუფები[10]. მათმა ყოფილმა წევრებმა კი ფართო ფრონტით იწყეს ჩაბმა ანტიფაშისტური ახალგაზრდობის კომიტეტების ყოველდღიურ საქმიანობაში.

დემოკრატიულად განწყობილ გერმანელ ახალგაზრდობას დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის (სსა) ახალგაზრდა ოფიცრებმა. თავიდან ჭირდა საერთო კონტაქტების გამონახვა და დაახლოება უნდობლად განწყობილ გერმანელ ახალგაზრდებთან. მაგრამ სულ მალე ომის დამთავრებიდან ამხანაგური და საქმიანი ურთიერთობა დამყარდა ახალგაზრდა გერმანელ ანტიფაშისტებსა და სსა-ის ახალგაზრდა ოფიცრებს შორის, რომელთა რიგებშიც მრავლად იყვნენ ლენინური კომკავშირის აღზრდილები.

მართალია, ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ კომიტეტებსა და ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის ავანგარდს — კომკავშირს შორის ოფიციალური რაიმე ურთიერთობა ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული, მაგრამ საბჭოთა ოფიცერ-კომკავშირლები, რომლებიც გერმანელ ხალხსა და მათ შორის მის ახალგაზრდობას ეხმარებოდნენ ანტიფაშისტური კომიტეტების ჩამოყალიბებაში, ლენინური კომკავშირის დიდი არმიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ახალგაზრდა საბჭოთა ოფიცრებმა მნიშვნელოვნად შეამზადეს ნიადაგი ამ პირველი, უაღრესად ნაყოფიერი კონტაქტებით, მომავალში ფართო ურთიერთობის დასამყარებლად საბჭოთა და გერმანელ ახალგაზრდებს შორის[11].

საბჭოთა ოფიცრებსა და გერმანელ ანტიფაშისტ ახალგაზრდებს შორის პირველი ასეთი კონტაქტები წარმოიშვა ერთობლივ შეხვედრებზე, რომლებსაც პროგრესულად განწყობილი გერმანელი ახალგაზრდები აწყობდნენ საბჭოთა სამხედრო ოფიცრების თანდასწრებით. ასევე, გახშირდა საღამოს შეხვედრები და დისკუსიები მათ შორის. 1945 წლის ზაფხულის დამლევიდან გერმანელთა მხრიდან ამ შეხვედრების მოწყობა ითავა ახლად ჩამოყალიბებულმა ანტიფაშისტურმა ახალგაზრდულმა კომიტეტმა, რომლებმაც უფრო გააზრებული, მიზანდასახული და რეგულარული ხასიათი მისცეს ამ ღონისძიებებს. საბჭოთა ოფიცრები მოთმინებით და საზრიანად უპასუხებდნენ იმ გერმანელი ქალიშვილებისა და ჭაბუკების კითხვებს, რომლებიც არსებულ სინამდვილეში ვერ გარკვეულიყვნენ და ბედის საერთო დინებას მინდობოდნენ. საბჭოთა მეომრები, რომელთა თანამებრძოლებიც

[10] Wissenschaftliche.., გვ. 159.

[11] Inge Pardon, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

სულ ახლახან ფაშიზმთან ბრძოლას შეეწირნენ, ამჟამად გულთბილად და მეგობრულად მსჯელობდნენ გერმანელ ახალგაზრდებთან მათ ხვალინდელ დღეზე. სსა-ს ინფორმაციის განყოფილების უფროსი, გენერალი ს. ი. ტულპანოვი მოგვიანებით შემდეგს აღნიშნავდა: „ამ დისკუსიებზე საჭირო იყო გვეჩვენებინა იმ პოლიტიკის უსაფუძვლობა, რომელსაც გერმანელი ახალგაზრდები აღიქვამდნენ, როგორც რაღაც ხელშეუვალს და ურყევს, უნდა გაგვეფანტა მათში ღრმად ძირგადგმული ანტიკომუნიზმის წინათგრძნობა და გაგვექარწყლებინა მათი ანტიპათია ყოველივე საბჭოურის მიმართ“[12].

ომის დამთავრების შემდეგ გერმანელ ახალგაზრდებს გაუჩნდათ მოთხოვნილება მშვიდობიან შრომაზე, სწრაფვა კულტურული და გონიერი გართობა-დასვენებისაკენ. ომის შედეგად შექმნილი ვითარება გერმანიაში ამის დიდ ნუგეშს როდი იძლეოდა. კინოთეატრები, კლუბები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ნანგრევებად იყო ქცეული. საჭირო იყო მათი აღდგენა, დროებით კი მათი შემცვლელი სხვა შენობების გამონახვა და მოწყობა ინვენტარით. უკვე 1945 წლის ზაფხულის შუახანებიდან დიდი ბერლინის ანტიფაშისტურ-დემოკრატიული მაგისტრატის დახმარებით ახალგაზრდულმა კომიტეტებმა დაიწყეს კლუბებისა და კულტურის სახლების აღდგენა ბერლინში და მის მიდამოებში. საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მხარდაჭერით ბერლინის მიმდებარე რაიონებში — პოტცდამში, ბიბენტალში და სხვაგან დაიწყო პირველი ასეთი დაწესებულებების შექმნა, ხოლო ნაციზმის დროინდელ და ომის დანაშაულობებში ბრალდებული ბანკირების, მრეწველების და მემამულეების ყოფილ სამფლობელოებში და სახლებში დემოკრატიული ძალების მხარდაჭერით იქმნებოდა ბავშვებისა და მოზარდების პირველი დასასვენებელი ბანაკები[13].

ომის დამთავრებისთანავე დანგრეული ქვეყნის განახლების პროგრამა დასახა გერმანიის კომპარტიამ თავის 1945 წლის 11 ივნისის მოწოდებაში გერმანელი ხალხისადმი. პროგრამა მოითხოვდა ქვეყნის ძირეულ ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ გარდაქმნებს ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის განათლების, იუსტიციის და სოციალური ყოფის ყველა სფეროში. მალე თითქმის ანალოგიური მოწოდებით გამოვიდა გერმანიის მუშათა კლასის მეორე პარტია — სოციალ-დემოკრატიული პარტია.

გერმანიის კომპარტია შექმნილ ვითარებაში თავისი სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრისას მხედველობაში იღებდა ძალთა ახალი თანაფარდობის პირობებში მუშათა კლასის შეგნების დონესა და იმას, რომ ქვეყანა დაკავებული იყო სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოების მიერ. ამიტომ მცდარი და საზიანო იქნებოდა ბკპ-ს უშუალო ბრძოლა ეწარმოებინა სოციალიზმის დამყარებისათვის[14]. ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ სოციალიზმის მიღწევა გერმანიაში, მით უმეტეს ომის შემდგომ პირველსავე წლებში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მას წინ უნდა წამძღვარებოდა ანტიფაშისტურ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდი. გერმანიის კომპარტიის მიერ სოციალისტური წყობის დამკვიდრების უშუალო მიზნად გამოცხადება გააძნელებდა, თუ არ ჩაშლიდა დემოკრატიული განახლების პროცესს გერმანიაში, მით უმეტეს, რომ მუშათა კლასს არ გააჩნდა

[12] Freunde-Друзья, дружба всего дороже, Berlin—Moscowa, 1967, გვ. 158.

[13] იქვე, გვ. 144.

ერთიანი წარმოდგენა სოციალიზმზე[15]. „გერმანიის მუშათა კლასის გაერთიანების პროცესი — კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ერთ პარტიად შერწყმის საფუძველზე, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. იგი ეს-ეს იყო იბადებოდა, ძალებს იკრებდა და მონოლითური ხდებოდა“ — აღნიშნავს გერმანიის კომუნისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე მაქს რაიმანი[16].

ასეთივე ხაზი იქნა შემუშავებული ბკპ-ის მიერ ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების საკითხშიც. კომუნისტი და სოციალ-დემოკრატი ფუნქციონერებისათვის ცნობილი იყო, რომ ახალგაზრდობა შემადგენლობის მხრივ ერთიანი არ იყო და არც საერთო იდეური მრწამსი ჰქონდა. ეს განპირობებული იყო გერმანელი ახალგაზრდობის სოციალური წარმოშობის, განათლების, რელიგიური და სხვა ნიშნებით.

ასეთ სიტუაციაში შეუძლებელი იყო ერთბაშად თავისუფალი, დემოკრატიული ახალგაზრდული მოძრაობის გაშლა მისი რაიმე ორგანიზაციული მხარის გარეშე. ასეთ გზად მიჩნეულ იქნა ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ-დემოკრატიული კომიტეტები, რომლებზედაც ნაწილობრივ ზევით უკვე გვქონდა საუბარი. 1945 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე მიმდინარეობდა სარაიონო, მიწების და პროვინციების ახალგაზრდული კომიტეტების ჩამოყალიბება საბჭოთა საოკუპაციო ზონაში. ბკპ-ს ცენტრალური კომიტეტის და გსდპ-ს ცენტრალური მმართველობის წარმომადგენლებს შორის კონსულტაციების საფუძველზე გადაწყდა შექმნილიყო ანტიფაშისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტი სახალხო განათლების ცენტრალურ მმართველობასთან. 1945 წლის 10 სექტემბერს გერმანიის ორივე მუშათა პარტიის ახალგაზრდობის სამდივნოების წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომაზე შეიქმნა ანტიფაშისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტი (ააცკ). მის თავმჯდომარედ აირჩიეს ერიჰ ჰონეკერი, მოადგილედ თეო ვიკერტი. ამავე სხდომის გადაწყვეტილებით ააცკ-ის შემადგენლობაში შეიყვანეს ახალგაზრდა ფუნქციონერები ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიდან, ასევე პროტესტანტული და კათოლიკური ეკლესიის წრეებიდან[17]. ამიერიდან ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტებისათვის გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში შეიქმნა ერთიანი ცენტრალური ორგანო, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა ქვეყნის სხვადასხვა მიწებსა და პროვინციებში უკვე არსებულ ახალგაზრდულ კომიტეტებს, უფრო მეტ ორგანიზებულობას შეიტანდა მათ ყოველდღიურ მუშაობაში და გაცილებით მობილურს გახდიდა მათ ხელმძღვანელ აპარატს ადგილებზე. 1945 წლის მიწურულისათვის ანტიფაშისტური ახალგაზრდობის კომიტეტები შექმნილი იყო საბჭოთა საოკუპაციო ზონის თითქმის ყველა მიწაზე და პროვინციაში. საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია თავის მხრივ ფართოდ ამაგრებდა გერმანელ ახალგაზრდებს საჭირო ინვენტარით, სატრანსპორტო საშუალებებით აღნიშნული კომიტეტების შესაქმნელად ადგილებზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ ახალგაზრდულ კომიტეტებში შემავალი ქალიშვილებისა და ჭაბუკების იდეური და პოლიტიკური შეხედულებანი ძლიერ

---

[15] Макс Рейман, Решения 1947—1956, М., 1975, გვ. 21.

[16] იქვე.

[17] Wissenschaftliche..., გვ. 161.

განსხვავებული იყო. მათი შეგნება ჯანსაღ იდეურ ტენდენციებთან ერთად შეიცავდა როგორც ნაცისტური პროპაგანდის, ისე მემარჯვენე აზრების რეციდივებსაც. ცალკეულ შემთხვევებში თავი იჩინა სექტანტობამ, კერძოდ. როდესაც ახალგაზრდები უარს ამბობდნენ გართობა-დასვენებაზე და სხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობაზე. ხშირ შემთხვევებში კი თვით მშობლები უკრძალავდნენ თავიანთ შვილებს ახალგაზრდულ კომიტეტებში შესვლას. „კმარა ჩვენგან — ამბობდნენ ისინი, — ჩვენ ისედაც კმყოფილნი და აღფრთოვანებულნი ვართ ჰიტლერ-იუგენდის საგმირო ისტორიითო". საქმე ის არის, რომ მშობლების ეს ნაწილი ჰიტლერ-იუგენდის დანაშაულებრიემა საქმიანობამ ისე დააშინა და დააფრთხო, რომ ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ კომიტეტებში მათი შვილების შესვლა „ხელახალ რისკად" მიაჩნდათ. საჭირო იყო სათანადო აგიტაციის გაწევა მათ რიგებში ასეთი მცდარი შეხედულებების დასაძლევად გერმანელი ახალგაზრდების მომავალზე.

აღმოსავლეთ გერმანიაში ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების კვალობაზე დემოკრატიული ახალგაზრდობისათვის საჭირო იყო უშუალო კონტაქტების დამყარება ევროპის ქვეყნების პროგრესულ-დემოკრატიულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, რომლებმაც ფართო მოძრაობა გააჩაღეს მილიტარიზმის, შოვინიზმისა და ომის, მოსალოდნელი საშიშროების წინააღმდეგ. შექმნილი სიტუაცია აღმოსავლეთ გერმანიაში მოითხოვდა, რომ დემოკრატიისა და მშვიდობის მშენებლობის დროშის ქვეშ ეცნოთ ანტიფაშისტური ახალგაზრდული მოძრაობა, რათა უფრო გაზრდილიყო და განმტკიცებულიყო მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

1945 წლის 19 ნოემბერს ლონდონში შეიქმნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია (დამფ), რომელშიც გაერთიანდა მსოფლიო ახალგაზრდობის თითქმის ყველა მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ორგანიზაცია. ლონდონის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 6 ემიგრანტი გერმანელი ახალგაზრდა, როგორც სტუმრები[18]. დამფ-ის კონფერენციაზე გადაწყდა, რომ მის საბჭოში დაეშვათ ერთი მეთვალყურე აღმოსავლეთ გერმანიის ანტიფაშისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტიდან. ეს იყო ანტიფაშისტური ახალგაზრდული მოძრაობის ერთ-ერთი ცნობილი აქტივისტი ჰორსტ ბრაში[19]. დამფ-ის კონფერენციამ მთელს გერმანიაში და მათ შორის მის აღმოსავლეთ ნაწილში მიავლინა დელეგაცია, რათა დარწმუნებულიყო ანტიფაშისტურ-დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე მოძრაობის ზრდაში გერმანელი ახალგაზრდობის რიგებში. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ იზოლაციის რკალი, რომელშიც მოაქციეს ნაცისტებმა გერმანიის ახალგაზრდობა, უკვე გაირღვა. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ახალგაზრდობისაკენ მიმავალ გზაზე.

1945 წლის დეკემბერში ბერლინში შედგა აღმოსავლეთ გერმანიის ანტიფაშისტური ახალგაზრდობის კომიტეტების კონფერენცია. მას ესწრებოდნენ აგრეთვე დელეგატები სოფლის ახალგაზრდობის კომიტეტებიდანაც. კონფერენციამ განიხილა გერმანელი ახალგაზრდობის ერთიანი დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის საკითხები. მოხსენებით „ახალგაზრდობის ამოცანები

[18] Geschichte der deutschen Arbeiterbewegung, Chronik, Teil III, Berlin. 1967, გვ. 818.
[19] იქვე.

მშენებლობის პროცესში“ გამოვიდა ე. ჰონეკერი. სხვა მნიშვნელოვან მომენტებთან ერთად ორატორმა აღნიშნა: — „ჩვენ დახმარების ხელს ვუწვდით ნებისმიერ უბრალო ჰიტლერ-იუგენდელს და გერმანელ ქალიშვილთა კავშირის წევრს ჩვენთან სათანამშრომლოდ. ჩვენთან სამუშაოდ ვიწვევთ აგრეთვე ამ ორგანიზაციათა დაბალი რანგის ყოფილ ხელმძღვანელებს, რომლებმაც ჭეშმარიტად შეიგნეს, რომ საკუთარი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ იყვნენ გამოყენებულნი ბოროტად ნაცისტების მიერ“[20]. ვ. პიკმა და ო. გროტეოლმა მაღალი შეფასება მისცეს თავიანთ გამოსვლებში ახალგაზრდული კომიტეტების აქამდე გაწეულ მუშაობას. ვ. პიკმა ხაზი გაუსვა, რომ ახალგაზრდობის კომიტეტების უპირველესი ამოცანათაგანია — ჩააბას გერმანელი ქალიშვილები და ჭაბუკები შრომაში, რითაც თავის მხრივ ხელს შეუწყობენ უმუშევრობის დაძლევას მათ რიგებშიო. კონფერენციამ მიიღო მიმართვა გერმანელი ახალგაზრდებისადმი, მთელი ძალებით ებრძოლათ წარსულის გადმონაშთებისა და მანკიერებათა დასაძლევად საკუთარ რიგებში და დემოკრატიული გარდაქმნების შემდგომი გაღრმავებისათვის.

1945 წლის შემოდგომაზე ახალგაზრდულმა კომიტეტებმა დემოკრატიული ბლოკის პარტიებისა და თავისუფალი პროფკავშირების კვალდაკვალ გააჩაღეს აქტიური კამპანია: — „ვიხსნათ ბავშვები“. ახალგაზრდების ინიციატივით მრავალ ქალაქსა და სოფელში მოეწყო საახალწლო საღამოები, შეგროვდა თბილი ტანსაცმელი, სათამაშოები და სხვა — მიუსაფრად და უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვებისათვის. ზოგ ადგილას ახალგაზრდულმა კომიტეტებმა უშუალო შეფობა აიღეს ობლად დარჩენილი ბავშვების მოვლა-პატრონობაზე. იმისათვის, რომ მოზარდები ქუჩისაგან მოეწყვიტათ ახალგაზრდულმა კომიტეტებმა ბერლინში მოაწყვეს 207 შრომითი დასაქმების პუნქტი, სადაც დაამზადეს 80 ათასი სათამაშო და ჩასაცმელი 30 ათასი ბავშვისათვის[21].

ახალგაზრდული კომიტეტების აქტიურმა მუშაობამ მალე სასურველი შედეგები გამოიღო. მან დიდად შეუწყო ხელი დეპრესირებული, იმედგაცრუებული და უმუშევარი ახალგაზრდობის შრომის ფერხულში ჩაბმას და მათში მომავლის რწმენის განმტკიცებას. უკვე 1945-46 წლების ზამთარში საქსონის პროვინციაში ლიკვიდირებულ იქნა უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის[22]. პოზიტიურ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ახალგაზრდების შრომითი მოწყობის საქმეში სხვა პროვინციებშიც.

ახალგაზრდობის კომიტეტებისათვის მუშაობის შემდგომი გაშლისა და გაღრმავების კეთილსასურველი პირობები შექმნა დემოკრატიული რეფორმის გატარებამ აგრარულ საკითხში, სასკოლო და სახალხო განათლების სისტემაში[23]. ახალგაზრდული კომიტეტების მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა აგრეთვე გერმანიის მუშათა კლასის მასობრივ ორგანიზაციასთან — თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ პ რ ო ფ კ ა ვ შ ი რ ე ბ თ ა ნ ფართო ურთიერთობის დამყარება. საქმე ის არის, რომ ომის შემდგომ პირველ თვეებში მრავალი უპარტიო ახალგაზრდა თავისუფალი პროფკავშირების წევრი გახდა. საჭირო

---

[20] E r i c h H o n e c k e r. Zur Jugendpolik der SED, Berlin, 1977, გვ. 19.

[21] Die Vereinigung von KPD und SPD zur Sozialistischen einheitspartei Deutschlands, Berlin, 1976, გვ. 10.

[22] Freie deutsche Lugend. Dresden. 1971. გვ. 10

[23] Freie deutsche Jugend, Berlin. O. J. გვ. 8.

იყო თანმიმდევრული მუშაობა ახალგაზრდობის ამ ნაწილთან, რათა ისინი უფრო მეტი გაქანებით და მონდომებით ჩაბმულიყვნენ უფროსი, კლასობრივ ბრძოლებში გამობრძმედილი ამხანაგების მხარდამხარ ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ გარდაქმნებში. 1946 წლის თებერვალში შედგა გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების I ყრილობა. მუშათა კლასის სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ყრილობამ განიხილა გერმანელ ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების საკითხი. ყრილობამ მოითხოვა, რომ ანტიფაშისტურ ახალგაზრდულ კომიტეტებს საუკეთესო ახალგაზრდები მიევლინებინათ სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო უნარიანი ახალგაზრდები კი ჩაებათ აქტიურ პროფკავშირულ საქმიანობაში[24]. თავისუფალი პროფკავშირების დამფუძნებელი ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა მისი თანამშრომლობა ახალგაზრდულ კომიტეტებთან.

1946 წლის 26 თებერვალს ანტიფაშისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის წევრები შეიკრიბნენ ბერლინის რატუშაში გერმანიაში ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიული მნიშვნელობის სხდომაზე. დაძაბული და წარმატებებით აღსავსე შვიდი თვის მუშაობა უკან დარჩა. ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილმა აღმოსავლეთ გერმანიაში ცხადყო, რომ ნდობა, რომელიც გერმანელი ხალხის ანტიფაშისტურმა, დემოკრატიულმა და მშვიდობისმოყვარე ძალებმა მათ გამოუცხადეს, გამართლებულ იქნა. ახლა კი დადგა დრო დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაციის შესაქმნელად. ᲐᲐᲪᲙ-მა მიიღო გადაწყვეტილება — მიემართა თხოვნით საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციისათვის, რათა ნება დაერთო მის გამგებლობას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე პარტიათაგარეშე, ერთიანი, დემოკრატიული ახალგაზრდული ორგანიზაციის — თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის (ᲗᲒᲐᲙ) შექმნაზე[25].

ᲗᲒᲐᲙ-ის შექმნა სავსებით უპასუხებდა გერმანიის კომპარტიისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ინტერესებსა და მოქმედების მიმართულებას ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ რევოლუციაში. თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის დამფუძნებელი დოკუმენტის შედგენა და გაფორმება მნიშვნელოვან წილად განპირობებული იყო ორივე მუშათა პარტიის მოქმედების ერთიანობით. სულ ახლო მომავალში ისინი ამზადებდნენ გამაერთიანებელ ყრილობას და მუშათა კლასის მოქმედების ერთიანმა პროცესმა თავის მხრივ დიდად შეუწყო ხელი გერმანელი ახალგაზრდობის გაერთიანებას მასობრივ დემოკრატიულ ფართო ორგანიზაციაში ᲗᲒᲐᲙ-ის სახით.

საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ მხედველობაში მიიღო გერმანელი ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილის სწრაფვა მშვიდობის, დემოკრატიისა და ეროვნული მთლიანობის შესანარჩუნებლად, ასევე ქვეყნის დემოკრატიული განახლებისათვის და 1946 წლის 7 მარტს ნება დართო შექმნილიყო თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირი[26]. პირველად გერმანელი ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში შეიქმნა ერთიანი, ფართო ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდნენ სხვადასხვა სოციალური წარმოშო-

---

[24] Geschicte der FDJ, Chronik, Berlin, 1976, გვ. 15.

[25] За антифашистскую демократическую Германию, დოკუმ. კრებული, 1945—1949 гг., М., 1969, გვ. 229.

[26] იქვე.

ბის და განსხვავებული მსოფლმხედველობის ქალიშვილები და ჭაბუკები. მათი ეს განსხვავება არ შეიძლება ყოფილიყო მათი განხეთქილებისა და ურთიერთდაპირისპირების საბაბი, რადგანაც მათ უფრო მეტი საერთო ჰქონდათ, ვიდრე სადაო. მათი უპირველესი საერთო მოთხოვნილება იყო ფაშიზმისა და რეაქციის გადმონაშთების დაძლევა საკუთარი რიგებიდან, ახალგაზრდობის ჩაბმა ფართო ფრონტით შრომით საქმიანობაში, უფლებების მოპოვება სწავლასა და დასვენებაზე, მეგობრული ურთიერთობის დამყარება უცხოეთის ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და სხვ.

ᲗᲑᲐᲫ-ის შექმნით ბოლო მოეღო გერმანიის ახალგაზრდულ მოძრაობაში ათეულწლობით არსებულ განხეთქილებას და იგი შემობრუნების პუნქტად იქცა მის ისტორიაში. „თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირი ამასთან ერთად არის დემოკრატიული ბლოკის ოთხი პარტიის ახალგაზრდობის წარმომადგენლების, ასევე კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიის ოფიციალური ახალგაზრდული წარმომადგენლების ერთობლივი მოღვაწეობის შედეგი“ — წერდა ე. ჰონეკერი 1946 წლის მარტში[27]. შეიქნა ᲗᲑᲐᲫ-ის დროებითი ცენტრალური მმართველობა, რომელსაც სათავეში ე. ჰონეკერი ჩაუდგა, მოადგილედ კი დაინიშნა სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის აქტიური ფუნქციონერი ედიტ ბაუმანი. თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირმა მიიღო თავისი „მიზნები და წესდება“, რაც მისი მოღვაწეობის პროგრამად იქცა ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ რევოლუციაში აღმოსავლეთ გერმანიაში.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილულ პერიოდში 1945-1946 წლებში გერმანიის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში ჩამოყალიბდა ანტიფაშისტურ-დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე. და ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლი ფართო ახალგაზრდული მოძრაობა. გერმანიის მუშათა კლასმა და სხვა დემოკრატიულმა ძალებმა შეძლეს თავიდან აეცილებინათ განხეთქილება, დაქსაქსვა და სექტანტობა ახალგაზრდობის რიგებში. ეს მოძრაობა თავდაპირველად გაერთიანდა ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ კომიტეტებში, რომლებმაც სათანადო იდეურ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობის შედეგად ნიადაგი მოუმზადეს 1946 წლის მარტისათვის თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის დაარსებას. ანტიფაშისტური ახალგაზრდობის კომიტეტები ჩამოყალიბებისას ჯერ კიდევ არ იყვნენ ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციები, თუმცა ხელმძღვანელ როლს მათში ახალგაზრდა კომუნისტები და სოციალ-დემოკრატები ასრულებდნენ. იგივე შეიძლება ითქვას თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირზე მისი შექმნის პირველ ეტაპზე, რადგან სოციალური შემადგენლობა მასში საგრძნობლად არ შეცვლილა, თუმცა გაძლიერდა და გაფართოვდა მისი მუშაობის დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და ინტერნაციონალური ხასიათი. თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირი სოციალისტურ ორგანიზაციად იწყებს მას შემდეგ განვითარებას, როდესაც დასრულდა აღმოსავლეთ გერმანიაში ანტიფაშისტურ-დემოკრატიული რევოლუცია, შეიქმნა გერმანიის ისტორიაში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რითაც მომზადდა ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრები სოციალისტური საზოგადოების გეგმაზომიერ მშენებლობაზე გადა-

[27] Erich Honeker, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

სასვლელად. ᲗᲒᲐᲪ-ი ახალგაზრდობის სოციალისტურ ორგანიზაციად საბოლოოდ ჩამოყალიბდა 60-იან წლებში, როდესაც ᲒᲓᲠ-ში დასრულდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა და ქვეყნის წინსვლის კურსი აღებული იქნა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაზე.

Г. Н. БЕЖУАШВИЛИ

СОЗДАНИЕ АНТИФАШИСТСКО-ДЕМОКРАТИЧЕСКИХ КОМИТЕТОВ МОЛОДЕЖИ В ВОСТОЧНОЙ ГЕРМАНИИ В 1945 — 1946 гг.

Резюме

После поражения фашистской Германии, с лета 1945 года в советской оккупационной зоне начали создаваться антифашистско-демократические молодежные комитеты. В них объединялись выходцы из всех классов и слоев населения Германии, независимо от их убеждений и веры. Антифашистские молодежные комитеты служили в Восточной Германии переходным этапом к единому массовому внепартийному молодежному движению. Это движение окончательно оформилось 7 марта 1946 года, когда советская военная администрация дала согласие на создание Союза свободной немецкой молодежи.

Созданию этой организации во многом способствовал процесс единства действий партии немецкого рабочего класса — Германской компартии и Социал-демократической партии, которые 22 апреля 1946 года положили конец расколу в революционном движении немецкого рабочего класса и создали Социалистическую единую партию Германии. Это была качественно новая марксистская партия, которая и сегодня успешно справляется с делом строительства развитого социалистического общества в Германской Демократической Республике.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორმა

მიხეილ ნიკოლეიშვილი

ქუთაისი და ამიერკავკასიის რკინიგზა
(1865—1917 წწ)

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან მეფის რუსეთის მთავრობა, გამოხატავდა რა თავისი ქვეყნის კაპიტალიზმის ინტერესებს, ამიერკავკასიაში იწყებს სარკინიგზო მშენებლობას. ამით მას სურდა საქართველო და ამიერკავკასია გადაექცია საქონლის გასაღების ბაზრად და ნედლეულის წყაროდ. მაგრამ ამ ღონისძიებამ, თავის მხრივ, დააჩქარა აღნიშნულ მხარეში კაპიტალიზმის განვითარება, ხელი შეუწყო ამიერკავკასიის რუსეთთან დაახლოებას, საქართველოს ქალაქების და ცალკეული მხარეების ერთმანეთთან დაკავშირებას, საქალაქო ურთიერთობის გაფართოებას. ამასთან თანდათანობით აშკარა ხდებოდა, რომ რამდენადაც იზრდებოდა სარკინიგზო მშენებლობის სფეროში მოქცეულ ქალაქთა შესაძლებლობა, იმდენად უარყოფითად მოქმედებდა იგი იმ ქალაქების ზრდა-განვითარებაზე, რომლებიც სარკინიგზო მშენებლობის გარეთ რჩებოდნენ. ამ მხრივ საქართველოს ქალაქებიდან განსაკუთრებით ქალაქი ქუთაისი იპყრობს ყურადღებას, რადგან საქართველოს საგუბერნიო ქალაქებიდან მხოლოდ ქუთაისი დარჩა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე, რამაც შემდეგში მის ზრდა-განვითარებაზე სერიოზული გავლენა მოახდინა.

მართალია, ქუთაისი, დიდი მცდელობის მიუხედავად, მაინც დარჩა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს პრობლემა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში იდგა დღის წესრიგში, თავისთავად მეტყველებს, თუ რამდენად ორგანულად იყო იგი დაკავშირებული რეფორმის შემდეგდროინდელი ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასთან, მის ზრდა-განვითარებასთან.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის ქუთაისში გაყვანის საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი დაიწყო იმ დროიდან, როდესაც ფაქტობრივად დაისვა საკითხი ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის გაყვანის შესახებ. მას შემდეგ ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. რაც, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ პირვანდელი პროექტით ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი სწორედ ქუთაისში უნდა გაეყვანათ[1]. ამ პროექტით ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზს უნდა გაევლო: ახალ სენაკში, ქუთაისში, ყვირილასა და გორში. მაგრამ მშენებლობის დროს გზის მშენებელ კაპიტალისტთა საზოგადოების მიერ ეს პროექტი სხვადასხვა მიზეზის გამო შეიცვალა და ქუთაისს ააცილეს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზი. ბუნებრივია, ამ მდგომარეობამ გამოიწვია შესაბამისი რეაქცია, რადგან იგი ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებას დაქვეითებას უქადდა. ქალაქის საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა, მისმა მწარმოებელმა მოსახლეობამ იმთავითვე იგრძნო ის სავალდებულო შე-

---

[1] Аргутинский-Долгоруков, История Сооружения и эксплоатации Закавказской железной дороги, 1871—1896 гг., Тб., 1896, გვ. 1.

დევი, რაც უნდა მოყოლოდა ქალაქ ქუთაისის რკინიგზის გარეშე დატოვებას. ეს მდგომარეობა კარგად ესმოდათ, აგრეთვე, იმათაც ვინც ერთგულად ასრულებდა ადგილებზე მეფის მთავრობის ნება-სურვილს. კავკასიის მეფის ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე თავის ანგარიშში 1864 წელს აღნიშნავდა, რომ რკინიგზის გაყვანის დამთავრების შემდეგ, რომელიც ქალაქიდან რვა ვერსზე გადის, ქუთაისს, ალბათ სამრეწველო და სავაჭრო დაქვეითება ემუქრება, მაგრამ რკინიგზის ტოტის ქალაქამდე მიყვანამ შეიძლება ნაწილობრივ შეამციროს ეს მისთვის საზიანო შედეგები"[2]. ქალაქის საზოგადოებრიობის ერთმა ნაწილმა 1865 წელს, როდესაც იწყებოდა ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის მშენებლობა, ქუთაისის გუბერნატორ თავად სვიატოპოლკ-მირსკის საშუალებით შუამდგომლობა აღძრა კავკასიის მეფის ნაცვლის წინაშე ქუთაისში რკინიგზის ხაზის გაყვანის შესახებ[3]. დიდმა მთავარმა პირადად განიხილა ეს საკითხი, მაგრამ შეუძლებლად ცნო მისი დაკმაყოფილება, რადგან იგი, მისი აზრით, ზედმეტ ხარჯებს იწვევდა და შეუძლებელია ერთი ქალაქის ინტერესებისათვის გადასახადით დავბეგროთ ამიერკავკასიის მთელი ვაჭრობაო[4]. მეფის ნაცვალი შიშობდა იმის გამო, რომ გზის მანძილის მომატების გამო საქონლის გადაზიდვა გაძვირდებოდა. ქუთაისის მომავალი ბედი, რომელიც რკინიგზის აცდენით იყო გამოწვეული, მაშინ ყველაზე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ნ. ნიკოლაძეს. მან სპეციალური წერილიც კი დაბეჭდა „პეტერბურგის უწყებებში" 1869 წელს, რომელშიც მოითხოვდა, რომ რკინიგზას გაევლო მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში: ფოთიდან ძველ სენაკში, ბანძაში, ხონში, ქუთაისში გოდოგან-სიმონეთში და ასე მიეყვანათ ყვირილაში[5]. მაგრამ ნ. ნიკოლაძის ხაზი გაყვანილი იქნა ისეთ პუნქტებში, რომლებიც ნაკლებად დასახლებული და ეკონომიკურად სუსტად განვითარებული იყო. ამიტომ შედეგმაც მალე იჩინა თავი. 70-იან წლებამდე, ამიერკავკასიის რკინიგზის გახსნამდე ქუთაისელები შედარებით რბილად გამოთქვამდნენ გულისტკივილს, მაგრამ 1871 წლის შემდეგ, როდესაც ქუთაისი ფაქტობრივად განმარტოებული აღმოჩნდა, საყვედურმა მწვავე ხასიათი მიიღო. 1873 წელს ნ. ნიკოლაძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა ყოველდღიურად სულ უფრო ხმამაღლა აცხადებს საჩივარს ვაჭრობისა და ამ ქალაქის ეკონომიკური მნიშვნელობის არაჩვეულებრივი დაქვეითების გამო. რკინიგზის გახსნით, რომელმაც ქალაქს 7,5 ვერსით აუხვია გვერდი, ქუთაისმა თანდათან დაიწყო დაცარიელება, დაქვეითება და უმთავრესად სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი დაეშვა მესამე ხარისხოვან ადმინისტრაციული ცენტრის დონემდე. სახლები სანახევროდ დაცარიელდა,— ძველმა ფასებმა ორჯერ და სამჯერ დაიწია. მაღაზიები უიმედოდ ელოდებოდა ნისიად მყიდველებს და მთელი ქალაქის ცხოვრება ტრიალებს სასამართლო და საპოლიციო სამმართველოების, ან მრავალრიცხოვანი აუქციონერების ირგვლივ, რომლებზეც ნაყარ-ნუყარი და გამოუსწორებელი მოვალეობის, — რომელთა რაოდენობაც აურაცხელია, — ქონება იყიდება"[6].

---

[2] «Кавказский календарь», 1864 წ., გვ. 170.

[3] ქუთაისის საისტორიო არქივი, ფ. 108, ს. 2372, ფურც. 30.

[4] იქვე, ფურც. 30.

[5] გაზ. „იმერეთი", 1911, № 150, 11 სექტ.

[6] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, 1, გვ. 559.

ნ. ნიკოლაძე შემდეგ ლაპარაკობს, საერთოდ რკინიგზის გაყვანის შესახებ, რომ იგი „ყოველ შემთხვევაში შეამცირებდა ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობას, თუნდაც იმ ერთი პირობის გამო, რომ გაზრდიდა ისეთი ადგილების მნიშვნელობას, როგორიცაა ყვირილა: სამტრედია და სხვ. ადრინდელი ერთი ცენტრის — ქუთაისის მაგიერ აუცილებლად უნდა აღმოცენებულიყო რამდენიმე წვრილი ცენტრი“. მაგრამ მიუხედავად ამისა, — აღნიშნავდა იგი, — სხვა შედეგებიც არსებობს, რომლებიც ქალაქის კეთილმდგომარეობისათვის აუცილებელ პირობებს ქმნიდა, თუ რკინიგზას ქუთაისში გაიყვანდნენ[7]. ნ. ნიკოლაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რკინიგზის გაყვანა შეამცირებდა ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობას, არ არის სწორი. სარკინიგზო ხაზის გაყვანას, თუ ეს უკანასკნელი ამა თუ იმ ქალაქში გაივლიდა, შეუძლებელი იყო ის დაექვეითებია. ყოველ შემთხვევაში ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისში გატარებას არ შეიძლებოდა ასეთი შედეგი მოჰყოლოდა. ქუთაისი საგუბერნიო ცენტრი იყო და მრავალი წვრილი ცენტრის აღმოცენება სრულიად არ იყო მისთვის საშიში. მით უფრო, რომ საქმე ეხებოდა რკინიგზის გაყვანას, რომელიც საერთოდ ხელს უწყობს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას.

როდესაც ამიერკავკასიის რკინიგზის პირვანდელი პროექტის შეცვლის საკითხს ეხებიან ოფიციალური პირები, ისინი სხვადასხვა მიზეზებს მიუთითებენ. საბუთებში აღნიშნულია, რომ ქუთაისს ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი ააცდინეს იმის გამო, რომ იგი ზედმეტ ხარჯებს იწვევდაო. მაგალითად, როგორც ითქვა, კავკასიის მეფის ნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ 1865 წელს ამ მიზეზით უარყო ქუთაისზე ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზის გაყვანის საკითხი. მაგრამ ეს მოსაზრება არ შეეფერება სინამდვილეს. ჯერ იმიტომ, რომ რამდენიმე პროექტიდან, რომლებიც თავდაპირველად არსებობდა, სწორედ ის იქნა მოწონებული და დამტკიცებული, რომელიც რკინიგზის გაყვანას ქუთაისში ითვალისწინებდა. ცხადია, ამ პროექტების განხილვის დროს ვათვალისწინებული იყო ყველა მხარე და მათ შორის ხარჯების სხვაობაც. როგორც შემდეგში დავინახავთ, ზედმეტი ხარჯები, სწორედ ქუთაისიდან რკინიგზის ხაზის დაშორებით გაყვანამ გამოიწვია: როგორც ირკვევა, ზედმეტი ხარჯები არ უნდა ყოფილიყო რკინიგზის ხაზის მთავარი მიმართულების შეცვლის მიზეზი. ძნელი ხდება იმის დაჯერება, რომ ამიერკავკასიის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები რკინიგზის მაგისტრალით უნდა შეერთებულიყვნენ და ამ შეერთების დროს განზე დატოვეს დასავლეთ ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი და უდიდესი ქალაქი სულ რაღაც 8 ვერსის დაშორებით, მაშინ როდესაც დამტკიცებული პროექტით რკინიგზის ხაზი ქუთაისში უნდა გაეყვანათ და ტექნიკური თვალსაზრისითაც ეს მიმართულება გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ხაზის მიმართულების შეცვლის მიზეზი სხვა იყო. ქუთაისის ქალაქის თავი ლ. ლოლუა თავის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ „ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანის დროს ამიერკავკასიის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქალაქის — ქუთაისის ინტერესები კერძო ინტერესებს შეეწირა და ამ ისტორიულმა უსამართლობამ ქუთაისის ზრდას უდიდესი ზიანი მიაყენა“.

1882 წლის 21 ივლისს გაზეთ „შრომაში“ გამოქვეყნდა მეთაური წერი-

[7] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, გვ. 560.

ლი, რომელიც სპეციალურად ამ საკითხს ეხება. „სანამ თბილისიდან ფოთამდე რკინიგზა გაიმართებოდა, — ვკითხულობთ ამ წერილში, —მთელი კავკასიის აქეთი მხარის ვაჭრობის საქარავნო გზა ქუთაისზე გამოდიოდა: მგზავრები, ვაჭრები, ჩალვადრები, მეფურგონეები, თავიანთის ცხენებით, განჯელები, ერევნელები და უფრო შორიდან მოსული თათრები თავიანთის აქლემებით ასობით და ათასობით მგზავრად ბინაობდნენ ქუთაისში. დღითიდღე მატულობდა მათი ამ გზაზე მოძრაობა და ამათგან ქუთაისის სარგებლობაც“. შემდეგ წერილში აღნიშნულია, რომ „თავიდანვე გადაწყვეტილი იყო ფოთი—თბილისის რკინიგზის ხაზს ქუთაისში გაევლო, აქვე უნდა ყოფილიყო სარკინიგზო სახელოსნოები, ეს მაშინ არაფითარ ეჭვს არ იწვევდა, საზრუნავი იყო, მხოლოდ, თუ რა ადგილზე მოეწყოთ სადგური, მაგრამ როცა შეუდგნენ გზის მშენებლობას, აღმოჩნდა, რომ რკინიგზა ქუთაისიდან 7 ვერსის დაცილებით გაყავდათ — თავად მირსკისა და ანანოვის —აჯამეთის ტყეების ახლოს“. როდესაც ქუთაისის საზოგადოებრიობამ ამ საკითხზე შეშფოთება გამოთქვა, მათ უპასუხეს: „აჯამეთის მიმართულებით რკინიგზის ხაზი უფრო მოკლეა და იგი რამდენიმე ათასი თუმნით იაფი ჯდებაო“. ქუთაისის საზოგადოებრიობა მიხვდა, რომ ეს არ იყო მართალი, რადგან გზა ქუთაისში გაყვანით უფრო მოკლდებოდა. ქალაქის მცხოვრებნი მზად იყვნენ ოცი ათასი თუმანი გადაეხადათ, თუ ამ თანხის გადაუხდელობა აძნელებდა ქუთაისზე რკინიგზის ხაზის გაყვანას. წერილში შემდეგ ნათქვამია, რომ გზა გაიყვანეს იმ მიმართულებით, საიდანაც შესაძლებელი იყო სარგებლობა ენახა ორ კაცს: თავად მირსკისა და მილიონერ ანანოვს. ქუთაისში გათვალისწინებული სადგური გამართეს ქუთაისიდან 7 ვერსის დაშორებით, მდ. რიონის ახლოს. გაიმართა ორი სადგური— ანანოვისათვის, აჯამეთის ტყის ახლოს, რომელსაც „ქუთაისი“ უწოდეს, და მეორე სადგური იქვე, „აჯამეთი“, თავად მირსკისათვის[8].

აღნიშნულ წერილში საუბარია, აგრეთვე, ალექსანდრე II-ის ქუთაისში ჩამოსვლაზე 1871 წელს. ქუთაისის საზოგადოებრიობა საგანგებოდ ემზადებოდა ამ ვიზიტისათვის, ფიქრობდნენ ეთხოვათ მისთვის რკინიგზის ხაზის ქუთაისში გადმოტანა, როგორც ეს პირვანდელი პროექტით იყო გათვალისწინებული. მაგრამ ეს არ გაკეთდა. ივ. პურადაშვილი გადმოგვცემს, რომ „იმპერატორმა ქუთაისში ყოფნის დროს იწყინა, რატომ ქუთაისზე არ გაატარეთ რკინიგზაო“[9]. ჩვენ არ ვიცით, რამდენად არის ასახული სინამდვილე ამ გადმოცემაში, მაგრამ ცხადი ხდება, რომ ამ შეხვედრის დროს ჩაეყარა საფუძველი ქუთაისიდან ამიერკავკასიის მთავარ ხაზამდე ცალკე ტოტის გაყვანის საქმეს. 1877 წელს დამთავრდა ცალკე შტოს გაყვანა ქუთაისიდან ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზამდე და სარბევში შეერთების პუნქტს სადგურ „ქუთაისის“ ნაცვლად „რიონი“ უწოდეს. სადგურ „ქუთაისის“ სახელწოდება ქალაქის სადგურს დაუბრუნდა.

ქუთაის-რიონის რკინიგზის ხაზი, ეს იყო უშედეგო და დაგვიანებული საჩუქარი ქუთაისისათვის იმ უსამართლობის ასანაზღაურებლად, რაც დაშვებულ იქნა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის დროს[10].

[8] გაზ. „შრომა, 1882 წ. 21 ივლისი.

[9] ივ. პ ურ ა დ ა შ ვ ი ლ ი, მოგონებანი (ხელნაწერი ინახება ქუთაისის მუზეუმში), გვ. 120..

[10] გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, II, თბ., 1968, გვ. 238.

ქუთაისიდან სადგ.. რიონამდე ცალკე ტოტის გაყვანამ რამდენადმე გააძნელა ქუთაისზე ამიერკავკასის რკინიგზის მთავარი ხაზის გაყვანის რეალური შესაძლებლობა. ამის შემდეგ ქუთაისის საზოგადოებრიობას რჩებოდა ერთი იმედი. ახლა მთავარი იყო ტყიბულის რკინიგზის ხაზი არ აცდენოდა ქუთაისს, რადგან შესაძლებელი იყო ტყიბულის ხაზი ცუცხვათის მიმართულებით გაეყვანათ და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ ხაზს შეერთებოდა აჯამეთის ტყეში, მირსკის მამულში, რომელიც შემდეგ ანანოვმა შეიძინა. ტყიბულის ხაზის ქუთაისზე შეერთების აზრს იცავდნენ კავკასიის მეფის ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე და მისი შემცვლელი მთავარმართებელი დუნდუკოვ-კორსაკოვი.

საქართველოს მეორე ქალაქის დატოვება ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზის გარეშე უარყოფითად მოქმედებდა არა მარტო ქუთაისის საქალაქო ეკონომიკურ ცხოვრებაზე, არამედ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობაზეც. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს უმთავრესი ქალაქი და საგუბერნიო ცენტრი იყო და მისი დატოვება მთავარი რკინიგზის გარეშე ძალზე ართულებდა სამოქალაქო ადმინისტრაციულ და სამხედრო ხელისუფალთა მდგომარეობას. ამ მდგომარეობას არ ცვლიდა ქუთაისიდან არც ცალკე შტოს გაყვანა და არც ტყიბულის ხაზის შეერთება ქუთაისზე. ამ ხაზებმა სრულებით ვერ დააკმაყოფილა ქუთაისზე ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის გაყვანის მოსურნეები. ამიტომ ისინი ყველა შემთხვევას იყენებდნენ იმისათვის რომ ეს საკითხი დადებითად გადაეწყვიტათ. მაგრამ ყოველგვარი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა.

XIX ს-ის 70-იან წლებში დაისვა საკითხი რუსეთის შიდა გუბერნიების ამიერკავკასიასთან კავკასიის ქედის საუღელტეხილო რკინიგზით შეერთების შესახებ. გათვალისწინებული იყო გვირაბის გაყვანა. იწყება ამ გზების შესწავლა-გამოკვლევა. 1873—74 წლებში ინჟინერმა სტატკოვსკიმ სპეციალურად გამოიკვლია ამ გზის ერთი მიმართულება, რომლითაც გათვალისწინებული იყო ვლადიკავკაზის თბილისთან შეერთება, 1875—76 წლებში მანვე გამოიკვლია მეორე მიმართულება, სადგ. დარკოხესა და ქ. გორს შორის: 1890 წელს ვლადიკავკაზ-თბილისის მიმართულების ახალი ვარიანტი გამოიკვლია ინჟ. როდზევსკიმ ვლადიკავკაზის რკინიგზის საზოგადოების დავალებით. 1895 წელს გზათა სამინისტროში აღნიშნული გამოკვლევანი, განიხილეს, მაგრამ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით დაბრკოლებებს წააწყდნენ და ამიტომ მიღებულ იქნა დადგენილება, ჩატარებულიყო გამოკვლევა კიდევ სხვა მიმართულებითაც. ამის გამო ამავე წელს ჩატარდა კიდევ ორი გამოკვლევა, ერთი სოხუმ-ნევინომისკის მიმართულებით, ვლადიკავკაზის რკინიგზის საზოგადოების ინიციატივით და მეორე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მაშინდელი ფოთის ქალაქის თავის ნ. ნიკოლაძის ინიციატივით, ფოთი—პროხლადნაიას შორის. ჩანდა, რომ ამ საკითხს მთავრობამ სერიოზულად მოკიდა ხელი და იგი ახლო მომავალში დადებითად უნდა გადაწყვეტილიყო. ამით ისარგებლა ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარემ, ქალაქის საბჭოს ხმოსანმა პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილმა და 1895 წლის 24 ივნისს ქალაქის საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა ქ. ქუთაისში რკინიგზის ხაზის გაყვანის შესახებ. თავის განცხადებაში ის აღ-

[11] ი. პურადაშვილი, მოგონებები, გვ. 223—224.

ნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზას დამტკიცებული პროექტის მიხედვით ქუთაისზე უნდა გაევლო, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებებით, რომლებიც შემდეგში მცდარი აღმოჩნდა, რკინიგზა ქუთაისიდან დაშორებით გაიყვანეს, რამაც დიდი ზიანი მიაყენა, როგორც ქალაქს, ისე ხაზინას, და აგრეთვე თვით რკინიგზასო[12].

პ. თუმანიშვილი საბჭოს ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ 1895 წელს გზათა სამინისტროში დაისვა საკითხი ვლადიკავკაზის ამიერკავკასიის რკინიგზასთან შეერთების შესახებ. გათვალისწინებული იყო ქ. სოხუმისა და სადგ. ნევინომისკაიას შეერთება. ამიტომ იგი აყენებს საკითხს, რათა ამ შემთხვევაში რკინიგზის ხაზი ქ. ქუთაისში გაეტარებინათ, ეხება რა ამ პრობლემის გადაჭრის დადებით შედეგებს, იგი აღნიშნავს, რომ ქალაქის საბჭომ თავის დროზე უნდა მიიღოს საჭირო ზომები მის გადასაწყვეტადო[13]. 1895 წლის 1 ივლისს ქალაქის საბჭომ თავის სხდომაზე მართლაც მოისმინა პ. თუმანიშვილის აღნიშნული განცხადება და საკითხის ყოველმხრივი დამუშავებისათვის შექმნა კომისია პ. თუმანიშვილის (თავ-რე), კ. ბაქრაძის, მ. ი. ქუთათელაძისა და მ. ე. დარახველიძის შემადგენლობით. კომისიას დაევალა დაწვრილებით შეესწავლა ეს საკითხი და შეედგინა მის შესახებ დასაბუთებული მოსხენებითი ბარათი[14]. კომისიამ, რა თქმა უნდა, დაიწყო აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, მაგრამ ამ დროს მოხდა მოულოდნელი შემთხვევა, რამაც სულ სხვა გზით წარმართა დასმული საკითხის მსვლელობა: 1895 წლის შემოდგომაზე ამიერკავკასიის რკინიგზას თავს დაატყდა დიდი უბედურება, 28—31 ოქტომბერს წყალდიდობის შედეგად საგრძნობლად დაზიანდა ამიერკავკასიის რკინიგზის მნიშვნელოვანი ნაწილი დასავლეთ საქართველოში. სტიქიური უბედურებით გამოწვეულმა შედეგმა ახალი კუთხით დააყენა დღის წესრიგში ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის მიმართულების შეცვლის საკითხი. ამ მდგომარეობით ისარგებლა საურთიერთო ნდობის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარემ პ. თუმანიშვილმა და გზათა მინისტრს დეპეშით აცნობა ნოემბრის პირველ ნახევარში, რომ დაზიანებული რკინიგზის ხაზის აღდგენის ნაცვლად, ახალი ხაზი გაეყვანათ ქუთაისში გავლით და ამით გასწორებულიყო ის შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა თავდაპრველად ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანის დროს[15].

1895 წლის 7 ნოემბერს მოწვეულ იქნა საქალაქო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზეც მოისმინეს ქალაქის თავის ლ. ლოლუას მოხსენება მთავრობის წინაშე ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის ქუთაისში გატარების შუამდგომლობის აღძვრის შესახებ. ქალაქის საბჭომ მიიღო დადგენილება, რათა დადგენილი წესის თანახმად, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის საშუალებით, აღძრულიყო შუამდგომლობა დაზიანებული რკინიგზის აღდგენის ნაცვლად ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის ახალი მიმართულებით ქუთაისში გატარების შესახებ[16]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმოსვლის შეწყვეტის გამო თბილისთან და პეტერბურგთან დაკავშირება, ძირითადად დეპეშით ხორციელდებოდა და ეს გარემოება ერთგვარ დაბრკოლებას უქმნიდა ამ საქმის

[12] ქუთაისის საისტორიო არქივი, ფ. 108, ს. 1038, ფურ. 1.
[13] იქვე.
[14] იქვე,
[15] იქვე, ს. 2372, ფურც. 30—31.
[16] იქვე, ფ. 108, ს. 1077, ფურც. 4.

ინიციატორებს. 10 ნოემბერს ქალაქის თავი თავის მოხსენებით ბარათს და საბჭოს საგანგებო თათბირის დადგენილებას უგზავნის ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს — განსახილველად და სათანადო განკარგულების გასაცემად[17]. იმავე დღეს ლ. ლოლუა გზათა მინისტრის სახელზე პეტერბურგში დეპეშით გზავნის მოხსენებით ბარათს. დეპეშაში, რომელიც ოთხ ხელნაწერ გვერდს შეიცავს, ჩამოყალიბებულია საქმის ვითარება. აღნიშნულია, რომ პროექტის თანახმად, ამიერკავკასიის რკინიგზის პირვანდელი მიმართულება ემთხვეოდა, ერთი მხრივ, ქუთაისის გუბერნიისა და მისი მთავარი ქალაქის ქუთაისის, ხოლო მეორე მხრივ, ხაზინისა და თვით გზის ინტერესებსო. მაგრამ შემდეგში ეს მიმართულება შეიცვალა და რკინიგზა გაყვანილ იქნა დაბლობ და დაუსახლებელ რაიონებში, კლიმატური პირობების თვალსაზრისით არახელსაყრელ ადგილებში, რკინიგზის ხაზი დააცილეს საგუბერნიო ქალაქს და ხაზინას დასჭირდა ზედმეტი ხარჯების გაღებაო. ეს იყო შეცდომა და ახლა, როდესაც დადგა საკითხი დაზიანებული რკინიგზის ხაზის აღდგენის შესახებ შეიძლება, გამოსწორებულ იქნას ეს შეცდომა. ამიტომ ქალაქის თავი საქალაქო მმართველობის სახელით სთხოვს გზათა მინისტრს, განიხილოს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი და გასცეს განკარგულება, რათა ამიერკავკასიის რკინიგზის დაზიანებული ხაზის აღდგენის ნაცვლად გაყვანილ იქნას ხაზი პირვანდელი მიმართულებით ქუთაისში გავლით, რადგან ეს გამომდინარეობს არა მარტო ქუთაისის ინტერესებიდან, არამედ მთელი გუბერნიის, გზის მშენებელი ხაზინისა და მთელი სახელმწიფოს ინტერესებიდანო[18]. დაახლოებით ასეთივე შინაარსის დეპეშას გზავნის ლ. ლოლუა თბილისში, კავკასიის მთავარმართებელთან[19] და კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში[20] (17 ნოემბერს). ამ უკანასკნელ დეპეშებში აქცენტი გადატანილია ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის სახელმწიფო, სტრატეგიულ მნიშვნელობაზე და მითითებულია, რომ ახალი ხაზი გაყვანილიყო ქუთაისში გავლით ყვირილასა და სამტრედიას შორის. 25 ნოემბერს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბიდან საქალაქო საბჭოში მოვიდა ოფიციალური მომართვა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქუთაისში რკინიგზის ხაზის გაყვანის საკითხი სასურველია სამხედრო უწყებისათვისაც, მაგრამ ჯერ საჭიროა რკინიგზის ახალი მიმართულება საფუძვლიანად იქნეს გამოკვლეული, რასაც საკმაო დრო და ხარჯები დასჭირდებაო[21]. ამავე დროს პეტერბურგიდან სახაზინო რკინიგზის სამმართველოს თავმჯდომარე ვასილევსკი ლ. ლოლუასა და პ. თუმანიშვილს ატყობინებდა, რომ გზათა მინისტრის განკარგულებით ხსნებული შუამდგომლობა განსახილველად გადაეცა სამოქალაქო მრჩეველს, ინჟინერ ა. გორჩაკოვს, რომელიც მაშინ თბილისში იყო მოვლინებული[22]. ა. გორჩაკოვი იმ წლებში სახაზინო გზათა სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილედ ითვლებოდა და ის დაინიშნა იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც უნდა გამოეკვლია ამიერკავკასიის რკინიგზაზე სტიქიური უბედურების შედეგად გამოწვეული ზარალი და დაესახა კონკრეტული

---

[17] ქუთაისის საისტორიო არქივი, ფ. 108, ს. 1038, ფურც. 12.
[18] იქვე, ს. 1037, ფურც. 5—6.
[19] იქვე, ფურც. 14.
[20] იქვე, ფურც. 15.
[21] იქვე, ფურც. 16.
[22] იქვე, ფურც. 25.

ღონისძიება სტიქიით მიღებული შედეგების სალიკვიდაციოდ[23]. კომისიამ დაათვალიერა ადგილმდებარეობა ყვირილიდან სამტრედიამდე, ქუთაისზე გავლით, და განსაზღვრა ამ მიმართულებით რკინიგზის ხაზის გაყვანის დაახლოებითი (მინიმალური) ღირებულება (5000 000 მან.) მაგრამ მან ახალი მიმართულებით რკინიგზის ხაზის გაყვანის საკითხს მხარი არ დაუჭირა, იმავე მიზეზით, რითაც უარყოფილ იქნა 1865 წელს მეფის ნაცვლის მიერ ამიერკავკასიის ხაზის ქუთაისში გაყვანა[24]. 1895 წლის ბოლოს ამ საკითხმა უფრო პრინციპული ხასიათი მიიღო. შედგენილ იქნა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, რომელიც სტამბური წესით დაბეჭდეს და ქალაქის თავის ლ. ლოლუას ხელმოწერით გაგზავნეს პეტერბურგში გზათა სამინისტროში და სხვადასხვა ცენტრალურ უწყებებში. რამდენიმე ეგზემპლარი გაიგზავნა, აგრეთვე, თბილისში ამიერკავკასიის სამოქალაქო და სამხედრო ორგანოებში.

მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ წყალდიდობა, რომელმაც სერიოზული ზარალი მიაყენა ამიერკავკასიის რკინიგზას, სრულიად არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. ფოთი-თბილისის რკინიგზა სადგურ მოლითიდან სადგ. რიონამდე გაყვანილია მდინარის სანაპიროს დონეზე, დაბლობზე და არამყარ ნიადაგზე, მსგავსი უბედურება კიდევ არის მოსალოდნელი, თუ რკინიგზის ლიანდაგი მოლითიდან ყვირილამდე არ აიწია ზევით და არ დაშორდა მდ. ჩხერიმელას დინებასო. რაც შეეხება ყვირილას უბანს, აქ თვით ბუნება გვიჩვენებს გზას. მდ. ყვირილასა და სადგ. ქუთაისს შორის რკინიგზა გადატანილ უნდა იქნას მდინარის მარჯვნივ იმერეთის ძველი გზატკეცილის მიმართულებით.

მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ ქუთაისი, მართალია არ ითვლება მსხვილ მწარმოებლურ ცენტრად, მაგრამ როგორც კი მისი განცალკევება აღმოიფხვრება და მასზე გაივლის მთავარი მკვებავი არტერია ამიერკავკასიის რკინიგზის სახით — იგი საგრძნობლად გამოცოცხლდება. ქუთაისი ითვლება მთელი ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციული, სასამართლო, სასწავლო და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად. ამასთან მისი მნიშვნელობა ყოველწლიურად იზრდება, და გუბერნიის ყველა ნაწილი მას მჭიდროდ უკავშირდებაო. ადრე ადგილობრივი ვაჭრობა დაკავშირებული იყო თბილისთან, ქუთაისის გუბერნიის სოფლის ვაჭრები მათთვის საჭირო მანუფაქტურულ საქონელს თბილისიდან ღებულობდნენ, მაგრამ ახლა უარს ამბობენ ამ წამგებიან ოპერაციაზე და თავიანთ ბუნებრივ ცენტრს — ქუთაისს უბრუნდებიან. ეს უკანასკნელი კი ზრდის შემოზიდულ ნაწარმს და შემდეგ გუბერნიის უფრო წვრილ ცენტრებში ანაწილებს[25].

მოხსენებითი ბარათის ავტორი ხსენებული რკინიგზის გაყვანას უკავშირებს სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნის საკითხს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა ქუთაისისა და მთელი გუბერნიის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე. მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ ქუთაისზე რკინიგზის გატარება ხელს შეუწყობდა რუსეთის შიდა გუბერნიების ამიერკავკასიასთან რკინიგზით დაახლოების (იგულისხმება საუღელტეხილო გზა) საკითხის გადაწყვეტასაც. აქვე ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რა ეკონო-

[23] ქუთაისის საისტორიო არქივი, ს. 1037, ფურც. 25.
[24] იქვე, ფურც. 30.
[25] იქვე, ფ. 108, ს. 2372, ფურც. 19

მიკურ შედეგს გამოიღებდა გზის ახალი მიმართულებით შეცვლა. ამ საქმით დაინტერესებული იყვნენ ქუთაისის გუბერნიის სოფლის მეურნეობის წარმომადგენლები. ზედმეტი იყო იმის მტკიცება თუ რამდენად იყო ამ საკითხით დაინტერესებული თვით ქალაქი ქუთაისი. თავდაპირველად, ნათქვამია ამ წერილში, რკინიგზის. გაყვანის დროს ამიერკავკასიის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქალაქის ინტერესები კერძო ინტერესებს შეეწირა და ამ ისტორიულმა უსამართლობამ ქუთაისის ზრდას უდიდესი ზარალი მიაყენა[26].

1896 წლის 10 იანვარს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ იგი მხარს უჭერს აღძრულ საკითხს და გამოთქვამდა დიდ სურვილს, რათა ჩატარებულიყო ყვირილიდან ქუთაისამდე რკინიგზის მიმართულების ტექნიკური გამოკვლევა[27]. გზათა მინისტრმა ხაილიკოვმა დააკმაყოფილა ქუთაისის საქალაქო გამგეობის შუამდგომლობა და 1896 წლის დასაწყისში გასცა განკარგულება გზის ახალი მიმართულების გამოკვლევის შესახებ[28]. ქუთაისის საქალაქო გამგეობის შუამდგომლობას პეტერბურგში, გზათა სამინისტროში, შეხვდნენ უფრო ყურადღებით, ვიდრე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, რის გამოც ჭიანურდებოდა ამ საკითხზე გადამწყვეტი პასუხის გაცემა. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ თავისი დასკვნა არაერთხელ გაგზავნა პეტრბურგში გზათა სამინისტროში და ეს არ აძლევდა საშუალებას პეტერბურგელ სპეციალისტებს გადამწყვეტი პასუხი გაეცათ ქუთაისელთა შუამდგომლობაზე. კიდევ მეტი, ადგილობრივი ინჟინრები არა მარტო ეწინააღმდეგებოდნენ ამ საქმეს, არამედ სამინისტროს გადაწყვეტილებაზეც ახდენდნენ გავლენას. ეს საკითხი დასაწყისშივე ჩაკვდებოდა, აღნიშნული შუამდგომლობა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოზე, რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მაგრამ საქმე სამინისტროში იყო აღძრული და ამიტომ სამმართველოს უარყოფით პასუხს არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა[29]. ამ განკარგულებამ გამოიწვია დიდი სიხარული. მაგრამ მდგომარეობა გაამწვავა იმან, რომ ადგილობრივი ინჟინრები, როგორც ჩანს გზათა სამმართველოს კარნახით, აჭიანურებდნენ გამოკვლევის დაწყებას. ამასთან დაკავშირებით 1896 წლის 5 იანვრის „Новое обозрение"-ში დაიბეჭდა ცნობა მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირის ასაქცევი ხაზის პროექტისა და გამოკვლევის შესახებ, რომელიც არ გულისხმობდა რკინიგზის არსებული მიმართულების შეცვლას ქუთაისის სასარგებლოდ. ეს გამოკვლევა ითვალისწინებდა მდ. ყვირილას სანაპიროს გაუმჯობესებას, არხის ან ახალი სისტემის ხიდების მოწყობით[30]. ამას დაემატა გაზეთ «Кавказ»-ში დაბეჭდილი ცნობა იმის შესახებ, რომ ინჟინრებმა ტობაშვილიჩმა და ნეჩაევმა დაამთავრეს მდინარე ყვირილის ასაქცევი გზის გამოკვლევა, ისე რომ ქუთაისამდე არც კი მისულან[31], რამაც ძალზე შეაშფოთა ქალაქის მესვეურები. როგორც გამოირკვა, ამ გამოკვლევას აწარმოებდა სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით გამოყოფილი კომისია ა. გორჩაკოვის ხელმძღვანელობით, რო-

[26] ქუთაისის საისტორიო არქივი, ფურც. 24
[27] იქვე საქმე 1037, ფურც. 50
[28] იქვე, საქმე 1037, ფურც. 92.
[29] გ. მაიაშვილი, რჩეული ნაწერები, 11, გვ. 225.
[30] ქუთაისის საისტრიო არქივი, ფ. 108, ს. 1037, ფურც. 38.
[31] იქვე, ფურც. 89.

მელიც სწავლობდა აქ რკინიგზის საერთო მდგომარეობას. ქუთაისის მიმართულებით ახალი ტექნიკური გამოკვლევა სპეციალური განკარგულებით უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ გამოკვლევის დაწყება ჭიანურდებოდა. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მის მიმართ ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობაც არ დარჩენილა გულგრილად. ამ საკითხთან დაკავშირებით დაცულია მრავალი დოკუმენტი, რომელიც ააშკარავებს ცნობილი საზოგადო მოღვაწის სამსონ თოფურიას ღვაწლს ამ საქმეში. იგი ამ დროს ხან პეტერბურგში, ხან თბილისში კვალდაკვალ მისდევდა საქმის მსვლელობას, ამყარებდა რა სისტემატურ კავშირს ქუთაისის საქალაქო მმართველობასთან. ამ საქმით დაინტერესებულა ჩვენი სასიქადულო მწერალი ილია ჭავჭავაძე, რომელიც პეტერბურგში სენატორს თავად ერისტოვს სპეციალურ დეპეშას უგზავნის და თხოვს ენერგიულ დახმარებას[32].

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის ქუთაისში გატარების საკითხს მტკიცედ იცავდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი მაიაშვილი[33].

1896 წლის 6 ივლისს გამოსაკვლევი ადგილმდებარეობის დასათვალიერებლად ქუთაისში ჩამოვიდა გზათა მინისტრის ამხანაგი[34]. ხოლო პირველ აგვისტოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოდან ჩამოვიდნენ ინჟინრები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ქუთაის-ყვირილისა და ქუთაის-ახალ სენაკის რკინიგზის ახალი მიმართულების გამოკვლევა[35].

1896 წლის გაზაფხულზე შედგენილ იქნა მაგისტრალის გაყვანის გეგმა და სიგრძივი პროფილი — ყვირილიდან ახალ სენაკამდე ქუთაისზე გავლით, და ამით დამთავრდა საქალაქო მმართველობის 1895—1896 წლების ესოდენ გულმოდგინე მცდელობა.

ახალი მიმართულებით რკინიგზის გაყვანის მინიმალური ღირებულება კომისიის მიერ განსაზღვრული იქნა 5000 000 მან. კომისიამ არ დაუჭირა მხარი ამ მიმართულებით რკინიგზის გაყვანის საკითხს, იმავე მიზეზით, რითაც უარყოფილი იქნა 1865 წლის შუამდგომლობა.

ქუთაისელთა ინიციატივას მხარი დაუჭირეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა, სოფლის მეურნეობის საიმპერატორო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ და ქვანახშირისა და შავი ქვის მრეწველობის წარმომადგენლებმა[36].

ქუთაისის საქალაქო მმართველობის ცდების უშედეგოდ დამთავრების მიზეზები ამჯერად ის იყო, რომ 1896 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მთავარ საზრუნავს შეადგენდა რკინიგზის დაზიანებული უბნის აღ-

---

[32] ქუთაისის საისტორიო არქივი, ფ. 108, ს. 1037, ფურც. 24

[33] გ. მაიაშვილმა რამდენიმე წერილი უძღვნა ამ საკითხს 1896 წ. ეს წერილებია: «Направление закавказской ж. д. через кутаисси», «Еще об изменении магистрали закавказской ж. д.» და «О направлении магистрали закавказской ж. д. на Кутаиси».
ეს უკანასკნელი 9 სტატიად დაიბეჭდა გაზეთ «Новое обозрение»-ში 1896წ. წერილები საინტერესოა არა მარტო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არამედ თვით გ. მაიაშვილის ეკონომიკურ შეხედულებათა გამოსარკვევად. ეს სტატიები პოლემიკური ხასიათისაა, რომლებშიც ავტორი დიდძალი ფაქტობრივი მასალის მოშველიებით ცხადყოფს ქუთაისში რკინიგზის გაყვანის უპირატესობას და ააშკარავებს ამიერკავკასიის რკინიგზის ინჟინერთა მისწრაფებებს, რათა დაესაბუთებინათ ქუთაისელთა შუამდგომლობის უსაფუძვლობა.

[34] ქუთაისის საისტორიო არქივი, ფ. 108, ს. 1037, ფურც. 97.

[35] იქვე, ფურც. III.

[36] გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 239.

დგენა და ამის გამო ქუთაისელთა შუამდგომლობას არ შეხვდნენ თანაგრძნობით, ხოლო მას შემდეგ, რაც კაპიტალურად შეკეთდა სვირისა და აჯამეთის რკინიგზის ხედები ქუთაისზე რკინიგზის მაგისტრალის გაყვანის საკითხი დიდ ინტერესს არ იწვევდა.

ამით მთავრდება ქუთაისის რკინიგზის საქმის 1895—1896 წლების პერიოდი. მაგრამ ეს იყო დროებით.

ცხრაასიანი წლების დასაწყისში კვლავ დაისვა ეს საკითხი დღის წესრიგში. 1902 წლის 20 ივლისს პ. თუმანიშვილი ქუთაისის საქალაქო მმართველობაში წარდგენილ განცხადებაში აღნიშნავდა, რომ ახლა დადგა დრო, როდესაც შესაძლებელია აღიძრას შუამდგომლობა ქუთაისზე ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის გაყვანის შესახებ, ვინაიდან ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ გადაწყვიტა მეორე სალიანდაგო გზის მშენებლობა სადგურ ყვირილიდან ახალ სენაკამდე[37]. განცხადების ავტორი თვლიდა, რომ რკინიგზისათვის ხელსაყრელი იყო ამ სადგურების შეერთება ქუთაისზე ხაზის გატარებით, შემდეგი მოსაზრებით:

1. ქუთაისზე რკინიგზის მთავარი ხაზის გაყვანით გზის სიგრძე კლებულობს, ვინაიდან ამ მიმართულებით გზა სწორდება, მაშინ როდესაც არსებული გზა საგრძნობლად დაკლაკნილია; 2. რკინიგზის გაყვანა გზის სისწორის გამო გაცილებით იაფი დაჯდება; 3. ახალი გზა მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში იქნება გაყვანილი და ამის გამო რკინიგზას მეტი შემოსავალი ექნებაო; 4. გზის დამოკლება არა მარტო დააჩქარებს მოძრაობას, არამედ გააიაფებს ტვირთის გადაზიდვასო.

პ. თუმანიშვილი მოითხოვდა განხილულიყო ეს საკითხი საქალაქო საბჭოში და აღძრულიყო შუამდგომლობა არსებული წესით ყვირილასა და ახალ სენაკს შორის მეორე სალიანდაგო გზის ქუთაისზე გატარების შესახებ[38]. 24 ივლისს ქუთაისის საქალაქო საბჭომ თავის სხდომაზე განიხილა ეს განცხადება და დაავალა პ. თუმანიშვილს, ს. ლორთქიფანიძეს და გ. გამრეკელს დ. ლორთქიფანიძესთან (ქალაქის თავი) ერთად აღეძრა შუამდგომლობა ამ საკითხზე. ამ საქმეში დახმარების გაწევა სთხოვეს აგრეთვე ნ. ნიკოლაძეს. საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, ქალაქის თავმა დავით ლორთქიფანიძემ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში აღძრა შუამდგომლობა ყვირილასა და ახალსენაკს შორის მეორე სალიანდაგო გზის ქუთაისში გაყვანის შესახებ[39]. იგი აღნიშნავდა, რომ თავიდანვე ამ პუნქტებს შორის არასწორად იქნა შერჩეული რკინიგზის მიმართულება. ცნობილია თუ რა მნიშვნელობა აქვს რკინიგზისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით ხელსაყრელი მიმართულების შერჩევას. როგორც ჩანს, ეს მხარე არ ყოფილა გათვალისწინებული გზის ახლანდელი მიმართულების მშენებლობის დროს და ამიტომ ამ საკითხს ხელახლა ვაყენებთო. დ. ლორთქიფანიძე აღნიშნავდა, რომ ხსენებულ პუნქტებს შორის მეორე ლიანდაგის გაყვანა ქუთაისზე არის არა მარტო მთელი გუბერნიის სურვილი, არამედ იგი სასარგებლოა თვით რკინიგზისათვისო. 14 აგვისტოს ქალაქის მმართველობამ მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უარყოფითი პასუხი ამ შუამდგომლობაზე. მოტივე-

[37] ქუთაისის ისტორიული არქივი, ფ. 108, ს. 2372. ფურც. 11.
[38] იქვე, ფურც. 11.
[39] იქვე, ფურც. 87.

ბად მითითებული იყო ის, რომ მეორე ლიანდაგის ქუთაისზე გაყვანა გააუარესებს გზის პროფილს და გეგმას, გაადიდებს ტვირთის გადასაზიდ გზის მანძილს, რაც წელიწადში 80 ათას მანეთის გადახარჯვას გამოიწვევს და მისი მშენებლობა საერთოდ ძვირი დაჯდება (17,5 მილიონი მანეთი)[40].

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოდან უარყოფითი პასუხის მოსვლის შემდეგ დ. ლორთქიფანიძე ვრცელ მოხსენებით ბარათს გზავნის გზათა სამინისტროში 1902 წ. 28 დეკემბერს[41]. ამ ბარათში დაწვრილებით არის განხილული საქმის ვითარება. აღნიშნულია, რომ პირვანდელი პროექტი არ განხორციელდა, იგი უსაფუძვლოდ შეცვალეს და გზა გაიყვანეს სუსტი ეკონომიკური პოტენციალის შემცველ ადგილებში, რკინიგზის არსებობის 30 წლის ისტორიამ დაამტკიცა, რომ თავიდანვე ჩადენილი იქნა დიდი შეცდომაო. წერილში მოტანილია ციფრობრივი მონაცემები სვირის, აჯამეთის, რიონის ბუხიანის და კოპიტნარის შესახებ, რომლებიც ცხადყოფენ ამ პუნქტების უმოქმედობას, ამის გამო ამ მიმართულებით მეორე ხაზის გაყვანას არავითარი საჭიროება არ მოითხოვსო. მას შეიძლება ჰქონდეს სატრანზიტო დანიშნულება, რომელიც გავლენას არ ახდენს ქუთაისის გუბერნიის ეკონომიკური ცხოვრების ზრდაზეო. წერილში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, არსებული მიმართულება რკინიგზისათვისაც საზარალოა. ამიტომ ახლა შესაძლებლობა არის გამოსწორდეს ის შეცდომა, რომელიც დაშვებული იქნა 30 წლის წინათ. ვინაიდან ახლა გათვალისწინებულია ახალსენაკსა და ყვირილას შორის მეორე ხაზის გაყვანა, გაყვანილ იქნას ეს ხაზი ქუთაისის მიმართულებით, რომელიც უფრო მოსახერხებელია და სასარგებლოა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე რკინიგზისათვისო[42].

ახალსენაკსა და ყვირილას შორის მეორე სალიანდაგო გზის გაყვანას ქუთაისზე ქალაქის მმართველობის აზრით შემდეგი უპირატესობა ჰქონდა.

1. ქუთაისზე რკინიგზის გაყვანით მანძილი არ იზრდება; 2. წყალდიდობის შემთხვევაში გზის დაზიანება გამორიცხული იყო, რადგან გზა ყვირილას მარჯვენა ნაპირზე გაივლიდა. 3. ეს გზა გაივლიდა ისეთ ტერიტორიაზე, რომელზედაც ხშირი იყო მოსახლეობა, ეს მხარე მოწყვეტილი იყო რკინიგზას, რაც საგრძნობლად აფერხებდა მის შემდგომ ზრდას, შეუძლებელს ხდიდა მისი მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებას. 4. ნავარაუდები იყო ამიერკავკასიის რკინიგზის შეერთება რუსეთის რკინიგზასთან საუღელტეხილო გზით და უკვე ცნობილ პროექტებიდან უპირატესობას იმსახურებდა ის გზა, რომელიც მდინარე რიონის ხეობას მოყვებოდა და ქუთაისში გაივლიდა. ამ თვალსაზრისითაც მეორე სალიანდაგო გზის გაყვანა ქუთაისში მომგებიანად გამოიყურებოდა; 5. რკინიგზის გაყვანას არავითარი დაბრკოლება არ ეღობებოდა ტექნიკური თვალსაზრისით, მთელ მანძილზე გზას სწორი ადგილმდებარეობა ხვდებოდა. ამ მიმართულებით გზა მომსახურებას გაუწევდა მრავალ დასახლებულ პუნქტს რომელთა მოსახლეობა დაახლოებით 150 —

---

[40] ქუთაისის ისტორიული არქივი, ფურც. 29.
[41] იქვე, ფურც. 47.
[42] იქვე, ფურც. 29.

200 ათას კაცს შეადგენდა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ სავაჭრო-სამრეწველო თვალსაზრისით კუბერნიაში ეს იყო ყველაზე მეტად მოქმედი მხარე, მათ ხელში იყო მთელი გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგები: მეევნახეობა, მეაბრეშუმეობა, მეფრინველობა, სიმინდის კულტურაზე რომ არაფერი ვთქვათ[43]. 6. მოხსენებით ბარათში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ლეჩხუმისა და სენაკის მაზრებიდან საქონლის გადმოზიდვის საკითხს. ამ მაზრებს მხოლოდ ერთი გამოსასვლელი ჰქონდათ „ცხენის წყლის ხეობის" სახით და ამიტომაც მათი ნაწარმი დიდი დაბრკოლების გადალახვით აღწევდა რკინიგზამდე (სად. სამტრედიაში). ახალი ლიანდაგის გაყვანით ხსენებული ხეობის ცენტრალურ ნაწილს 20 ვერსით უახლოვდებოდა ამიერკავკასიის მთავარი გზა და სასაქონლო ტვირთის გადაზიდვა ძალზე ადვილდებოდა. აქვე აღნიშნულია, რომ თუ ეს მეორე ნავარაუდები ხაზი ქუთაისზე არ იქნება გაყვანილი, დადგება დრო, **რომ სადგ. სამტრედია რკინიგზით შეუერთდება დაბა ხონს, რადგან ეს ეკონომიკური აუცილებლობით არის გამოწვეული.**

ბოლოს დ. ლორთქიფანიძე სთხოვდა გზათა მინისტრს დადებითად გადაეწყვიტა ეს საკითხი. მაგრამ არც ამ უკანასკნელმა შეიწყნარა ქალაქის საზოგადოებრიობის თხოვნა. რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უარყოფითი დასკვნის შემდეგ ძალზე ძნელი იყო ამ საკითხის შემობრუნება. როგორც ჩანს, ასეთ შედეგს გრძნობდა საქალაქო მმართველობა და ამიტომ იყო, რომ ამ საქმის პარალელურად იგი მეორე საკითხს აყენებდა დღის წესრიგში.

XX ს-ის დასაწყისში ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა უმარვლესობის მთავარ საზრუნავს შავი ზღვის რკინიგზის გუბერნიის ფარგლებში გაყვანის პრობლემა წარმოადგენდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საგუბერნიო ცენტრი ქუთაისი იდგა, მაგრამ შავი ზღვის რკინიგზის გაყვანის საკითხით დაინტერესებული იყვნენ სამაზრო ქალაქი ზუგდიდი და საპორტო ქალაქი ფოთი. შავი ზღვის რკინიგზის გაყვანის უფლება მიღებული ჰქონდა ვლადიკავკაზის რკინიგზის სამმართველოს, რომლის პროექტით გათვალისწინებული რკინიგზის სამხრეთის უბანი ახალი ათონიდან იწყებოდა და ახალ სენაკში უერთდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზას. მაგრამ იმის გამო, რომ მშენებლობაში სახსრების ეკონომია დაეცვათ, სამმართველო ვარაუდობდა რკინიგზის გაყვანას ოტობაიას მიმართულებით. ოტობაიას გავლით მანძილი ახალ ათონსა და ახალ სენაკს შორის, მართალია, მოკლე იყო, მაგრამ ამ მიმართულებით ტერიტორია ჭაობიანი იყო და გზას, გარდა ამისა, ბევრი დაბრკოლება ელობებოდა[44]. სულ სხვა სურათი იშლებოდა იმ შემთხვევაში, თუ რკინიგზას გაიყვანდნენ სოფელ რუხსა და ზუგდიდზე გავლით. ამ მიმართულებით გზის გაყვანას შემდეგი უპირატესობა გააჩნდა:

1. აქ გზას ხვდებოდა მყარი და მშრალი ნიადაგი. ტექნიკური თვალსაზრისით მდ. ენგურზე ხიდის გაკეთება გაცილებით ადვილი იყო: 2. გზა გადიოდა მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე, ასე მაგალითად, სოფ. რუხიდან სადგ. ქვალიონამდე, ზუგდიდზე გავლით, 20 სასოფლო საზოგადოება იყო,

[43] ქუთაისის ისტორიული არქივი, ფურც. 51.
[44] სცსა, ფ. 12. აღწ. 8, საქმე 3025, ფურც. 2.

რომელთა მოსახლეობა 75 ათას სულს შეადგენდა. ამას გარდა ამ ტერიტორიაზე 800-მდე სხვადასხვა სახის სამრეწველო ობიექტები იყო განლაგებული; 3. ქ. ზუგდიდი დიდი ხნიდან ითვლებოდა სავაჭრო ურთიერთობის ცენტრად არა მარტო სამეგრელოსა, არამედ ნაწილობრივ სვანეთისა და აფხაზეთისაც. ზუგდიდში აღნიშნულ ხანაში შემოდიოდა $1^1/_4$ მილიონი ფუთი საქონელი, ხოლო გაქონდათ 2 მილიონზე მეტი; 4. რაც მთავარია, ზუგდიდი წარმოადგენდა სამეგრელოსა და სვანეთის ტყის მრეწველთა უახლოეს დასახლებულ პუნქტს, ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებში.

ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისში გაყვანის მოსურნეები მხარს უჭერდნენ ამ მეორე ვარიანტს, რადგან შავი ზღვის რკინიგზის ზუგდიდზე გაყვანის შემდეგ თავისთავად დგებოდა დღის წესრიგში საკითხი ამ ხაზის ზონისა და ქუთაისის მიმართულებით გაგრძელების შესახებ[45]. მაგრამ რადგანაც ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ ყოფილა, ქუთაისის ქალაქის მმართველობამ გადაწყვიტა, ქუთაისზე რკინიგზის გაყვანის საკითხი დაეკავშირებინათ შავი ზღვის სანაპიროს რკინიგზის საკითხთან. ქალაქის მმართველობამ მოითხოვა შავი ზღვისპირეთის რკინიგზა გაეყვანათ ზუგდიდის, ხონის და ქუთაისის მიმართულებით. ამ უკანასკნელში უნდა შეერთებოდა იგი ამიერკავკასიის რკინიგზას[46]. 1902 წლის 29 ნოემბერს დ. ლორთქიფანიძე ვრცელ მოხსენებით ბარათს სწერს გზათა მინისტრის სახელზე, რომელშიც დაწვრილებით არის განხილული ეს საკითხი. მოხსენებით ბარათში ლაპარაკია ამ გზის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე, მის ეკონომიკურ და ტექნიკურ მხარეებზე. მიუხედავად იმისა, რომ გზა ოტობაიდან ახალ სენაკამდე შედარებით მოკლე იყო ზუგდიდ—ხონი—ქუთაისის მიმართულებაზე, ქალაქის მმართველობის აზრით, მაინც პირველი მიმართულება ძვირი ჯდებოდა. ამ მიმართულებით გზას ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა და ტექნიკური თვალსაზრისით დიდ სიძნელეებს უკავშირდებოდა. მათი აზრით, მეორე მიმართულება სასარგებლო იყო, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე გზისა და ადგილობრივი მხარისათვის. როდესაც ამ საკითხს აყენებდა ქუთაისის საქალაქო მმართველობა, იგი ემყარებოდა, აგრეთვე, ზუგდიდის საზოგადოებრიობის მოთხოვნას. ეს უკანასკნელი მოითხოვდა, რომ შავი ზღვის სანაპიროს რკინიგზის ამიერკავკასიის რკინიგზასთან შეერთების დროს დაბა ზუგდიდი არ დარჩენილიყო გვერდზე, რასაც შეეძლო მისთვის აუნაზღაურებელი ზარალი მიეყენებინა[47]. ზუგდიდის მაზრის საზოგადოებრიობამ დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა ქუთაისის გუბერნატორს, რომ ამ უკანასკნელს აღეძრა შუამდგომლობა მთავარმართებლის წინაშე შავი ზღვის სანაპიროს რკინიგზის ქ. ზუგდიდზე გატარების შესახებ.

დ, ლორთქიფანიძის მოხსენებით ბარათში გამოთქმულია მოსაზრება ხსენებული გზის ფოთთან შეერთების წინააღმდეგ, რასაც ფოთის საქალაქო მმართველობა მოითხოვდა[48].

ამგვარად, ცხრაასიანი წლების დასაწყისში ქუთაისზე ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანის საქმე უშედეგოდ მთავრდება. მით უფრო ძნელი იყო ამ

---

[45] სცსა, ფ. 12, აღწ, 8, საქმე 3025, ფურც. 4.
[46] იქვე, ფურც. 42.
[47] იქვე, ფურც. 76
[48] ქუთაისის საისტორიო არქივი, ფ. 108, ს. 4025, ფურც. 3.

საქმის სისრულეში მოყვანა რევოლუციური მოძრაობისა და რეაქციის პერიოდში. ამიტომაც ამ წლებში არც დასმულა დღის წესრიგში, მაგრამ მან ხელახლა წამოყო თავი ათიანი წლების დასაწყისიდან. საქმე ის არის, რომ 1911 წელს ორივე საკანონმდებლო ორგანოში — სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში იხილებოდა საკითხი ამიერკავკასიის ცენტრალურ რუსეთთან სალიანდაგო გზით შეერთების შესახებ. ორივე ორგანომ უარყო წინადადება ამ მხარეთა კავკასიის ქედის საუღელტეხილო რკინიგზით შეერთების შესახებ და მიიღეს დადგენილება მათ შესაერთებლად შავიზღვისპირეთის რკინიგზის გაყვანის შესახებ[49]. მაშასადამე, ამ დროისათვის მთავრობამ გადაწყვიტა გაეყვანა შავი ზღვისპირეთის რკინიგზა და ამ გზით დაეკავშირებინა რუსეთის შიდა გუბერნიები ამიერკავკასიასთან. გათვალისწინებული შავი ზღვის რკინიგზა ახალ სენაკში უნდა შეერთებოდა ამიერკავკასიის რკინიგზას.

ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა ესარგებლა ამ მომენტით, რათა დაეკავშირებინა ქუთაისზე რკინიგზის გაყვანის საქმე ამ საკითხთან.

1911 წლის 19 თებერვალს ქალაქის თავმა ი. ჩიქოვანმა გზათა მინისტრს დეპეშით აცნობა, რათა შავი ზღვის რკინიგზა ზუგდიდიდან ქუთაისზე გამოეყვანათ[50] და ამიერკავკაზიის რკინიგზის სადგ. რიონში შეერთებოდა. 28 მარტს ქალაქის თავი ი. ჩიქოვანი პეტერბურგში მყოფ. გ. ზდანოვიჩს დეპეშით ატყობინებდა, გაეგო გადაწყვეტილიყო თუ არა საბოლოოდ შავი ზღვის რკინიგზის გაყვანის საქმე და მოხერხდებოდა თუ არა ამ გზის ქუთაისისაკენ მომართვა[51].

ქალაქის მმართველობა ცდილობდა დაემტკიცებინა მთავრობისათვის, რომ შავი ზღვის რკინიგზის ზუგდიდიდან ქუთაისზე გაყვანა უფრო სასარგებლოა, როგორც სტრატეგიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ვიდრე ზუგდიდიდან ახალ სენაკამდეო[52]. ქალაქის თავმა ი. ჩიქოვანმა ამასთან დაკავშირებით 5 აგვისტოს გზათა მინისტრისაგან მიიღო ცნობა, რომლითაც იგი იტყობინებოდა, რომ რკინიგზის ახალი მიმართულების გამოკვლევისათვის, რომელსაც საქალაქო მმართველობა აყენებს, საჭიროა 70000 მანეთი და სამინისტროს ამისათვის კრედიტი არა აქვსო[53]. აგვისტოს მეორე ნახევარში ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით ქალაქის თავმა ინახულა მეფის ნაცვლის მოადგილე, სენატორი ვაცეტი და ვრცელი მოხსენებითი ბარათი გადასცა მას შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების პროექტის ესკიზთან ერთად. ამ პროექტის მიხედვით, ახალი მიმართულება შავი ზღვის რკინიგზისა იწყებოდა სადგ. რიონიდან. რიონის ხიდის გავლის შემდეგ გზა გაყვებოდა მდ. მარჯვენა ნაპირს და 7 ვერსის შემდეგ გზა შემოყავდათ ქალაქში. ქუთაისიდან გზა მიემართებოდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მე-II ვერსზე გზა გადაჭრიდა მდ. წყალტუბოს, შემდეგ გაივლიდა სოფ. წყალტუბოს. გადაჭრიდა მდინარეებს გუბისწყალსა და ზემო კუხს, გაივლიდა სოფლებში: კუხში, ივანდიდში, კარჩხაშში, ხონში, საწულუკიძეოში, ნახახუ-

[49] ქუთაისის საისტორიო არქივი, ფ.108, ს. 425, ფურც. 3.
[50] ი. პურადაშვილი, მოგონებანი (ხელნაწერი), გვ. 228.
[51] გაზ. „კოლხიდა", 1911 წ. 30 მარტი № 4.
[52] „კოლხიდა" 1911 წ. 27 აგვისტო, № 122.
[53] ი. პურადაშვილი, მოგონებანი,

ლევში, მათხოჯსა და კონტუათში. 31-ე ვერსზე გზა გადაჭრიდა მდ. ცხენისწყალსა და ნუღელას, შემდეგ გაივლიდა სოფლებს: ლერცისხევს, ნაგვაზაოს, მარტვილს, ლეხაინდრაოს, ნაჯიხევს, ურიასკარს და სხვ. 40 ვერსზე გზა ჭრიდა მდ. აბაშას და 43-ე ვერსამდე გზას უხდებოდა მთაგორიან ადგილებზე გავლა. ქალაქის თვითმმართველობის აზრით, გზის ამ მონაკვეთზე ადგილმდებარეობას ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორც გზას სოხუმიდან ტუაპსემდე, სადაც უნდა გაეყვანათ მთავრობის მიერ მიღებული პროექტით შავი ზღვის რკინიგზა.

აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული სიძნელის დაძლევას ქალაქის თვითმმართველობა ფიქრობდა სამი პატარა გვირაბის გაყვანით. მესამე გვირაბის გავლის შემდეგ რკინიგზა ისევ ვაკეზე უნდა გაეყვანათ ზუგდიდამდე. ქალაქის თვითმმართველობის პროექტით, რკინიგზის მანძილი სადგ. რიონიდან ზუგდიდამდე 79 ვერსს შეადგენდა მაშინ, როდესაც მთავრობის პროექტით გათვალისწინებული გზა ამავე სადგურებს შორის 92 ვერსი იყო.

მეორე პროექტის მიხედვით, ქუთაისის რკინიგზის სადგური უნდა გადატანილიყო მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე. სადგურები უნდა აეშენებინათ: წყალტუბოში, ხონში, მახაში, ჭაირის წყალში, ზუგდიდში. ამას გარდა, განხრახული იყო სამი გვერდშესავლელი სადგურის გაკეთება. ქალაქის თვითმმართველობის აზრით, ამ ახალ მიმართულებას ჰქონდა სხვა უპირატესობაც. მაგალითად, შესაძლებელი იყო სარკინიგზო მოძრაობისათვის მთის მდინარეთა ჰიდრავლური ძალის გამოყენება. მოხსენებით ბარათში დასახელებულია მდინარეები ცხენისწყალი, აბაშა და ტეხური, რომელთაც შეეძლოთ მნიშვნელოვანი ძალა მოეცათ ელექტრონული მოძრაობისათვის. მარტო მდ. ცხენისწყალი იძლეოდა 50 ათას ცხენის ძალას, რომელიც სარკინიგზო მოძრაობის გარდა შესაძლებლი იყო გამოეყენებინათ მექანიკური და ელექტრომეტალურგიული მიზნებისათვის[54].

ასეთია ი. ჩიქოვანის მოხსენებითი ბარათი, რომელიც წარუდგინა მან კავკასიის მეფის ნაცვლის მოადგილეს. მასში, როგორც ვნახეთ დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული ქალაქის თვითმმართველობის აზრი შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების შესახებ .

როგორც გაზეთ „კოლხიდის" კორესპონდენციიდან ვგებულობთ, მეფის ნაცვლის მოადგილეს ი. ჩიქოვანისათვის დახმარება აღუთქვამს. ამის შემდეგ ი. ჩიქოვანმა ახალი დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა მინისტრს, 1911 წ. 27 აგვისტოს[55]. მალე ქალაქის თვითმმართველობის მიერ აღძრულ საკითხზე გზათა მინისტრისაგან მოვიდა პასუხი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას ეძნელება დააკმაყოფილოს აღნიშნული შუამდგომლობა შემდეგ გარემოებათა გამო. ა) მართალია, ახალი მიმართულებით რკინიგზის სიგრძე — 19 ვერსით მცირდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ახლადგასაყვანი გზის სიგრძე 46 ვერსით მატულობდა. ამასთან, ეს გზა მთაგორიან ადგილებზე იყო გასაყვანი და ამიტომაც გვირაბების გათხრას საჭიროებდა; ბ) საჭირო იყო ქუთაისში მეორე სადგურის გაკეთება, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული; გ) ქუთაისი ცალკე ტოტით იყო შეერთებული ამიერკავკასიის

[54] ქუთაისის ისტორიული არქივი, ფ. 108, ს. 4025, ფურც. 5—7 გაზ. „კოლხიდა", 1911 წ. 27 აგვისტო, № 122.

[55] გაზ. „კოლხიდა", 1911, 1 სექტემბერი, № 125.

რკინიგზასთან და ამიტომაც მთავარი ლიანდაგის გაუყვანლობა მასზე დიდ უხერხულობას არ ქმნიდა; დ) შავი ზღვის რკინიგზის ქუთაისზე გაყვანით ფართო მასშტაბის სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო და ამით რკინიგზა ზარალდებოდა. ე) საქალაქო თვითმმართველობის მიერ ნაჩვენები მიმართულების გამოკვლევა 70 ათასი მანეთი ჯდებოდა და გზათა სამინისტროს ეძნელებოდა ამდენი თანხის გამოყოფა[56].

მაგრამ ამ დროს ამიერკავკასიის რკინიგზის მესამე უბნის ინჟინერმა დავიდოვმა უსასყიდლოდ შეადგინა ამ ახალი მიმართულების რკინიგზის ხაზის საესკიზო გეგმა და ახსნა-განმარტებითი მოხსენება, რისთვისაც საქალაქო საბჭომ მადლობა გამოუცხადა. ამავე დროს რკინიგზის გამყვან სამმართველოდან მოვიდა დადებითი პასუხი შავი ზღვის რკინიგზის ქუთაისში გაყვანის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით სოხუმის ქალაქის თავმა ნ. თავდგირიძემ დასავლეთ საქართველოს ქალაქის თავთა ყრილობა მოიწვია[57]. 1912 წლის იანვარში გაზეთმა „იმერეთმა" დაბეჭდა წერილი შავი ზღვის მომავალი რკინიგზის შესახებ. იგი მკითხველებს აუწყებდა ამ სასიხარულო ამბავს[58]. 1913 წელს ქუთაისში ჩამოვიდა შავი ზღვის რკინიგზის მთავარი ინჟინერი პერცოვი, რათა ეს საკითხი უფრო დეტალურად შეესწავლა. შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობისა და მისი ქუთაისში გაყვანის საკითხი თითქოს საიმედო გზაზე იდგა, მაგრამ 1914 წელს იფეთქა მსოფლიო ომმა და ამ საქმის მსვლელობაც შეწყდა[59].

ამგვარად, ქუთაისი დარჩა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის გარეშე და მაშინ არც შავი ზღვის რკინიგზის პრობლემა განხორციელდა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ შესაძლებელი გახდა შავი ზღვის რკინიგზის პრობლემის გადაწყვეტა. 1936 წელს ახალსენაკიდან რკინიგზა მიყვანილ იქნა სოხუმამდე, სოხუმი დაუკავშირდა საქართველოს დედაქალაქს თბილისს და სხვა ქალაქებს. ხოლო 1941—1945 წლებში გაყვანილ იქნა შავი ზღვის **რკინიგზის მაგისტრალი.**

რაც შეეხება ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზის ქუთაისში გატარების საკითხს, იგი ამჟამადაც განხორციელების პროცესშია, მაგრამ არა იმ პროექტების მიხედვით, რომლებზედაც ზემო გვქონდა საუბარი, არამედ სხვა გზით: ქ. ქუთაისი დღითი-დღე ფართოვდება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და იქმნება რეალური შესაძლებლობა, რომ იგი თვითონ მიაღწევს ამიერკავკასიის **რკინიგზამდე.**

წარმოადგინა ქ. ქუთაისის ალ. წულუკიძის სახ. პედაგოგიურმა ინსტიტუტმა

---

[56] გაზ. „ქოლხიდა" 1911, 1 სექტემბერი, № 125.
[57] ი. პურადაშვილი, მოგონებანი, გვ. 228—229.
[58] გაზ. „იმერეთი", 1912 წ., № 9.
[59] ი. პურადაშვილი, მოგონებანი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚ ᲡᲐᲮᲐᲜᲝᲔᲑᲗᲐᲜ XVIII Ს-ᲘᲡ 40—50-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ

ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა აზერბაიჯანის სახანოებთან XVIII ს-ის 40—50-იან წლებში საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხთაგანია.[1]

განსახილველ საკითხზე სპეციალური დოკუმენტების კრებული გამოქვეყნებული არ არის. ამიტომ მკვლევართა განკარგულებაში დღემდე ძირითად წყაროდ რჩება ქართულ ნარატიულ ძეგლებში (პ. ორბელიანი,[2] ო. ხერხეულიძე[3] და სხვ.) დაცული ცნობები და პ. ბუტკოვის „მასალები“[4].

XVIIIს-ის ქართული ნარატიული ძეგლები თანამედროვეთა და თვითმხილველთა ნაშრომებია, რომლებიც ამ ურთიერთობის ცალკეულ ეპიზოდებს ეხება. რაც შეეხება პ. ბუტკოვის „მასალებს“, იგი ავტორს დაუმთავრებელი დარჩენია. გამომცემლების შენიშვნით: „სამწუხაროდ, ეს ნაშრომი პ. გ. ბუტკოვს დაუმთავრებელი სახით დარჩა. შინაარსის მხრივ მასში შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი ხარვეზები. ხოლო გარეგნული ფორმითაც სრულებით არ იყო მომზადებული დასაბეჭდად: ტექსტი აჭრელებული იყო შესწორებითა და ცვლილებებით; მინდორსა და ცალკე ფურცლებზე პ. გ. ბუტკოვს გაკეთებული ჰქონდა მრავალი მინაწერი და შენიშვნა, ხშირად სათანადო ადგილის მიუნიშნებლად; ნაშრომი ენობრივად დაუმთავრებელი იყო და ტექსტი წყაროების ენით დამძიმებული; დაბოლოს, ხელნაწერში ცალკეული ადგილები ძნელად გასარკვევი იყო“[5].

გამომცემელთა ასეთი შეფასება, ცხადია, იმთავითვე ეჭვს აღძრავდა არა მარტო პ. ბუტკოვის ნაშრომისადმი, თვით დანართის საგანგებო შემოწმების აუცილებლობასაც კი აყენებდა. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შემოწმებამ პ. ბუტკოვის „მასალების“ დანართს ღირებულება შემატა.

ასეთია მოკლედ წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რომელსაც დღემდე გამოქვეყნებული ზოგადი ხასიათის ნაშრომები ემყარება.

მართალია, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სპეციალური გამოკვლევა არ

---

[1] საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის ისტორიისადმი მიძღვნილი სპეციალური შრომები XVIII ს-ის 80—90-იან წლებს ეხება. იხ.: მ. სამსონაძე, ამიერკავკასიის სახანოებთან ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს-ის 80-იან წლებში. იხ. წიგნში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973; Ш. Гамидова. Из истории азербайджано-грузинских отношений (80—90 годы XVIII в.), канд. дис., рукопись, Баку, 1973.

[2] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, იხ. წიგნში: საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., თბ., 1913.

[3] ო. ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა. იხ. წიგნში: საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., თბ., 1913.

[4] П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. I—III, СПб., 1869.

[5] იქვე, I, с. VIII.

არსებობს, მაგრამ სხვა საკითხებთან დაკავშირებით მას ეხებიან: ნ. ბერძენიშვილი[6], ვ. ლევიატოვი[7], გ. ქიქოძე[8], ვ. მაჭარაძე[9], ო. მარკოვა[10], მ. დუმბაძე[11], გ. პაიჭაძე[12] და სხვ.

მასალების ძიებას აუცილებელს ხდიდა შემდეგი გარემოებანი: ჯერ ერთი, ქართველ მემატიანეთა ცნობების შევსება აუცილებელი იყო; მეორე, პ ბუტკოვის ნაშრომში დართული XVIII ს-ის რუსული პრესის მასალები, რომლებიც რიგი საკითხების შედარებით ვრცელ მიმოხილვას შეიცავდა, შემოწმებას საჭიროებდა: უნდა გარკვეულიყო ინფორმაციის წყარო და გამოქვეყნებული მასალის სისრულე და სიზუსტე. ეს იმით იყო განპირობებული, რომ როგორც ცნობილია, პრესა ყოველ გამოქვეყნებულ მასალას სათანადო პოლიტიკურ ამოცანას უსახავდა, ამიტომ მასში მიღებული ინფორმაციის ყველა დეტალი წარმოდგენილი ვერ იქნებოდა.

ჩვენ ვიმუშავეთ რუსეთის არქივებში სათანადო მასალის გამოსავლენად. განსაკუთრებით საყურადღებო მასალები აღმოჩნდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის ეგრეთწოდებულ „სპარსეთის ფონდში". ამ მასალების შესწავლით გამოირკვა შემდეგი: 1) დაიძებნა „სანკტ-პეტერბურგის ვედომოსტში" დაბეჭდილი ინფორმაციების წყაროები, გაირკვა მათი ავტორები; 2) გაირკვა ისიც, რომ „სანკტ-პეტერბურგის ვედომოსტში" დაბეჭდილი ცნობების მეტი წილი უშუალოდ პირველწყაროდან გადაწერილი ყოფილა და ნდობას იმსახურებენ, თუმცა ეს მასალა ზოგან შეკვეცილადაა წარმოდგენილი და არც შეცდომებისაგანაა დაზღვეული; 3) ყველა ინფორმაცია, რომელსაც იღებდა რუსეთის მთავრობა თავისი აგენტებისაგან, გამოქვეყნებული არ ყოფილა.

რა თქმა უნდა, ცნობილი და ახლად მიკვლეული მასალები მეორადი წყაროებია, ისინი მეტწილად მზვერავ — ინფორმატორთა შეგროვილი ცნობებია და არა უშუალო მიმოწერა ქართველი და აზერბაიჯანელი სახელმწიფო მოღვაწეებისა, მაგრამ რაკი XVIII ს-ის საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო არქივების მასალები არ გადარჩენილა მკვლევარი მათ უნდა დაეყრდნოს. ჩვენც ახლად მიკვლეული და ცნობილი მასალების შეჯერებით და არსებული ლიტერატურის გათვალისწინებით შევეცადეთ დაგვეწერა ქვემოთ წარმოდგენილი ნარკვევი.

* *

XVIII ს-ის 30-იან წლებში ირანის სახელმწიფოს არასპარსული ოლქების მოსახლეობა მოიცვა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. საქართველოში ეს

---

[6] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ.,1965; წ. VI, თბ., 1973.

[7] В. Левиатов, Очерки из истории Азербайджана XVIII века, Баку, 1948.

[8] გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1958.

[9] ვ. მაჭარაძე, ალბინის ბრძოლა, თბ., 1957; მისივე, მასალები XVIII ს. II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. II, თბ., 1968.

[10] О. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966.

[11] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

[12] გ. პაიჭაძე, ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს-ის 50—60-იან წლებში, იხ. წიგნში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973.

ბრძოლა ათი წლის განმავლობაში (1735—1744 წწ.) მიმდინარეობდა, რამაც აიძულა ნადირ-შაჰი უარი ეთქვა ქართველთა ძალით გამაჰმადიანების ტრადიციულ პოლიტიკაზე. რომელსაც ირანის მთავრობა შაჰ-აბასის დროიდან დაჟინებით ატარებდა. 1745 წელს ნადირ-შაჰმა ნება დართო თეიმურაზს ქრისტიანული წესით ასულიყო ქართლის ტახტზე და ამავე დროს ქართლს დაუბრუნა შაჰ-აბასის მიერ ჩამორთმეული ლორე, ბორჩალო, და ბაიდარი. „მ ა გ რ ა მ ე ს, — როგორც სამართლიანად შენიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, — ნ ა დ ი რ შ ა ჰ ი ს წ ყ ა ლ ო ბ ა რ ო დ ი ი ყ ო, ე ს ი ყ ო ქ ა რ თ ე ლ თ ა ა ს ო რ მ ო ც დ ა ა თ წ ლ ო ვ ა ნ ი მ ე დ გ ა რ ი ბ რ ძ ო ლ ი ო მ ო პ ო ვ ე ბ უ ლ ი უ ფ ლ ე ბ ა“.[13] ამ დათმობის მიუხედავად ნადირ-შაჰმა 1747 წელს მთელს ირანს (ქართლ-კახეთსაც) დიდი გადასახადები შეაწერა, რამაც ქართლ-კახეთის ახალი აჯანყება გამოიწვია. აჯანყებები მიმდინარეობდა აგრეთვე ავღანეთში, დაღესტანში, შუა აზიასა და აზერბაიჯანში. ნადირშაჰმა ვერ შეძლო გაერთვა თავი ამ ბრძოლებისათვის, ჩაეხშო ეს მოძრაობანი. ირანი დასუსტდა, იგი მოიცვა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, რასაც მოყვა ნადირის წინააღმდეგ შეთქმულება, რომელმაც იგი იმსხვერპლა კიდეც 1747 წლის 19 ივნისს[14].

ნადირ-შაჰის გარდაცვალებისთანავე მისი არმია დაიშალა. ჯარისკაცებმა ხელი მიჰყვეს ნადირის ქონების დატაცებას და ქალაქების ძარცვას. ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. ირანში დაიწყო ბრძოლა ტახტის მაძიებელთა შორის.

ირანში დაწყებული შინაბრძოლებით მარჯვედ ისარგებელეს პროვინციების მმართველებმა დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. ქართლ-კახეთის ბრძოლას ერეკლე II მეთაურობდა, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა ირანელი სარდლები და ქართლის ტახტის მაძიებელი აბდულა-ბეგი (გამაჰმადიანებული არჩილ იესეს ძე), რომელიც თეიმურაზმა ირანს გამგზავრების[15] წინ საბარათიანოს გამგედ დატოვა. იესეს ნაშიერმა ერეკლეს მოთხოვა „მეფე არჩილობით“ ქართლი მე დამანებე და შენ კახეთს მიხედეო. იგი თბილისში მყოფ ირანულ გარნიზონს დაუკავშირდა და მისი დახმარებისა და ქართლელი თავადების მხარდაჭერის იმედით აპირებდა თბილისის აღებას, მაგრამ ერეკლემ აბდულბეგი დაამარცხა და თბილისის ციხეებიც გაწმინდა ირანელთა ჯარებისაგან[16]

თეიმურაზ II არეულობის ჟამს აღმოჩნდა ირანში, სადაც ორი წელი დაჰყო. ქართლის მეფე ჩანს კარგად იყენებდა თავის ნათესაობა-ნაცნობობას ირანის გავლენიან წრეებთან, რათა საქმე თავის სასარგებლოდ წარემართა, თუმცა საკმაო სიფრთხილესაც იჩენდა. ასესორი ჩერქეზოვი 1748 წ. 8 იანვარს რეშტიდან რუსეთის მთავრობას ატყობინებდა: „შაჰმა საქართველოს ვალი თეიმურაზ მირზა (თეიმურაზ II — გ. მ.), ე. ი. თავისი სიმამრი, რომელიც გამგზავრების დროს თავის (შაჰის) ბანაკში დატოვა, დიდათ დაასაჩუქრა და განზრახული აქვს მალე საქართველოში გამოისტუმროს; მას შაჰმა უბრძანა შეაგროვოს თორმეტი ათასი მეომარი ქართველთაგან, რისთვისაც საკმაო თანხა

---

[13] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VI, თბ., 1973, გვ. 337. (ხაზი ნ. ბერძენიშვილისაა).

[14] ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ირანი ქვრიმ-ხან ზენდის დროს, თბ., 1973, გვ. 61.

[15] თეიმურაზ II ნადირშაჰის მოთხოვნით 1747 წელს გაემგზავრა ირანში ერეკლეს ნაცვლად.

[16] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VI, გვ. 337—341.

მისცა; თუმცა მან, თეიმურაზ მირზამ, ამაზე შაჰი ზუსტად ვერ დააიმედა, მაგრამ აღუთქვა რაც შეუძლია თავის ცდას არ დააკლებს«[17].

1749 წელს ირანიდან დაბრუნებულ თეიმურაზ II-ეს ქართლი და კახეთი ერეკლეს გარჯით ირანელთა ბატონყმობისაგან ფაქტობრივად გათავისუფლებული დახვდა.

XVIII ს-ის 40—50-იან წლებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე სახანოებმაც მიაღწიეს ირანისაგან დამოუკიდებლობას. ამ პერიოდში დაახლოებით თვრამეტი დამოუკიდებელი თუ ნახევრად დამოუკიდებელი სახანო აღმოცენდა[18]. მოსახლეობის სიჭრელე, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დაბალი დონე, ერთიანობის ტრადიციისა და გამოცდილების უქონლობა, ახლად დაწინაურებულ დიდკაცთა პარტიკულარისტულ მისწრაფებებს მყარ ნიადაგს უქმნიდა[19]. ამიტომ სახანოებს შორის გაჩაღდა პირველობისათვის ბრძოლა, რამაც აზერბაიჯანელ ხალხს სიმშვიდის მაგიერ კვლავ ომები და ნგრევა მოუტანა.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სიმშვიდეს და აზერბაიჯანულ სახანოებსა და ქართლ-კახეთს შორის ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას ორივე ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ ვითარება ამას შეუძლებელს ხდიდა. ჯერ-ერთი, ირანის ტახტის მაძიებელთა მიერ კავკასიაში დამკვიდრებისათვის ბრძოლა აიძულებდა ქართლ-კახეთს აქტიურად გამოსულიყო, რასაც მოჰყვა აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილზე ქართლ-კახეთის გავლენის გავრცელება; მეორე, აზერბაიჯანული ხანების პოზიცია შეუძლებელს ხდიდა ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაწყვეტას, რის გამოც საქართველოს ხელიდან ეცლებოდა აღმოსავლეთ კახეთი, რომელიც დაღესტნელ აბრაგთა პლაცდარმად იყო გადაქცეული, საიდანაც ლეკები ადვილად ახერხებდნენ ქართლ-კახეთის რბევას და თურქეთთან კავშირს; მესამე, აზერბაიჯანელი ხანების ნაწილის კავშირი ლეკებთან, რამაც 50-იან წლებში აშკარა ხასიათი მიიღო, ორი მეზობელი ხალხის ურთიერთობას ართულებდა.

სამწუხაროდ, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ზემოაღნიშნულ მოვლენებს ივიწყებენ და საქმეს ისე წარმოგვიდგენენ თითქოს ერეკლე II-ის ექსპანსიონისტური მისწრაფებები XVIII ს-ის მეორე ნახევარში ართულებდა ორი მეზობელი ხალხის ურთიერთობას და ხელს უშლიდა აზერბაიჯანის გაერთიანების საქმეს[20], რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

ირანში ტახტისმაძიებელთა ბრძოლა არ ცხრებოდა. ირანის ტახტის მაძიებელთა ნაწილი თავიანთი წარმატების პირობად ამიერკავკასიაში დამკვიდრებას მიიჩნევდნენ, რაც ქართლსა და კახეთს რეალურ საფრთხეს უქმნიდა. ამიტომ თეიმურაზსა და ერეკლეს ამ ბრძოლებიდან განზე დგომა არ შეეძლოთ. რეალური საფრთხის გამო, როგორც პ. ბუტკოვი იუწყება, 1749 წ. აგვისტოში თეიმურაზ მეფესთან ერევნისა და განჯის ხანების კაცები მოსულან და დახმა-

---

[17] АВПР, ф. Сн. России с Персией, 1748 г., оп. 77/I, д. 6, л. 15.

[18] Г. Абдулаев, Азербайджан XVIII в. и взаимоотношения с Россией, Баку, 1965, გვ. 86.

[19] ამ მომენტებს, სამწუხაროდ, აზერბაიჯანელი მკვლევრები სათანადო ანგარიშს არ უწევენ.

[20] Г. А. Абдулаев, Из истории северо-восточного Азербайджана в 60—80-х гг. XVIII в. Баку, 1958; Ш. Нэмидова, Губа ханлыгы илә картликахетија чарлығы мүнасибәтләринә даир (1770-1780-чи илләр), Азәрбајчан ССР елмләр академијасынын хәбәрләри, 1970, № 3—4.

რება უთხოვიათ[21]. პ. ორბელიანის ცნობით, პირველად ერევნის ხანს მოუმართავს დახმარებისათვის, რადგან ირანის ტახტის მაძიებელი მაჰმად-ხანი ერევნის სახანოს შესეოდა. ქართველთა ჯარი ერევნის დასახმარებლად რომ მიემართებოდა, როგორც პ. ორბელიანი იუწყება, ყაზახში შეჩერებულა, სადაც განჯის ხანის მიერ გამოგზავნილი კაცი მისულა დახმარების სათხოვნელად, რადგან ამ დროს მომთაბარე ტომების მეთაურს ფანა ხანს „შეეყარა ჯარი და გლეჯდა განჯა-ყარაბაღის ქვეყნებსა"; ფანა ხანის წინააღმდეგ დახმარება ყაბარაღელ მელიქებსაც უთხოვიათ: „მოვიდნენ სიღნახის მელიქის შვილებიც ასიოდენ კაცით და ისინიც შემოეხვეწნენ ფანაზე დახმარებას"[22]. ქართველ მეფეებს ერევნისაკენ აღებული გეზი არ შეუცვლიათ (განჯაზე გალაშქრება გადადეს), მათ სასტიკად დაამარცხეს მაჰმად-ხანი, რომელმაც გაქცევით უშველა თავს. ერევნელებმა ქართველ მეფეებს დახმარებისათვის 5000 თუმანი გადაუხადეს,[23], ხოლო ერევნის სახანომ ხარკი იკისრა და ამიერიდან ქართლ-კახეთის მფარველობაში შევიდა, — მისი პოლიტიკური ცხოვრების მოზიარე გახდა. სომეხი ხალხი და არისტოკრატია ამ აქტით კმაყოფილებას გამოთქვამდნენ[24].

ერევნიდან დაბრუნებული ქართველი მეფეები ყაზახში დადგნენ, რათა იქ შევსება მიეღოთ და განჯის ხანს მიშველებოდნენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფანა ხანს უფრო ფართო გეგმები ჰქონია, ვიდრე ეს პ. ორბელიანის ზემოაღნიშნულ მონათხრობში იყო აღნიშნული[25] და თვით თეიმურაზ მეფეს ჰგონებია[26]. კერძოთ, როგორც ასტრახანის გუბერნატორის ბრილკინის 1750 წლის 10 იანვრის მოხსენებიდან ჩანს, ფანა ხანს 1749 წელს შეუყრია აზერბაიჯანელი ხანები „რომ საქართველოს დასარბევად წასულიყო"[27]. ამ უკანასკნელმა ცნობამ წყაროებში შემდგომი დაზუსტება ვერ პოვა და ცნობის ავტორს განჯის შავერდი ხანიც ფანა ხანის მოკავშირედ ჰყავს წარმოდგენილი, რაც საეჭვო უნდა იყოს, მაგრამ ფანა ხანი რომ მარტო არ იყო ეს ფაქტია. ამით უნდა აიხსნას, რომ ყაზახში მდგომი მეფეები, რომელთაც ერევანში 25 ათასი კაცი ჰყავდათ, დაბრუნებულნი ქართლიდან ისევ დაელოდნენ მაშველს, რომელიც მიუღიათ კიდეც დიმიტრი ორბელიანის სარდლობით[28]. ფანა ხანს მოლაპარაკება გაუმართავს ქართველ მეფეებთან, თუმცა ვერ შეთანხმებულან, მაგრამ ფანა ხანს ბრძოლა ვერ გაუბედავს, განჯას გასცლია და ყარაბაღს დაბრუნებულა. ამასობაში ნახჭევანსაც საფრთხე შექმნია და დახმარება უთხოვია, მეფეებს მისთვის ჯარი მიუშველებია გ. ორბელიანის სარდლობით და ქართლ-კახეთის გავლენა ნახჭევანზეც გავრცელებულა[29].

რუსეთის მთავრობა დაინტერესებული იყო ამიერკავკასიაში მიმდინარე ამბებით, ამიტომ, დაზვერვის მასალების შეგროვებასთან ერთად, რამდენჯერმე გამოუგზავნიათ წერილი თეიმურაზ მეფისათვის. თეიმურაზ II, 1750 წლის

---

21 П. Бутков, Материалы, I, გვ. 237—238.

22 პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163—164.

23 იქვე, გვ. 165.

24 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 614.

25 შდრ.: პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163—164.

26 შდრ.: АВПР, ф. Сн. России с Персией, 1950, оп. 77/I, д. 6, лл. 58—59.

27 АВПР, ф. Сн. России с Персией, 1750—53, оп. 77/I, д. 13, лл. 44—46; შდრ.: П. Бутков, Материалы I, გვ. 387—388.

28 პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 165—166.

29 იქვე, გვ. 167.

20 იანვარს გაგზავნილი წერილით, ყიზლარის კომენდანტს გენერალ-ლეიტენანტ დევიცს აცნობებდა: „გასულ 1749 წელს, 12 აგვისტოს, ერევნისა და განჯის მფლობელები მოვიდნენ ჩვენს კარზე თხოვნით, რომ მიგვეცა ჯარი დასახმარებლად, რადგან მათ ქვეყნებში დიდი არეულობა და რბევა იყო. მფლობელების თხოვნაზე უარი არ გვითქვამს, გადავწყვიტეთ ჯარით წავსულიყავით, სახელდობრ ჩვენ თან გვახლდა ოცდახუთი ათასი (კაცი); იმავე წლის 29 სექტემბერს ღვთის წყალობით... მათი ქვეყნები დავაწყნარეთ. იმავე წლის 22 ნოემბერს დავბრუნდითო“[30].

ამრიგად, 1749 წელს ერევნის, განჯისა და ნახჭევანის სახანოები ქართლისა და კახეთის სამეფოების ვასალები გახდნენ.

1750 წელს ფანა-ხანი მიადგა განჯის სახანოს და მისი დამორჩილება გადაწყვიტა. განჯის ხანმა შავერდიმ სასწრაფოდ გამოგზავნა თავისი ძმა რიზა ყული ბეგი ქართლში და თეიმურაზს და ერეკლეს შემოუთვალა „დამიხსენით ამ კაცისაგანო, მე და ჩემი ქვეყანა თქვენი მონა შევიქნებითო, ჯარსაც ჯამაგირს მივცემო“[31]. მეფეებთან სომხებიც მოსულან სათხოვნელად: „სიღნახის ორი მელიქიც, რომ აქ იყვნენ და ეხვეწებოდნენ: „ქრისტიანე ხელნწიფე ბრძანდებითო, თქვენ დაგვიმონეთო, თათრის ხელისაგან დაგვიხსენითო[32]. ამა ამბავსა შინა ერთი სომხის ეპისკოპოზიც მოვიდა ფანა-ხან სიღნახში ჩამდგარ იყო, დიდად შეეწუხებინა“[33].

ქართლისა და კახეთის მეფეებმა გადაწყვიტეს განჯის საკითხი დაუყოვნებლივ გადაეწყვიტათ. ჯერ ერთი, ქართველ მეფეებს კარგად ახსოვდათ, რომ მოლაპარაკებამ, რომელსაც 1749 წ. განჯის გამო აწარმოებდნენ ფანა-ხანთან, საკითხი ვერ გადაწყვიტა (თუმცა, პ. ორბელიანი იუწყება, რომ ფანა ხანმა პირობა დაარღვიაო: „ჩემს ელს დავჯერდეო და არას ქვეყანას არა უმტერო რაო ეს პირი გაუტეხა“[34] მეფეებსო); მეორე, ფანა ხანი „თუ განჯას ძალით დაიჭერდა ყაზახ-ბორჩალუსაც მოინდომებდა; ყაენი აღარსად იჯდა მას ჟამსა და ამით ბევრს შფოთებს აშლიდა“[35]. ასე ესმოდა თანამედროვე ისტორიკოსს (რა თქმა უნდა, ქართველ მოღვაწეებსაც) ის საფრთხე, რომელიც ფანა ხანის მიერ განჯის დაკავებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

1750 წლის 8 თებერვალს ერეკლე და თეიმურაზი თბილისიდან გასულან[36]. ქართული წყაროები ქართველთა ჯარის რიცხვს არ ასახელებდნენ, ისე მიუთითებენ თბილისიდან გატეხილი ხიდის გზით განჯისაკენ დაიძრნენ, რომელშიც ქართლელებსა და კახელებს გარდა, თუშ-ფშავ-ხევსურების, იმერლების, ჩერქეზების და ჩრდილო ოსების რაზმებიც იღებდნენ მონაწილეობასო; ხოლო გატეხილ ხიდთან ბორჩალოს ჯარი შეუერთდა, ყაზახში — ყაზახის ჯარი და ასე შევიდნენ შამშადილოში; სადაც საჩუქრებით შეეგებნენო; ერევნის ჯარიც დაბარებულნი ყავდათო[37]; ასტრახანის გუბერნატორი ბრილკინი იუწყება თეიმურაზ მეფეს განჯასთან 12 ათასი კაცი ჰყავდაო[38]. ფანა ხანმა ქართველთა ჯართან შებმა ვერ გაბედა, ღამით განჯის ციხეს ალყა მოხსნა და ყარაბაღში გადავიდა. განჯელები ციხიდან გამოვიდნენ და ყარაბაღელების მიერ საძირკელიანათ დანგრეული ქალაქის ხელახლა აშენებას შეუდგნენ.

---

[30] АВПР, ф. Сн. России с Персией, 1750, оп. 77/I, д. 136, лл. 58—59.
[31] პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.
[32] იქვე; [33] იქვე; [34] იქვე; [35] იქვე; [36] იქვე; [37] იქვე;

ექვსი დღის შესვენების შემდეგ ქართველთა ჯარი განჯიდან აიყარა და ყარაბაღის სახანოში შეიჭრა. ფანა-ხანმა თავისი ელები არეზის პირისაკენ გაისტუმრა, ხოლო თვითონ ექვსი ათასი კაცით ტყის პირად მთიან ადგილზე გამაგრდა. რადგან ფანა ხანის ჯარი საფარიდან არ გამოდიოდა, ერეკლემ გადაწყვიტა იერიშზე გადასულიყო. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ბრძოლის ბედი ქართველების სათადარიგო ჯარის დაძვრას გადაუწყვეტია, რომელსაც გადამწყვეტი შეტევა მოუხდა მტერთან. ფანა-ხანი დამარცხდა და გაქცევით უშველა თავს[40].

1750 წლის 19 მაისს ყიზლარის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი დევიცი რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას ატყობინებდა: „შირვანის[41] ფანა ხანმა განჯა აიღო, ხოლო მასთან, ფანა ხანთან ჯარით მოვიდა ქართველი ირაკლი ხანი და იგი, ფანა ხანი, განჯიდან გააძევა და შევიდა განჯაში, ორი ათასი მეომარი დახოცა, ხოლო თოთხმეტი ათასი ტყვედ ჩაიგდო, უთვალავი პირუტყვით, ხოლო ერევნის, ნახჭევნისა და ყარაბაღის, ასევე თავრიზის მცხოვრებნი გახდნენ მისი, ირაკლი ხანის, ქვეშევრდომნი“[42].

ამრიგად, ერევან-განჯა-ნახჭევნის სახანოებზე ქართლ-კახეთის გავლენის გავრცელება მოხდა თვით ადგილობრივ ხელისუფალთა (ხანების) და სომეხი მოსახლეობის თხოვნით, ირანის ტახტის მაძიებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი საქართველოს თავდაცვის ინტერესებით იყო ნაკარნახები, ხოლო ფანა ხანის მომთაბარე ურდოების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მოსადგომებზე სიმშვიდისა და თავად ქვემო ქართლის (ბორჩალო) უშიშროების საჭიროებამ განაპირობა, როგორც ეს წყაროებიდან კარგად ჩანს.

ერეკლე-თეიმურაზის მოქმედების სისწორე კიდევ უფრო ნათელი გახადა ირანის ტახტის ახალი მაძიებლის აზატ ხანის გამოჩენამ ამიერ-კავკასიაში, რომელიც თავრიზს დაეუფლა და 1751 წელს უზბეკთა და ავღანთა 30 ათასიანი ჯარით ერევანს მოადგა[43]. 1751 წლის ივლისში ერეკლემ სასტიკად დაამარცხა აზატ ხანი და იხსნა აღმოსავლეთ სომხეთის მოსახლეობა.

ბრიგადირი დებეაუსობრი ყიზლარიდან 1752 წლის 28 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას ატყობინებდა: „ირაკლი ხანმა რამდენიმე ათასი კაცი უზბეკი და ავღანელი დახოცა და ტყვედ ჩაიგდო, ამასთან ქალაქი ერევანი და ნახიჭევანი ნამდვილად აიღო, რომლებშიც თავის ჯართან ერთად ხანებიც გაამწესა, ხოლო თვით თბილისში წავიდაო“[44].

---

[38] АВПР, ф. Сн. России с Персией, 1750—53 гг., оп. 77/I, д. 13, лл. 44—45; П. Бутков, Материалы, I, გვ. 388.

[39] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[40] პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171—172.

[41] უნდა იყოს „შუშის“ (თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თურქი მომთაბარეების მეთაურმა ფანა ხანმა ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ დაიწყო შეჭრა ყარაბაღის სამელიქოების ტერიტორიაზე და მათი დამორჩილება, ხოლო მიუვალ მთებში შუშის ციხის აგებით იქ გამაგრდა და ასე გაბატონდა მთელს ყარაბაღზე).

[42] АВПР, ф. Сн. России с Персией, 1750—53 гг., оп. 77/I, д. 13, лл. 44—46.

[43] П. Бутков, Материалы, I, გვ. 238.

[44] დედანში ვკითხულობთ: «Ирекли хан азбеков и авганцов до несколько тысяч человек

ირანის ტახტის მაძიებელ აზატ ხან ავღანელთან ბრძოლა, რომელსაც ჩრდ. დასავლეთ ირანის დიდი ნაწილი ეპყრა, ამით არ დასრულებულა. აზატ ხანისაგან საფრთხე განჯა-ერევანსა და საქართველოს მხოლოდ 1760 წლის დეკემბერში მოეხსნა, როცა ერეკლემ აზატ ხანი შეიპყრო[45].

მეორე და უმთავრესი პრობლემა, რომელიც ქართველ მეფეებსა და ზოგიერთ აზერბაიჯანელ ხანს შორის მტრულ ურთიერთობას აპირობებდა, ეს იყო ლეკების საკითხი. როგორც ცნობილია, XVI—XVIII საუკუნეებში ლეკების თავდასხმებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას. „ლეკიანობის" აღკვეთის საქმეში დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჭარ-ბელაქაწის საკითხის გადაწყვეტას. საქმე ისაა, რომ კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი — ჭარის ოლქი ლეკებმა მიიტაცეს და თავიანთ საყრდენ პუნქტად გაიხადეს. სწორედ აქედან იჭრებოდნენ ისინი ქართლისა და კახეთის სოფლებში. პ. ორბელიანის სამართლიანი შენიშვნით, ჭარელები დაღესტნიდან გამოსულ ლეკებს „უსადგურიან ბელადი მისციან და აოხრებდიან მუდმისად ქართლსა და კახეთს"[46].

1751 წლის თებერვალში თეიმურაზ-ერეკლე თავიანთი ჯარებით ჭარის დასაპყრობად დაიძრნენ. ჭარელებს მოლაპარაკება გაუმართავთ ქართველ მეფეებთან, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. შაქის ხანი—აჯი-ჩელები მტრულად შეხვდა ქართლისა და კახეთის მეფეების გადაწყვეტილებას, მან ქართველ მეფეებს შემოუთვალა: „თუ გამოეცლებითო ჭარელთა კარგიაო, თუ არა და მე ჩემის ქვეყნით მაგათთან ამოვსწყდებიო"[47]. ქართლისა და კახეთის ჯარები მაშინვე შაქის სახანოსაკენ გაემართნენ. 1751 წ. 11 თებერვალს გაიმართა ბრძოლა მდ. აგრი-ჩაიზე სადაც ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. ბრძოლის ბედი გადაუწყვეტია სათადარიგო ჯარს, რომელიც აჯი-ჩელებს სანგრებში ჰყოლია დამალული[48].

ქართველი მეფეებისათვის ნათელი გახდა, რომ ჭარის საკითხი ვერ გადაწყდებოდა შაქის ხანთან აჯი-ჩელებთან ბრძოლის გარეშე. ამიტომ ირანის ტახტის მაძიებლის აზატ ხანის ჯარებზე ერევანთან 1751 წლის ივლისში გამარჯვების შემდეგ, რაკი ქართლ-კახეთის ავტორიტეტი ხელახლა აღდგა, მეფეებმა გადაწყვიტეს ლაშქრობა შაქის სახანოზე. ამიტომ ქართველი მეფეები 1752 წლის 9 იანვარს გაემართნენ განჯისაკენ, საიდანაც შაქის სახანოზე ლაშქრობა ჰქონდათ გადაწყვეტილი[49]. ამ ომში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოუთქვამთ ყარაბაღის, ყარადაღის, ნახჭევანის, განჯის და ერევნის ხანებს. ომან ხერხეულიძის მოწმობით, ზემოხსენებულ ხანებს 1752 წლის იანვარში წერილები მოუწერიათ თეიმურაზისა და ერეკლესათვის და შაქის სახანოზე ერთობლივი ლაშქრობა შემოუთავაზებიათ[50].

ქართველთა ლაშქარი განჯაში შესულა, სადაც მის მოკავშირე ხანებსაც თავიანთი ჯარებით მოუყრიათ თავი. აჯი ჩელებს ფარული მოლაპარაკება გაუ-

---

порубил и в полон взял. притом же город Ереван и Нахичеван за подлинно взял, в которых де городах при своем войске ханов учредил, а сам отправился в Тефлиз" (АВПР, ф. Сн. России с Персией, 1750—53 гг., оп 77/I, д. 13, л. 47).

[45] ვ. მაჭარაძე, მასალები, II, გვ. 432—433.

[46] პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

[47] იქვე.

[48] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 620.

[49] პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[50] ო. ხერხეულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 257

მართავს ხანებთან, რაც ერეკლეს დაზვერვას არ გამოპარვია და ხანები დაუპატიმრებია. ამას დიდი არეულობა გამოუწვევია, რითაც უსარგებლია აჯი-ჩელებს და თავს დასხმია ქართველებს შირვანისა და დაღისტნის ჯარებით. განჯასთან 1752 წლის 15 აპრილს[51] ქართველები მეორედ დამარცხდნენ აჯი-ჩელებთან ბრძოლაში და უკუიქცნენ. ლეკებმა კი ზემო ქართლის რბევა დაიწყეს.

1752 წლის 11 ივლისს ასტრახანის გუბერნატორი ბრილკინი რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას ატყობინებდა „1752 წლის 15 აპრილს[52] ქართველმა ირაკლი ხანმა და მასთან ერთად ოთხმა ხანმა, შეაგროვა 14 ათასიანი ქართველთა ჯარი, შაქის ხან აჯი ჩელებთან მდინარე მტკვარზე ბრძოლა გამართა, ამ დროს ხსენებულმა ოთხმა ხანმა ავღანელებით, მას (ერეკლეს), ულალატეს, რის გამოც მისი, ერეკლეს ქვეითიდან დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს 1 000 კაცი, ხოლო თვით ის (ერეკლე) მისი მომხრე[53] ქართველთა ჯარით გაიქცა და ამით დანარჩენი ჯარით თავს უშველა"[54].

ერევნის ხანს, როგორც ირკვევა ფარული კავშირი არ გაუბამს ხანებთან, მაგრამ შემდეგ ბრძოლის ველი მიუტოვებია[55].

განჯის ბრძოლის ცოტა ხნის შემდეგ, 1752 წლის მაისში, აჯი-ჩელების შვილმა აღა-ქიშიმ ყაზახ-ბორჩალო დაიმორჩილა და დიდი ჯარით ბაიდარში გამაგრდა. თეიმურაზმა და ერეკლემ დაიწყეს სასწრაფო ზომების გატარება, რათა მტერი ქვეყნიდან გაედევნათ და აღედგინათ დაკარგული პოზიციები ამიერკავკასიაში.

დაიწყო ქვეყნის შიგნით მთელი ძალების მობილიზება. მაგრამ რაკი შეხედეს, რომ საკუთარი ძალები საკმარისი არ აღმოჩნდებოდა დიდსა და მცირე ყაბარდოსა და ოსეთში კაცი გაგზავნეს ჯარების დასაქირავებლად.

ასტრახანის გუბერნატორი ბრილკინი 1752 წლის 15 აგვისტოსა და 27 სექტემბერს ყაბარდოდან მიღებული ცნობების საფუძველზე რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას ატყობინებდა: „ყაბარდოში მყოფმა მაიორებმა ბარკოვსკიმ და ტატაროვმა გვიპატაკეს, რომ 2 აგვისტოს დიდ ყაბარდოში მოსულმა ქართველმა თავადმა ესა მეჩიბელევმა[56] და მასთან ერთად ოსმა მფლობელმა ელისეი ილინმა მათ განუცხადეს: ისინი დიდი და მცირე ყაბარდოს მფლობელებთან გამოგზავნა ქართველმა ბატონიშვილმა ირაკლიმ, რათა ითხოვონ დამხმარე ჯარი მტრებისაგან, ავღანელებისა და ჰაჯი ჩელებისაგან, ქვეყნის თავდაცვისათვის; ამასთან ერეკლე ჯარის შესაგროვებლად ოსეთშია; ამ თავადმა და ოსეთის მფლობელმა თხოვეს ბარკოვსკისა და ტატაროვს, რომ მათ არ აუკრძალონ ყაბარდოს მფლობელებს მისცენ ირაკლის დამხმარე ჯარი: მცირე

---

[51] განჯის ომის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე თარიღი არსებობს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორი უნდა იყოს 15 აპრილი.

[52] განჯის ომი გაიმართა 15 აპრილს და არა 12 როგორც ამის ბუტკოვი წერს (შდრ. П. Бутков, Материалы, ч. I, გვ. 391).

[53] როგორც ირკვევა ერეკლე თავის მომხრე («склонным») ქართულ ჯართან ერთად გაქცეულა და არა ცხენოსანთან ერთად (შდრ. П. Бутков, Материалы, I, გვ. 391).

[54] დედანში ვკითხულობთ: «1752 году апреля 15 числа грузинский Иракли хан и с ним четыре хана, собрав войска грузинцов, с 14 т. учинили с Шекинским ханом Аджи Челебием на Куре реке баталию, в которое время означенные четыре хана с авганцами, ему, Ираклия, изменили, почему ис пехоты его, Ираклия, побито и в плен взято с 1000 человек, а сам он. Ираклий, склонным своим грузинским воиском на побег пошёл и тем себя с достальным воиском спас» (АВПР, ф. Сн. России с Персией, 1752, оп. 77/I, д. 13, лл. 47—56).

[55] П. Бутков, Материалы..., ч. I, გვ. 239.

ყაბარდოდან დასახმარებლად წავიდნენ მფლობელები ყაზი და კანჩოკი, ამასთან დიდი და მცირე ყაბარდოს ჩერქეზები ათასამდე კაცი, ხოლო ოსი ხალხისაგან, სხვადასხვა პროვინციიდან, კომლიდან ოთხ-ოთხი კაცი წავიდა"[57]. „ირაკლი ხანმა თავისი ჯარით გზა გადაუჭრა განჯასთან და საქართველოსაკენ აღარ გაუშვა, დაამარცხა იგი, აღა ქიში, თავისი ჯარით და ბევრი დაუხოცა, საკმაო რაოდენობით ტყვედ ჩაიგდო, ხოლო ხსენებული აღა ქიში, ქართველი ბატონიშვილის მიერ დამარცხებული, მცირე რიცხოვანი ხალხით თავის საცხოვრებელ ადგილში წავიდაო"[58].

დაწვრილებით ამ ბრძოლის ისტორია მოცემულია თეიმურაზ II-ის წერილში, რომელიც ი. ციწიანოვმა გამოაქვეყნა. კერძოდ, 1752 წლის 25 სექტემბრით დათარიღებულ წერილში თეიმურაზ II ათანასე თბილელს აცნობებდა, რომ აჯი-ჩელების შვილი ერეკლე II მიერ სასტიკად იქნა დამარცხებული[59].

აზერბაიჯანულ სახანოებს ხშირად ეხმარებოდნენ დაღისტნელი ფეოდალები, რომლებსაც არანაკლებ ზიანი მოჰქონდათ ქართლ-კახეთისათვის. 1752 წლის მიწურულს თეიმურაზ II პოდპოლკოვნიკ გნევაშოვს სწერდა: „საქართველო მტრისაგან ყოველმხრიდან გარემოცული დიდ რბევას განიცდის, რომლის თავიდან ასაცილებლად ამას წინათ ჩვენი შვილი, ერეკლე მეფე, თქვენს მაღალმატებულებას წერდა, რომ მ. ი. უ. მფარველობაში მყოფ მთიელი მფლობელების ხალხს აუკრძალოს საქართველოს დასარბევად წამოსვლა; ხოლო ამას წინათ აჯი ჩელების შვილმა, სცადა საქართველოს დარბევა მრავალრიცხოვანი ჯარით, რომელთა შორის დიდი რაოდენობით იყო მ. ი. უ. მფარველობაში მყოფი მთიელი მფლობელების ხალხი, ამიტომაც განმეორებით გთხოვთ, რომ ხსენებულ მთიელ მფლობელებს აუკრძალოთ, რომ მათი ხალხი საქართველოს დასარბევად არ წამოვიდნენ. საქართველოში მოსული მტრის ჯარის დიდი ნაწილი, ღვთის წყალობით, მოკლული იქნა და დატყვევებული"[60].

ბრწყინვალე გამარჯვებებმა ირანის ტახტის მაძიებლებსა და აზერბაიჯანელ ხანებზე ერეკლეს, როგორც სარდალს საყოველთაო აღიარება მოუპოვა აღმოსავლეთსა და ევროპაში[61]. რუსეთის პრესა 1753 წელს (და მიმდევნო წლებ-

---

[56] ბ. ბუტკოვი, ივსე მაჩაბელს „ესამე ჩებელევად" იხსენიებს (იხ. П. Бутков, Материалы, ч. I, გვ. 391).

[57] АВПР, ф. Сн. России с Персией, 1752 г., д. 13, лл. 47—56.

[58] იქვე.

[59] ი. ციწიანოვი, ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში, იხ. — „საისტორიო მოამბე", ტ. VI, თბ., 1952, გვ. 145—146.

[60] «Грузинская земля со всех сторон от неприятельских людей обстоит в великом раззорении, чего во избежание пред сим сын наш. царь Ираклий, к нашему высокоблагородию писал, чтоб состоящим в протекции ея и. в. горских владельцов людям дабы в Грузию для раззорения не ездили, запретить, а пред сим в недавном времени Аджи Челебиев-сын немалым числом воиска, в Грузию к раззорению поступок имел и в то время состоящих в протекции ея и. в. горских владельцов людей довольное число в сообщении с ними было чего ради вторично прошу означенным горским владельцам, чтоб люди их в Грузию для раззорения не ездили запретить. Пришедшаго ж на Грузию неприятельскаго воиска помощию божескою нашим грузинским воиском много число побито и в полон взято» (АВПР, ф. сн. России с Персией, 1752 г., оп. 77/I, д. 13, лл. 47—56).

[61] ევროპაში სწორედ ამ დროს (1755 წ.) დაიბეჭდა ფრანგი კომერსანტის წიგნი ვერმანულ ენაზე მაინის ფრანკფურტში, შდრ. საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. IV, გვ. 625) ევროპაში გავრცელდა ხმა თითქოს ფრიდრიხ II ეთქვას: „ევროპაში პირველი მე ვარ, ხოლო აზიაში — ერეკლეო" (შდრ. ი. ტაბაღუა, საქართველო საერთაშორისო არენაზე, XVIII ს. II ნახ., თბ., 1979, გვ. 58).

შიც), როგორც ჩანს ევროპაში გავრცელებული ხმების (რომ თითქოს ერეკლე მალე მთელს ირანს დაიპყრობდა) საპასუხოდ საგანგებო ადგილის უთმობდა კავკასიაში მიმდინარე ამბებს. — „სანკტ-პეტერბურგის ვედომოსტის" ფურცლებზე დაბეჭდილი ინფორმაციები, რომლებიც ქართველი დიპლომატების ინფორმაციებსა და დაზვერვის მასალებს ემყარებოდა, უფრო სწორად გადმოსცემდა საქმის ვითარებას[62] ვიდრე ევროპაში გავრცელებული ხმები იყო. როგორც ჩანს, ამ ხმების პასუხად 1754 წლის 21 იანვარს, ენზელიდან კონსული პეტრე ჩეკალევსკი რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას ატყობინებდა: „ქართველი პრინცი ირაკლი სპარსეთში არც ისეთი ძალითა და დიდებითაა, როგორც მას გაზეთები მიაწერენ, მასთან მებრძოლები ისე ძალიან ცოტაა, რომ საქართველოს დასაცავადაც კი არ ყოფნის"[63].

აზერბაიჯანელი ხანების ლეკებთან კავშირის თაობაზე არა ერთი ცნობა მოგვეპოვება, მაგრამ აქ მხოლოდ ერთს მოვიტანთ. როგორც ცნობილია, XVIII ს-ნის 50-იან წლებში ლეკებმა, გარდა წვრილი ყაჩაღური თავდასხმებისა, ორი დიდი ლაშქრობაც მოაწყვეს. 1754 წელს ხუნძახის ბატონმა ნურსალ-ბეგმა დაღესტანში საკმაოდ დიდ ძალებს მოუყარა თავი, კახეთის სოფლები გადაწვა და ქართლში შემოიჭრა; ერეკლემ და თეიმურაზმა სასტიკად დაამარცხეს იგი მჭადიჯვართან[64]. 1755 წელს ნურსალ-ბეგი 20 ათასი კაცით შემოიჭრა კახეთში[65] და ყვარლის ციხეს შემოადგა. ამჯერად ხუნძახის ბატონს, გარდა დაღესტნელი ლეკებისა, მხარში ედგნენ ჭარელები და აზერბაიჯანელი ხანები: „მოვიდა ხუნძახის ბატონი — წერს პ. ორბელიანი, — დაღისტნის დიდის ჯარით... დადგა ყვარელის მთაზე, იქიდამ გაგზავნა შამხლისშვილი გაბაგ-ბეგ ჭარში და დაიბარა ჭარელთ ჯარი. აგრეთვე გაგზავნა კაცი აჯიჩალაბის შვილთან, კაკის სულთანთან, განჯის ხანთან და ამათ ყველას ჯარი და მოხმარება სთხოვა... აჯიჩალაბის შვილი[66] თვითონ მოვიდა ჯარით, კაკის სულთანიც შემოეყარა, აგრეთვე ჭარელთ ჯარი შეიყარა და ესენი ერთად შეეყარნენ ხუნძახის ბატონს. განჯის ხანსაც გამოეგზავნა ჯარი. ეს ყველანი ერთად შეიყარნენ და წამოვიდნენ კახეთზე"[67]. პ. ორბელიანის ცნობას ნურსალ ბეგის მხარდასაჭერად აზერბაიჯანელი ხანების გამოსვლის თაობაზე, ადასტურებს რუსეთის მზვერავის ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათებიც[68]. ასეთ ვითარებაში გააქტიურდა ფანახანი, რომელიც ყარაბაღელ სომხებს დაერია: „ამა ამბავთა შინა დაეტანებინა ძალა სიღნაღისათვის ფანახანს ყარაბაგელსა, ვეღარა ეძლოთ სომეხთა, აყრილიყო ერთი ხეობის მელიქი უსუფბეგ თავისის ხიზნით ასის კომლის კაცით, მოვიდა საქართველოსა შინა და შემოხვეწად მეფეთა"[69]. ერეკლემ ჯერ ყვარლის ციხეში შეგზავნა მაშველი საჭურვლით, რომ თავდაცვა გაეგრძელებიათ, ხოლო შემდეგ მარჯვე ქიზიყელები ჭარს გაუსია, რამაც აიძულა ჭარელები ნურსალ

[62] შდრ. П. Бутков, Материалы, ч. I.

[63] დედანში წერია: «Грузинской принц Ираклий не в такой силе и славе в Персии находится, как ему в газетах приписывали, при нем военныя людей весма мало и так. что Грузию оборонить ему некем» (АВПР, ф. сн. России с Грузией, 1754, оп. 77/I, д. 2, л. II).

[64] შდრ.: პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 211—215; ნ. ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 204—205.

[65] ო. ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 160.

[66] შაქის ხანი.

[67] პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

[68] ი. ცინცაძე, კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754—1756) თსუ. შრომები, 1946, ტ. XXVII—გვ. 11—30.

[69] პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

ბეგს ჩამოშორებოდნენ, რასაც ლეკების ბანაკში განხეთქილება მოჰყვა, ჭარელები წავიდნენ. ბანაკი დაიშალა და ყვარლის ალყაც მოიშალა, ხოლო აზერბაიჯანელმა ხანებმაც ჭარელებს მიბაძეს.

XVIII ს-ნის 50-იან წლებში აზერბაიჯანელი ხანების კავშირი ლეკებთან მით უფრო საშიში იყო, რადგან ირანში შინაბრძოლები გრძელდებოდა, ხოლო ირანის ტახტის პრეტენდენტი აზატხანი ჩრდილო და დასავლეთ ირანში იყო გაბატონებული და ამიერკავკასიაშიც დამკვიდრებას ცდილობდა, რომ მთელს ირანს დაპატრონებოდა. ამიტომ იყო რომ ერეკლე II და თეიმურაზ II, როგორც ირანის უპირველესმა მოხელეებმა (ქართლის მეფე ვალი იყო და ამიერკავკასიაში ირანის ჯარების სარდალი), ირანში წესრიგის დასამყარებლად და ტახტზე სასურველი კანდიდატის ასაყვანად ორჯერ მიმართეს რუსეთის მთავრობას: პირველად 1752—54 წლებში[70] ხოლო მეორედ 1760—62 წლებში[71].

1760 წლის დასასრულს ერეკლემ შეიპყრო დამარცხებული ირანის ტახტის მაძიებელი აზატხანი, რომლის აქტივობა XVIII ს-ის 50-იან წლებში ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა თარაქამის მფლობელის ფანა ხანის ბრძოლას ყარაბაღ-განჯაში გაბატონებისათვის. ერეკლეს 2 წლის განმავლობაში აზატხანი დამწყვდეული ჰყავდა, ხოლო 1762 წლის დასასრულს, როცა რუსეთიდან დახმარებაზე უარი მიიღო, მეფემ აზატხანი გადასცა ირანის მეტნაწილში უკვე გაბატონებულ ქერიმ ხანს, რითაც ირანის ფაქტიურ მბრძანებელთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა და ირანიდან ამიერკავკასიაში შემოსევის საფრთხე კარგა ხნით განელდა. ამით უნდა აიხსნას ფანა ხანის მემკვიდრე იბრეიმ ხანის ქართლ-კახეთთან კეთილგანწყობილება 60-იან წლებში და განჯის ხანის მერყეობის დასასრულიც. რაკი გაერთიანებულმა ქართლ-კახეთმა ირანთან შედარებით ნორმალურ ურთიერთობას მიაღწია, აზერბაიჯანელი ხანების აქტივობაც ნიადაგს მოკლებული აღმოჩნდა. ამიერიდან მხოლოდ ლეკთა თავდასხმები აწუხებდა ქვეყანას.

Г. В. МАЧАРАДЗЕ

ПОЛИТИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ КАРТЛИЙСКОГО и КАХЕТИНСКОГО ЦАРСТВ С АЗЕРБАЙДЖАНСКИМИ ХАНСТВАМИ В 40-50-х ГОДАХ XVIII ВЕКА

Резюме

В работе показаны дружественные отношения царей Картли и Кахети (Теймураза II и Ираклия II) с ганджинским ханом, а также помощь грузинских царей при обороне Ганджи во время нашествий извне на грани 40—50-х годов XVIII века. С другой стороны, рассматривается осложнение отношений Картли и Кахети с шекинским ханом Аджи Челеби и его сыном Ага Киши в 50-х годах в связи с вмешательством последних в грузино-дагестанские отношения, в частности, их поддержкой дагестанских феодалов во время их нападений на Кахети.

[70] იხ.: ი. ციცაძე, ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში „საისტორიო მოამბე“, ტ. VI, თბ., 1952.

[71] იხ. ვ. ჭაჭარაძე, მასალები II (თეიმურაზ II ელჩობა რუსეთში), თბ., 1968.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილებამ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ოთარ ჯაფარიძე

დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დამდეგიდან საქართველოში და საერთოდ კავკასიაში განვითარების ახალი საფეხური დგება — გვიანბრინჯაოს ხანა. ამ პერიოდში თითქმის მთლიანად წყდება კავშირი წინარე ხანის ტრადიციებთან, საგრძნობლად იცვლება მეურნეობის ხასიათი და საერთოდ ცხოვრების პირობები. კავკასიის ზოგიერთ მხარეში კვლავ ეტყობა ცხოვრების გამოცოცხლება ბარში და მთისწინა ზოლში. მეურნეობაში მომხდარ მნიშვნელოვან ძვრებს შედეგად მოჰყვა ეკონომიური კეთილდღეობის გაუმჯობესება. ცხოვრების დონის ამაღლებამ მოსახლეობის სწრაფი მომრავლება გამოიწვია და ამ ხანაში მთელი კავკასია, მისი მთა და ბარი, უკვე მჭიდროდაა დასახლებული.

• გვიანბრინჯაოს ხანაში საგრძნობლად ნელდება ურთიერთობა გარე სამყაროსთან და კავკასიაში განვითარების თავისებური გზა ისახება, რასაც შედეგად ადგილობრივი კულტურის აღმავლობა მოჰყვა. კავკასიის შიგნით მოსახლე ტომებს შორის ამ დროს ჩანს ახლო კავშირი მყარდება და გარკვეულ მხარეებში საკმაოდ მოზრდილი კულტურული ოლქები იქმნება, რომლებშიც რამდენიმე მსგავსი კულტურა ექცევა. ერთ-ერთი ოლქი გვიანბრინჯაოს ხანაში ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიაში წარმოიქმნა, რომელმაც აქ გავრცელებული სამი კულტურა მოიცვა — დასავლურ-ქართული ანუ კოლხური, ყობანური და ყუბანისპირეთის. ჩრდილო-დასავლეთი კავკასია ბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურზე ერთ-ერთი წამყვანი მხარე იყო, მაგრამ გვიანბრინჯაოს პერიოდში იგი კარგავს თავის მოწინავე მდგომარეობას და ყუბანისპირეთის კულტურა კოლხური და ყობანური კულტურების გავლენის ქვეშ ექცევა. ცენტრალურ კავკასიაში გავრცელებული ყობანური კულტურა და დასავლეთ საქართველოში აღმოცენებული კოლხური კულტურა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს აღწევს და მათ შორის ახლო კავშირი მყარდება.

· გვიანბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ისევე, როგორც წინარე ხანაში, ორი განსხვავებული ხასიათის კულტურა ჩამოყალიბდა — ერთი მოიცავდა თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მიმდგომი მხარეებით, მეორე იკავებს დასავლეთ საქართველოს სამხრეთიდან მიმდებარე ოლქებით. როგორც ჩანს ამ დროს, მიუხედავად მეურნეობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრებისა, ჯერ ისევ ბუნებრივი გარემო საგრძნობლად განსაზღვრავდა კულტურის ხასიათს.

. კოლხური კულტურა დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავს და მასში განვითარების ორი საფეხური გამოიყოფა — გვიანბრინჯაოს ხანა, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის თითქმის მთელ მეორე ნახევარში ექცევა და ადრეული რკინის ხანა რომლის დასასრული ძვ. წ. VII ს-ის ბოლოზე მოდის. კოლხური კულტურის ჩამოყალიბებისა და მისი გენეზისის საკითხი ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არაა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მისი წინარე კულტურა სათანადოდ გამოკვლეული არ არის და არც კოლხური კულტურის

მასთან ურთიერთობის საკითხია მთლად ნათელი. ამას ისიც ართულებს, რომ კოლხური კულტურის ხანაში თითქმის მთლიანად წყდება კავშირი იმ ძველ ტრადიციებთან, რომლებიც განუზომლად ბატონობდნენ მეურნეობაში კოლხეთში გვიანბრინჯაოს ხანამდე. ახლა შემოდის სრულიად განსხვავებული სახის ლითონის სამეურნეო იარაღი, რომელსაც უკვე აღარაფერი აქვს საერთო წინარე ხანაში გავრცელებულ ქვისა და ძვლის იარაღთან. სხვაზე მეტად, ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ჩანს დაწინაურებული, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა ყუბანისპირეთის მხარეს და მის გავლენას განიცდიდა. კოლხეთში საზოგადოების განვითარება თავისი გზით მიდიოდა რაიმე საგრძნობი გავლენის გარეშე. კოლხეთის ისეთ ოლქებშიც კი, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს, სადაც ამ დროს თრიალეთის მაღალგანვითარებული კულტურა ბატონობდა მასთან არავითარი კავშირი არ შეინიშნება.

როგორც ჩანს, შუაბრინჯაოს ხანის მიწურულიდან კოლხეთის სხვადასხვა მხარეში, იქ, სადაც საამისოდ სათანადო პირობები იყო, თანდათანობით იქმნება ადგილობრივი მეტალურგიული ცენტრები. რიონის სათავეებში ამოქმედდა მეტალურგიული კერა და ბრილის სამაროვანზე ამ დროის პირველი სამარხები ჩნდება. კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ლითონის წარმოების დაწინაურებასთან ერთად ჩნდება ლითონის ნივთიერებისაგან შემდგარი პირველი განძები, რომელთაგან ურეკის განძია აღსანიშნავი. მაგრამ, ამავე, სალხური კულტურის შესწავლას ართულებს ის, რომ მასალა უპირატესად შემთხვევითი აღმოჩენების შედეგადაა შეგროვილი და ნაკლებადაა ცნობილი ამ დროის ნამოსახლარები, სამაროვნები და სხვ. ხასიათის ძეგლები. სამაგიეროდ კარგადაა წარმოდგენილი ამ პერიოდის ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძები. აღსანიშნავია, რომ ამ დროის არც ერთ კულტურას მთელ კავკასიაში არ მოუცია ისეთი რაოდენობის განძები, როგორც კოლხურ კულტურას. მასალა ძირითადად ერთგვაროვანია, ნაკლებადაა შესწავლილი სტრატიგრაფიული ხასიათის ძეგლები, თითქმის არა გვაქვს რადიონახშირბადის თარიღები და ამიტომ ჯერ კიდევ ჭირს კოლხური კულტურის განვითარების საფეხურების დადგენა. ამ კულტურის პერიოდიზაციის ცდები დღემდე უპირატესად დამყარებულია წამყვანი ნივთების ტიპოლოგიურ ანალიზზე.

კოლხური კულტურა, ჩანს, წინარე ხანის კულტურის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო. სწორედ ამ წინამორბედ პერიოდში ეძებნება პროტოტიპები კოლხური კულტურის მთელ რიგ წამყვან იარაღს. ურეკის განძში, რომელიც სხვადასხვა ტიპის ცულებისა, თოხებისა და ბრტყელი „საფხეკებისაგან“ შედგებოდა, გვხვდება კოლხური კულტურის ძირითადი იარაღის პროტოტიპები — კოლხური ცულის, თოხის და სეგმენტის. კოლხური ცული, რომელიც კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი იარაღია, უნდა განვითარებულიყო კოლხეთის შავიზღვისპირეთის მხარეში, მის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლში, გავრცელებული ცულისაგან. ეს ტიპი ცულისა ისეთ ნიშნებს შეიცავს, რომლებიც შემდეგში კოლხური ცულისთვისაა დამახასიათებელი: ექვსწახნაგა ტანი, წვეტიანი ყუა, მომრგვალებული პირი და სხვ. კოლხეთის შიდა მხარეებში ეს ცული თითქმის ცნობილი არ არის; მათ ვხვდებით როგორც განძებში, ისე ცალკე აღმოჩენების სახით.

აღსანიშნავია, რომ კულხური ცული სატარის მოყვანილობით უფრო უახლოვდება სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში გავრცელებულ ცულს, რომლისთვი-

საც წვეტიან-ოვალური ხვრელია დამახასიათებელი, ჩრდილო კოლხეთში გავრცელებულ ცულს კი სატარე ხვრელი მრგვალი აქვს. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ კოლხური ცულის ჩამოყალიბების ძირითადი არე კოლხეთის სამხრეთი ნაწილი იყო. როგორც ჩანს, აქვე ყალიბდება აგრეთვე კოლხური კულტურის მეორე წამყვანი იარაღი — თოხი. მისი პროტოტიპი — სამკუთხა თოხი გვხვდება ურეკის განძში. კოლხეთის სამხრეთ ნაწილში ცნობილია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის განძები, სადაც კოლხური ცულის გვერდით გვხვდება მისი პროტოტიპი და აგრეთვე კოლხური კულტურისათვის დამახასიათებული სხვა ტიპის იარაღები — თოხი, ბრტყელი ცული, სეგმენტისებრი იარაღი, წალდი, ნამგალი და სხვ. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს არც ერთ მხარეში არ გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის განძების ისეთი რაოდენობა, როგორც კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში[1]. როგორც ჩანს, კოლხური კულტურის ჩამოყალიბება კოლხეთის შავიზღვისპირეთის მხარეში მიმდინარეობდა, უფრო კი მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

კოლხური კულტურის ჩასახვას და შემდეგ მის დაწინაურებას უთუოდ ხელი შეუწყო მდ. ჭოროხის აუზში არსებულმა სპილენძით მდიდარმა საბადოებმა, საიდანაც ძირითადად მარაგდებოდა ლითონით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის რეგიონი. ამ მხარის დაწინაურებას ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისის ხანებში ბიძგი მისცა წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობამ. აღსანიშნავია, რომ კოლხური ცულის პროტოტიპი წინა აზიაში ერაყსა და ირანში, ანატოლიაში და სხვ. გავრცელებულ ცულებთან პოულობს გარკვეულ მსგავსებას. როგორც ჩანს ამ ცულებიდან იღებენ სათავეს ამიერკავკასიაში გავრცელებული ცულები — აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ე. წ. ღრმაღელის ტიპის ცული, დასავლეთ ამიერკავკასიაში კი კოლხური ცულის პროტოტიპი. სამხრეთიდან უნდა გავრცელებულიყო აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ბრტყელი ცული, რომელიც აქ საკმაოდ ადრეულ განძებში გვხვდება. ეს ცული ხასიათდება მკვეთრი მხრებითა და სწორკუთხა მოყვანილობის საყუე ნაწილით და თავისი ფორმით მოგვაგონებს მცირე აზიაში ხეთურ პერიოდში კარგად ცნობილ ბრტყელ ცულს. როგორც ჩანს, ამ პერიოდში საკმაოდ მძლავრად ამოქმედდა ჭოროხის აუზის მეტალურგიული ცენტრი და კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დაწინაურებას იწყებს ძირითადად მის ბაზაზე დაფუძნებული კულტურა. აქ უნდა შექმნილიყო და შემდეგ დანერგილიყო კოლხური კულტურის ძირითადი დამახასიათებელი სამეურნეო იარაღები — ცული, თოხი, სეგმენტისებრი იარაღი, წალდი და სხვ. ადრეული განძები ძირითადად ამ ნივთიერებისაგან შედგება, საომარი იარაღი მათში თითქმის არ გვხვდება. ეს უთუოდ ამ მხარეში სოფლის მეურნეობის, პირველ რიგში კი მიწათმოქმედების, მაღალ დონეზე უნდა მიუთითებდეს. აქ იარაღის ისეთი ფორმები ყალიბდება, რომლებიც კოლხეთის სინამდვილეში მეტად საჭირო იყო. მცენარეული სა-

---

[1] ა. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974, გვ. 90.

[2] А. А. Иессен, О древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, М.—Л., 1935, გვ. 128.

[3] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969, გვ. 50.

[4] О. М. Джапаридзе, Бронзовые топоры Западной Грузии, СА, XXVIII, М., 1953, გვ. 298.

ფარით მდიდარ კოლხეთში ცული, წალდი და სასხლავი საკმაოდ ეფექტური სახმარი იყო, მიწის დასამუშავებლად კი სხვადასხვა ტიპის თოხი იხმარებოდა. უკვე ამ დროს კოლხეთში, ჩანს, მეურნეობის ისეთი ფორმა ჩამოყალიბდა, რომელიც აქ ბოლო დრომდე შემორჩა. ლითონის სამეურნეო იარაღის ფართო გამოყენება, კოლხეთის უფრო ინტენსიურად ათვისების საშუალებას იძლეოდა და საზოგადოებას საკმაოდ მყარი ეკონომიკური ბაზა უჩნდებოდა.

მასალის ერთგვაროვანი ხასიათის გამო სადღეისოდ ჯერ კიდევ გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლება კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში საზოგადოების ცხოვრების შესახებ გვიანბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურზე. ამ პერიოდის არც ნამოსახლარი, არც სამაროვნები და არც სხვა ხასიათის ძეგლები ჯერჯერობით ცნობილი არ არის და მასალა ძირითადად შემთხვევითი აღმოჩენებიდან ან განძებიდან მომდინარეობს. მაგრამ, ჩანს, რომ ლითონის წარმოებას ამ ხანაში განვითარების საკმაოდ მაღალი დონისათვის მიეღწევია და უკვე ჩამოყალიბებულია ლითონის სამეურნეო იარაღის თითქმის ყველა წამყვანი ტიპი, თანაც ეტყობა, რომ ლითონის პროდუქცია ჭარბად გამოდის და იარაღიც ფართოდ გამოიყენებოდა მეურნეობაში. ამ დროის განძები უპირატესად სწორედ ხმარებიდან გამოსული იარაღებისაგან შედგებოდა — ცულებისა, თოხებისა, სეგმენტისებრი იარაღისა და სხვ.

ბრინჯაოს ცული კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი იარაღია. იგი ძირითადად კოლხეთის სამხრეთ ნაწილში უნდა ჩამოყალიბებულიყო და აქ კარგადაა ცნობილი გარდამავალი ფორმა პროტოტიპიდან კოლხურ ცულზე. კოლხური ცულის სამი ძირითადი ტიპი გვხვდება შვეტილტანიანი მახვილი ყუით, სწორტანიანი დაწახნაგებული ყუით და ტანში ორგზის მოხრილი. ადრეული ცულები შედარებით უფრო ტლანქია, მერე და მერე ცულის ფორმა სულ უფრო და უფრო იხვეწება და კოლხური კულტურის აყვავების ხანაში გვხვდება კოხტა, მსუბუქი ცულები, ზოგჯერ თავისებური ორნამენტით შემკული. თავდაპირველად ადრეულ ცულებს, ჩანს, ორმაგი ფუნქცია ჰქონიათ — სამეურნეო და საბრძოლო. უფრო გვიან კი ტლანქი, მოზრდილი ცულები, უპირატესად სამეურნეო საქმისათვის გამოიყენებოდნენ, მსუბუქი, ლამაზი ცულები კი უფრო საომარ იარაღს წარმოადგენდნენ. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში უპირატესად ცულის მახვილყუიანი ვარიანტი გავრცელდა. აქ სადღეისოდ სრულიად უცნობია ტანში ორგზის მოხრილი კოლხური ცული.

კოლხეთის სამხრეთ ნაწილში ჩამოყალიბდა, აგრეთვე, კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი იარაღი — თოხი. სამკუთხა მოყვანილობის თოხი ამ მხარეში ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში იწყებს გავრცელებას. იგი კარგადაა წარმოდგენილი ურეკის განძში და გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზეც განაგრძობს აქ არსებობას. მათ ვხვდებით მელიქედურის, მახუნცეთის და ზენითის განძებში. აღსანიშნავია, რომ თოხის ეს ტიპი კოლხეთის სხვა მხარეში სადღეისოდ უცნობია. უფრო გვიან სამკუთხა თოხი უკვე აღარა გვხვდება და მის ნაცვლად ვრცელდება პირფართო თოხის სხვადასხვა ვარიანტები. თოხები ზომითა და პირის მოყვანილობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ტყით მდიდარ კოლეხთში თოხს მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ახოების აღებისა და ყამირის გატეხისას თოხი ფართოდ გამოიყენებოდა ადგილის გასაწმენდად, მისი პირველადი დამუშავებისათვის და აგრეთვე უკვე დახნული მიწის მოსათოხნად. საქართველოში მისი რელიეფისა და ნიადაგის მრავალგვარობის გამო მიწის მოხვნა ყოველთვის სახვნელით ვერ ხერხდება და

მთაგორიან ნაწილში, ძლიერ დაქანებულ ადგილებში თოხი ზოგჯერ სახვნელის ფუნქციასაც ასრულებს. იყენებდნენ მას აგრეთვე საბაღე და საბოსტნე მეურნეობაში. ამიტომაცაა, რომ თოხი გვიანბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ფართოდ ვრცელდება თითქმის მთელ კოლხეთში, იქ, სადაც მოსახლეობა მიწის დამუშავებას მისდევდა.

სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში უნდა ჩამოყალიბებულიყო კოლხური კულტურის კიდევ ერთი დამახასიათებელი იარაღი, ე. წ. სეგმენტისებრი იარაღი, მას ცულთან და თოხთან ერთად კოლხური კულტურის ადრინდელ კომპლექსებში ვხვდებით. ეს იარაღიც თითქმის მთელ კოლხეთში გავრცელდა, მისი მაღალმთიანი ზოლის გამოკლებით. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში იგი შედარებით ნაკლებად გვხვდება. სეგმენტისებრი იარაღის დანიშნულების შესახებ ერთი გარკვეული აზრი არ არსებობს. მასში რამდენიმე ვარიანტი გამოირჩევა — შედარებით მოზრდილი ცალები, ეგებ, უფრო ბარის ფუნქციას ასრულებდნენ. შესაძლოა ეს იარაღი, მართლაც, უპირატესად ნაკვეთის ტყისაგან გასანთავისუფლებლად, ხის ქერქის გასაცლელად, ხვეწად იხმარებოდა ახოს აღების დროს[5].

ბრინჯაოს სამეურნეო იარაღიდან, რომელიც აგრეთვე კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილისათვისაა ძირითადად დამახასიათებელი, უნდა აღინიშნოს წალდი. ბრინჯაოს წალდს ისევე, როგორც დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ წალდს, ცალ მხარეზე ნისკარტისებრი წანაზარდი აქვს და, ალბათ, ძირითადად ბუჩქნარისა და ბარდების გასაკაფავად იხმარებოდა. ბრინჯაოს წალდი სადღეისოდ კოლხეთის სამხრეთ ნაწილშია ცნობილი: შიდა რაიონებში მისი გავრცელება სოფ. ზემო სიმონეთამდე აღწევს, მდ. რიონის შუაწელის აუზში. სამხრეთით ეს იარაღი საკმაოდ შორს ვრცელდება თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც მას ვხვდებით ორდუსთან აღმოჩენილ განძში[6].

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელია კიდევ ერთი სამიწათმოქმედო იარაღი — ნამგალი, რომელიც აგრეთვე უპირატესად, სამხრეთ ნაწილში გვხვდება. ბრინჯაოს ნამგლის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა ციხისძირისა და ზენითის განძებში. ოთხი ნამგალი ოფშკვითთან ნაპოვნ განძში იყო, თითო-თითო კი ქვიშარის და მახარიას განძებში. კოლხური ნამგალი ყველა დაახლოებით ერთი ტიპისაა — უყუნწო, ტარის დასაგები ნახვრეტით. ფორმით ამ ნამგლებს უახლოვდება შიდა ქართლში ნაპოვნი ამგვარივე იარაღი[7].

კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გავრცელებული იყო ბრინჯაოს ბრტყელი ცული, მკვეთრად გამოსახული მხრებით. ამ ტიპის ცულები ნაპოვნი იყო აქ ციხისძირის, ვაკიჯვარის, შრომისა და ბობოყვათის განძებში და ურეკის სამაროვანზე. აღსანიშნავია, რომ ამ ცულის ჩამოსასხმელი ყალიბის ნატეხი აღმოჩნდა ქობულეთთან, ნამუედურის ნამოსახლარზე. ვხვდებით მათ აგრეთვე უფრო ჩრდილოეთითაც.მხრებიანი ბრტყელი ცული ცნობილია აგ-

[5] გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. ტ. II, 1959, გვ. 157.

[6] St. Przeworski., Der Grottenfund von Ordu. Archiv Orentalni, vol. 7, № 3, 1935; გვ. 408.

[7] ო. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, ტ. 49, თბ., 1953, გვ. 208.

[8] ა. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

რეთვე აღმოსავლეთ საქართველოში და საერთოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ეს ტიპი ბრტყელი ცულისა თავისი მოყვანილობით საკმაოდ ახლო დგას მცირე აზიაში ხეთურ პერიოდში გავრცელებულ მხრებიან ცულებთან. როგორც ჩანს, ეს ფორმა ბრტყელი ცულისა ამიერკავკასიაში სამხრეთიდან ვრცელდება, სადაც იგი ერთგვარ თავისებურებებს იძენს[9]. კოლხეთში სხვა ტიპის ბრტყელი ცულიცაა ცნობილი, რომბისებრი მოყვანილობის ტანით, რომელიც ამავე ფორმის მცირეაზიურ ცულებს მოგვაგონებენ[10]. ბრტყელი ცულის დანიშნულების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. მათ უმთავრესად ხის დამუშავებას უკავშირებენ. ხეს იმ დროს ყოფაში უთუოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ხით მდიდარ კოლხეთში, რბილი ჰავის პირობებში, სამშენებლოდ უპირატესად ხეს იყენებდნენ. ხის ჭურჭელსაც აქ უთუოდ დიდი გამოყენება უნდა ჰქონოდა. ამიტომაცაა, რომ ხის დამუშავებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის იარაღი კარგად იყო ცნობილი ამ ხანის კოლხეთში.

კიდევ ერთი ტიპის ბრინჯაოს ცული იყო ცნობილი კოლხეთის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. ამ ცულისათვის ვერტიკალურად მოწყობილი სატარე ხვრელია დამახასიათებელი. სადღეისოდ ამ ტიპის სამი ცულია ცნობილი, ყველა სამხრეთ კოლხეთიდან. სხვაგან კოლხეთში ჯერჯერობით ამგვარი ცული ცნობილი არ არის და იგი ჩანს მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილისათვის იყო დამახასიათებელი. ამ ცულს მუხლიანი ტარი უკეთდებოდა და იგი ჩვეულებრივი ცულის ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო[11], ეგებ, უფრო ხის დამუშავებასთან დაკავშირებული[12].

გვიანბრინჯაოს პერიოდში, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებისათვის, კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში უკვე სავსებით ჩამოყალიბდა სამეურნეო იარაღის თითქმის ყველა ძირითადი განმსაზღვრელი ტიპები. მაგრამ, სადღეისოდ იგივეს თქმა თითქმის არ შეგვიძლია კოლხეთის ამ რეგიონში გავრცელებულ სხვა დანიშნულების ლითონის ნივთების შესახებ — საომარ იარაღზე, სამკაულზე და სხვ. ამ ხანის მასალა უპირატესად განძებიდან მომდინარეობს, სადაც ძირითადად სამეურნეო იარაღია თავმოყრილი და სხვა დანიშნულების ნივთები აქ ნაკლებად გვხვდება. ამიტომ, შედარებით უკეთ ვიცნობთ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ სამეურნეო ხასიათის ნივთებს და თითქმის არ ვიცით, როგორი საბრძოლო იარაღი იყო ამ დროს აქ გავრცელებული, ან როგორი იყო სამკაული და საერთოდ ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები. რა თქმა უნდა, ამ დროს აქ, კოლხური ცულის გარდა, სხვა ხასიათის საომარი იარაღიც იქნებოდა ცნობილი, მით უმეტეს რომ კოლხურ კულტურაში საერთოდ კარგად ჩამოყალიბებული საბრძოლო იარაღი იყო გავრცელებული — შუბისა და სატევრის პირები. უხვადაა წარმოდგენილი კოლხურ კულტურაში აგრეთვე სამკაული და კოსტუმთან დაკავშირებული ნივთები. მაგრამ, სამხრეთ- დასავლეთ კოლხეთის განძებში ამ რიგის თითო-ოროლა ნივთი თუ გვხვდება.

---

[9] О. М. Джапаридзе, Бронзовые топоры Западной Грузии, გვ. 297.

[10] Б. А. Куфтин, Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, Вестник Гос. музея Грузии, XIII—B, Тб., 1943, გვ. 32.

[11] К. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб, 1949, გვ. 224.

[12] დ. ქორიძე, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ცულების კლასიფიკაციის და გენეზისის საკითხისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XXXVIII—B, თბ., 1969, გვ. 97.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრინჯაოს ნივთებისაგან და ზოდებისაგან შემდგარი განძები კოლხური კულტურის არსებობის თითქმის მთელ მანძილზე გვხვდება, ადრეული განძები უფრო მეტად კოლხეთის სანაპირო ზოლიდანაა ცნობილი, უპირატესად მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილიდან. მოგვიანო ხანაში კი, პირიქით, განძები უფრო კოლხეთის შიდა მხარეებში გვხვდება[13]. თუ ადრეული განძები უპირატესად ხმარებიდან გამოსული სამეურნეო იარაღებისაგან შედგებოდნენ, უფრო გვიანდელ განძებში ამ რიგის ნივთები ნაკლებია და უფრო მეტად გვხვდება სხვადასხვა ტიპის კოხტა კოლხური ცულები, ბრტყელი ცულები, ცხენის აკაზმულობასთან დაკავშირებული ნივთები, სამკაული, ლითონის ჭურჭელი და სხვ არც ამ ხანის განძებშია მაინცდამაინც საბრძოლო იარაღი წარმოდგენილი.

კოლხური კულტურის ადრინდელ საფეხურზე ერთ-ერთი ძირითადი მეტალურგიული კერა ჭოროხის აუზში უნდა არსებულიყო. ამ ხანაში ლითონის დამუშავება საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო და, ეგებ, აქ ჩამოყალიბდა და შემდეგ ფართოდ მზადდებოდა კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ძირითადი იარაღი[14]. ეს იარაღი კოლხეთის პირობებში იმდენად მარჯვე გამოდგა, რომ თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებული ზოგიერთი სამეურნეო იარაღი თავის სათავეს იმ შორეულ ხანიდან იღებს. ეტყობა, რომ იმთავითვე სამეურნეო იარაღებზე დიდი მოთხოვნილება უნდა ყოფილიყო, რაც ამ მხარეში სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მაჩვენებელი იყო. ჩანს, რომ ამ ხანაში ჭოროხის მეტალურგიული კერა მძლავრად მოქმედებს და აქვე ხორციელდებოდა ლითონის მიღების ყველა ოპერაცია — მადნის მიღებიდან, ვიდრე ნაწარმის დამზადებამდე. შემდეგში, როდესაც კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნილება სამეურნეო იარაღზე, ჩნდება ალბათ, სპეციალური სახელოსნოები, სადაც ლითონის დამუშავება და მისგან იარაღის ჩამოსხმა ხდებოდა. შესაძლოა ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ასე უხვად გვხვდება ე. წ. „მდნობელთა განძები", რომლებიც ხმარებიდან გამოსული ნივთებისაგან და ზოდებისაგან შედგებოდნენ[15]. რა თქმა უნდა, ჭოროხის მეტალურგიული ცენტრის გვერდით ამ დროს უკვე სხვა უფრო წვრილი კერებიც არსებობდნენ სამხრეთ კოლხეთში. ლითონის იარაღი აქ უპირატესად დარიშხანიანი სპილენძისაგან მზადდებოდა. აღსანიშნავია, რომ სამიწათმოქმედო იარაღითოხი და სევმენტისებრი იარაღი — უპირატესად სპილენძისა უმზადებიათ[16]. მიწის დასამუშავებელი ლითონის იარაღისათვის ნაკლები სიფიცხე უფრო გამოსადეგი იყო. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში, რომელსაც ლითონს ძირითადად ჭოროხის მეტალურგიული კერა აწვდიდა, ძირითადად დარიშხანიანი სპილენძი გამოიყენებოდა. კალიანი ბრინჯაოს ფართო გავრცელება რამდენადმე გვიან ხდება სხვა მეტალურგიული კერების დაწინაურებასთან დაკავშირებით. მაგრამ, ამ დროსაც სასოფლო-სამეურნეო იარაღი მაინც უმთავრესად სპილენძისა ან დარიშხანი ლითონისაგანაა დამზადებული.

---

[13] ა. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

[14] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[15] ა. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

[16] ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, ო. ჯაფარიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში., თბილისი, 1958, გვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭოროხის მეტალურგიული ცენტრი მოქმედებას შუაბრინჯაოს ხანიდან იწყებს. მანამდე სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთი საერთოდ ნაკლებად ათვისებული ჩანს. მაგრამ, გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან ეს კერა საგრძნობლად წინაურდება და ლითონის დამუშავება აქ უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე ადის. ჩნდება ახალი სახის ლითონის სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რომელიც ამ მხარის ინტენსიურ ათვისებას უწყობს ხელს და ვითარდება ისეთი ხასიათის მეურნეობა, რომელიც კოლხეთის იმ დროის სინამდვილეში ყველაზე უფრო ოპტიმალური უნდა ყოფილიყო. კოლხეთის სამხრეთი ნაწილისათვის დამახასიათებელია ნესტიანი, სუბტროპიკური ჰავა, უხვი მცენარეული საფარი ადრეულ ხანაში საკმაოდ დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ადამიანს მის იხტენსიურ ათვისებაში. მისი ფართო დასახლება შესაძლებელი ხდება მეურნეობის შესაბამისი ფორმის და სათანადო სასოფლო-სამეურნეო იარაღების ჩამოყალიბების შემდეგ. კოლხეთში ჩანს, ისეთი ფორმა ყალიბდება მეურნეობისა, რომელიც შეესაბამებოდა მის ბუნებრივ პირობებს. ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპზე აქ ტყიანი ზოლისათვის დამახასიათებელი თოხის მიწათმოქმედება ვითარდება და ბრინჯაოს იარაღებმა ამ ტიპის მეურნეობის დაწინაურებას შეუწყო ხელი. მართალია, ადამიანს რთული და მძიმე ბრძოლის გადახდა უხდებოდა ტყესთან, მაგრამ ბუნებაც ვალში არ რჩებოდა და უხვად აჯილდოებდა მას მიწათმოქმედების პროდუქტებით. ბრინჯაოს თითქმის ყველა სამეურნეო იარაღი ახოს აღებასთან და მის დამუშავებასთან იყო დაკავშირებული. თოხი აქ მიწათმოქმედებისათვის ყველაზე საჭირო იარაღი იყო[17]. ახოს აღებისათვის ძირითადად თოხი, ცული, წალდი, სეგმენტისებური იარაღი და სხვ. გამოიყენებოდა. თოხით მუშავდებოდა მიწაც, განსაკუთრებით მთისწინა და მთის ზოლში. მას, ამავე დროს, სხვა არა ერთი ფუნქცია გააჩნდა და ამიტომაცაა, რომ თოხი ამ დროს დიდი რაოდენობით გვხვდება, ცნობილია მისი სხვადასხვა ვარიანტი. მიწამოქმედება მეურნეობის ძირითად და წამყვანი დარგი იყო. რა დონეზე იდგა ამ დროს სამხრეთ კოლხეთში მესაქონლეობა, მასალის სიმცირის გამო, გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება. ისიც ალბათ, ტყესთან შეგუებით ვითარდებოდა. ტყის პირობებში მეღორეობას მეურნეობაში, ალბათ, საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონა ექნებოდა. მსხვილფეხა საქონლის მოშენებას სათანადო ადგილი ეკავა მეურნეობაში და იგი უფრო ბაგური ხასიათისა იყო ახოს იღებდნენ არა მარტო სახვნელ-სათეს ნაკვეთებისათვის, არამედ სათიბებად და საძოვრებადაც. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ხდება მთის ზოლის ათვისებაც. აჭარის წყლის ხეობაში ცალკეულ აღმოჩენათა გარდა ნაპოვნი იყო კოლხური ცულებისაგან შემდგარი განძი; კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სხვა ნივთები მათში ნაკლებადაა ცნობილი. შესაძლოა, რომ ეს მაღალმთიანი მხარე საზაფხულო საძოვრებისათვის იყო გამოყენებული[18].

როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურიდან მოკიდებული სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში, რიონის ქვემო მოსახლე ტომებს საკ-

[17] გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

[18] ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დიდაჭარის განძი და ძველი კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. V, თბ., 1975, გვ. 46.

მაოდ მყარი და ძლიერი ეკონომიკური ბაზა უნდა ჰქონოდა. მეურნეობის ინტენსიფიკაცია საზოგადოების თანდათანობით დაწინაურებას უწყობდა ხელს, რომელიც, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის ჩანს უკვე მნიშვნელოვან სოციალურ პროგრესს განიცდის. საახოე მეურნეობის სიმძიმე და სირთულე შრომის მაღალ ორგანიზაციას მოითხოვდა. მიწათმოქმედებაში ჩაბმული უნდა ყოფილიყო მოსახლობის დიდი ნაწილი და ინტენსიურად გამოიყენებოდა კოლხეთის ნოყიერი მიწები და დოელათის სიუხვე საზოგადოების შიგნით ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობის გაღრმავებას უწყობდა ხელს. ამ პერიოდში კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ტომთა საკმაოდ მძლავრი გაერთიანება ყალიბდება[19], რომელიც თანდათანობით მთელს კოლხეთზე ავრცელებს თავის ბატონობას. სწორედ ამ დროიდან შეინიშნება კოლხური კულტურის განფენა კოლხეთში და მის მიმდგომ მხარეებში.

კოლხეთის დაბლობზე პირველი სამოსახლეობო ჯერ კიდევ წინარე ხანაში ჩნდება. ლითონია სამეურნეო იარაღის ფართო გამოყენება ტყეზე შეტევის ეფექტს ზრდიდა და ხელს უწყობდა კოლხეთის ველის უფრო ფართო დასახლებას. ახლა ადამიანი უფრო მძლავრად იკიდებს ფეხს აქ და ჩნდება ახალ-ახალი სოფლები. სამოსახლო ბორცვებზე გამოვლენილი მძლავრი კულტურული ფენები მოწმობენ, რომ მოსახლეობა დიდხანს მჯდარა და რთულსა და მძიმე მეტად თავისებურ პირობებში, საკმაოდ ინტენსიურ სამეურნეო ცხოვრებას ეწეოდა. რიონს ქვემოთ კოლხეთის დაბლობზე ამ დროის ნამოსახლარები გამოვლენილია ქობულეთთან ნომჭედურის ბორცვზე, სოფ. ქვემო ჭალადიდში ბორცვ „ზურგაზე". რიონს ზემოთ აღსანიშნავია ნაოხვამუს და ნოსირის ბორცვები, დიხაგუძუბას ნასახლარი ანაკლიასთან და სხვ[20].

ამ დროის სამოსახლოებს წინარე ხანასთან შედარებით სახე მაინცდამაინც არ უცვლია, სამშენებლო ტექნიკაში, საცხოვრებლის გეგმარებაში და ტიპში აქ გრძელდება ძველი ტრადიციები. როგორც ჩანს, კოლხეთის დაბლობში თავისებური, ტენიანი ჰაერის პირობებში განსხვავებული სახის დასახლება ჩამოყალიბდა, მშენებლობის თავისებური ხერხებით და ნაგებობის ტიპით. ხეს, ხით მდიდარ კოლხეთში, ნესტიანობის მაღალ პირობებში, სამშენებლო საქმეში წამყვანი ადგილი ეკავა. საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობები შენდებოდა გრუნტის დონეზე ხის მორებისაგან მოწყობილ მოედნებზე, რომელიც გრუნტის წყლებისაგან და სინესტისაგან იცავდა. რა სახისა იყო თვით შენობა და საერთოდ რა ხასიათისა იყო დასახლება ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, ნაგებობას უფრო ჯარგვალის სახე უნდა ჰქონოდა და თვით პატარა სოფელი კი ხუტორული ტიპისა იყო.

კოლხეთის ნამოსახლარების კულტურული ფენებიდან ყველაზე ძლიერი გვიანბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ნოსირის ბორცვზე ყველაზე მძლავრი გვიანბრინჯაოს ხანის ფენა იყო[21]. ამ დროის ფენები დიდი რაოდენობით შეიცავენ თიხის ჭურჭლის ნატეხებს. კერამიკა ჯერ კიდევ ბევრ საერთოს პოულობს წინარე ხანის ჭურჭელთან. თუმცა შეინიშნება გარკვეული სხვაობაც. გვიანდელ ფენებში ქრება ჭურჭლის ზოგიერთი ფორმა და ჩნდება ახალი სახის

---

[19] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 186.

[20] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды. т. II, გვ. 238

[21] დ. ქორიძე, ე. გოგაძე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. II, თბ., 1971, გვ. 48.

ნაწარმი. საგრძნობლად იმატა შედარებით მოზრდილმა ჭურჭელმა[22]. ჭურჭლის შემკობის ხასიათი ძირითადად იგივე რჩება, კერამიკა შავად ან მოყავისფროდაა გამომწვარი. გვხვდება ქოთნის ტიპის ჭურჭელი, ტოლჩები, ქილები, ბადიისებრი ჭურჭელი და სხვ. ჭურჭელი უმთავრეს შემთხვევაში მდიდრადაა ორნამენტირებული, განსაკუთრებით მისი ზედა ნაწილი. სხვადასხვა კომბინაციები ღარებისა, კოპბისა და შვერილების, ჭდეებისა, თაღისებურად ამოღარული შევრონები და სხვ[23]. ჭურჭლის ყურები სხვადასხვა ფორმისაა — ზოომორფული, მუხლისებრი, შვეული ქიმებით და სხვ.

კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე უკვე ნაკლებად გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ფენებში ქვისა და ძვლის იარაღი. ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ ამ ხანაში აქ ვრცელდება ლითონის სამეურნეო იარაღი, თუმცა მართალია, ჯერჯერობით ამ ტიპის იარაღი აქ კულტურულ ფენებში მაინცდამაინც ნაპოვნი არ არის, ერთი ბრინჯაოს ბრტყელი ცული აღმოჩნდა ნოსირის ნამოსახლარის ზედა ფენაში, რომელიც ფორმით ციხისძირის განძში ნაპოვნ ამგვარსავე იარაღს უახლოვდება[24]. ბრტყელი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი აღმოჩნდა ნამჭედურის ბორცვზე.[25] ჭალადიდის ერთ-ერთ ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო კოლხური მინიატურული ცულის ყალიბი[26] და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ლითონის ნაწარმი კულტურულ ფენებში ჩვეულებრივად იშვიათად ჩნდება. კოლხეთის დაბლობის უფრო ფართოდ ათვისებას გვიანბრინჯაოს ხანაში სწორედ ლითონის იარაღის გამოყენებას უნდა შეეწყო ხელი.

ნამოსახლარი ბორცვების კულტურულ ფენებში დიდი რაოდენობით გვხვდება სამზარეულოს ნარჩენები, მცენარეული საკვების ნაშთები, ცხოველების ძვლები და სხვ. მიწათმოქმედება კოლხეთის დაბლობში გვიანბრინჯაოს ხანაში კიდევ უფრო ინტენსიური იყო. ლითონის სამიწათმოქმედო იარაღის ფართო გამოყენება მეურნეობის ამ დარგს კიდევ უფრო ეფექტურს ხდიდა. გაწმენდილ და დასამუშავებელად გამოყენებულ ფართობზე ძირითადი საზრუნავი ტყისაგან მისი დაცვა იყო. რიონს და სხვა მდინარეებს დიდი ნალექი მოჰქონდათ და როგორც თანამედროვე ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, მოსახლეობა მას მიწის გასანოყიერებლად იყენებდა. ამ მიზნისათვის ტკილიან ნიადაგს იყენებდნენ და რაც მოსავლის ორჯერ აღებას შესაძლებლობას იძლეოდა.[27] ვახუშტი დასავლეთ საქართველოს აღწერისას აღნიშნავს, რომ „არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი... ჰავითა კეთილმშვენი... ხოლო მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ ფრიად... რამეთუ ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი კაცი, მხოლოდ წალდ-თოხისა მქონებელი, დასახლდების, მოიყვანს საზრდელსა ჯალაბთასა და გარდაიჯიდს ბეგარასაცა[28]. მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციას

---

[22] დ. ქორიძე, ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

[23] თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 53.

[24] Э. М. Гогадзе, Л. И. Панцхава, М. В. Дариспанашвили, И. Д. Коридзе, Результаты работ Носир-Мухурчской экспедиции, Археологические экспедиции Гос. музея Грузии, Тб., 1978, გვ. 61.

[25] ა. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

[26] თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

[27] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[28] ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი ღადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 743

კოლხეთის დაბლობზე ისიც უწყობდა ხელს, რომ საერთო კოლხეთში ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარის ბოლოსათვის შედარებით მშვიდობიანი ვითარება იყო. ამის ანარეკლია შესაძლოა ის, რომ ამ დროის მასალებში, განსაკუთრებით განძებში, საბრძოლო იარაღი მეტად იშვიათია. დაძაბული ცხოვრება საზოგადების სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის მაინცდამაინც ხელსაყრელ პირობებს არ ქმნის. ნამოსახლარი ბორცვების სიმრავლე მოწმობს, რომ კოლხეთის დაბლობი ამ დროს ფართოდაა ათვისებული. აქ ინტენსიური ცხოვრება მიმდინარეობს და საზოგადოებას საკმაოდ მყარი ეკონომიკური ბაზა გააჩნია, რომელიც უპირატესად მიწათმოქმედებაზე იყო დაფუძნებული.

მიწათმოქმედების გვერდით ჩანს მესაქონლეობის როლიც ეკონომიკაში საკმაოდ მაღალი იყო. ნამოსახლარების ფენებში უხვად გვხვდება მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ღორისა და თხის ნარჩენები. ცხვრის ნაშთები მეტად იშვიათია და ჩანს, რომ მეცხვარეობა მეურნეობაში თითქმის არავითარ როლს არ ასრულებდა. ტყე მეცხვარეობის განვითარებისათვის ხელის შემშლელი იქნებოდა. სამეურნეო ცხოვრებაში ჩანს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მონადირეობასა და შეგროვებას. კულტურულ ფენებში უხვად გვხვდება გარეული მცენარეულობისა და ცხოველების ძვლები[29]. სამეურნეო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა აგრეთვე მეფუტკრეობასაც. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კოლხეთშია შემორჩენილი სადღეისოდ ეთნოგრაფიული მასალა მეფუტკრეობის ძველი ფორმების აღდგენისათვის.[30] შინაურ მეფუტკრეობას გარდა წმინდა სამეურნეო მნიშვნელობისა, ფართო გამოყენება უნდა ჰქონოდა მეტალურგიაშიც. ბრინჯაოს ნივთების დასამზადებლად იყენებდნენ ცვილს.[31]

მეურნეობაში გარკვეულ როლს ასრულებდა აგრეთვე მებაღეობა-მებოსტნეობაც. ბრინჯაოს თოხების ნაირი ფორმა და ზომა მათი სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებით განისაზღვრებოდა. სამხრეთ კოლხეთში გამოვლენილ განძებში უკვე კარგად გამოირჩევა თოხის სხვადასხვა სახეობა. უფრო მოზრდილი ცალები ალბათ, უპირატესად მიწის დასამუშავებლად გამოიყენებოდა, მომცრო, ეგები, **უფრო საბაღე და საბოსტნე მეურნეობაში.**

კოლხეთის დაბლობის ფართო ათვისებამ, სოფლის მეურნეობის ინტენსიურმა ხასიათმა კოლხეთის სამხრეთ ნაწილში, კიდევ მეტად შეუწყო ხელი საზოგადოების დაწინაურებას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიჭარბე ხელს უწყობდა სამეურნეო სამუშაოებიდან საზოგადოების ერთი ნაწილის განთავისუფლებას და სხვა საქმიანობაში უფრო მეტად ჩაბმას, რამაც ხელოსნობის სხვადასხვა დარგის თანდათანობითი დაწინაურება გამოიწვია. ერთი ნაწილი მოსახლეობისა, ჩანს, საკმაოდ მყარად ებმება მეტალურგიულ საქმიანობაში, სადაც უკვე დიფერენცირებული შრომა უნდა ყოფილიყო მადნის მოპოვება, ლითონის დამუშავება, ნივთების დამზადება და ბოლოს მათი რეალიზაცია. მეორე დარგი, რომელიც დახელოვნებულ ოსტატებს აერთიანებდა ხით ხურობა იყო. ტყით უხვ კოლხეთში ხეს სამეურნეო ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა. მიწის დასამუშავებელი ლითონის იარაღების გვერდით, გვხვდება სადურგლო იარაღი. გარდა სამშენებლო საქმისა, ხე ფართოდ გამოიყენებოდა მეჯურ-

---

[29] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II. გვ. 255.

[30] ა. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 68.

[31] იქვე, გვ. 202.

ჭლეობაში, სანაოსნო საქმეში, მეტალურგიაში და სხვ.[32] შრომის მაღალი ორგანიზაცია სოფლის მეურნეობაში, სახელოსნო საქმეში, ჭარბი პროდუქციის სწორი განაწილება და მისი რეალიზაცია ქვეყანას საკმაოდ მყარ ეკონომიკურ ბაზას უქმნიდა.

შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების პირობები, დაწინაურებული მეურნეობა და სხვ. უთუოდ ხელს უწყობდა მოსახლეობის რიცხვის ზრდას. როგორც ჩანს, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ბოლოსათვის მოსახლეობამ შნიშვნელოვნად იმატა, ამ დროისათვის უკვე მრავლად გვხვდება შრომის იარაღები, იმატა განძების რიცხვმა. კოლხეთის დაბლობის ინტენსიურად ათვისებამ საზოგადოების ეკონომიკურად მომძლავრებას შეუწყო ხელი, თითქმის მთელ კოლხეთში ფართოდ ვრცელდებოდა წამყვანი სამეურნეო იარაღი. ეს არ იყო მზა პროდუქციის შეტანა კოლხეთის სხვადასხვა მხარეში. ჩანს, სამეურნეო იარაღის გავრცელებასთან ერთად ქვეყნის შიგნით მოსახლეობის გადაადგილებაც ხდება. ამ პროცესში სამხრეთ კოლხეთში მსხდომი ტომების ჰეგემონობით მთელი კოლხი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას და თანდათანობით ერთიანი კოლხური კულტურის ჩამოყალიბება და მისი ფართოდ განფენა ხდება. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის მთელი კოლხეთის, მისი მთისა და ბარის ფართო ათვისებამ, უთუოდ ხელი შეუწყო მის სამხრეთ ნაწილში საზოგადოების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას და პირველყოფილი თემური წყობილების შიგნით იქმნება პირობები მიის საბოლოო რღვევისა. კოლხეთის შიდა ნაწილებში და მით უმეტეს მთის ზოლში საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩანს ამ პროგრესისათვის სათანადო პირობები, ჯერ კიდევ არ შეიქმნა. ამიტომაც აქ სხვადასხვა კუთხეში თავისებური ვითარება იქმნება, რამაც თავისი გამოხატულება კულტურაშიც პოვა და თანდათანობით წკრილი და უფრო მსხვილი ლოკალური ვარიანტები ისახება.

როგორც ჩანს, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსთვის კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში შემოდის სამხრეთით მდებარე ოლქების საკმაოდ დიდი ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში. სადღეისოდ კოლხური კულტურის სამხრეთ-დასავლეთ გავრცელების უკიდურესი საზღვარი ქ. ორდუმდე აღწევს თურქეთში. აქ ნაპოვნი იყო ბრინჯაოს ნივთების განძი, რომელიც შედგებოდა კოლხური ცულებისა, წალდისა და ბრტყელი ცულისაგან.[33] კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები აღმოჩნდა ართვინის განძში, რომელიც შედგებოდა კოლხური ცულებისა, სეგმენტისებური იარაღებისა, თოხისა და ვერტიკალურ ხვრელიანი ცულისაგან.[34] სამხრეთ-აღმოსავლეთით კოლხური კულტურის გავრცელების საზღვარი ყარსის მხარემდე აღწევდა, სადაც მეხჩის ციხესთან აღმოჩნდა განძი, შემდგარი კოლხური და აღმოსავლურ-ქართული კულტურებისათვის დამახასიათებელი ნივთებისაგან[35]. როგორც ჩანს, ეს მხარე გვიანბრინჯაოს ხანის ამ ორი კულტურის შეხვედრის ასპარეზი იყო. შეიძლება, რომ ეს ოლქი ადრე კოლხური კულტურის სფეროში იყო მოქცეული და შემდეგში ხდება აქ აღმოსავლურ-ქართული კულტურის მომძლავრება. აქ დაახ-

[32] ა. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

[33] St. Przeworski, დასახ. ნაშრომი, 396.

[34] К. Биттел, Бронзовые предметы из артаинского клада, Изв. Института языка, истории и материальной культуры, т. II, Тб., 1938, გვ. 257.

[35] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, Вестник Гос. музея Грузии, т. XII—В, Тб., 1944, გვ. 327.

ლოებით ისეთივე სურათი ისახება, როგორსაც შიდა ქართლში ვხვდებით, სადაც ამ დროისათვის აღმოსავლურ-ქართული კულტურის გავლენამ იმატა.

კოლხეთის შიდა ოლქებში, ზღვისპირა მხარესთან შედარებით ცხოვრების ერთგვარად განსხვავებული პირობები იყო, მაგრამ მეურნეობის ხასიათში მათ შორის მაინცდამაინც დიდი სხვაობა არ უნდა ყოფილიყო. აქაც მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება ჩანს. კარგადაა ათვისებული ამ ხანაში რიონ-ყვირილის აუზი როგორც იმერეთის ბარი, ისე მისი მთისწინეთი. იმერეთის ბარის, რომელიც უშუალოდ ეკვრის კოლხეთის დაბლობს, ათვისება ჯერ კიდევ კოლხური კულტურის ადრინდელი საფეხურიდან იწყება. აქ თანდათანობით ფართოდ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო იარაღები. კარგადაა ცნობილი, უპირატესად მის ბარის ნაწილში, ამ პერიოდის განძები (ობშკვითის, სიმონეთის, ოჯოლის, გორის და სხვ. განძები). ეს განძებიც შედგებიან სეგმენტისებრი იარაღის, კოლხური თოხისა, კოლხური ცულისა და სხვ. ნაპოვნია აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ბრტყელი ცული. რიონის შუა წელის აუზშიც უპირატესად კოლხური ცულის მახვილყუიანი ტიპი იყო გავრცელებული. ცული დაწახნაგებული ყუით ნაკლებადაა ცნობილი აქ, ორგზის ტანში მოხრილი კი მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ოჯოლის განძში. კარგადაა წარმოდგენილი სეგმენტისებრი იარაღი იმერეთის ბარში როგორც განძებში, ისე შემთხვევით აღმოჩენებში. ბევრია აგრეთვე თოხებიც. წალდი სადღეისოდ აქ მხოლოდ ორგანაა ნაპოვნი დაბლაგომში და სიმონეთის განძში.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის მსგავსად არც აქაა მაინცდამაინც ცნობილი საბრძოლო იარაღები ალბათ იგივე მიზეზით, რომ მასალა უპირატესად განძებიდან მომდინარეობს და ამ დროის სამარხეული კომპლექსები ნაკლებადაა აღმოჩენილი. სადღეისოდ იმერეთის ბარიდან სულ რამდენიმე შუბისა და სატევრის პირია ცნობილი, უპირატესად შემთხვევით აღმოჩენილი. აღსანიშნავია ჩხარის მახლობლად ნაპოვნი შედარებით დიდი ზომის, ფართოქედიანი სატევრის პირი, რომელიც კარგადაა ცნობილი კოლხურ კულტურაში. საფიქრებელია, რომ ეს მხარეც საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჭოროხის მეტალურგიულ კერასთან. კოლხური კულტურა აქ გავრცელებას იწყებს მისი ჩამოყალიბების შემდეგ აღრეულ ხანაში. ამ მხარეში კოლხური კულტურის წამყვანი იარაღის პროტოტიპები ცნობილი არ არის. აქ ნაპოვნია კოლხური ცულის ადრეული ფორმები (სოფ. ღვედიდან და მის განძიდან და სხვ.) და საერთოდ, როგორც ჩანს, მისი ფართო ათვისება კოლხური სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოქმნის შემდეგ იწყება.

კოლხეთის ბარი და მთისწინა ზოლი რიონის ზემოთ შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი და არც შემთხვევით აღმოჩენილი მასალაა მაინცდამაინც ცნობილი. განძებიდან აღსანიშნავია სოფ. ოროლუში (ზუგდიდის რ-ნი) ნაპოვნი ძირითადად სეგმენტისებრი იარაღისაგან შემდგარი განძი. კოლხური ცულებიდან აქ უპირატესად გვხვდება მახვილყუიანი და დაწახნაგებულყუიანი ცულები. აღსანიშნავია სოფ. თაგილანთან ნაპოვნი განძი, რომელშიც მახვილყუიანი კოლხური ცულის ლითონის ყალიბები აღმოჩნდა. თოხი აქ შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. აღსანიშნავია სოფ. ჯვარში ნაპოვნი რომბისებრი მოყვანილობის ორი თოხი. ბრტყელი ცული აქ მახარიაში აღმოჩნდა — ერთი მხრებიანია სამხრეთ კოლხეთისათვის დამახასიათებელი, მეორე კოტეანი კარგად ცნობილი რაჭა-ლეჩხუმში. წალდი სადღეისოდ საერთოდ არ გვხვდება, არც

ამ ხანის საომარი იარაღებია მაინცდამაინც აღმოჩენილი. საყურადღებოა, რომ ამ მხარეში მრავლადაა ნაპოვნი ბრინჯაოს ზოდები (სოფ. ჯვარი. ხეთა, წალენჯიხა, გალი და სხვ.). ჯერ კიდევ გარკვევით ძნელი სათქმელია, ეს ზოდები ადგილობრივი წარმომავლობისაა თუ სხვა მხრიდან შემოტანილი. საფიქრებელია, რომ იგი ლითონით მეზობელი რაიონებიდან მარაგდებოდა. ეგებ, უფრო სვანეთიდან. ადგილობრივი რაიმე ნაშთი ძველი წარმოებისა დღემდე ცნობილი არ არის და ასეთი დიდი რაოდენობა ზოდებისა სავარაუდებელს ხდის, რომ ეს რაიონი გარედან მარაგდებოდა ლითონით, ნივთების დამზადება კი შემდეგ ადგილზე ხდებოდა. ამას თითქოს მოწმობს თაგილონში ნაპოვნი კოლხური ცულის ლითონის ყალიბები და ნივთების ქიმიური შედგენილობა, რომელიც ერთგვარად განსხვავებულია სხვა მხარეების ლითონისაგან.[36] არსებული მასალით ისე ჩანს, რომ კოლხური კულტურის გავრცელება, ამ მხარის ათვისება ძირითადად ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან იწყება. აქ ჯერჯერობით ცნობილი არ არის ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ადრეული იარაღები. აღსანიშნავია, რომ ეს მხარე არც ბრინჯაოს კულტურის უფრო ადრეულ საფეხურზეა მაინცდამაინც დასახლებული. საფიქრებელია, რომ თავისებური პირობები აფერხებდა მის საცხოვრებლად ინტენსიურად გამოყენებას. ამის მიზეზი. ეგებ, ხშირი მცენარეული საფარი იყო და ლითონის სათანადო იარაღის შემუშავებამდე მისი ათვისება გაძნელებული იყო. ცხოვრება აქ უფრო ზღვისპირა ზოლში, დაბლობში რიონ-ენგურის შუამდინარეთში ჩანს.

ფართოდ ვრცელდება კოლხური კულტურა ჩრდილო აღმოსავლეთის მთისპირეთის იმერეთის ზეგანზე, ყვირილის ხეობაში, რიონისა და ცხენისწყლის აუზში. გვიანბრინჯაოს ხანაში ყვირილის აუზიდან რამდენიმე შედარებით გვიანი პერიოდის განძია ცნობილი (ჭალის, კალვათის, პერევის და სხვ.). კოლხური კულტურის სამეურნეო იარაღიდან აქ უფრო მეტად თოხი გვხვდება. აღსანიშნავია სოფ. ითხვისში ნაპოვნი თოხის ჩამოსასხმელი ყალიბი. სეგმენტისებური იარაღი თითო-ოროლაა ნაპოვნი. შედარებით მეტია კოლხური ცულები; მათგან ჭარბობს გიბრიდული ფორმა, რომელსაც მახვილი ყუა აქვს, პირის მოყვანილობით კი დაწახნაგებულყუიან კოლხურ ცულს უახლოვდება. ეს ტიპი ცულისა უფრო გავრცელებული ჩანს კოლხეთის შიდა და მთის ნაწილში — რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში და სხვ. იგი შედარებით მოზრდილია, ტლანქია და ჩანს, უპირატესად სამეურნეო მიზნისათვის იხმარებოდა.

ყვირილის ზემო წელის აუზიდან კარგადაა ცნობილი საბრძოლო იარაღი შემთხვევით აღმოჩენილი — სატევრისა და შუბის პირები. საჩხერეში ნაპოვნია რამდენიმე ფოთლისებური სატევრის პირი. ეს ფორმა დასავლურ-ქართულ კულტურაში იშვიათია. იგი კარგადაა წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით შიდა ქართლში, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე. სოფ. ქორეთში შემთხვევით აღმოჩენილ კოლექციაში ამ ტიპის ერთი სატევრის პირია, რომელიც ზუსტად იმეორებს სამთავროს სამაროვანზე უძველეს ორმოსამარხში ნაპოვნ ამგვარსავე იარაღის ფორმას. ამ კოლექციის სხვა ნივთებიც პოულობენ მსგავსებას აღმოსავლეთ საქართველოს მასალებში — მასრაგახსნილი შუბისპირი, თავხვია საკინძი და ნახევრადოვალური ბალთა. ყვირილის ხეობის ზედა წელი ამ პერიოდში ჩანს საკმაოდ ძლიერ გავლენას განიცდის შიდა ქართ-

[36] დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

ლისას.[37] აღსანიშნავია სოფ. დურებში და ნიქოზეთში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები. დურების კოლექციაში რამდენიმე შუბისა და ხელშუბის პირია, სამი სატევრის პირი და ერთი გიბრიდული კოლხური ცული. სატევრის პირებიდან ერთი შედარებით მოზრდილია ფართო ქედით და მოკლე ყუნწით. განიერი, მკვეთრი, დაღარული ქედი და მაღალი ვიწრო ყუნწი აქვს ორ სატევრის პირს, რომლებსაც ფორმით უახლოვდება ნიქოზეთის კოლექციაში ნაპოვნი ამგვარივე იარაღი და ერთი მოზრდილი სატევარი აღმოჩენილი ჩხარის რაიონში, ნაქალაქარზე. ფორმით მათთან ახლო დგას ჩრდილო-დასავლეთით კოლხეთში, აფხაზეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი სატევრის პირები. მსგავსი სატევრის პირები ცნობილია აგრეთვე შიდა ქართლში სოფ. ზინდისიდან და თლის სამაროვნიდან.[38] თრიალეთში ბეშთაშენის ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნი იყო ასეთივე ტიპის იარაღი.[39] შესაძლოა ეს ფორმა სატევრის პირისა კოლხური კულტურის წიაღშია წარმოქმნილი და, ეგებ, ყვირილის აუზის რეგიონიდან აღმოსავლეთ საქართველოს მეზობელ მხარეებში გავრცელდა. დურების კოლექციაში კიდევ ერთი სატევრისპირი აღმოჩნდა, რომელიც თავისი ფორმით შიდა ქართლში გავრცელებულ, განსაკუთრებით სამთავროს სამაროვანისათვის დამახასიათებელ ფოთლისებრ სატევრის პირებს უახლოვდება.

დურებში ნაპოვნი ორივე შუბისპირი დაახლოვებით ერთი ტიპისაა, გრძელი, გახსნილი მასრით, ოღონდ პირის მოყვანილობა მათ ერთგვარად განსხვავებული აქვთ — ერთს ფოთლისფერი, მეორეს კი წვერისაკენ შევიწროებული. შუბისპირები გრძელი, გახსნილი მასრით გვიანბრინჯაოს ხანაში დამახასიათებელია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში შუბისპირები შეუკრავი მასრით ჯერ კიდევ წინარე ხანის, თრიალეთის კულტურაში გვხვდება. შემდეგში აქ ეს ფორმა შუბისპირისა ფართოდ ვრცელდება შიდა ქართლში. ამ ტიპის იარაღი კარგადაა წარმოდგენილი სამთავროს სამაროვანზე თლის სამარხებში, თრიალეთში ბეშთაშენის სამაროვანზე და სხვ. კოლხეთისათვის ამ ხანაში დამახასიათებელი ჩანს შუბისპირები გრძელი, ძლიერ გახსნილი მასრით, რომლებსაც პირი შედარებით მოკლე აქვთ, ზოგს ფოთლისებური, ზოგს კი უფრო შევიწროებული, მკვეთრი შუაქედით, ხშირად რამდენიმე ღარით. მათ ვხვდებით ეშერის და ბრილის სამაროვანზე, უდეს განძში, სამხრეთ-დასავლეთ-კოლხეთში ურეკში, ციხისძირში და სხვ. როგორც ჩანს, შუბისპირის ეს ფორმა კოლხეთში შიდა ქართლიდან ვრცელდება ჯერ მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შემდეგ კი თითქმის მთელ კოლხეთში, სადაც იგი ერთგვარად თავისებურ იერს იღებს. ეს ტიპი ამ იარაღისა ყველაზე უფრო დამახასიათებელი ხდება კოლხური კულტურისათვის არსებობის მთელ მანძილზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლხურ კულტურაში შუბისპირების კიდევ ერთი ფორმა გვხვდება მასრაგახსნილი, მოგრძო წელში გამოყვანილი, ალისებრი მოყვანილობის პირით.[40] ალისებრპირიანი შუბისპირები თითქმის მთელ კოლხეთში გვხვდება როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე მის შიდა მხარეებში. ვხვდებით

---

[37] დ. ქ ო რ ი ძ ე, საჩხერის რაიონის მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები, თბ., 1961, გვ. 15.

[38] Б. В. Т е х о в, Центральный Кавказ в XVI—X вв. до н. э.., М., 1977, გვ. 96.

[39] Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, табл. L.

[40] დ. ქ ო რ ი ძ ე, ალისებრი შუბებისა და ხელშუბების გავრცელების არეალისა და გენეზისის საკითხისათვის, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXIX B, თბ., 1972, გვ. 34.

მათ აგრეთვე შიდა ქართლში, სადაც მათი გავრცელების უკიდურესი საზღვარი სამთავროს სამაროვანია. სამხრეთით ალისებრი შუბისპირი ყარსის მხარეს აღწევს. ამ ტიპის აღრეულ შუბისპირებს ეტყობათ ჩამოსხმის შემდეგ გამოჭედვის კვალი. უფრო მოგვიანო ცალები შედარებით უფრო კოხტებია და რაც მთავარია უმრავლესობას მასრა შემკული აქვთ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი გრავირებული ორნამენტით. თუ ამას დავუმატებთ, რომ პირის მოყვანილობით ეს იარაღი ამავე არეალში გავრცელებულ ალისებრი სატევრის პირებს უახლოვდებიან, მაშინ შეიძლება ღავუშვათ, რომ ეს შუბისპირები კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში შექმნილი ტიპია იარაღის.

დურების კოლექციაში აღმოჩენილი ხელშუბის პირების ორივე ტიპი — ვიწროპირიანი და ფოთლისებრპირიანი, ჩანს, შიდა ქართლიდან უნდა გავრცელებულიყვნენ, სადაც კარგადაა ცნობილი ამგვარი იარაღი. როგორც ჩანს, ყვირილის აუზი კოლხური კულტურის არეალში შედიოდა, ოღონდ აქ მსხდომ ტომებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ შიდა ქართლთან, განსაკუთრებით მის ჩრდილო ზოლის მოსახლეობასთან. ისევე როგორც ადრე ამ დროსაც ამ მხრიდან ხორციელდებოდა ძირითადად ურთიერთობა შიდა ქართლთან და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან. როგორც ჩანს, თავისებური პირობების გამო მიწათმოქმედების გვერდით საკმაოდ მაღლა უნდა მდგარიყო მესაქონლეობაც და, ეგება, ამიტომაა, რომ კოლხური სამიწათმოქმედო იარაღი ამ მხარეში შედარებით ნაკლებად გავრცელდა. შიდა ქართლის გავლენით ვრცელდება აქ საომარი იარაღის ზოგიერთი ფორმა, რომლებიც შემდეგში თავისებურ იერს იღებენ. შესაძლოა, რომ აქ განაგრძნობს არსებობას ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში წარმოქმნილი კერა მეტალურგიისა.

კოლხური კულტურის ხანაში ფართოდაა ათვისებული რიონისა და ცხენისწყლის შუა და ზედა წელის აუზები რაჭა და ლეჩხუმი. კარგადაა ცნობილი რაჭაში, მის ქვედა ნაწილში განძები — ქვიშარის, თხმორის, სინათლის, ტოლას და სხვ., რომლებიც ძირითადად კოლხეთისათვის დამახასიათებელი სამეურნეო იარაღებისაგან შედგება. კოლხური კულტურის არც ერთ მხარეში ისე სრულად არ არის წარმოდგენილი ყველა ძირითადი ტიპი კოლხური ცულისა, როგორც რაჭა-ლეჩხუმში. აქ გვხვდება ყველა ძირითადი ტიპი კოლხური ცულისა. წელში ორმხრივ მოხრილი ცული კოლხეთში სადღეისოდ ძირითადად აქედანაა ცნობილი.

რაჭაში აღმოჩენილ განძებში თოხი და სეგმენტისებური იარაღი ჭარბობს და აქ მათი თითქმის ყველა ვარიანტი გვხვდება.[41] ქვიშარის განძში ნაპოვნი იყო ერთი ნამგალი.[42] აღსანიშნავია რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებული ბრტყელი ცული, რომელიც ხასიათდება სწორი თავისკენ ოდნავ გაფართოებული ტანით, რომელსაც ზედა ნაწილზე აქეთ-იქით თითო შვერილი აქვს. პირი მას თითქმის სიმეტრიული აქვს კოლხური ცულის ერთ-ერთი ვარიანტის მსგავსად. რაჭა-ლეჩხუმის გარდა კოლხეთის სხვა მხარეში ეს ცული ცნობილია მხოლოდ სვანეთიდან.[43] ერთი ამ ტიპის ბრტყელი ცული აღმოჩნდა თლის სამაროვნის ერთ-ერთ

---

[41] ო. ღამბაშიძე, თხმორის განძი, თბ., 1963, გვ. 10.

[42] Г. К. Ниорадзе, Археологические находки в с. Квишари, СА, XI, М.—Л., 1949.

[43] შ. ჩართოლანი, მასალები სვანეთის არქეოლოგიიდან, თბ., 1976, გვ. 83.

სამარხში[44]. შესაძლოა კოტებიანი ბრტყელი ცულების ეს ვარიანტი რაჭა-ლეჩხუმის მხარეში ჩამოყალიბდა.[45]

რიონის ხეობაში, ქვემო რაჭაში ინტენსიური დასახლება იწყება კოლხეთის ბარის შიდა ოლქების ათვისებასთან ერთად. რაიონის ხეობაში ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო და აქ მსხდარი ტომები თანდათანობით წინაურდებიან და ამ ხეობის ზედა ნაწილსაც ითვისებენ. აღსანიშნავია ზედა რაჭაში ონთან სოფ. ღებში შემთხვევით ნაპოვნი ერთი კოლექცია, რომელიც შედგება როგორც კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი იარაღებისაგან, ისე შიდა ქართლის ჩრდილო ზოლის მთიანეთში გავრცელებული ნივთებისაგან.[48] აქ კოლხური ცული და კოტებიანი ბრტყელი ცულის გვერდით, გვხვდება არქაული ტიპის სატევრისპირები თლის სამაროვნისათვის დამახასიათებელი. თავისებური ცული, ფართო სიმეტრიული პირით, რომელიც ფორმით ცხინვალის განძის ცულს უახლოვდება[47]. ბრინჯაოს ლახტისთავი ოთხი კონუსისებური შვერილით, მართალია რამდენადმე განსხვავებულია, მაგრამ მაინც ფორმით თლის სამაროვნის ლახტის თავებს უახლოვდება ქინძისთავები ორკაპა ან სამკაპა ოვალური ლურსმნისებური თავით იმეორებენ თლიში და სტირფარში ნაპოვნ ცალებს და როგორც ჩანს, რიონის ხეობაში აქედან ვრცელდებიან. ღარის კოლექციაში ორი სპირალურბოლოიანი კავი აღმოჩნდა, ისეთივე როგორიც თლისა და სტირფარსის სამაროვნებზე გვხვდება.[48] მსგავსი კავები ცნობილია შიდა ქართლის უფრო დაბლობ მხარეებში და აგრეთვე აფხაზეთში.[49] ვხვდებით მათ აგრეთვე ყობანშიც. ცხოველთა ქანდაკებები ღარის კოლექციიდან ბევრ საერთოს პოულობენ შიდა ქართლის მასალებთან.

რაიონის ზემო წელზე, სოფ. ღებთან ბრილის სამაროვანზე აღმოჩნდა ძვ. წ II ათასწლეულის ბოლოსი და I ათასწლეულის დასაწყისი ხანების სამარხები სამი ტიპისა — ორმოსამარხები, ქვაყუთები და სპეციალურად მოწყობილი დასაკრძალავი მოედნები, სადაც ასამდე მიცვალებული იყო დაკრძალული[50]. ამ მოედნებზე სრულდებოდა მიცვალებულის ნაწილობრივი დაწვა ინვენტართან ერთად. სამარხებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი იარაღ-საჭურველი და სამკაული. იარაღებიდან გვხვდება — ცული და სატევრისპირი. შუბისპირები ამ დროის სამარხებიდან ითქმის სრულიად ქრება. კერამიკა შედარებით ცოტაა ჩარხებზე ნაკეთები წითლად ან შავად გამომწვარი. გამოჩენას იწყებს აგრეთვე ლითონის ჭურჭელიც. როგორც ჩანს, რიონის აუზის ზედა ნაწილი უფრო მეტად დაკავშირებული იყო ცენტრალური კავკასიონის სამხრეთის კალთებზე, შიდა ქართლის ჩრდილო ზოლის მთიანეთთან. ბრილის სამაროვანზე მოპოვებული მასალა ბევრ საერთოს პოულობს თლის სამარხებში გამოვლენილ ნივთებთან. სიახლოვე შეინიშნება აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ყობანის კულტურასთანაც.

---

[44] Б. В. Техов, დასახ. საშრომი, გვ. 115.

[45] О. М. Джапаридзе, Бронзовые топоры Западной Грузии, გვ. 294.

[46] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, გვ. 45.

[47] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, გვ. 332.

[48] Б. В. Техов, Стырфарские кромлехи, Тб., 1974, გვ. 25

[49] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, გვ. 147.

[50] გ. გობეჯიშვილი, დასავლეთ საქართველოს კულტურა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 26.

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სამიწათმოქმედო იარაღი რიონის ხეობის ზედა ნაწილში თითქმის არ გვხვდება. აქ მაღალმთიან ზოლში მეურნეობის ძირითადი დარგი, ჩანს მესაქონლეობა უნდა ყოფილიყო. ამ დროის სამარხებში კარგადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ცხოველთა ბრინჯაოს ქანდაკებები. რიონის ხეობის ქვედა ნაწილი, ქვედა რაჭა უფრო კოლხეთის ბართან და მთისწინეთთან იყო დაკავშირებული.

ამ დროს მეტალურგია საკმაოდ მაღალ საფეხურზე უნდა მდგარიყო. ღებისა და ურავის მიდამოებში დამოწმებულია მრავალრიცხოვან ძველ საბადოთა ნაშთები, მაღაროები და შტოლნები, საიდანაც სხვადასხვა მადნეული გამოჰქონდათ — სპილენძი, ანტიმონი, დარიშხანი და სხვ. სამთამადნო წარმოება, ჩანს საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. აღმოჩენილია სხვადასხვა იარაღები მადნის მოპოვებასთან დაკავშირებული — ქვის მძიმე ურიები, როდინები, ხის გოგები მადნის გამოსატანად, ხის ნახშირის ნაშთები და სხვ. მაღაროთა მახლობლად ხდებოდა მადნის შემდგომი დამუშავების პროცესი[51]. ნაპოვნია ძველი ღუმელების ნაშთები, ჩამოსასხმელი ყალიბების ნატეხები და სხვ. ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში დაწყებული სამთამადნო წარმოება, კოლხური კულტურის დროს კიდევ უფრო გაზრდილა და გაძლიერებულა.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან ლეჩხუმშიც, ცხენის წყლის ხეობაში უნდა არსებულიყო საკმაოდ მძლავრი მეტალურგიული კერა, რომელიც რაჭასთან ერთად კოლხური კულტურის ხანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და კოლხეთის ბარსაც ამარაგებდა ლითონით; მართალია, ლეჩხუმში ჯერჯერობით მიკვლეული არ არის ძველი სამთამადნო წარმოების ნაშთები, მაგრამ აქ მთელ რიგ ადგილებში დამოწმებულია სპილენძის გამოსავლები, რომლებსაც ძველად შესაძლოა გარკვეული საწარმოო მნიშვნელობა ჰქონდათ[52]. ამას თითქოს უნდა მოწმობდეს აქ ნაპოვნი ძველი წარმოების ნაშთები — წიდები, სპილენძის ზოდები, თიხის გამოსადნობი ჭურჭლის ნატეხები და სხვ.[53] ლეჩხუმიდან კარგადაა ცნობილი ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძები, რომლებიც უპირატესად თითქმის უხმარი ნივთებისაგან შედგებოდნენ და განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივ ე. წ. „მდნობელთა განძებისაგან", სადაც თავმოყრილი იყო ხმარებიდან გამოსული ნივთები. არც ლეჩხუმიდანაა სადღეისოდ ცნობილი ამ დროის ნამოსახლარები და სამაროვნები და განძებში შემავალი მასალების საფუძველზე ხდება შესაძლებელი კოლხეთის ამ მხარის თავისებურებებზე ლაპარაკი.

• ლეჩხუმის განძებში შემავალი ბრინჯაოს ნივთები კარგადაა ნაკეთები, გამოირჩევიან თავისი დაცულობით და ხშირად შესანიშნავი პატინითაა დაფარული, რაც შესაძლოა ამ მხარის მელითონეთა ოსტატობაზე მეტყველებდეს[54]. ლეჩხუმის განძებიდან აღსანიშნავია ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის დასაწყისი ხანებით დათარიღებული განძები — ცაგერის, ოყურეშის, ლაილაშის, ლუხვანოს, და სხვ. ყველაზე მეტად ლეჩხუმის განძებში კოლხური ცულია წარმოდგენილი, რომელიც გამოირჩევა თავისი დახვეწილი ფორმით და მისი თითქმის ყველა ტიპი გვხვდება: კოხტა, დახვეწილი ფორმით ხასიათდება

---

[51] Г. Ф. Гобеджишвили, Памятники древнегрузинского горного дела и металлургии в верховьях р. Риони, Изв. АН ГССР, т. XIII, № 3, Тб., 1952, გვ. 186.

[52] ლ. სახაროვა, ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბ., 1976, გვ. 24.

[51] დ. ქორიძე, კოლუხრი კულტურის ისტორიიდან, გვ. 145.

[54] იქვე.

რაჭა-ლეჩხუმისათვის დამახასიათებელი კოტებიანი ბრტყელი ცული. კარგადაა წარმოდგენილი ამ განძებში აგრეთვე მიწის დასამუშავებელი იარაღი — თოხი და სეგმენტისებური იარაღი. ცაგერის განძებში ორი უყუნწო ნამგალი აღმოჩნდა. აღსანიშნავია ოყურეშის განძში ნაპოვნი კომბინირებული იარაღი ცულ-ნამგალა. ამ ტიპის იარაღი სადღეისოდ მხოლოდ ცხინვალის განძშია აღმოჩენილი. ეს იარაღი ერთდროულად ცულისა და სასხლავის როლს ასრულებდა და კოლხეთის სინამდვილეში იგი საკმაოდ ეფექტური სახმარი იქნებოდა, ეგებ, უფრო მის შიდა რაიონებისათვის, სადაც წალდი თითქმის არ გვხვდება.[55] როგორც ჩანს, ცხენისწყლის ხეობაში მიწათმოქმედებისათვის კარგი პირობები უნდა ყოფილიყო და მეურნეობის ეს დარგი აქ საკმაოდ განვითარებული იყო. ეს რაიონი ქვემო რაჭასთან ერთად, ჩანს დაკავშირებული იყო კოლხეთის დაბლობ მოსაზღვრე მხარეებთან. წყალტუბოს მახლობლად სოფ. ოჯოლაში აღმოჩნდა ერთი განძი, რომელიც თავისი შედგენილობით ახლო დგას ლეჩხუმის განძებთან.

ლეჩხუმი, ქვემო რაჭასთან ერთად კოლხური კულტურის ხანაში, ჩანს, ერთ საწარმოო ცენტრს შეადგენდა, სადაც მეურნეობის ძირითადი დარგი მიწათმოქმედება იყო. რაიონის ზედა წელის მხარე ამ დროისათვის უფრო მეტად დაკავშირებული ჩანს ცენტრალურ კავკასიასთან — ყობანის კულტურასთან, შიდა ქართლის ჩრდილო ზოლის მთიან ნაწილთან, სადაც თლისა და სტირფარსის სამაროვნებზე გამოვლენილი მასალა ბევრ საერთოს პოულობს ბრილის სამარხეულ ინვენტართან. აქ მსხდომი ტომებისათვის მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო და ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას სამთამადნო წარმოება შეადგენდა. რაჭა-ლეჩხუმის საწარმოო ცენტრი ლითონით ძირითადად აქედან მარაგდებოდა.

საბრძოლო იარაღიდან ლეჩხუმში მხოლოდ რამდენიმე შუბისპირია ცნობილი. სადღეისოდ არ არის ცნობილი აქედან კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ისეთი იარაღი, როგორიც სატევრის პირია, ალბათ, იმის გამო, რომ მასალა ძირითადად განძებიდანაა წარმოდგენილი და სხვა ხასიათის ძეგლები ჯერჯერობით არ გვხვდება. სურმუშის განძში ერთი ალისებრი შუბისპირი აღმოჩნდა, საკმაოდ არქაული წესით დამზადებული. ლეხვანოს განძში სამი მასრაგახსნილი შუბისპირი იდო, რომლებიც ფორმით უფრო შიდა ქართლში გავრცელებულ იარაღს უახლოვდებიან. ლეჩხუმში ჯერჯერობით კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი გრძელმასრიანი შუბისპირი არ აღმოჩენილა. აღსანიშნავია, რომ ლეხვანოს განძის ერთ-ერთი შუბისპირის და ცაგერის განძის შუბისპირის მასრები შემკულია კოლხური გრაფიკული ორნამენტით.

ლეჩხუმის განძებში ხით ხურობასთან დაკავშირებული ლითონის რამდენიმე სატეხი აღმოჩნდა, დაახლოვებით ერთი ტიპისა, შეკრული მასრით. ამგვარი იარაღი კოლხეთში მაინცდამაინც არ გვხვდება. მსგავსი სატეხი ცნობილია სვანეთიდან. სამაგიეროდ მათ ხშირად ვხვდებით შიდა ქართლში. ლაილაშისა და სურმუშის განძებში ცხენის აკაზმულობასთან დაკავშირებული ნივთები აღმოჩნდა — ლაგმები, მოსართავი ბალთები და სხვ. მსგავსი ლაგმები საქართველოში და საერთოდ კავკასიაში არ გვხვდება. სამაგიეროდ ეს ტიპი ლაგმებისა კარგადაა ცნობილი კავკასიის ჩრდილოეთით. მრგვალი სამკერდე ბალთები გვხვ-

---

[55] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, зз. 323.

დება აღმოსავლეთ საქართველოში, მის მოსაზღვრე მხარეებში და ჩრდილო კავკასიაში.[56]

• ოყურეშის განძში ფართო, განივკვეთში ოვალური, სადა, თავებგახსნილი რამდენიმე რგოლი აღმოჩნდა. სავსებით ასეთივე რგოლები ცნობილია აფხაზეთიდან, ყვირილის ხეობის ზემო ნაწილიდან, პერევის განძიდან და სოფ. წოისში ნაპოვნი განძიდან, რომელიც ყვირილის სათავესთან მდებარეობს შიდა ქართლისა და იმერეთის საზღვრებზე[22]. სხვაგან ოვალურგანივკვეთიანი მასიური რგოლები სადღეისოდ ცნობილი არ არის და, ჩანს, კოლხური კულტურისათვის იყო დამახასიათებელი. ოყურეშის რგოლები ისეთივე კარგი და ლამაზი პატინით იყვნენ დაფარული, როგორითაც ამ განძის სხვა ნივთები და შესაძლოა ერთი სახელოსნოდან გამოსული ნაწარმი იყოს[58]. კოლხეთში ამ დროს თავგახსნილი სხვა რგოლებიც იყო ცნობილი, ოღონდ მრგვალი განივკვეთით.

ოყურეშის განძში ბრინჯაოს სამი სამაჯური აღმოჩნდა — ორი ბრტყელი, ერთნაირი სიგანის, თავგახსნილი, ერთი კი რელიეფური ზოლებით შემკული სპირალურბოლოებიანი. ბრტყელი სამაჯური ცნობილია ბრილიდან და ჩრდილო კავკასიიდან.[59] ბოლოებდახვეული სამაჯური კოლხეთში სულ სამია ნაპოვნი, ერთი ოჯოლის განძიდან და ორიც აფხაზეთიდან[60]. კარგადაა წარმოდგენილი ეს სამაჯური ბრილის და თლის სამაროვნებზე, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ ეს ტიპი გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიაში, ყობანის კულტურაში, საიდანაც ჩანს იგი სამხრეთით გავრცელდა.

ოყურეშის განძში კიდევ ერთი ნივთია ნაპოვნი, რომელიც აგრეთვე უფრო მთის ზოლშია გავრცელებული — მასიური ბოლოებდახვეული საყელური რგოლი, გრივნა. კოლხეთში მსგავსი სამკაული ცნობილია აფხაზეთიდან. ვხვდებით მათ კოლხეთის მთის ნაწილში ბრილის სამაროვანზე. რამდენიმე ამგვარი გრივნა თლის სამარხებშიც აღმოჩნდა, ერთიც ორნამენტირებული ცალი სტირფარსში. ამ ტიპის გრივნები კარგადაა ცნობილი აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში, ყობანის კულტურაში.

ოყურეშის განძი ლითონის მოზრდილ ჭურჭელში იყო მოთავსებული, სადაც სხვა ნივთებთან ერთად ბრინჯაოს ორი ცალყურა სასმისი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ლითონის დიდ ჭურჭელში იდო ლაილაშის ვანძიც, მაგრამ აქ მხოლოდ მისი ძირი შემორჩა. ლუხვანის განძში ერთი ცალყურა სასმისი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ლითონის ჭურჭელი უპირატესად მთიან კოლხეთში გვხვდება. კარგადაა ცნობილი ლითონის სხვადასხვა ჭურჭელი ბრილის სამაროვანზე. ამგვარი ჭურჭლის ყურე აღმოჩნდა ქვიშარის განძში. კოლხეთის უფრო დაბლობ ნაწილში ლითონის ჭურჭელი შედარებით იშვიათია. მათ ვხვდებით მთის წინა ზოლში ხარაგაულთან სოფ. ზვარეში[61], ზეკარის განძში[62]. ბრინჯაოს ჭურჭელი ნაპოვნი

---

[56] ლ. სახაროვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 28

[57] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция..., გვ. 25

[58] Б. А. Куфтин, Урартский «колумбарий» у подошвы Арарата..., გვ. 29.

[5; ლ. სახაროვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

[60] А. Л. Лукин, Материалы по археологии Бзыбской Абхазии, Труды отделения истории первобытной культуры Гос. Эрмитажа, т. I. Ленинград, 1941, табл., XI, 3; М. М. Трапш, Памятники колхидской и скифской культур в селе Куланурхва Абхазской АССР, Абгосиздат, 1962, გვ. 73.

[61] ვ. გობეჯიშვილი, დასავლეთ საქართველოს კულტურა, გვ. 289.

[62] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

იყო სამეგრელოში კურზუში, შედარებით მოგვიანო ხანის განძში, ქობულეთთან[63], აფხაზეთში ყულანურხვას სამაროვანზე[64]. აღმოსავლეთით მისი გავრცელების უკიდურესი საზღვარი ყარსის მხარეა, სადაც ამ ჭურჭლის ძირი მეხჩის ციხის განძში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ლითონის ჭურჭელი კოლხურ კულტურაში დროის საკმაოდ დიდ მანძილზე იხმარებოდა — ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან, ვიდრე ამ კულტურის ბოლომდე. მისთვის დამახასიათებელი ზოომორფული ყური კოლხეთში გავრცელებულ თიხის ჭურჭლიდან უნდა იყოს გადმოღებული.[65]

კარგადაა წარმოდგენილი ლითონის ჭურჭელი თლის სამაროვანზე — სხვადასხვა ფორმის სასმისები და ბადიები. მაგრამ აქ სრულიად უცნობია დიდი ზომის ჭურჭელი. აღმოსავლეთ საქართველოში ლითონის ჭურჭელი ცნობილია არაგვის ხეობიდან შუახევისა და ჩაბარუხის განძებში. ამიერკავკასიის სხვა მხარეებში ლითონის ჭურჭელი აღმოჩნდა ურარტულ ხანაში კარმირ-ბლურზე და იგდირის სამაროვანზე. ფართოდ იყო გავრცელებული ლითონის ჭურჭელი ძვ. წ I ათასწლეულის დასაწყისიდან ჩრდილო კავკასიაში, ყობანის კულტურაში. აქაც გვხვდება სხვადასხვა ტიპის ჭურჭელი, ზოომორფული ყურებით. ამ ტიპის ჭურჭელი საკმაოდ შორს გავრცელდა. ოყურეშის სიტულასთან საკმაოდ ახლო დგას კიევის მხარეში ნაპოვნი ლითონის ორყურა ჭურჭელი, რომელიც აქ ამიერკავკასიიდან უნდა შესულიყო[66]. ამრიგად, ლითონის ჭურჭელი კავკასიაში ძვ. წ. I ათწლეულის დასაწყისიდან ფართოდ ვრცელდება კოლხურ-ყობანური კულტურის გავრცელების არეალში. კოლხეთში იგი უფრო მისი მთის ნაწილისათვის, რაჭისა და ლეჩხუმისათვის ჩანს დამახასიათებელი. შესაძლოა, რომ ლითონის ჭურჭლის ჩამოყალიბება პირველად კოლხეთის ამ მხარეში იწყება. გარკვეული სიახლოვე კერამიკასთან, განსაკუთრებით ზოომორფული ყურების მოყვანილობა, ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა. ამასვე უჭერს მხარს ისიც, რომ სადღეისოდ უადრესი ლითონის ჭურჭელი აქაა აღმოჩენილი.

რიონისა და ცხენისწყლის ხეობაში ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან უკვე ინტენსიურადაა ათვისებული. კოლხური კულტურის წინარე ხანაში და მის ადრეულ საფეხურზედაც ეს მხარე შედარებით ნაკლებადაა დასახლებული. ქვემო რაჭიდან სადღეისოდ მხოლოდ ცულების ერთი განძია ცნობილი სოფ. ქვიშარიდან, რომელსაც შუაბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებენ. ამ დროისათვის ამ მხარეში შედარებით უფრო რიონის ზედა წელია ათვისებული მესაქონლე-მელითონე ტომების მიერ, რომლებმაც ბრილის სამაროვანის შუაბრინჯაოს ხანის სამარხები დაგვიტოვეს. რაც შეეხება ცხენისწყლის ხეობას, როგორც სადღეისოდ არსებული მასალებიდან ჩანს კოლხურ კულტურამდე ჯერ კიდევ ნაკლებად დასახლებული იყო. ჯერჯერობით აქედან მხოლოდ ერთი ყუამილიანი ცულია ცნობილი შუაბრინჯაოს ხანისა. საერთოდ კოლხეთის ჩრდილო ნაწილში, რომელიც უშუალოდ ეკვრის კავკასიონის მთავარ ქედს, ხელსაყრელი პირობები არსებობდა ერთგვარი გათიშვისათვის და კულტურის შიგნით ლოკალური თავისებურებების ჩამოყალიბებისათვის. დიდი მდინარეების ღრმა ხეობები საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიას მოიცავდნენ თავისი ბარითა და მთით; თითო-

[63] ლ. სახაროვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
[64] М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
[65] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 132.
[66] Б. Б. Пиотровский. История и культура Урарту, Ереван, 1944, გვ. 289.

ეულ ხეობათა ეკონომიკური შესაძლებლობების სწორი გამოყენება ამ ტერიტორიალური ერთეულის აღმავლობას უწყობს ხელს. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის რიონ-ცხენისწყლის შუამდინარეთში კარგი პირობები შეიქმნა იქ მოსახლე საზოგადოების დაწინაურებისათვის. ფართოდ გავრცელებულმა კოლხურმა სამეურნეო იარაღმა აქ მიწათმოქმედების წინსვლა გამოიწვია, მთაში არსებულმა პირობებმა მესაქონლეობის განვითარებას შეუწყო ხელი. ამასთანავე მას საკუთარი მეტალურგიული წარმოების შესაძლებლობა გააჩნდა და კოლხური კულტურის ხანაში აქ ერთ-ერთი ძლიერი მეტალურგიული კერა ჩამოყალიბდა. საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა მყარდება ამ მხარისა ცენტრალურ კავკასიასთან, სადაც ამ დროისათვის მნიშვნელოვანი კულტურული პროგრესი შეინიშნება. ცხოვრებისათვის თავისებურმა პირობებმა, იზოლაციისათვის არსებულმა გარემომ თანდათანობით შექმნა ვითარება კოლხური კულტურის შიგნით ლოკალური ვარიანტების ჩამოყალიბებისათვის*.

---

* გაგრძელება შემდეგ ნომერში

ცნობები და შენიშვნები

ჯემშიდ გიუნაშვილი

ირანის ისტორიული გეოგრაფია და სპარსული ტექსტოლოგიის ზოგიერთი საკითხი

საბჭოთა ტექსტოლოგიური მეცნიერების განვითარების ძირითადი მომენტია ტექსტისადმი ფორმალისტური და მექანისტური მიდგომის ელემენტების დაძლევის ტენდენცია. წამყვანი საბჭოთა ტექსტოლოგების მიერ მეცნიერული ისტორიზმის პრინციპის თანამიმდევრული გამოყენება და ტექსტის ისტორიის შესწავლისას მათი სწრაფვა „ეპოქის სულისა" და განსახილველი ნაწარმოების თანადროული ისტორიულ-კულტურული სინამდვილის გათვალისწინებისადმი მტკიცე ნიადაგს უქმნის ტექსტოლოგიას. მეცნიერების თანამედროვე დონე მოითხოვს ტექსტოლოგისაგან, რომ მას სხვა დისციპლინების გვერდით საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდეს ისტორიულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში. ტექსტოლოგი „ყველა დეტალში უნდა იცნობდეს ეპოქას, რომელსაც მიეკუთვნება ნაწარმოები"[1]. ეპოქის რეალიების არასაკმარის ცოდნას და ძველ გეოგრაფიულ სახელწოდებათა გაუთვალისწინებლობას არაერთი ვაუგებრობა წარმოუშვია ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში[2].

სპარსული ტექსტოლოგიისათვის ეს პრინციპულად მნიშვნელოვანი და მეტად აქტუალური საკითხი სპეციალური განხილვის საგანი არ გამხდარა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს კონკრეტული მასალის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე განიხილოს ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტის რამდენიმე საკითხი და ცხადყოს, რომ მეცნიერული ისტორიზმის პრინციპის პოზიციიდან კლასიკური პერიოდის სპარსულენოვანი ნაწარმოებების ტექსტის გაგებისა და შესწავლისას აუცილებელი პირობაა ირანის ისტორიული გეოგრაფიის მონაცემების გათვალისწინება.

*
* *

I. „ბორჰანის" მიხედვით (შედგენილია ინდოეთში 1651 წელს) სიტყვა may-ს სხვა მნიშვნელობათა გვერდით აქვს „ქვეწარმავალის" მნიშვნელობაც[3]. სიტყვა may „ქვეწარმავლადაა" განმარტებული აგრეთვე ი. ვულერსის, ფ. ვოლფის, მ. ღაფაროვის, ჰ. ამიდის, ი. რუბინჩიკისა და სხვათა ლექსიკონებში.

---

[1] Д. С. Лихачев, Текстология, М.—Л., 1962, გვ. 52.

[2] იქვე, გვ. 148; Е. Э. Бертельс, К вопросу о филологической основе изучения восточных памятников, „Советское востоковедение", 1955, № 3, გვ. 15; Р. К. Кикнадзе, Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и „Картлис цховреба", Тбилиси, 1980, გვ. 116—119, 125—128 და სხვ.

[3] გვ, 1963 برهان قاطع جلد چهارم ۱۳۳۵—۱۳۳۴

სიტყვა may-ის ასეთი გაგება მომდინარეობს[4] „ფარჰანგე ჯაჰანგირიდან“ (შედგენილია ინდოეთში XVII ს-ის პირველ ათწლეულში), სადაც „ქვეწარმავლის“ მნიშვნელობის დამადასტურებელ საილუსტრაციო მასალად მოტანილია may სიტყვის შემცველი ფრაგმენტი „შაჰნამედან“:

بفرمان تو مرغ و ماهی و مای

თუ ჩვენ გავიზიარებთ დასახელებულ ლექსიკონებში მოცემულ განმარტებას სიტყვა may-ის შესახებ, მაშინ ეს ფრაგმენტი შემდეგნაირად უნდა წავიკითხოთ:

be färmane to morγ o mahi yo may.

შენი ბრძანების ქვეშ (იმყოფება) ფრინველი, თევზი და ქვეწარმავალი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰ. მოინის ლექსიკონი, რომელიც მოცულობის მხრივ დასახელებულ ლექსიკონთა უმრავლესობაზე გაცილებით უფრო ვრცელია, არ შეიცავს სიტყვა may-ს აღნიშნული მნიშვნელობით. „ბორჰანის“ განმარტება ჰ. მოინს არ გამორჩებოდა მხედველობიდან, რადგან იგი ამ ლექსიკონის მეცნიერული გამოცემის ავტორია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მკვლევარი ფაქტების ბეფასებისას მაქსიმალურად იცავდა „ისტორიული კრიტიკის“ პრინციპს[5], მის მიერ may სიტყვასთან დაკავშირებით „ქვეწარმავლის“ მნიშვნელობის გამოტოვებას შემთხვევით ფაქტად ვერ მივიჩნევთ.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ტექსტების შესწავლისას „ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარალელებს სხვა ძეგლებიდან“[6]. ფახრედინ გორგანის „ვის ო რამინში“ (XI ს.) გვხვდება märγäzi, რომლის კავშირი مرغ სიტყვასთან ჯერ კიდევ ჰ. ჰორნს ჰქონდა აღნიშნული[7]:

[کردی فراموش]
همیدون زخمهای نامداران
ستوده مرغزی چابک سواران[8]

ჩემთა ლაშქართა მარლუზელთა
ნაკრავიცა დაგუწყებია[9].

ცხადია, რომ Märγ (> märγäzi—„მარლუზელი“) გეოგრაფიული სახელწოდება ყოფილა. ძვ. სპ. Margu — „მარგიანა“, შდრ. ელამ. mar-ku-iš, აქად. mar-gu-', ბერძნ. Μάργος,[10] ავესტ. Marγu/Mŏuru, ფალ. Marv [mlw], Murv [mwlw][11]; სებეოსთან Marg[12]. წინარემუსლიმურ პერიოდში გვხვდება Mourum suram artavānam — „მერვი ძლიერი, სწორი“ და Murv i zaratu-

---

[4] გვ. 52 ۱۹۷۰ عبدالحسین نوشین ، سخنی چند دربارهٔ شاهنامه

[5] Дж. Ш. Гиунашвили, О топониме Šährud в поэме Незами „Хосров о Ширин“, Сообщения АН ГССР, 98, № 3, 1980, გვ. 747.

[6] გ. წერეთელი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის, „მნათობი“, № 2, 1962, გვ. 125.

[7] P. Horn. Neupersische Schriftsprache, GrIrphil, I, 2, გვ. 50, 187.

[8] გვ. 137/8 ۲۵۳۵ ویس و رامین چاپ بانک ملی ایران

[9] ვისრამიანი, თბ., 1962, გვ. 116/30.

[10] R. Kent. Old Persian, New Haven, 1953, გვ. 202.

[11] H. Nyberg, A Manual of Pahlavi. Wiesbaden, II, 1974, გვ. 127.

[12] История епископа Себеоса, Ереван, 1939, გვ. 60.

štān — „ზოროასტრული მერვი“[13]. მაჰმადიანურ ხანაში გვხვდება სპ. Mārv-e šahgan/šaygan — „მეფური, ღირსეული მერვი“, არაბიზებული ფორმა Mārv-e šahǧan/šahiǧan — „მეფის სული მერვი“[14], 1118 წლიდან მერვის ეპითეტად მხოლოდ šahǧan/šahiǧan იხმარება[15]. ფირდოუსის დროს (X—XI სს.) ქალაქ მერვის აღმნიშვნელი სიტყვა Märγ (مرغ) წარმოადგენდა არქაულ „დიალექტურ ფორმას“[16]. ახლა ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ რას უნდა ნიშნავდეს ახალი სპარსულისათვის აგრეთვე არქაული სიტყვა May: ძვ. სპ. Māda, ელამ. ma-da, აქად. ma-da-a-a[17], ფალ. Māy, არაბ. Māh — „მიდია“[18]. ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტის ორი სიტყვა, Märγ და May ტოპონიმთა რიცხვს გახეკუთვნება.

წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსით გაფორმებული სიტყვა mahi, რომელიც თითქოს „მაჰელს“ უნდა ნიშნავდეს (და არა „თევზს“) არღვევს ამ ფრაგმენტის მხატვრულ-სემანტიკურ სიმეტრიას: „შენ გემორჩილება მერვი, მიდიელი და მიდია“. უნდა ვიფიქროთ, რომ May-სათვის „ქვეწარმავლის“ მნიშვნელობის უმართებულოდ მიკუთვნება და სხვა სიტყვის ნაცვლად mahi-ს („თევზი“) გაჩენა ამ ნაწყვეტში განპირობებული იყო იმით, რომ ფირდოუსის ქმნილების გადაწერებმა და XVII ს-ში ინდოეთში მოღვაწე ლექსიკოგრაფებმა mrγ (مرغ) კომპლექსში ამოიკითხეს არა არქაული და ხმარებიდან გამოსული გეოგრაფიული სახელწოდება Märγ — „მერვი“, არამედ მათთვის ნაცნობი, საკმაოდ გავრცელებული სიტყვა murγ—„ფრინველი, ქათამი“[19].

II. ნიზამი განჯელი „ხოსროშირინიანში“ რამდენჯერმე იხსენიებს მდინარე Šāhrud-სა და მის პირას აშენებულ ქალაქ Šāhrud-ს:

همان شهرود و آب خوشگوارش
Häman Šāhrud o abe xošgävaräš.
შაჰრუდი და მისი სასიამოვნო წყალი.

همان آرامگاه شاه به شهرود
Häman aramgahe šah be Šāhrud.
მეფის ადგილსამყოფელი შაჰრუდში.

به شهرود آمدند از رود و می مست
Be Šāhrud amädänd äz rud o mäy mäst.
შაჰრუდში ჩამოვიდნენ რუდისაგან და ღვინისაგან მთვრალნი.

---

[13] იხ. A Catalogue of the Provincial Capitals of Ērānshahr, by J. Markwart, ed. G. Messina, Roma, 1931, გვ. 45; Г. Кошеленко, Культура Парфии, М., 1966, გვ. 87.

[14] C. Barbier de Meynard, Dictionnaire geographique, historique et littéraire de la Perse, Paris, 1861, გვ. 526; Le Strange, The Lands of the Eastern Caliphate, Cambridge, 1930, გვ. 398.

[15] ვრცლად იხ. Дж. Ш. Гиунашвили, Филологические заметки, Тбилиси, 1978, გვ. 66, სქოლიო 82; მისივე, Из истории древнего Мерва, Сообщения АН ГССР, 100, № 3, 1980, გვ. 753—755.

[16] იხ. P. Horn, Neupersische Schriftsprache, გვ. 50, 167; A Catalogue of the Provincial Capitals... გვ. 45.

[17] R. Kent. Old Persian, გვ. 55.

[18] A Catalogue of the Provincial Capitals..., გვ. 67—68.

[19] იხ. გვ. 1963 IV برهان; გვ. 52—55 سخنی چند

جنیبت برلب شهرود بستند
Ǧānibāt bār läbe Šāhrud bāständ.
ცხენები შაჰრუდის პირას დააბეს.

مراآن روز شادی کرد بدرود
که شیرین را رها کردی به شهرود
Mära an ruz šadi kärd bedrud,
ke Širin ra räha kārdi be Šāhrud
მე სიხარულმა მაშინ დამტოვა,
ოდეს შირინი მიატოვე შაჰრუდში[20].

შაჰრუდი შენაკადია სეფიდრუდის, რომელიც ერთვის კასპიის ზღვას. მდინარე შაჰრუდს იხსენიებენ ისეთი ავტორები, როგორიცაა იბნ ხორდადბეჰი (IX ს.), ნასერ ხოსროვი (XI ს.) და ჰამდალაჰ მოსთოუფი (XIV ს.)[21]. ხოლო ქალაქ შაჰრუდის შესახებ ი. ვულერსი, იმოწმებს რა „ბორჰანს", აღნიშნავს, რომ იგი აშენებული იყო ხოსრო ფარვიზის (VI ს) მიერ მდინარე შაჰრუდის პირას[22].

როგორც წინა მაგალითში, აქაც აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მ. მოინი თავის ლექსიკონში არ ათავსებს „ბორჰანში" წარმოდგენილ მასალას: მის მიერ გამოცემული „ბორჰანის" 1315 გვერდზე დასახელებულია სამი ტოპონიმი — Šāhre zur. Šāhre sābz და Sāhrud, მაგრამ საკუთარ ლექსიკონში მ. მოინი ათავსებს მხოლოდ Šāhre zur-სა და Šāhre sābz-ს[23], რომლებსაც იხსენიებენ შუა საუკუნეების წყაროები. საქმე ის არის, რომ ტოპონიმ Šāhrud-ს არ იხსენიებენ ისტორიულ და გეოგრაფიულ თხზულებათა ავტორები. არ გვხვდება ეს გეოგრაფიული დასახელება „სებეოსის ისტორიაში", „VII საუკუნის ანონიმურ სირიულ ქრონიკაში", ფსევდო ხორენაცის „გეოგრაფიაში"[24]. არ გვხვდება ეს ტოპონიმი „შაჰრისტანჰაი ერანში"[25], თუმცა აქ დასახელებულია ისლამამდელი პერიოდის 110 ქალაქი. ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ეს გეოგრაფიული დასახელება ისეთ სპეციალურ გამოკვლევებში, როგორიცაა თ. ნელდეკეს, ა. ქრისტენსენის, ნ. პიგულევსკაიას და ა. კოლესნიკოვის შრომები[26]. IX—XIII სს. არაბი და ირა-

---

[20] გვ. 61/5, 61/6, 229/6, 229/7, 578/6 نظامی گنجوی ، خسرو و شیرین باکو ۱۹۶۰

[21] გვ. 175, نزهة؛ سفرنامه ، تهران ۱۳۳۵، 5 گو ؛ کتاب المسالک الممالک،لیدن ۱۳۰۶
القلوب لیدن ۱۹۱۳, 60, 160, 217, گو.

[22] I. Vullers, Lexicon Persico-Latinum, II, 1864, გვ. 486.

[23] گو. 939 V محمد معین فرهنگ فارسی

[24] История епископа Себеоса; Н. В. Пигулевская, Анонимная сирийская хроника о времени Сасанидов, Зап. ИВ АН СССР, т. VII, М.—Л., 1939, گو 63—78; Армянская география..., СПб, 1877.

[25] A Catalogue of the Provincial Capitals...

[26] Th. Nöldeke, Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sassaniden, aus der arabischen Chronik des Tabari, Leiden, 1879; A. Christensen, L'Iran sous les Sassanides, Copenhague, 1936; Н. В. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье, М.—Л., 1956; А. Колесников, Иран в начале VII века, «Палестинский сборник», вып. 22, Л., 1970. საეჭვოა, რომ დასახელებულ ავტორთაგან რომელიმეს მაინც არ ჰქონოდა წაკითხული ნიზამის თხზულება.

ნელი ისტორიკოსები და გეოგრაფები აგრეთვე არ იცნობენ ტოპონიმ Šahrud-ს (شاهرود). ამის შესახებ ცნობას გვაწვდიან ისეთი კომპეტენტური სპეციალისტები, როგორიცაა ვ. ბარტოლდი და ვ. ბიუხნერი[27]. სანი'ოდ-დოულემ აღიარა, რომ მან ვერ შეძლო Bästam-ის ახლოს მდებარე Šahrud-ის დაარსების თარიღის დადგენა[28]. არ იცნობენ Šahrud-სა და Šährud-ს ნიზამი განჯელის ისეთი წინამორბედები, როგორიცაა ფირდოუსი, მოეზი, ფაროხი, ნასერ ხოსროვი და სხვები.

ზემოაღნიშნულიდან ცხადი ხდება, რომ, თუ ჩვენ ნიზამის მიერ ქალაქ Šährud-ის მოხსენიების ფაქტს განვიხილავთ ფორმალისტური პოზიციებიდან და მხოლოდ გვიან პერიოდში შედგენილი ლექსიკონების მონაცემებს დავეყრდნობით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ პოეტს ასახული აქვს სასანელი მეფის ხოსრო ფარვიზის მიერ ქალაქ Šährud-ის აშენების ჭეშმარიტი ფაქტი. ხოლო, თუ ამ საკითხს განვიხილავთ ირანში VI-XII საუკუნეების მანძილზე არსებული ვითარების, ამ პერიოდის ისტორიული, გეოგრაფიული და მხატვრული თხზულებების მასალების შუქზე და უხვი სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით, მაშინ გვეძლევა საშუალება დაბეჯითებით გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ტოპონიმი Šährud-ი ნიზამი განჯელის მიერ შეთხზულია და მისი „ხოსროშირინიანის" ზეგავლენით ეს გეოგრაფიული დასახელება დამკვიდრდა ლექსიკონებში[29].

III. ფახრედინ გორგანელის „ვის ო რამინის" პირველი გამოცემის ტექსტის მიხედვით მეფე მოაბადი ჰპირდება დედოფალ შაპროს, რომ

فرستم زی تو چندان زر و گوهر
که گر خواهی کنی شهرود دیگر[30]
Ferestäm zi to čändan zärr o gouhär,
ke gär xahi koni Šährude digär.
გამოგიგზავნი იმდენ ოქროსა და თვალს,
რომ, თუ მოიწადინებ, ააგებ მეორე შაჰრუდს.

ჩვენ ვიცით, რომ XI ს-ში ქალაქი Šährud-ი არ არსებობდა, ხოლო თხრობის ლოგიკის შესაბამისად ამ ფრაგმენტში შესადარებელი ობიექტი რეალურად არსებული ქალაქი უნდა ყოფილიყო, ამიტომ პოემის ავტორი ვერ მიმართავდა ნიზამის მიერ გამოყენებულ ხერხს და ვერ შეთხზავდა ტოპონიმ Šährud-ს. ამ ვითარებაში უნდა გავცეთ პასუხი კითხვაზე, რა ცვლილებების შედეგად გრაფემების გარკვეული თანამიმდევრობიდან მივიღეთ Šährude digär — شهرود دیگر? აქ ჩვენთვის მეტად საგულისხმოა სპეციალურ ლიტერატურაში

[27] იხ. В. В. Бартольд, Сочинения, т. VII, М., 1971, გვ. 122; V. Büchner, EI, B IV, 1934, გვ. 285: «Die mittelalterlichen Geographen erwähnen sie nicht».

[28] გვ. 391, لسترنج جغرافیای تاریخی سرزمینهای خلافت شرقی تهران ۱۳۳۷: شاهرود را ... هیچیک از جغرافی نویسان عرب و ایران اسم نبرده اند ... صنیع الدوله در کتاب مرآة البلدان ناصری... اعتراف کرده است که نتوانسته از تاریخ بنای آن اطلاعی بدست آورد.

[29] იხ. Дж. Ш. Гиунашвили, О топониме Šährud в поэме Низами «Хосров о Ширин», გვ. 745—747.

[30] Wīs o Rāmīn, Calcutta, 1865, გვ. 29.

არსებული მეთოდური პითითება, რომ ტექსტის სწორი წაკითხვა, ე. ი. ტექსტის სწორად გაგება მოითხოვს არა მხოლოდ ლექსემებისა და მორფოლოგიური ელემენტების „გამოცნობას", არამედ შინაარსის სწორ აღქმას ეპოქის რეალიებისა და ძეგლის თანადროული გეოგრაფიული სახელწოდებების გათვალისწინების საფუძველზე[31]. არაბული გრაფემებით გამოხატული თანამიმდევრობა Šährude digär-ის სეგმენტაციაში ოდნავი ცვლილების შეტანით მივიღებთ Šähro dedigär-ს (شهرو ددیگر←دیگر), რომელიც არის dedigär Šähro-ს („მეორე შაჰრო") ლექსის ზომით გამოწვეული შებრუნებული კონსტრუქცია. სიტყვა dedigär/dodigär (< საშ. სპ. ditīkar < ძვ. სპ. *duvitiyakara[32]) — „მეორე, სხვა" — ახალი სპარსული ენისათვის არქაიზმია. ადრეული ხანის სპარსულ ძეგლებში მისი სტატუტის საკითხის ირგვლივ შექმნილია დიდძალი ლიტერატურა[33].

ახლა გავიხილოთ ფრაგმენტის ახლებურად წარმოდგენილი ტექსტი: მოაბადი ჰპირდება შაჰროს, რომ

فرستم زی تو چندان زر و گوهر
که گر خواهی کنی *شهرو ددیگر
Ferestäm zi to čändan zärr o gouhär,
ke gär xahi koni *Šähro dedigär.
გამოგიგზავნი იმდენ ოქროსა და თვალს,
რომ, თუ მოიწადინებ, შექმნი (გაიკეთებ) მეორე შაჰროს.

თუ ჩვენ განსახილველ ტექსტს მოვწყვეტთ X-XI საუკუნეების ირანში არსებული ვითარებისაგან და განვიხილავთ მას იზოლირებულად, მაშინ სეგმენტაციის შეცვლის გზით მიღებული წინადადება უაზრობა იქნება — მეფე მოაბადი აუწყებს დედოფალ შაჰროს: გიგზავნი იმდენ ოქროს, რომ, თუ მოიწადინებ, შექმნი მეორე დედოფალ შაჰროს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ Šähro (ანუ Suro), X ს-ის პირველი ნახევრის გეოგრაფების მიხედვით, „მდებარეობს ზღვის პირას"[34] და, მიუხედავად მისი მცირე ზომებისა (قرية[35], شهرک[36]), ხელსაყრელი მდებარეობის გამო მას დიდი მნიშვნელობა

---

[31] იხ. Д. С. Лихачев. Текстология, გვ. 147

[32] J. Darmesteter, Études iraniennes, I, Paris, 1883, გვ. 183.

[33] იქვე, გვ. 61, 183, 245; II, გვ. 134; C. Salemann, Mittelpersische Studien, Mélanges Asiatiques. IX, 1886, გვ. 234—235; P. Horn. Zeitschrift für vergleichende Sprachforschung auf dem Gebiete der indogermanischen Sprachen, 32, 1893, გვ. 578; მისივე, Grundriss der neupers. Etymologie, 1893, გვ. 132; Th. Nöldeke, Das iranische Nationalepos, Strassburg, 1896, გვ. 55; G. Lazard, La iangue des plus anciens monuments de la prose persane, Paris, 1963, გვ. 180—181; H. S. Nyberg, A Manual of Pahlavi, II, Wiesbaden, 1974, გვ. 64; ملک الشعرا بهار، سبک شناسی I، ص. 403—404; علی اشرف صادقی، راهنمای کتاب XVI, გვ. 238—241.

[34] al-Istakhri, Viae Regnorum, Pars prima, 1870, გვ. 163: فاما شهرو علی البحر

[35] ابن حوقل کتاب صورة الارض، القسم الثانی لیدن ۱۹۳۹ გვ. 313

[36]. حدود العالم تهران ۱۳٤۰ გვ. 128. ანონიმი ქ. თავრიზის მიმართაც ხმარობს شهرک-ს: تبریز شهرکیست خرد با نعمت وآبادان.

ენიჭებოდა სპარსეთის ყურის ნავსადგურთა სისტემაში[37], მაშინ გასაგები იქნება პოეტის გამონათქვამის აზრი:

გამოგიგზავნი შენ, **დედოფალო შაჰრო**, იმდენ ოქროს,
რომ, თუ მოიწადინებ, **ააგებ** მეორე **ქალაქ შაჰროს**.

წარმოდგენილი კონიექტურა ეკუთვნის შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელს სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორს პაულ ჰორნს. იგი ზედმიწევნით იცნობდა ნიზამის შემოქმედებას[38] და უთუოდ იცოდა „ხოსროშირინიანის“ ქ. Šährud-ის შესახებ. მიუხედავად ამისა მან ეჭვქვეშ დააყენა წაკითხვა Šährude digär და ამ თანამიმდევრობის სიმბოლოების სეგმენტაციის შეცვლით გამოყო არქაული სიტყვა dedigär[39]. პ. ჰორნის კონიექტურა გაზიარებულია სპეციალისტების მიერ[40], ხოლო წაკითხვა Šähro dedigär ამჟამად „ყველასათვის გასაგებია“[41]. მეცნიერის მიერ შემოთავაზებულ კონიექტურას „დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოემა „ვის ო რამინის“ ტექსტის განვითარების ეტაპების ისტორიის დადგენაში“[42].

ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების მიხედვით, განხილული ფრაგმენტის ორი რედაქცია მოგვეპოვება:

I که گر خواهی کنی شهرود دیگر
Ke gär xahi **koni** Sährude digär.
თუ მოიწადინებ, **ააგებ** მეორე შაჰრუდს.

---

[37] გვ. 309 II ابن حوقل. სპარსეთის ყურის ზონა ყოველთვის წარმოადგენდა საერთაშორისო ვაჭრობის მძლავრ არტერიას, რომელიც ავსებდა და ზოგჯერ ასრულებდა კიდეეც დიდი „აბრეშუმის გზის“ ფუნქციებს (გვ. 40. XXIII—XXIV باستانی پاریزی تحقیقات اقتصادی). სწორედ ინტენსიურ საერთაშორისო ვაჭრობას შეეძლო წარმოეშვა ისეთი მაგნატები, როგორიც იყო სირაფელი რამიშთი (S. Stern. Rāmisht of Sirāf, JRAS, 1967, № 1—2, გვ.10—14). ფაბრედინ გორგანელის დროს ნავსადგურები ჰორმოზ და შაჰრო (სურო), რომელიც ასრულებდა დღევანდელი ბანდარაბასის ფუნქციებს, ადმინისტრაციულად შედიოდნენ ქერმანის პროვინციაში (P. Schwarz, Iran im Mittelalter nach den arabischen Geographen, Leipzig, 1924, გვ. 80, 90) და ქმნიდნენ სატრანსპორტო-საჰაერო ეკონომიკურ კომპლექსს. ჰორმოზიდან საქარავნო გზა მიემართებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით: ჰორმოზი, მანუჯანი, ჯირუფთი, ქერმანი და ასე შემდეგ; ხოლო შაჰროდან — ჩრდილო-დასავლეთით: შაჰრო, თარომი, დარაბგერდი, შირაზი, ქულარი, ქუმიშაჰი, ისფაჰანი და ასე შემდეგ. ლ. სტრენჯის სიტყვებით, X საუკუნეში «From Tārum the caravan road went almost due south to the coast, where lay the port Sūrū, or Shahrū... They was, Mukkadasi adds, much trade with 'Omān across the gulf and the place, which he speaks of as a small town, lay exactly on the Kirman frontier» (გვ. 292). ამ სატრანსპორტო-საჰაერო კომპლექსმა დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა (G. Schweizer, Bandar Abbas und Hormoz, Tübinger Atlas der Vorderen Orients, № 2, 1972).

[38] იხ. თავი Die romantische Erzählungsdichtung წიგნში P. Horn, Geschichte der persischen Litteratur, Leipzig, 1901, გვ. 177—193.

[39] P. Horn, Neu-pers. didigar, Zeitschrift für vergleich..., გვ. 578; მისივე, Grund der neupers. Etymologie, 1893, გვ. 132. ვრცლად იხ. Дж. Ш. Гиунашвили, О топониме Šährud.., გვ. 746.

[40] იხ. მაგალითად, გვ. 238 XVI پاول هرن... : علی اشرف صادقی ، راهنمای کتاب
ذیل کلمهٔ دیگر بلافاصله ددیگر... رادر کنار آن آورده و به ویس ورامین رجوع داده.

[41] Дж. Ш. Гиунашвили, Филологические заметки, გვ. 70.

[42] მისივე, Об одной конъектуре Пауля Хорна, Бартольдовские чтения, М., 1981, გვ. 28.

(ბ. ჰორნის კონიექტურის გათვალისწინებით)

که گر خواهی کنی *شهرو ددیگر

Ke gär xahi **koni** *Sähro dedigär.

თუ მოიწადინებ, **ააგებ** მეორე შაჰროს.

II که گر خواهی کنی شهری پر از زر

Ke gär xahi **koni** Sähri por äz zärr.

თუ მოიწადინებ, **ააგებ**[43] ერთ ქალაქს (რომელიმე ქალაქს) ოქროთი

პირველი რედაქცია (ბ. ჰორნის კონიექტურის გათვალისწინებით) ზედმიწევნით ასახავს XI ს-ში არსებულ ვითარებას, შედარების ობიექტი რეალურად არსებული მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტია, რომელსაც ჯერ კიდევ X ს-ის შუა წლებში იბნ ჰაუკალი ახასიათებს, როგორც عظيمة[44]. მეორე რედაქციის შედარების ობიექტი კი ეფემერული და უმისამართოა. პირველი რედაქციის პირველადობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მთავარი სინტაგმის საყრდენი სიტყვა ადეკვატურად ესადაგება XII ს-ის ქართული თარგმანის შესაბამისი სინტაგმის საყრდენ სიტყვას:

I რედაქცია — თუ მოიწადინებ, **ააგებ** მეორე...

ქართ. თარგმანი — თუ გწადდეს, ერთი ქალაქი ოქროისა **ააგო**[45]...

II რედაქცია — თუ მოიწადინებ, **ააგებ**...

პოემის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები გადაწერილია მისი შექმნიდან 5—6 ს-ის შემდეგ. განხილული ფრაგმენტის ტექსტის ეტაპების განვითარების ისტორია ჩვენ შემდეგნაირად გვესახება. თავდაპირველი Sähro dedigär — „მეორე შაჰრო“ გარდაიქმნა Sährude digär-ად—„მეორე შაჰრუდი“, ვინაიდან სახელწოდება Sähro-ს ნაცვლად მალე ხმარებაში მხოლოდ Suro აღმოჩნდა, შემდგომ კი Gombro, ხოლო XVII ს-დან ბანდარაბასი. XII ს-ნის მიწურულიდან გარკვეული როლი უნდა ჰქონოდა ნიზამის „ხოსროშირინიანში“ მოხსენებულ Sährud-ს, ხოლო XIV—XV საუკუნეებიდან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა უკვე რეალურად არსებული Sahrud-ის აღზევებას[46]. ამ ისტორიული ვითარების ფონზე რომელიღაც გადამწერს უნდა ჩაეტარებინა ბ. ჰორნის მიერ შესრულებული ოპერაციის საპირისპირო ვარიანტი—თანამიმდევრობა Sähro dedigär-ის სიმბოლოების უმნიშვნელო გადაჯგუფებით მისთვის გაუგებარი Sähro შეეცვალა გასაგები Sährud-ით. შემდგომ გადამწერებს არაფერი უშლიდათ გაემეორებინათ Sährude digär. მეორე რედაქცია ჩამოყალიბდა აღრე, როდესაც სახელწოდება Sähro მივიწყებული იყო და მის ნაცვლად იხმარებოდა Suro. მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული ნიზამის „ხოსროშირინიანი“ და არ იყო დაარსებული ქალაქი Sahrud-ი. დღეს არსებული რედაქციებიდან ტექსტობრივად ყველაზე ახლოს ფახრედინ გორგანელის ნახელავთან დგას Sährude digär—„მეორე შაჰრუდი“ (<*Šähro dedigär—„მეორე შაჰრო“).

---

[43] Vis and Ramin. Translated from the Persian by G. Morrison, Columbia, 1972, გვ. 34: «...you may fill...».

[44] გვ. 309, II, هی عظیمة و هذالمشهور من حالها : ابن حوقل

[45] ვისრამიანი, გვ. 43/24-25

[46] В. В. Бартольд, Сочинения, т. VII, გვ. 124: «Несмотря на свои святыни, Бистам постепенно должен был уступить свое значение Шахруду, расположенному на главной дороге из Западной Персии в Восточную...»

*

* *

ჩვენ შევეცადეთ ისტორიზმის პრინციპის პარადიგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით კომპლექსურად შეგვესწავლა სამი ფრაგმენტი X—XII საუკუნეების სპარსულენოვან პოეტთა ნაწარმოებებიდან. კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ ტექსტების სწორად წაკითხვა, გაგება და მათი განვითარების ისტორიის ეტაპების დადგენა შეუძლებელია სერიოზული ისტორიული არგუმენტაციის გარეშე, რომლის ფარგლებში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ირანის ისტორიული გეოგრაფიის მონაცემების გამოყენებას.

Дж. Ш. ГИУНАШВИЛИ

ИСТОРИЧЕСКАЯ ГЕОГРАФИЯ ИРАНА И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПЕРСИДСКОЙ ТЕКСТОЛОГИИ

Резюме

В работе автор попытался с позиций научного историзма изучить фрагменты произведений Фердоуси, Незами и Фахреддина Горгани. Исследование показало, что правильное прочтение и толкование рассмотренных текстов, установление этапов истории их развития невозможны без серьезной исторической аргументации, в рамках которой существенное значение имеет использование данных исторической географии Ирана.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ირინე მერაბიშვილი

ახრრის ფილიალი საქართველოში
(20-იანი წლების მხატვრული ცხოვრების ისტორიიდან)

20-იანი წლების საქართველოს მხატვრულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა რუსეთის რევოლუციურ მხატვართა ასოციაციის ფილიალმა ახრრ-მა[1].

1922 წელს რუსეთში შეიქმნა მხატვარ რეალისტთა ერთ-ერთი მძლავრი ორგანიზაცია ახრრ-ი, რომელმაც სათანადო მოძრაობა გამოიწვია მთელ საბჭოთა კავშირში. ასეთი მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობა მხატვრული ცხოვრების ამ ეტაპზე, პირველ რიგში, გამოიხატებოდა ძველი კულტურის ძონაპოვართა გამოყენებაში და სხვადასხვა მიმართულების მხატვართა გაერთიანებაში სრულიად ახალი, სოციალისტური სულისკვეთების მატარებელი ხელოვნების შექმნაში, პარტიის და მთავრობის უშუალო ხელმძღვანელობით ისინი მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდნენ მშრომელ მასებთან, რათა შეესწავლათ მუშათა და გლეხთა ყოფა, აესახათ მათი გმირული შრომა.

რუსეთის ახრრ-მა, საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე შექმნა თავისი ფილიალები.

20-იანი წლების შესახებ ჩვენ მიერ შესწავლილ მასალებში ახრრ-ის ფილიალის შექმნის თარიღი ყველგან სხვადასხვაა. ჩვენ ვეცდებით საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, წარმოვაჩინოთ ზუსტი თარიღი ამ ფილიალის დაარსებისა.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ლ ხ ც ს ა.) დაცულია დოკუმენტი[2]—„მიმართვა თბილისის

---

[1] ახრრ-ი (АХРР — Ассоциация художников Революционной России) — რუსეთის რევოლუციურ მხატვართა ასოციაციის ფილიალი საქართველოშიც ამავე სახელწოდებით მოიხსენიებოდა.

[2] В Тифлисский филиал АХРР 22/XII—1925 г.

Подготовительные работы к VIII выставке АХРР «Жизнь и быт народностей СССР» развертываются в чрезвычайно широком всесоюзном масштабе.

Материальная поддержка, оказанная рабоче-крестьянским правительством, Ассоциации дала возможность командировать более 100 человек членов АХРР по СССР, что свидетельствует о том внимании, какое уделяется в настоящее время партией и правительством культурному фронту искусств.

Призидиум АХРР в целях планомерного развертывания предвыставочной работы, особенно создавая всю ответственность перед советской общественностью в деле организации выставок, принимает все меры к тому, чтобы в отношении организационном и художественном VIII выставка АХРР оправдала надежды Ассоциации.

Не вдаваясь в подробности разъяснения той широкой задачи, которая лежит на каждом истинного АХРРовцев его худ.-обществен. выступлениях (худ. выставки АХРР), призидиум все же считает своим долгом подчеркнуть и напомнить об этой ответсвенности. Поводом к последнему служит целый ряд причин: во первых, количественное расширение состава АХРР

ახრრ-ის ფილიალისადმი 1925 წ. 22 დეკემბერში, სადაც ლაპარაკია ახრრ-ის მერვე საკავშირო გამოფენაზე და რესპუბლიკაში ახრრ-ის წევრთა მივლინებებზე. ამ დოკუმენტში ახრრ-ის პრეზიდიუმი მოუწოდებს თბილისის ფილიალს პასუხისმგებლობით მოეკიდონ VIII საკავშირო გამოფენას და შეავსონ ფურცელი კითხვარებისა, რომელიც გამოფენის მომწყობთ მოეხმარება სწორი ორიენტაციის მიღებაში.

წიგნში „ახრრ-ის 4 წელი" (1922—1926 წწ., მოსკოვი) ახრრ-ის მდივანი კაცმანი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ „ახრრ-ის განყოფილებები უკვე ჩამოყალიბებულია ქალაქებში — ლენინგრადი, ყაზანი... კიევი, სვერდლოვსკი და ა. შ., აგრეთვე დამყარებულია კავშირი ზოგიერთი ქალაქების მხატვრებთან, სხვა ქალაქებს შორის მოხსენიებულია თბილისი და ბათუმი[4]. საარქივო ფონდებში დაცულია აგრეთვე 1925 წლის 30 ივლისის თარიღით ახრრ-ის წესდება — დამუშავებული საქართველოსათვის[5].

ზემოთქმულის საფუძველზე საქართველოში ახრრ-ის ფილიალის არსებობა უნდა ვივარაუდოთ 1925 წლიდან. იმის დასამტკიცებლად, რომ 1925 წლიდან თბილისსა და 1926 წლიდან ბათუმში უკვე იყო ჩამოყალიბებული ახრრ-ის ფილიალები, შევჩერდებით 1926 წელს გამოქვეყნებული წიგნის „4 года АХРР" ფ. ბოგოროდსკის სტატიაზე „ახრრ-ის და ომახრის ფილიალები სსრკ-ში", სადაც საბჭოთა კავშირის რუკაზე მოცემულია ახრრ-ის ფილიალების სქემა და გარკვევითაა აღნიშნული ქალაქები თბილისი და ბათუმი[6].

იქვე ვკითხულობთ, რომ 1926 წლის 1 მაისისათვის მოქმედებს და შექმნილია 34 ფილიალი (ლაპარაკია ახრრ-ის ფილიალებზე) მათ შორის თბილისსა და ბათუმში.

вместо 5—7 филиалов в начале, т. ч. теперь свыше 30 филиалов (это сможет ослабит значимость наших выставок. нащей худ. продукции при несерьезном отношении к тем задачам, которые выдвигает АХРР своей декларацией, во-вторых, и самое главное вытекающее из последнего абзаца «каждый».

[3] АХРР овец должен помнить, что каждая выставка АХРР, по качеству выставляемой продукции должна быть выше предыдущей, что каждая выставка АХРР должна показать перед общественностью и свои худ. формальные достижения и свое более глубокое идеологическое проникновение и советсую общественность, претворение в соответствующую худ. форму помянуя о том, что если бы мы и достигли 100% довоенной нормы в качестве худ. продукции, а в будущем 100% качества крупных эпох возрождения искусства—то это было бы в истории развития деятельности АХРР-а только стадией восстановления утерянных качеств в изоискусстве, но не созданием и исканием нового стиля, пропозглашаемого АХРР в качестве конечной цели.

Вот почему призидиум АХРР, призывая Вас к напряженнейшей работе по подготовке к VIII выставке. просит Вас чрезвычайно серьезно отнестись к прилагаемому опросному листу, который даст возможность учесть все данные по VIII выставке АХРР и введет все подготовительные предвыставочные работы в правильное организациионное русло.

Все вопросы о вставке. а также заполненные анкеты направлять в секретариат АХРР (Волхонка 8) «Выставочный комитет VIII выставки АХРР).

Председатель АХРР (Григорьев) Подпись

Генеральный секретарь АХРР (Кацман) Подпись ფონდი 10. ა. 1. ს. № 8. ფურც 28, გეყავს სრული ტექსტი. ქვეყნდება პირველად.

[4] «4 года АХРР», 1922—1926, М., გვ. 15.

[5] საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში: ლხცსა) ფონდი 10 ა. .1 ს. № 8, ფურც. 14; 15; 16.

[6] «4 года АХРР», 1922—1927, 157-ე გვ-ზე ნაჩვენებია სქემა.

ბათუმში ახრრ-ის ფილიალის არსებობის შესახებ ცნობა არის 1926 წლიდან (ლ. შარაშიძის წიგნში „სახვითი ხელოვნება აჭარაში“ — ლაპარაკია მხატვარის ზაგორსკინის 1926 წელს ახრრ-ის ფილიალის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ) ეს ფაქტობრივი მასალა უფრო მყარად გამოკვეთს ახრრ-ის ფილიალის შექმნას თბილისში ბათუმზე ადრე, რაზეც ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი.

ახრრ-ის დებულება, რომელიც მიღებული იყო რუსეთიდან, ითვალისწინებდა პირობებს, რის საფუძველზეც რესპუბლიკებში თუ ოლქებში უნდა შექმნილიყო ფილიალები.

ფილიალების წევრ მხატვრებს უნდა გაეზიარებინათ ახრრ-ის დეკლარაციის შემდეგი პრინციპები (მოგვყავს მცირე შემოკლებით); „ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია კაცობრიობის წინაშე **მხატვრულ-დოკუმენტურად** (ხაზი ჩვენია — ი. მ.) ავსახოთ ისტორიის დიადი მომენტი მის რევოლუციურ აღტკინებაში“.

„ჩვენ გამოვსახავთ დღევანდელ დღეს: წითელი არმიის ყოფას, მუშათა, გლეხთა, რევოლუციის მოღვაწეთა და შრომის გმირთა ყოფას“.

„ჩვენ მოგცემთ მოვლენათა ნამდვილ სურათს“.

„რევოლუციური დღე, რევოლუციური მომენტი — გმირული დღე, გმირული მომენტი. ჩვენ უნდა გამოვავლინოთ ჩვენი „მხატვრული განცდები მონუმენტური ფორმით, გმირული რეალიზმის სტილში“.

„ვცნობთ რა მემკვიდრეობითობას ხელოვნებაში და თანამედროვე მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით, ჩვენ ვქმნით რა გმირული რეალიზმის სტილს, საძირკველს ვუყრით ზოგად საკაცობრიო მომავლის ხელოვნების შენობას, უკლასო საზოგადოების ხელოვნებას“[7].

დეკლარაცია დამაკმაყოფილებელი და მისაღები აღმოჩნდა ქართველი რეალისტი მხატვრებისათვის. იგი ესატყვისებოდა იმ პერიოდის მათ მსოფლგაგებას, იდეალებს და საქართველოს ახრრ-ის ფილიალიც შეუდგა თავის საქმიანობას.

საკავშირო ახრრ-ის საბჭოს სხდომაზე (ოქმიდან ამონაწერი ინახება საქ. ლიტ. და ხელ. ც. სახ. არქივში — ფონდი 10. ა. 1. ს. № 9. ფურც. 3. 1927 წლის 21 ნოემბერს რუსეთის ახრრ-ის ნამდვილ წევრებად მიღებული იქნენ მოსე და ირაკლი თოიძეები. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მოსე თოიძე არჩეული იქნა საქართველოს ახრრ-ის თავმჯდომარედ[8].

---

[7] ლხცსა, ფონდი 10, ა. 1, ს. № 8, ფურც. 29.

[8] ახრრ-ის წევრები იყვნენ — დ. თავაძე, გ. სენინოვი, ა. ქუთათელაძე, ა. გრიგორიანი, ს.მაისაშვილი, ს. კეცხოველი, ი. ტიმოფეევა, პ. პუსირეევა, ო. მურავლიოვა, ვ. კეშელავა, ვ. გუდიაშვილი, გ. მირზოევი, ი. გვანცელაძე, კ. გრძელიშვილი, გ. გრიგორიანი, კ ხუციშვილი, ი. რომანიშვილი მ. სარალიძე, დ. წერეთელი, რ. გიორგაძე, დ კვირიკაშვილი ს. კევლიშვილი, მ. ხუციშვილი, ა. მრევლიშვილი, ნ. ალადანოვა, ბებუტოვა-გაბუნია, უ. ჯაფარიძე, ი. ოქრიაშვილი, ვ. მახარაძე, ა. სუმიონოვი, გ. ჯორჯაძე, ი. ეხისკელი, ა. გიგოლაშვილი, ა. ზისეევი, კ. ჭანკვეტაძე, გ. მესხი, ი. მარიაში, კიკნაძე, ა. კოროვინი, შ. მარადაშვილი, მ. ხუბაშვილი, კ. სანაძე, ა. კოპალიანი, თ. აბაკელია, მოსე თოიძე, რ. ლორის-მელიქოვი, რ. თავაძე, ი. ნიკოლაძე, ნ. კანდელაკი, შ. მიქატაძე, ვ. თოფურიძე, ლ. გრიგოლია, ს. კაკაბაძე, გ. სიმონიშვილი, ნ. წერეთელი, ა. ბახტაძე, ბ. ზაგრებელინი, ე. ლემონჟავა, ს. ნადარეიშვილი, ა. კოჟოიანი, კ. კუკულაძე, ვ. ჯაფარიძე, ი. მდივანი, დ. ნალბანდიანი, შ. თავაძე, ა. დუდუჩავა, ე. სოკოლოვი, კროტკოვი, გ. შავგულიძე, ვ. ლუარსამიძე, რ. ამიროვი (თანმიმდევრობა დაცულია, დედანი რუსულია, ქვეყნდება პირველად.). მოგვიანებით ახრრ-ის წევრ მხატვართა რიცხვი შეადგენდა 74 მხატვარს. ლხცსა ფონდი 10, ა. 1, ს. № 8, ფურც 36.

ამ პერიოდისათვის ახრრ-ის ფილიალი მოიხსენიება აგრეთვე როგორც „რევმასი“ — რევოლუციურ მხატვართა ასოციაცია.

ა ხ რ რ-ის საქართველოს ფილიალი, თუ დავეყრდნობით მის დებულებას[9] — თავისი დეკლარაციის პლატფორმაზე აერთიანებდა მხატვარ რეალისტებს, ადგილობრივ აწყობდა გამოფენებს და მონაწილეობდა ცენტრალურ გამოფენებში, ამასთანავე აწყობდა ლექციებს, დისპუტებს, ეწეოდა ახრრ-ის იდეების პროპაგანდას, რაც უმთავრესად გულისხმობდა ფართო მასებში „გმირული რეალიზმის“ ტრადიციების დანერგვას, ახრრ-ის ფილიალს მეეძლო ჩამოეყალიბებინა სამხატვრო სტუდიები და კურსები სამეცნიერო-კვლევითი საშუშაოებისათვის და ხელოვნებათმცოდნეობითი საკითხებისათვის.

ახრრ-თან აგრეთვე შეიქმნა ახალგაზრდა მხატვართა ორგანიზაცია ომახრრ-ი[10].

ეს ახალგაზრდა ორგანიზაცია თითქმის არ განსხვავდებოდა თავისი დანიშნულებით ახრრ-ისაგან, ისინი ეხმაურებოდნენ ყველა იმდროინდელ აქტუალურ მოვლენებს, იქნებოდა ეს კომკავშირის 10 წლისთავისადმი ცენტრალური ომახრრ-ის მომართვა თუ სხვა შემოქმედებითი ღონისძიებები.

1928 წლისათვის მოსკოვში ახრრ-ის პირველ საკავშირო ყრილობაზე შემუშავდა საკითხი იმის თაობაზე, რომ სახელწოდება ახრრ-ი არ შეესაბამებოდა ამ ორგანიზაციას რადგან ახრრ-ელთა მოძრაობა საკავშირო მნიშვნელობისა იყო, ამიტომ მას უნდა მოსცილებოდა სიტყვა „რუსეთი“. ამიტომ მას სამართლიანად უწოდეს „ა ხ რ“-ი[11].

ახრ-ის საბჭო მოუწოდებდა ფილიალებს გამოეცხადებინათ გადამწყვეტი ბრძოლა წარსულის გადმონაშთებისათვის, რომლებიც რევოლუციის ხელოვნების განვითარებას აფერხებდნენ. საბჭო საგანგებო ღონისძიებად მიიჩნევდა ფილიალებისათვის „კლუბების, ფაბრიკა-ქარხნების, შრომის სასახლეთა ქოხ-სამკითხველოების და სხვათა მეშვეობით საზოგადოებრივ საგანმანათლებლო შუშაობას“, რისთვისაც საჭირო იყო სათანადო ორგანიზაციების ყველაზე აქტიური წევრების გამოყოფა, რათა უკანასკნელთ გაეწიათ სახვითი ხელოვნების მეტი პროპაგანდა და ფართო მასებისათვის მისაწვდომი გაეხადათ „ხელოვნების მარქსისტულ-კრიტიკული განმარტება“.

ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა ის დაუშვებელი ნაციონალისტური კარჩაკეტილობა და გამიჯვნა, რაზეც ლენინი ხშირად მიუთითებდა. აქედან თავის დასაღწევად სწორედ მასებთან სიახლოვე, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა განაპირობებდა ორგანიზაციის სწორ ორიენტაციას.

საბჭო ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევდა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს, რისთვისაც გამიზნული იყო ცენტრის გარეთ მცხოვრები მხატვრების ნამუშევართა საანგარიშო გამოფენების მოწყობა მოსკოვში.

ახრ-ის ცენტრალური საბჭო მოუწოდებდა ყველა მხატვარს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით რევოლუციური დღესასწაულების, ადგილობრივი ყრილობების, კონფერენციების, საკლუბო და სხვა ღონისძიებათა გაფორმებაში, რათა მეტი ყურადღება მიექცეთ

[9] ლხცსა, ფონდი 10. ა. 1, ს. № 8, ფურც. 2.

[10] ომახრრ—ОМАХРР — «Организация Молодых Художников Революц. России» საქართველოშიც იგივე სახელწოდებით მოიხსენებოდა.

[11] АХР — Ассоциация Художников Революции.

გამოყენებითი ხელოვნების ყველა სახეობისათვის (პოლიგრ. მრეწველობა, კერამიკა, ლითონი, ხის დამუშავება, ქსოვილი).

მოსკოვის საოლქო საბჭომ, ფილიალების მხატვრების წახალისების მიზნით, გამოყო თანხები პრემიებისათვის.

დაბოლოს მოუწოდებდა რა მხატვრებს მომზადებულიყვნენ მომავალი საკავშირო ყრილობისათვის, ახრ-ის ცენტრალური საბჭო იმედოვნებდა ფილიალის მჭიდრო კავშირს ცენტრალურ სამდივნოსთან.

1928 წელს ახრ-ის პირველ საკავშირო ყრილობაზე შემუშავდა ახალი დეკლარაცია[12], რომელშიც განსხვავებით ძველისაგან სიტყვები — „რევოლუციური სინამდვილის მხატვრულ-დოკუმენტური ასახვა“ შეცვლილი იყო „მხატვრულად. რეალისტურ ფორმებში სინამდვილის ასახვა“, რაც ძირეულად ცვლიდა ორგანიზაციის მთავარ გეზს.

დეკლარაცია სწორად საზღვრავდა ორგანიზაციის დანიშნულებას, ახალ დეკლარაციაში უფრო ნათლად იყო გამოკვეთილი კულტურული რევოლუციის როლი სახვით ფრონტზე და სახავდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკების მხატვრების გაერთიანებას რეალისტური ხელოვნების მტკიცე პლატფორმაზე. გარდა დეკლარაციის შემუშავებისა ახრ-ის პირველი საკავშირო ყრილობა მიმართავდა ყველა რესპუბლიკის რევოლუციურ მხატვრებს „სამართლიანად აესახათ და მშრომელი მასებისათვის გასაგებ ფორმაში გამოეხატათ რევოლუციური სინამდვილე, გამოეაშკარავებინათ ბრძოლის კლასობრივი არსი, ეპოქის გმირობა, დინამიურობა, დაძაბულობა და სიძლიერე“.

მიმართვა თავდებოდა შემდეგი სიტყვებით: „ნაციონალობების ხელოვნება ჩაედინება რევოლუციური ხელოვნების ერთიან ნაკადში, აგროვებს მხატვრულ გამოცდილებას და ფასეულობას პროლეტარული ხელოვნებისათვის“.

ამ მიმართვის შემდეგ ახრ-ის ორგანიზაციას მრავალმა სტუდენტმა მიაშურა[13].

საქართველოს მხატვრულ ცხოვრებაში შესამჩნევი კვალი დატოვეს საქართველოს ახრ-ის და ომახრ-ის წევრთა გამოფენებმა. ერთ-ერთ გამოფენაზე, სადაც ახრ-ის და ომახრ-ის წევრები ერთდროულად მონაწილეობდნენ: ეტიუდურ. პრიმიტიულ დონეზე შესრულებულ ომახრის ე. ი. ახალგაზრდა მხატვრების გვერდით „თანამედროვე თემატიკით და პროფესიული ოსტატობით გამოირჩეოდნენ ირ. თოიძის, ა. ციმაკურიძის, ი. ვეფხვაძის, გ. შერბაფჩიანი, ბ. ფოგელის, გ. მესხის, ს. კაკაბაძის და სხვათა ნამუშევრები“[14].

გამოფენას ჰყავდა ბევრი მნახველი და დიდი წარმატებით ჩაიარა.

ახრ-ელთა გამოფენებში ხშირად თემატური აქტუალობა განაპირობებდა სურათის გამოფენაზე მოხვედრას, ხოლო შესრულების დონე არ იყო გადამწყვეტი, რაც იწვევდა კიდევაც ამ გამოფენების შეფასებისას ხელოვნებათმცოდნეთა აზრთა სხვადასხვაობას. იყო შემთხვევები, როდესაც კრიტიკა მძაფ-

---

[12] წიგნი: «Борьба за реализм в искусстве 20-х годов» М., 1962, გვ. 162 (ახრ-ის დეკლარაციის სრული სტექსტი).

[13] ლხცსა ფონდი 10 ა. I, ს. № 14. ფურც. 50. კერძოდ ლენინგრადის, სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და კავკასიის სხვადასხვა ავტონომიების სტუდენტები ერთხმად კოლექტიურად შედიან „ახრ“-ში „ჩვენ მოვუწოდებთ—მიმართავდნენ სტუდენტები—ყველა რესპუბლიკის მხატვრებს და ახალგაზრდებს, მოგვბაძონ ჩვენ“ — დოკუმენტი დათარიღებულია 1928 წ. 27 ნოემბრით (დედანი რუსულია. ქვეყნდება პირველად).

[14] ჟურნ. «На рубеже Востока» 1930 წ., № 9—10, სოკოლი :ახრ-ი და ომახრ-ი.

რად ილაშქრებდა ახრ-ის გამოფენებზე მოხვედრილი სუსტი ნამუშევრების წინააღმდეგ, რაც არც თუ იშვიათი იყო. „განა კარგი ფოტოსურათი ან კინოქრონიკა ვერ შეასრულებს უკეთესად იმ როლს, რა როლსაც საბჭოთა აღმშენებლობის სისტემაში ასრულებს ახრ-ი“[15]. ვკითხულობთ ერთ რეცენზიაში. ამ სიტყვების სამართლიანობის მიუხედეავად, მთელი ორგანიზაციის შემოქმედების უარყოფა, რა თქმა უნდა შეცდომაა; ახრ-ი ამ პერიოდის უპირველეს ამოცანას, რასაც ხელოვნების მუშაკებს პარტია აკისრებდა „ხელოვნების მასიურობა“, მთლიანად ამართლებდა. მათ გამოყვეს სპეციალური ბრიგადები მუშათა წრეებში სამუშაოდ. კერძოდ ამ მივლინებებს, რომლებსაც „ახრრ“-ი თბილისის სხვადასხვა საწარმოში ატარებდა, მასების ხელოვნებასთან დაახლოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბრიგადები საამქროებში ატარებდნენ სახვითი ხელოვნების შესახებ საუბრებს, მოხსენებებს. ბრიგადა ვალდებული იყო მოეწყო საწარმოებში გამოფენები, სადაც აისახებოდა საწარმოო თემა, ამავე დროს მუშებისათვის უნდა მიეცა კონსულტაცია და განმარტებები სახვითი ხელოვნების ყველა საკითხზე.

პარალელურად 1930 წელს შეიქმნა რევოლუციურ მხატვართა მეორე ორგანიზაცია „სარმა“[16], რომელიც მალე მოექცა საქართველოს მხატვრული ცხოვრების სათავეში. „ახრ“-ელების უმრავლესობა „სარმაში“ გადავიდნენ, რამაც განაპირობა კიდეც მისი 1931 წლისათვის საბოლოო დაშლა.

დღეს როდესაც თვალს ვავლებთ საქართველოს ახრ-ის მოღვაწეობას უნდა აღვნიშნოთ რომ შეცდომებისაგან და წინააღმდეგობებისაგან იგი დაზღვეული არ იყო, ისე როგორც 20-იანი წლების თითქმის არც ერთი ორგანიზაცია, მაგრამ ის მისია, რაც ახალი მასობრივი მაყურებლის მოზიდვას ითვალისწინებდა, ახრ-მა პირნათლად შეასრულა და თუნდაც ამისათვის მისი მოღვაწეობა დადებითად უნდა შეფასდეს.

ახრ-ელები ცდილობდნენ შეემუშავებინათ ახალი მხატვრული ენა, საბჭოთა ხელოვნების შესატყვისი სტილი. მეთოდი, რითაც აისახებოდა სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. ახრმა ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ებრძოდა რა სხვადასხვა მემარცხენე დაჯგუფებებს იგი მტკიცედ იცავდა გმირული რეალიზმის ტრადიციებს. პარტიის პოლიტიკის მხარდამხარ ქმნიდა სოციალისტური ეპოქის შესატყვის ხელოვნებას.

ახრ-ულმა მოძრაობამ ჩაუყარა საფუძველი და მისცა განვითარება მრავალი რეალისტი მხატვრის შემოქმედებას, რომელთაც შემდგომ გაამდიდრეს ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება მაღალიდეური და მაღალმხატვრული რეალისტური ნაწარმოებებით.

И. Ш. МЕРАБИШВИЛИ

ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АХРР
(Из истории художественной жизни 20-х годов)

В художественной жизни Грузии 20-х годов значительную роль сыграл филиал Ассоциации художников революционной России —

[15] ჟურნალი „მემარცხენეობა“ 1927 წ., № 1, გვ. 65—66.
[16] „სარმა“—საქართველოს რევოლუციურ მხატვართა ასოციაცია.

АХРР (с. 1928 года организация именовалась — Ассоциация художников Революции).

Автор, ссылаясь на архивные документы, уточняет год создания данного филиала АХР — 1925 год — (Центр. Гос. Архив литературы и искусства Грузии — фонд 10. опись I, дело № 8, лист 28 — публикуется впервые.

В статье рассмотрена деятельность филиала, главной целью которого было сближение художников с народом, борьба за утверждение принципов реализма. На выставках АХР и ОМАХР (Организация молодых художников Революции) проявилась заинтересованность современной тематикой, жизнью трудового народа. В ряде случаев тематическая актуальность оценивалась выше, чем мастерство.

Несмотря на некоторые ошибки, что и определило распад филиала к 1931 году, автор положительно оценивает деятельность Ассоциации.

წარმოადგინა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრამ

ქსენია კეკელია

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის გაადგილების ზოგიერთი საკითხი XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში

მევენახეობას საქართველოს სოფლის მეურნეობაში უხსოვარი დროიდან ეჭირა საპატიო ადგილი. როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა და მოგზაურთა მთელი რიგი შრომები მიეძღვნა ქართული მევენახეობის სამეურნეო სპეციფიკის დადგენას, სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციაში მევენახეობის ადგილის განსაზღვრას.[1] ჩვენი კვლევის ამოცანას წარმოადგენს საქართველოს მევენახეობის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის ცდა, რომლის მიზანია ამ დარგის გაშუქება ბუნებრივ და სოციალურ ეკონომიკურ პირობებთან მჭიდრო კავშირში.

საქართველოში მევენახეობა თითქმის ყველგან იყო გავრცელებული და განვითარებული, ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობამ ხელი შეუწყო ვაზის სხვადასხვა ჯიშის გავრცელებას. „დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიული შესაბამისობის პირობებში ვაზის ჯიშთა რაოდენობის მიხედვით შეეძლოს გვერდში ამოუდგეს საქართველოს"[2]. ყოველ გეოგრაფიულ კუთხეს თავისი საკუთარი ვაზის ჯიში ჰქონდა, რომელიც შეგუებული იყო ჰავას, ნიადაგს და ადგილმდებარეობას.

საქართველოში მევენახეობა ძირითადად გორაკბორცვიან ზონას მოიცავდა. ამ ზონის ნიადაგურ-კლიმატური და სხვა ბუნებრივი თავისებურებანი უნიკალურ პირობებს ქმნიდა ვაზის მაღალხარისხოვანი ჯიშების გავრცელებისათვის. ეაკე ადგილები-კოლხეთის დაბლობი, ალაზნისპირა ველი და სხვა მდინარეთა ხეობების დადაბლებული ნაწილები, ნათესი ფართობებით იყო დაკავებული. რამდენადაც სიმინდისათვის აუცილებელია ნიადაგის უხვი სინოტივე, იგი მავნებელია ვაზისათვის, განსაკუთრებით, ყურძნის მწიფობის პერიოდში. ვაზის ბუნებას კარგად ახასიათებს აკად. ნ. კეცხოველი: „სავენახე ადგილი უნდა ყოფილიყო მზით კარგად განათებული, ნაყოფიერი, ქარისაგან დაცული, მარჯვე მისადგომი, საურმე გზის მქონე..... ეს ყოველივე ვაზის ბუნებიდან გამომდინარეობს, ვაზი მზის შვილია, უყვარს მზე და შეზავებული ტენი ნიადაგში, ხოლო ზედმეტი ტენი და ჩრდილი ვნებს".[3]

როგორც ვხედავთ, მევენახეობის გავრცელებაში წამყვან როლს თამაშობს კლიმატური პირობები.

საქართველოს კლიმატური პირობები, მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა საკმაოდ სიჭრელით ხასიათდება, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით და იმ ჰაერის მასების ცირკულაციური პროცესებით, რომელსაც

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1934, ტ. II, გვ. 289.

[2] გ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს, ტ. IV, ნაწ. I, 1965, გვ. 490.

[3] ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 246—247.

ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე. სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტემპერატურათა რაოდენობას. ამ მხრივ მთელი საქართველო უაღრესად ხელსაყრელ პირობებშია. უთბილესი თვის ტემპერატურა აქ აღწევს 22-25°.

თვეების ტემპერატურათა ტერიტორიულ განაწილებაში კი სხვაობები უფრო შესამჩნევია, რამდენადაც აღმოსავლეთით მივდივართ, კლიმატი მით უფრო კონტინენტური და მშრალი ხდება.

მზის ნათების ხანგრძლივობასა და რელიეფის პირობებთან დაკავშირებულია მიკროკლიმატური განსხვავებანიც. ფერდობთა ექსპოზიცია განსაკუთრებით მოქმედებს ვენახზე და ხეხილის ბაღებზე. ამიტომაც ვენახის ბაღების უმეტესი ნაწილი განლაგებულია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე, რომლებიც იძლევა უმაღლესი ხარისხის ღვინომასალას. სამხრეთ ფერდობზე გაადგილებული ვენახი 15—20%-ით მეტი შაქრიანობით ხასიათდება, ვიდრე ჩრდილოეთური ექსპოზიციის მქონე ფერდობზე[4].

განსხვავებულია აგრეთვე, რელიეფის პირობების შესაბამისად ნალექების ტერიტორიული განაწილების წლიური ჯამი. დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით შეიმჩნევა მათი რაოდენობის მკვეთრი შემცირება. აღმოსავლეთ საქართველოში წლის განმავლობაში ნესტიანი ჰაერის მასების გავრცელება ლიხისა და არსიანი ქედების გავლენით შეფერხებულია, რაც იწვევს აქ ჰაერის სიმშრალეს. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ აღმოსავლეთიდან მშრალი ჰაერის მასების შემოჭრას არაფერი აბრკოლებს[5]. ყოველივე ამის გამო, ბუნებრივ პირობათა ნაირგვარობა თავისებურ ზემოქმედებას ახდენდა ვაზის კულტურის გადაადგილებაზე, თუმცა იგი საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. ვაზის ასობით ჯიშების გავრცელების ფართო არეალს წარმოადგენდა კახეთის მცირედ დახრილი ვაკე ადგილები. ალაზნის ველის ჩრდილო ნახევარი, რომელიც კავკასიონის მთების ტყით დაფარულ ფერდობებთან ახლოს მდებარეობს, ხასიათდება ნესტიანი ჰავით. ეს მიკროროაიონი კლიმატურად მეტად ხელსაყრელია. ნალექები 750-1000 მმ. აღწევს. ვაზის კულტურის ნორმალურ განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე ნიადაგსაფარი, კერძოდ, ნეშომპალა-კარბონატული. ტყის ყავისფერი, კარბონატული და ალუვიური ნიადაგების, ფართო გავრცელება.

ბუნებრივი პირობების შესაბამისად კახეთის ტერიტორიაზე გავრცელება პოვეს ვაზის ასობით ჯიშებმა, რქაწითელმა, საფერავმა, მწვანემ, ხიკვნემ. სწორედ აქ, ამ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში პოვა თავისი მეორე სამშობლო XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, საფრანგეთიდან შემოტანილმა ვაზის ჯიშმა კაბერნემ, რომლისაგანაც დგება შესანიშნავი წითელი ღვინო[6].

ასევე კარბონატულ, კირქვიან ნიადაგზე რაჭის მაზრაში, სოფელ ხვანჭკარაში თავისებური გავრცელება პოვა ალექსანდროულმა, რომელიც ხვანჭკარის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი ვაზის წითელი საღვინე ჯიშია.[7]

ქუთაისი-შორაპნისა და რაჭა-ლეჩხუმის ადმინისტრაციული ერთეულების

---

4 ნ. კეცხოველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

5 დ. უკლება, აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკური-გეოგრაფიული დარაიონება, თბ., 1968, გვ. 12.

6 კეცხოველი, დასახ. ნაშრომი.

7 «Кавказское хозяйство», 1910, № 10.

საშუალომთიან ზონაში, სადაც კირქვის მასივები გვხვდება, ფართოდაა გავრცელებული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. ისინი საერთოდ მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდებიან და სასოფლო-სამეურნეო კულტურების, კერძოდ, ხეხილისა და ვაზის გასაშენებლად გამოიყენებოდა. აქაც, ისევე როგორც კახეთში, ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობა მეტად მრავალფეროვნებით ხასიათდება. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ციცქა და ცოლიკაური, დანარჩენი ჯიშებიდან აღსანიშნავია კრახუნა, საფერავი, ალიგოტე, გორული მწვანე, შარდონე, ჩხაველი და სხვა.

ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობამ გამოიწვია აგრეთვე ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში ვაზს აშენებდნენ უპირატესად მაღლარად, ე. ი. უშვებდნენ ხეებზე; „დაბალი ვენახი, სარებზე გაშენებული, აქ წინათ იშვიათი იყო. უწინ აქაური მაღლარი იძლეოდა საუკეთესო ღვინოს, ასე, რომ გურია-სამეგრელო მეღვინეობის მხრივ ცნობილი იყო დასავლეთ საქართველოში ისე, როგორც ეხლა ზემო იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმია“[8].

საქართველოში მევენახეობის განვითარების ისტორიული საწყისები უნდა ვეძიოთ არა მარტო ვაზისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში, არამედ მასთან ერთად მოსახლეობის წარსულსა (ტრადიციებში) და სამეურნეო მიდრეკილებაში, ცხოვრების ეკონომიკურ პირობებში.

სხვა ფაქტორებთან ერთად მევენახეობის განვითარებაზე მოქმედებდა ღვინის წარმოების ტექნოლოგიის არქაული წესები.

ნ. შავროვი საქართველოში ღვინის დაყენების ტექნოლოგიას შემდეგნაირად აღწერს: „საქართველოში ვენახი თითქმის ყველგან ხარობს. სამეგრელოში ვაზი გავრცელებულია და იზრდება როგორც სარეველა ბალახი, ყველგან, ტყეშიც და ბაღებშიც, და ღვინოს ამზადებს ყველა, მაგრამ ყველა ამზადებს ერთნაირი ხერხით. ისე, როგორც ეს კეთდებოდა ათასი წლის წინათ; აქამდე ღვინოს ამზადებენ თიხის ჭურჭელში, რომელიც მიწაშია ჩაფლული.. ყურძენს წურავენ ფეხით.[9]“

ეხებოდა რა გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში გაბატონებულ ყურძნის დაწურვის და საერთოდ ღვინის დაყენების არქაულ წესებს, პროფ. ვ. პეტრიაშვილი წუხდა იმაზე, რომ ჩვენ განუხრელად ვატარებთ იმ ცდებს, წესჩვეულებებს და ცოდნას, რომლებიც მივიღეთ ჩვენი წინაპრებისაგან და არ ვაპირებთ მათ გადახვევას. ჩვენი ქვეყნის სამეურნეო წარმოებაში ღვინოს დიდი ადგილი უკავია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პროდუქტი ჩვენში ჯერჯერობით ისე მზადდება, რომ ჩვენს გარდა სხვა არ დახარბდება ამით.[10] ამდენად, ქართული ღვინის რეალიზაცია ძირითადად საქართველოში ხდებოდა.

ღვინოს ხარისხზე, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა ისიც, რომ ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის ფულადი შემოსავლისა და შრომითი დანახარჯების ანაზღაურების ძირითად წყაროს ვენახი წარმოადგენდა. ხშირად გლეხს (და არა მარტო გლეხს) მემამულესაც კი არ ჰქონდა საშუალება ღვინო დაძვე-

---

[8] ერ. ნაკაშიძე, მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში, თბ., 1929, გვ. 6.

[9] Н. Шавров, Образ производительных сил Кавказского наместничества, Тифлис, 1880, გვ. 496—497.

[10] П. В. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв. том I, Тб., 1957, გვ. 194—195.

ლებამდე გაეჩერებინათ და დაყენებიდან 6—8 თვის შემდეგ გაეტანათ იგი ბაზარზე გასაყიდად.

ამგვარად, მეღვინეობა XIX საუკუნემდე ძირითადად ისევ ოჯახურ მრეწველობად რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ღვინო ძველიდანვე (ანტიკური ხანიდან) ექსპორტის საგანიც იყო[11].

მეღვინეობის განვითარებას, როგორც თბილისში მცხოვრები ფრანგი კონსული ჟ. გამბა ამბობდა, ხელს შეუწყობდა „საქართველოში ღვინის დაყენების ევროპული წესის შემოჭრა". იგი აღნიშნავდა: „ამის შემდეგ ეს პროვინცია (ე. ი. საქართველო) შეძლებს ღვინის მნიშვნელოვანი ნაწილი გაგზავნოს ბაქოში, შემდეგ ასტრახანში, იქიდან ვოლგით და მისი შენაკადებით მომარაგდება რუსეთისა და ციმბირის რაიონები, სადაც ეს ღვინო შესცვლის მოლდავურ და ბერძნულ ღვინოებს[12]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ღვინოზე ასეთი მოთხოვნილება ხელს შეუწყობდა ღვინის წარმოების გადიდებას საქართველოში. გაირკვა რა ევროპული წესით ღვინის დაყენების ტექნოლოგიის უპირატესობა, ამ საქმით დაინტერესდა ზოგიერთი ქართველი მემამულე, რომელთაც საკმაოდ თანხები გააჩნდათ ამ საქმის განვითარებისათვის.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ივ. მუხრან-ბატონმა დუშეთის მაზრაში დაიწყო ევროპული წესით ღვინის დაყენება. მის მამულში დაყენებული ღვინო არ „ჩამოუვარდებოდა თავისი ხარისხით საფრანგეთის საუკეთესო ღვინოებს[13]."

1885 წელს კი ქართველმა მრეწველმა დავით სარაჯიშვილმა თბილისში ააგო კონიაკის ქარხანა. აქ დამზადებული კონიაკი არაერთგზის მსოფლიო გამოფენის მონაწილე ყოფილა[14].

ამაზევე მეტყველებს 1880-90-იან წლებში ქუთაისის გუბერნიაში მოქმედი ღვინის ქარხანა, რომელიც პრინც კ. პ. ოლდენბერგს ეკუთვნოდა. ქარხანა წლიურად 200 ათასი მანეთის შამპანურ ღვინოს ამზადებდა. შორაპნის მაზრა წარმოადგენდა ამ ქარხნის საშამპანურე ღვინო-მასალის ძირითად მიმწოდებელს; მის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში ხარობდა შესანიშნავი საშამპანურე ვაზის ჯიშები.

საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე რუსეთის საშინაო პოლიტიკაც. კერძოდ, რუსეთი იყო დაინტერესებული ქართული ღვინოებით, ვინიადან საფრანგეთიდან და იტალიიდან მილიონი მანეთის ღვინის შემოტანა მისთვის ეკონომიკურად არახელსაყრელი იყო. რუსეთი ისწრაფოდა საქართველოში, „ვაზის სამშობლოში", მეტი ყურადღება მიექცია და ხელი შეეწყო მევენახეობის განვითარებისათვის.

საკვლევ პერიოდში საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას ხელი შეუწყო სატრანსპორტო მშენებლობამ, რაც დაკავშირებული იყო საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებასთან. რკინიგზების საშუალებით სდებოდა არა მარტო საქართველოს ცალკეული კუთხეების დაკავშირება ერთმანეთთან, არამედ საქართველოს დაკავშირება ამიერკავკასიასა და რუსეთ-

---

11 ჯ. სონღულაშვილი, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, წიგნი II, თბ., 1974, გვ. 76.

12 П. В. Гугушвили, დასახ. ნაშრომი. გვ.. 199.

13 М. Балас, Виноделие в России, ч. III, 1897, СПб., გვ., 23.

14 საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწილი პირველი, თბ., 1970, გვ., 92.


ვენახების გავრცელება საქართველოში XIX საუკუნის
უკანასკნელ მეოთხედში
საზღვრები
საქართველოს
ოლქების
გუბერნიების
მაზრების
გუბერნიის ცენტრი
ოლქის ცენტრი
მაზრის ცენტრი
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ბორჯომი
ქუთაისი
ზუგდიდი
ოზურგეთი
ახალქალაქი
ბორჩალო
ბაკურიანი
ბორი
დუშეთი
თიანეთი
თელავი
თბილისი
სიღნაღი
ზაქათალა
ალაზანი
ბელაქანი
ბელოკანი
ალაზანი
ბორჩალო
ბორ
ალაზანი
ალაზანი
ალაზანი

თანაც. რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან. საგზაო კავშირის გაფორმების შედეგად საქართველოდან მეტი ღვინის გატანის შესაძლებლობა შეიქმნა.

გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თბილისი, ბაქო, ბათუმი, ფოთი, რკინიგზის ხაზით დაუკავშირდა ერთმანეთს, რითაც სრულიად შეიცვალა საქართველოს სატრანსპორტო მდებარეობა; ამან განაპირობა რკინიგზის ხაზთან ახლოს მდებარე გორის, შორაპნის, ქუთაისის, თბილისის მაზრებში ღვინის ექსპორტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. განსაკუთრებით დაწინაურდა შორაპნის მაზრა, საიდანაც 80-იან წლებში სხვადასხვა ბაზარზე რკინიგზით ყოველწლიურად 250,0 ათასი ვედრო ღვინო იგზავნებოდა[15].

საკვლევ პერიოდში სატრანსპორტო მომსახურების საქმეში დიდ როლს ასრულებდა სამდინარო ტრანსპორტიც. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს იმ რაიონებისათვის, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ტრანსპორტის სხვა ახალ სახეებს. დასავლეთ საქართველოს სამდინარო ნაოსნობის ძირითად ღერძს მდინარე რიონი წარმოადგენდა. თავისი მრავალრიცხოვანი შენაკადებით; როგორც ჩრდილო-დასავლეთიდან, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ამ სანაოსნო გზით წარმოებდა მდინარისპირა სოფლებიდან ფოთის ნავსადგურამდე ტვირთის გადატანა.

შავიზღვისპირა ქალაქებში სულ უფრო მეტი საზღვარგარეთული გემები შემოდიოდა. მთელი ევროპული საქონლის სატრანზიტო მოძრაობა წარმოებდა უმთავრესად ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან, რითაც საქართველო საერთაშორისო ბაზრის სფეროში ღრმად შეიჭრა.

სავაჭრო მოძრაობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო 1893 წელს ქუთაისის გუბერნიიდან საზღვარგარეთ 23,5 მლნ მანეთის საქონლის გატანა. აქედან 121,7 ათასი მანეთი მოდიოდა სიმინდზე, ხოლო 1,4 ათასი მანეთი — ღვინოზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი საკვლევი პერიოდის მანძილზე ეკონომიკური კავშირურთიერთობა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. იგი იცვლებოდა ცალკეულ ათწლეულებში, მაგრამ საქართველო მაინც ინარჩუნებდა თავის პოზიციებს და აფართოებდა გასაღების ბაზრებს ამიერკავკასიასა და რუსეთში.

ამგვარად, ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მეშვეობით ხდებოდა საქართველოში XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში მევენახეობის განვითარება. მართალია, საქართველოში მევენახეობა თითქმის ყველგან იყო განვითარებული, მაგრამ იგი მეტ-ნაკლები ინტენსიურობით ხასიათდებოდა და

ცხრილი № 1

ვენახების ფართობები საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით 1892 წ.

ადმინისტრაციული ერთეულები	ვენახის ფართობი		
	აბსოლუტური მონაცემები (დესეტინობით)	%-ში გუბერნიების მიმართ	%-ში საქართველოს მიმართ
თბილისის მაზრა	5000	14,5	8,4
თელავის „	13800	41,3	22,1
სიღნაღის „	5750	17,3	9,2
გორის „	4800	14,3	7,7
დუშეთის „	1800	5,4	2,8
ბორჩალოს „	1625	4,8	2,6
თიანეთის „	800	2,4	1,2

[15] საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. I, თბ., 1970, გვ. 98.

სულ თბილისის გუბერნიაში	33575	100,0	54,0
ქუთაისის მაზრა	7716	26 9	12.4
შორაპნის „	9222	32.2	14,8
რაჭის „	5154	18,5	8,2
ლეჩხუმის „	1461	5,0	2.3
ზუგდიდის „	2829	9,8	4,5
ოზურგეთის „	1240	4.3	1,9
სენაკის „	974	3,3	1,5
სულ ქუთაისის გუბერნიაში	28596	100,0	45,6
სულ საქართველოში	62 171	100%	100%

მისი ფართობები განსხვავებული იყო ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემული ცხრილიდან[16].

როგორც ცხრილიდან ჩანს, ვენახის დიდი ფართობებით გამოირჩეოდა, თბილისის გუბერნიაში სიღნაღისა და თელავის მაზრები, ქუთაისის გუბერნიაში — შორაპნისა და ქუთაისის მაზრები, რომლებზეც მოდიოდა მთელი საქართველოს ვენახების ფართობის 58,5%; აქედან მხოლოდ თელავის მაზრაზე 22,1% მოდიოდა.

მევენახეობა განვითარებული იყო სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც, ოზურგეთის, ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში, მაგრამ ვაზი აქ უმთავრესად გაშენებული იყო სოფლის მეურნეობის სხვა კულტურებთან ერთად. საერთოდ საქართველოში მთიანი რელიეფის გამო მკვეთრად იგრძნობოდა დასამუშავებელი მიწების სიმცირე. მცირემიწიანობის გამო გლეხური მეურნეობა თავისებურ ხასიათს ატარებდა. გლეხი მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე სხვადასხვა კულტურას თესავდა; ნაკვეთის განაპირა ზოლში ხეხილს რგავდა, ხოლო შუაში კი ვენახს ჩაყრიდა, მწკრივებს შუა სიმინდი და ლობიო მოყავდა, ამასთანავე ვაზს ხეზე უშვებდა[17].

მიწათმოქმედების წარმოების ამგვარი წესი საშუალებას აძლევდა მცირემიწიან მეურნეს, მოეყვანა საჭირო პროდუქტები თავისი ოჯახის გამოსაკვებად.

გარდა ამისა, საქართველოსათვის დამახასიათებელია ვენახების ფართობების ცვალებადობა, დესეტინებში, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოტანილ გრაფიკში:

გრაფიკი აგებულია შესაბამისი წლების „კავკასიის კალენდარიდან“ ამოღებული მასალისა და პ. გუგუშვილის აღნიშნული შრომის 618 გვ-ზე მოთავსებული ცხრილიდან ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემების გამოყენების საფუძველზე.

როგორც გრაფიკიდან ირკვევა, საქართველოში 25 წლის მანძილზე (1890—1915 წწ.) აღინიშნებოდა ვენახების ფართობების შემცირება, კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში შემცირდა 22 ათასი დესეტინით. ამგვარად, საშუალოდ ყოველწლიურად ვენახების ფართობები მცირდებოდა 800 დესეტინით. უნდა აღინიშ-

[16] ცხრილში მოცემული ფართობები მაზრების მიხედვით დესეტინობით ამოღებულია 1892 წ. «Кавказский календарь»-იდან, ხოლო %-ული მაჩვენებელი გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ (ქ. ქ.)

[17] «Кавказский календарь» на 1896. г Тифлис, 1895, გვ. 220.

ნოს, რომ ყველაზე მეტი შემცირება (13,1 ათასი დესეტინა) აღინიშნებოდა 1890—1900 წწ-ში.

საქართველოში საკვლევ პერიოდში ვენახების ფართობების შემცირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ოიდიუმის, მილდიუს და ფილოქსერის გავრცელება უნდა მივიჩნიოთ.

XIXს-ის მეორე ნახევარში საქართველოში ვაზის სოკოვან დაავადებათა და ფილოქსერას გაჩენის შედეგად მრავალი ძვირფასი ადგილობრივი ვაზის ჯიში დაიღუპა, რამაც გამოიწვია არა მარტო მოსავლიანობის დაცემა, არამედ

გრაფიკი N1



ვენახების სრული დაღუპვა დიდ ფართობზე. მათ უდიდესი ზიანი მიაყენეს მევენახეობას და მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიეს სოფლის მეურნეობის ამ დარგში, ასევე მევენახეობის მიმდევარი გლეხების ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ფულადი შემოსავლითა და შრომითი დანახარჯების მხრივ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმის გამო, რომ უკვე მინიმალურ მოთხოვნილებას ვეღარ იკმაყოფილებდა, იძულებული ხდებოდა „ხელი აეღო მასზე, ზოგმა კიდევაც აკაფა ძველი ვენახები და იქ სიმინდი დათესა, ანდა ხეხილი გააშენა[18].

ფილოქსერამ სრულიად გაანადგურა სამეგრელოსა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის ადგილობრივი ვაზის ჯიშები. „არც ერთ მეურნეობის დარგში არაფერს ისეთი ცვლილება არ გამოუწვევია, როგორც ფილოქსერამ გამოიწვია მევენახეობაში. ფილოქსერამ ძირითადად შეცვალა ვაზის მოვლა-მოშენება და ამ დარგში მთელი ევოლუცია გამოიწვია[19].

[18] ვ. გ უ გ უ შ ე ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., თბ., 1965, ტ. IV, ნაწ. I, გვ. 574.

[19] ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, ფილოქსერა და მასთან ბრძოლა, ტფ., 1912.

მიუხედავად ვენახის ფართობების ძლიერი შემცირებისა, საქართველო რუსეთის იმპერიაში ვენახების ფართობისა და მოსავლიანობის მიხედვით მაინც პირველ ადგილზე იდგა. მასზე მოდიოდა რუსეთის იმპერიის ვენახის ფართობების 34,5% და 7—8 მილიონ ვედრო ღვინოს ამზადებდა წლიურად[20].

საქართველოში ვენახების ფართობების შემცირებამ გამოიწვია საკუთარი ღვინის წარმოების დაცემა. თუმცა მეტ-ნაკლები ოდენობით მაინც გაჰქონდა იგი რუსეთსა და საზღვარგარეთ.

1885-1890 წლებში ქუთაისის გუბერნიაში ღვინის წარმოება შემცირდა ორჯერ. 1890 წელს აწარმოეს მილიონნახევარი ვედრო უხარისხო ღვინო. აღნიშული ცვლილებები განსაკუთრებით გამოვლინდა ღვინის ფასების მკვეთრ რყევაში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ასეთ პირობებში ქუთაისის გუბერნიაში საშუალოდ ერთი ვედრო ღვინის ფასი 2-3 მანეთის ფარგლებში მერყეობდა.[21]

ამგვარად, როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, საქართველოში XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მევენახეობა-მეღვინეობა ფართოდ იყო გავრცელებული და წარმოადგენდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან სასაქონლო დარგს, რამაც განაპირობა საბჭოთა საქართველოში ტრადიციული სპეციალიზაციის—მევენახეობის შემდგომი განვითარება.

К. И. КЕКЕЛИЯ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ РАЗМЕЩЕНИЯ ВИНОГРАДНИКОВ И ВИНОДЕЛИЯ ГРУЗИИ В ПОСЛЕДНЕЙ ЧЕТВЕРТИ XIX ВЕКА

Резюме

В статье дана попытка историко-географического изучения виноградарства и виноделия Грузии в последней четверти прошлого столетия в тесной связи этой древнейшей и традиционной области сельского хозяйства с природными и социально-экономическими условиями. В статье на общем фоне экономического развития Грузии в период развития капитализма, на основе характеристики почвенно-климатических и территориально-географических условий дана картина размещения различных сортов винограда по регионам с соответствующими технологическими данными; кроме того, выявлены причины сокращения площадей виноградников по отдельным губерниям и уездам. По данным «Кавказского календаря» составлена карта размещения виноградников по отдельным уездам Грузии.

წარმოადგინა აკად. ბ. გუგუშვილმა

[20] «Кавказский календарь» на 1892 г., Тифлис, 1891, გვ. 89.

[21] «Кавказский календарь» на 1892 г., Тифлис, 1891, გვ. 89.

თამაზ ბერაძე

დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან

ეგრისის (კოლხეთის) უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას წარმოადგენს მარგუ, რომელიც, ფარნავაზის მეფობის ხანაში, ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში ქართლის (იბერიის) სამეფოს საზღვრებში მოექცა.

ფარნავაზის ხანაში მარგუ მოიცავდა რაჭისა და მესხეთ-აჭარის ქედებს შორის მოქცეულ ტერიტორიას, რომელსაც აღმოსავლეთით ლიხის ქედი, დასავლეთით მდ. რიონი საზღვრავდა. ამავე პროვინციაში შედიოდა მდ. ხანის წყალის ხეობა და შესაძლებელია ელინისტური ხანის „ვანის ქვეყანაც". ამ უკანასკნელ ვითარებაში ამ დროისათვის მარგუს საზღვარი რიონის მარცხენა ნაპირას, საგულისხმოა, საჯავახოს ქედამდე აღწევდა, რომელიც მესხეთ-აჭარის ქედის ჩრდილო განშტოებას წარმოადგენს.

ფარნავაზის სიკვდილის შემდეგ ქართლის სამეფოს მარგუ დაუკარგავს. ყოველ შემთხვევაში, ძველი და ახალი ერის მიჯნაზე ეს პროვინცია ეგრისის (კოლხეთის) საზღვრებშია[2].

II ს-ის პირველ ნახევარში, ქართლში ფარსმან II ქველის მეფობის დროს, მარგუ კვლავ ამ სამეფოს შემადგენლობაში შემოდის[3]. მისი სიკვდილის შემდეგ კი კვლავ ეგრისის საზღვრებში ექცევა[4]. ეს უკანასკნელი ვითარება გრძელდება დაახლოებით სამი საუკუნე.

ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს (IV ს-ის უკანასკნელი მესამედი) მარგუ, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, ქართლის სამეფოს საზღვრებში შედის[5]. იგი გაერთიანებულია თაკვერთან (დღევანდელი

---

[1] „მარგუს". როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინს VI ს.-ის წინა ხანის ამბების გადმოცემის დროს ხმარობს როგორც ლეონტი მროველი, ისე ჯუანშერი. ლეონტი მროველის ცნობით ფარნავაზმა ერთი ერისთავი „გაგზავნა მარგუს ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღურადმდე ეგრისსა, რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა". (იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24; იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1965, გვ. 51). ფარნავაზის მიერ მარგუში აგებული დიმნას ციხე, როგორც დღეისათვის ეს გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში შეესაბამება დღევანდელი დიმის ციხეს, რომელიც ხანის წყალის ქვემო წელში დგას, ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე. რამდენიმე წლის წინათ ამ ციხეზე ვარდციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რამდენიმე სასინჯი თხრილი გაავლო და ფარნავაზის დროინდელი, ელინისტური ხანის საამშენებლო ფენა დაადასტურა. ყოველივე ეს კი იძლევა იმის საშუალებას, რომ ფარნავაზის ხანაში ხანის წყლის ხეობა ქართლის სამეფოს საზღვრებში და მარგუს ტერიტორიაზე ვიგულისხმოთ.

[2] სტრაბონის ცნობით, შორაპნის ციხე და მდ. ყვირილის სათავეები ეგრისის (კოლხეთის) საზღვრებშია (იხ. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 126), რაც მოწმობს, რომ მთელი მარგუ ამ დროს ქართლის სამეფოს საზღვრების გარეთაა.

[3] Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 354.

[4] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 88.

[5] ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა IV—V საუკუნეებში,

რაჭა-ლეჩხუმი) და ემორჩილება ბაკურს, რომელიც იყო „ერისთავი მარგვსა და თაკვერისა“[6].

ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შემდეგ მარგვ კვლავ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს უბრუნდება. VI ს-ის შუა წლებში სპარსელები მცირე ხნით ახერხებენ მარგვს დაუფლებას და ქართლისათვის მიერთებას, მაგრამ ამ საუკუნის 60-იან წლებში ეს მხარე კვლავ ეგრისის საზღვრებში ექცევა[7].

VII—VIII საუკუნეებში სახელწოდება მარგვ თანდათანობით შეცვალა მეორე სახელმა არგუეთმა. ამ უკანასკნელ სახელს ხმარობენ ლეონტი მროველი და ჯუანშერი საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის გადმოცემის დროს. არგუეთი მოხსენიებულია „დავით და კოსტანტინეს მარტვილობაშიც“, რომელშიც VIII ს-ის პირველი ნახევრის ამბებია გადმოცემული.

ეს გეოგრაფიული სახელი მოხსენიებულია ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაშიც, რომლის სხვადასხვა რედაქციას VII—XI ს-ით ათარიღებენ. აქვე გვხვდება არგვეთის ქედიც ლიხის ქედის მნიშვნელობით[8].

მარგვს არგუეთით შეცვლის შემდეგ ხმარებაში დარჩა ტერმინი მარგუელი//მარგველი, რომელიც იხმარებოდა თითქმის XIX ს-მდე.

VII ს-ში არგუეთი კვალინდებურად ეგრისის საზღვრებში რჩება[9]. VIII ს-ის დასაწყისში ეს მხარე ქართლის შემადგენლობაში ექცევა[10]. VIII ს-ის 80-იან წლებში აფხაზეთის ერისთავმა ლეონმა გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო და „აფხაზეთის“ ანუ ეგრის-აფხაზეთის სამეფო შექმნა. არგუეთიც ამ ახლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულის შემადგენლობაში შედის[11].

ამ ხანაში არგუეთის ძველი საზღვრები ფაქტობრივად არ შეცვლილა. იგი

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II, თბ., 1973, გვ. 167.; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 46;

[6] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185.

[7] პროკოპი კესარიელის მიხედვით შორაპნისა და სკანდეს ციხეები ე. ი. ფაქტობრივად მთელი მარგვ ლაზიკის (ეგრისის) საზღვრებშია. ბერძენ-სპარსელთა ომის დროს, 550 წლის შემდეგ, ეს ციხეები და მათთან ერთად მთელი მარგვ სპარსელების ხელში გადადის (იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 101, 185—186). 562 წ. ირანსა და ბიზანტიას შორის დიდი ზავი, რომლის თანახმად სპარსელებს დასავლეთ საქართველო მთლიანად უნდა დაეცალათ. ზავის ეს პირობა მხოლოდ 575 წ. შესრულდა (იხ. ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოები VI—VIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, წ. II, გვ. 267—268). ამის შემდეგ სკანდესა და შორაპნის ციხეები და მთელი მარგვიც კვლავ ეგრისის (ლაზიკის) საზღვრებში ექცევა.

[8] Армянская география VII века по р. х. Текст и перевод издал Н. П. П а т к а н о в, СПб; 1877, გვ. 35. იხ. აგრეთვე დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ღასახ. ნაშრომი, I, გვ. 168—169.

[9] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 54.

[10] ატენის სიონის ერთ ფრესკულ წარწერაშიც, რომელსაც თარიღად ჰკრით 121 წ. ანუ 739 წ. უზის, მოხსენებულია „მამფალი სტეფანოზ.. ქართველთა და მეგრელთა ერისთაერისთავთა უფალი“ (იხ. გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 36). რამდენად რეალური იყო სტეფანოზ მამფალის მიერ მეგრელთა ე. ი დასავლეთ საქართველოს ყველა ერისთავთ ერისთავის „უფლობა“ ჩვენ არ ვიცით, მაგრამ რომ მას არგუეთი ემორჩილება, ამ წარწერის მიხედვით, ეს კი უეჭველი უნდა იყოს.

[11] აფხაზთა ერისათვმა ლეონმა „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“ (ქ. ცხ. I, გვ. 351), რაც მოწმობს, რომ მან არგუეთიც შეიერთა.

კვლავინდებურად მოიცავდა ტერიტორიას რაჭისა და მესხეთ-აჭარის ქედებსა და ლიხის ქედსა და რიონს შორის. არგუეთში შედიოდა ხანის წყლის ხეობაც[12].

ვახუშტის ცნობით, ეგრის-აფხაზეთის პირველმა მბრძანებელმა თავისი სამეფო რვა საერისთავოდ დაჰყო. ამ საერისთავოებს შორის მეშვიდედ მას დასახელებული აქვს „შორაპნისავე, რიონისა და ხანის-წყლის აღმოსავლეთისა ლიხამდე სრულიად არგუეთისა“[13]. როგორც ვხედავთ, ამ ხანაში არგუეთი ცალკე საერისთავოს წარმოადგენდა.

IX—X სს-ში არგვეთის საერისთავოს არსებობის შესახებ მხოლოდ ერთი არაპირდაპირი მითითება მოიპოვება. მხედველობაში გვაქვს „მატიანე ქართლისას“ ცნობა იმის შესახებ, რომ გიორგი I აფხაზთა მეფემ (861—868 წწ.) „დაუტევა ერისთავი ჩიხას ძე დემეტრესი“. სულ მალე, აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, ეს „ერისთავი ჩიხისა“ ღალატით მოკლეს“[14]. „ჩიხის ერისთავი“ ისტორიკოსებს გააზრებული აქვთ როგორც არგუეთის ერისთავი[15].

XI ს-ში არგუეთის ტერიტორია შემცირდა. მას გამოეყო ოკრიბა[16] და „ლომსიანნი“, რომელიც გვიანფეოდალურ ხანაში ლომსიანთხევის სახელითაა ცნობილი[17]. ასე რომ, XI ს-ში არგუეთის საზღვარი ძირითადად ემთხვევა ამ მხარის ვახუშტისეულ ლოკალიზაციას. იგი ლიხის მთიდან კვახჭირამდე იყო გადაჭიმული[18]. XI—XIII საუკუნეების წერილობით წყაროებში არგუეთის რამდენიმე პუნქტია მოხსენიებული. ყველა მათგანი XI ს-თვის ჩვენ მიერ შემოსაზღვრული არგუეთის ტერიტორიაზე თავსდება, რომელშიც უკვე აღარ შედის ოკრიბა და „ლომსიანნი“ (ლომსიათხევი)[19].

X ს-ის დასასრულს შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო. ბუნებრივია, არგუეთიც მის შემადგენლობაში შევიდა. დღემდე არაა საკმარისად გარკვეული წარმოადგენდა თუ არა საქართველოს გაერთიანების შემდეგ ეს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია ცალკე საერისთავოს და ასეთ შემთხვევაში რომელი გვარეულობის ხელში იყო მისი გამგებლობა.

ერთი შეხედვით საკითხი სრულიად ნათელია. თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში საქართველოს ერისთავებს შორის მოხსენიებულია არ-

---

[12] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77—78.

[13] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 796.

[14] ქართლის ცხორება, I, გვ. 258.

[15] ნ. ბერძენიშვილი, ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წელს, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964, გვ. 21.

[16] ოკრიბა, როგორც ცალკე ქვეყანა მოხსენიებულია ნიკორწმინდის დაწერილში, რომელიც 1071—1080 წწ. არის დათარიღებული (ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 37).

[17] „ლომსიანნი“ პირველად მოხსენიებულია „მატიანე ქართლისაში“ XI ს-ის 40-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით (ქ.ცხ. I, გვ. 299).

[18] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 771.

[19] „გარდავიდა მარბიელი მისი არგუეთს. მიუწიეს და დაარბიეს ვიდრე სუერის ციხემდე“ ვკითხულობთ სელჯუკთა 1168 წლის ლაშქრობაზე დასავლეთ საქართველოში ((იხ. ქ.ცხ. I, გვ. 309); „არგუეთს ჭორვილაი“ მოხსენიებულია თამარ მეფის 1188 წ. სიგელში გელათისადმი (იხ. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 26) „არგუეთს ზენსკანდეს“ ვკითხულობთ დავით ნარინის ხანაში გაცემულ ერთი შეწირულობის წიგნში (იხ. ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 174).

ვუეთის ერისთავი ამანელისძე[20]. მაგრამ სირთულე სწორედ ისაა, რომ ტექსტის ეს ადგილი კ. კეკელიძის მიერაა აღდგენილი და მისი სისწორე დამატებით დასაბუთებას მოითხოვს.

1966 წ. გამოქვეყნდა გიორგი ცქიტიშვილის ერთი წერილი, რომელშიც ავტორმა თამარის პირველი ისტორიკოსის ტექსტის ამ ადგილის კ. კეკელიძისეული აღდგენა მიუღებლად მიიჩნია. მისი აზრით, არგუეთი ამანელისძეთა საერისთავო კი არ იყო, არამედ ბაღვაშთა ცნობილ საგვარეულოს მამულს წარმოადგენდა, რომელიც ამ საგვარეულოს გადაშენების შემდეგ დავით აღმაშენებელმა სამეფო მონასტერს გელათს გადასცა და ამ აქტით არგუეთის საერისთავო გააუქმა[21].

გ. ცქიტიშვილის ეს მოსაზრება, რომელიც ქართველ ისტორიკოსთა ერთმა ნაწილმა გაიზიარა[22], არ უნდა იყოს სწორი. თავისთავად ძნელი წარმოსადგენია, რომ მონასტერს, თუნდაც მეფეთა საძვალეს, ისეთი დიდი მხარე, როგორიც იყო XI ს-ის არგუეთი ერთიანად სამამულოდ მიეღოს. საერთოდ საქართველოს ისტორიაში ამგვარი მაგალითი სხვა არ გვაქვს. ეს მით უფრო დაუჯერებელია, რომ ზემოთ მოხსენიებული თამარის 1188 წლის სიგელიდან ირკვევა, რომ „რომელ აღშენებასავე მის მონასტრისასა ზედა თორმეტი მწირი იყო დაწესებული სპონდიოსა გარეთ. და არ იყო საზრდელ მათდა, თუინიერ რომელ, თუ ვინ გარეთმან გარდაიკადოს აღაპი, მაშინ შეუშინ ტრაპეზსა. და სხუებრ არღა აქუნდა ტრაპეზისაგან; და ყოვლითურთ უღონონი გარეთ უცხოთასა საზრდელისა მომლოდინი იჭირვოდეს“. და მეფეს იგივე არგუეთიდან, რომელიც თითქოს დიდი ხანია უკვე მთლიანად ეკუთვნოდა ამ მონასტერს, დასჭირდა საგანგებოდ სოფელი ჭორვილა შეეწირა, რათა ამ თორმეტი მწირისათვის ტრაპეზი გაეჩინა[23].

თავის მოსაზრების დასამტკიცებლად გ. ცქიტიშვილი მთლიანად „მატიანე ქართლისას“ ემყარება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საისტორიო ნაწარმოების შესაბამისი ადგილები ამ ძეგლის უკანასკნელ გამომცემელსაც გ. ცქიტიშვილის მსგავსად აქვს გააზრებული, რადგან „ქართლის ცხოვრების“ პირველი ტომის სარჩევში პირდაპირ აღნიშნულია „არგვეთი—რატი ერისთავის მამული“[24].

ჩვენი აზრით, აღნიშნული საისტორიო თხზულება სრულებითაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ არგუეთი ბაღვაშთა სამფლობელოდ გამოვაცხადოთ.

არგუეთი ბაღვაშებთან დაკავშირებით, „მატიანე ქართლისას“ ფურცლებზე, სულ რამდენჯერმე მოიხსენიება. პირველად იგი გვხვდება 978 წლის ამბებთან დაკავშირებით, როდესაც კლდეკარში გამაგრებული რატი ბაღვაში ბაგრატ III-ეს დამორჩილდა „და მისცა ციხე თჳსი ბაგრატს, და თჳთ დაჯდა მამულსა თჳსსა არგუეთს“[25]. დაახლოებით 80 წლის შემდეგ სიტუაცია გამეორ-

[20] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1957, გვ. 34.

[21] გ. ცქიტიშვილი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 224—227.

[22] ვ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 419,

[23] ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 25—26.

[24] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 391.

[25] იქვე, გვ. 278.

და. ეხლა ბაგრატ IV-ეს მოუწია გამდგარ ბაღვაშთა სახლის დამორჩილება. მეამბოხე ლიპარიტი ბერად აღიკვეცა „და შეჰვედრა ძე თვისი ივანე მეფესა. დარჩა არგუეთის მამული ივანეს“... და შემდგომად მცირედის ჟამისა გაიპარა და წარვიდა ივანე საბერძნეთს. და დაყენა მუნ წელნი რაოდენიმე... და ივანეს უურვა თავის მამამან ბაგრატს თანა და თუთ ბაგრატცა გამოიზიდნა და გამოიყვანა ამას სამეფოსა, და უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა“...[26]

ეს არის და ეს. აქ არსად არ ჩანს, რომ არგუეთი ბაღვაშთა სამფლობელოა. პირიქით, „მატიანე ქართლისადან“ მოყვანილი ადგილი მოწმობს, რომ არგუეთში ბაღვაშებს ისევე ჰქონდათ თავიანთი საგვარეულო მამული, როგორც ქართლში.

ბაღვაშებს არგუეთის ერთი ნაწილი ეკუთვნოდათ, საფიქრებელია კაცხი და მისი მიდამოები, რადგან კაცხის ტაძარი, როგორც ცნობილია იყო მათი სამარხი და საძვალე. საერთოდ კი ბაღვაშები არსად თავისთავს არგუეთის მფლობელად ან კიდევ ერისთავებად არ მოიხსენიებენ.

ეს არცაა გასაკვირი. როგორც ირკვევა XI ს-ში არგუეთში კიდევ ერთ ფეოდალური გვარეულობა იყო დაფუძნებული და ბევრად უფრო მტკიცედ ვიდრე ბაღვაშები.

ქორეთის, სავანეს, დარკვეთისა და ეხვევის 14 ლაპიდარულ წარწერაში წარმოდგენილია უცნობი ფეოდალური გვარეულობა ოთხი თაობის მანძილზე. ამათგან მეორე თაობის წარმომადგენელი ხურსი ერისთავის, ხოლო მისი ძმა გიორგი ერისთავთერისთავის ტიტულით არიან მოხსენიებულნი. საფიქრებელია, რომ ერისთავის ტიტულს ატარებდა მათი მამაც გულზვიადი, რადგან ქორეთის სამშენებლო წარწერაში, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ არის შესრულებული, მისი მეუღლე მარიამი „დეოფლის“ ტიტულით არის მოხსენიებული[27].

XI ს-დან არგუეთის ამ ნაწილიდან მოაღწია ცნობამ კიდევ ერთი ერისთავის შესახებ. კერძოდ, ჯრუჭის მონასტრის ამ საუკუნის ერთ ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებულია უცნობი ჯრუჭის ერისთავი[28].

ზემოთქმულის შემდეგ გ. ცქიტიშვილის წამოყენებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ არგუეთი XI ს-ში ბაღვაშთა სამფლობელოს წარმოადგენდა და 1103 წლის შემდეგ კი გელათს გადაეცა, არ შეიძლება დამაჯერებელი იყოს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, XI—XIII სს-ში ერთიანი არგუეთის საერისთავო არ არსებობდა. ჯერ ერთი ასეთი ერისთავი არც ერთ ამ ხანის წერილობით წყაროში არაა მოხსენიებული. უფრო მეტიც: დღემდე მოაღწია წყალობის დაწერილმა არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართ უხუცესისა მგელა აბულახტარიძისადმი. 1242—1243 წწ.-ში დაწერილ ამ სიგელში არსენ ჭყონდიდელი მგელა აბულახტარიძეს უბოძებს სოფელ ღუერკს. ეს სოფელი დღევანდელი ხარაგოულის მიდამოებში მდებარეობს და შუაფეოდალურ ხანაში არგუეთის ერთ-ერთი სოფელია და ეკლესიურად უბისასთან იყო დაკავშირებული. ამ წყალობის სიგელს რამდენიმე პირი ამტკიცებს. მათ შორის რუსუდან მეფის და მისი ძის დავით ნარინის, ავაგ ათაბაგის, შაჰანშა ბანდატურ-

[26] ქართლის ცხოვრება, 1, , გვ. 305.

[27] დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკე. I (IX—XII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ეალერი სილოგავამ; ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980, გვ. 77—78.

[28] იქვე, გვ. 155.


ნახაზი I
ზემო მხარი /ზემო ქვეყანა/ და არგვეთი
XVI_XVIII ს.ს-ში
პირობითი ნიშნები
ქალაქი
სოფელი
ციხე
ციხე-დარბაზი
ციხე-დარბაზი
ეკლესია
მონასტერი
ხიდი
ქვაში
ეკლესიები
ციხე-დარბაზის სახლი
ციხე-დარბაზის სახლი
ეკლესიის სასახლე
ფაზანი
ყვირილა
ცხენისწყალი
ტეხური
ალაზანი
ალგეთი
ალაზანი
ალაზანი
ალაზან

უხუცესისა და სხვების. მაგრამ აქ ვერ ვხვდებით არგუეთის ერისთავს. მისი ხელრთვა კი აუცილებელი იქნებოდა თუ კი ამ დროს არგუეთის საერისთავო არსებობდა.

დავუბრუნდეთ „ისტორია და აზმანი შარავანდედთანის“ იმ ადგილს, სადაც თამარის მეფობის პირველი წლების ერისთავები არიან ჩამოთვლილნი. „მარიამისეულ“ ქართლის ცხოვრებაში, რომელშიც მოცემულია თამარის ისტორიკოსის დღემდე ჩვენამდე მოღწეული უძველესი ვარიანტი, დასავლეთ საქართველოს საქვეყნო გამგენი ასეა გადმოცემული: „ეთევნი მის ჟამისანი ესენი იყუნეს ბარამ ვარდანის ძე სვიანთა თავი, კახთა თავად; დოთღოდ შარვაშეს ძე ცხუმის ეთვად ამონისძე, დოდიბის ერისთავად ბედანი“[29]. როგორც ვხედავთ, ტექსტი ძალზე დაზიანებულია და მისი თავდაპირველი სახის აღდგენა თითქმის გადაულახავ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. „ისტორია და აზმანი შარავანდედთანის“ საკმაოდ შერყვნილი ტექსტები ჰქონდა, როგორც ჩანს, XVII ს-ის ქართველ ისტორიკოსს ფარსადან გორგიჯანიძეს, რომელსაც ეს ადგილი თავის თხზულებაში ასე აქვს გადმოცემული „ამ ჟამის ერისთავნი იყვნენ ბარამ ვარდანიძე სვანეთის ერისთავი იქნა და ოთაღოთ შარვაშიძე ოცხეს ეთავადა და ბედიანი და დადიანი ლეხთ იმერთ ეთავადა“[30].

კ. კეკელიძე ტექსტის ამ ადგილთან დაკავშირებით შენიშნავს: „ძალიან დამახინჯებულან „ლიხთ იმერეთის“ დასავლეთის ერისთავნი“. ესენი არიან ა) ბარამ ვარდანის ძე, „სვიანთა თავი“, ეჭვი არაა „სვანთა ერისთავი“; ბ) „კახთა თავად“, სხუა ადგილების მიხედვით, აქ იგულისხმება „კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა“; გ) დოდღოდ შარვაშეს ძე, ცხუმის ან აფხაზეთის ერისთავი; დ) „დოდიბის ერისთავად ბედანი“ ნიშნავს ოდიშის ერისთავს ბედიანს.

... ცხომისა და ოდიშის ერისთავთა შუა აღნიშნულია „ამონის-ძე“. აქ უეჭველად იმალება რომელიღაც გვარი, ვფიქრობთ, ამანელისძე. ამანელისძენი მოხსენიებულნი არიან თამარის კორონაციის დროს დასავლეთ საქართველოს სვიან დიდებულთა შორის. ჩანს, ამანელისძე ყოფილა ერისთავი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ქვეყნისა. ეს ქვეყანა ვერ იქნებოდა ვერც სვანეთი, ვერც ცხუმი ან აფხაზეთი, ვერც სამეგრელო ოდიში, რადგანაც ამ ქვეყნის ერისთავები ცალკე არიან დასახელებულნი. ვერ იქნებოდა ის ვერც დღევანდელი ქვემო იმერეთი ან ვაკე, რადგანაც ის, როგორც ქუთაისის სანახებში შემავალი ცალკე „სამოქალაქო“ ერთეულს შეადგენდა. ვფიქრობთ, ამანელისძე საერისთავო იყო დღევანდელი დაახლოებით ზემო-იმერეთი ანუ მაშინდელი ტერმინოლოგიით ქვეყანა მარგუეთისა... წარმოუდგენელია, რომ ამოდენა ქვეყანას თავის ერისთავი არ ჰყოლოდა“[31].

როგორც ზემოთ ვნახეთ, არგუეთის საერისთავო XI—XIII სს-ის წერილობით წყაროებში არსად არაა დამოწმებული და ასეთი საერისთავოს არსებობა ამ დროისათვის მეტად საეჭვოა. ამავე დროს შუა ფეოდალურ ხანაში ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავო ერთმანეთის მეზობელ მაგრამ განსხვაეე-

[29] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 410—411.

[30] რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორია და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., გვ. 83.

[31] „ისტორია და აზმანი შარავანდედთანი“ (ცდა ტექტის აღდგენისა) აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 10.

ბულ ქვეყნებს მოიცავდნენ. ასეთ პირობებში თამარის პირველი ისტორიკოსის შესაბამისი ადგილის კ. კეკელიძისეული აღდგენა დამაჯერებლად ვერ ვამოიყურება.

ქართლის ცხოვრების ვახტანგ მეფისეულ რედაქციაში ჩვენთვის საინტერესო ადგილი შემდეგნაირად არის გადმოცემული: „და ერის-თავნი მის ჟამისანი ესენი იყუნეს. ბარამ ვარდანის ძე, სვანთა ერისთავი. კახაბერი კახაბერის ძე, რაჭის ერისთავი. დოღათო შერვაშის ძე ცხუმის ერისთავად, ამუნელის ძე, და ოდიშის ერისთავად ბედიანი“[32].

ვახუშტის ეს ადგილი ასე აქვს მოცემული: „და ერისთავნი ესენი: ბარამ ვარდანის ძე სუანთა; კახაბერი კახაბერისძე რაჭისა; დაღათო შარვაშისძე აფხაზთა; ამუნელისძე ცხომისა; ბედიელი ოდიშისა“[33].

ქართლის ცხოვრების ფრანგულ თარგმანში მ. ბროსე თამარის ისტორიკოსის თხზულების ამ ადგილს ვახუშტის მიხედვით აღადგენს, მხოლოდ ბედიელის ნაცვლად ბედიანს ხმარობს[34].

შუა ფეოდალურ ხანაში ცხომის საერისთავო სხვა იყო და აფხაზეთისა სხვა შარვაშიძეები ამ უკანასკნელი საერისთავოს ერისთავებს წარმოადგენდნენ, ამიტომ თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში შარვაშიძე აფხაზთა ერისთავად უნდა მივიჩნიოთ და ამანელის ძე თუ ამუნელისძე — ცხომის. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ტექსტი მარი ბროსეს მიხედვით უნდა გაიმართოს“. ბარამ ვარდანის-ძე სუანთა ერისთავი; კახაბერ კახაბერის-ძე რაჭისა და თაკუერის ერისთავად; და ოთაღო შარვაშის-ძე ცხომის ერისთავად; და ოდიშის ერისთავად ბედიანი“.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტის ეს ადგილი ასე აქვს აღდგენილი ი. ანთელავას[35].

დავუბრუნდეთ არგუეთს. როგორც ცნობილია, მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ერთიანი ქართული სახელმწიფო ორ აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართულ სამეფოდ დაიყო. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში აღმოჩნდა არგუეთიც[36]. 1329 წ. ქართული სახელმწიფოს ერთიანობა აღდგა და არგუეთიც კვლავინდებურად ერთიანი ქართული სახელმწიფოს ერთ მხარეს წარმოადგენდა.

XV ს-ის ოთხმოციან წლებში ერთიანი ქართული მონარქია საბოლოოდ დაიშალა. არგუეთი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა.

გეოგრაფიული სახელი იმერეთი ლიხთ-იმერიდან მოდის. რომელიც პირველად შიომღვიმის მონასტრის 893—918 წწ.-ის ერთ სიგელშია დამოწმებუ-

---

[32] ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. I, ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ, სანკტპეტერბურგს, 1849, გვ. 283.

[33] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

[34] Baram Wardanis-dze, eristhaw des Souanes; Cakhaber Cakhaberis-dzé, du Rachna; Dothago Charwachidzé, des Aphkhaz; Amounélis-dzé, de Tzkhom: Bédian, de l.'Odich; Brosset M.—Histoire de la Géorgie. Prent 1. S—Pét., 1849.

[35] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის შესახებ, „საისტორიო კრებული“, VI, თბ., 1976, გვ. 27.

[36] 1261 წ. დასავლეთ საქართველოს მეფემ დავით ნარინმა შეუვალობის სიგელი განუახლა ხეფინისხეველებს და წაქველებს (იხ. ი. დ ო ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 72—73,. ორივე სოფელი ლიხის ქედის დასავლეთ კალთებზე მდებარეობს. ეს კი მოწმობს, რომ მთელი არგუეთი დავით ნარინის სამეფოს საზღვრებში შედიოდა.

ლი[37]. საკუთრივ იმერეთი პირველად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაშია მოხსენიებული იმერითის ფორმით. შუაფეოდალურ ხანაში იმერი, იმიერი, იმერითი, იმერითი, ლიხთ-იმერი, ლიხთ-იმერითი, ლიხთ-იმერეთი, მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა. ეს მნიშვნელობა იმერითს//იმერეთს გვიანაც შემორჩა. ამავე დროს დაახლოებით XVI—XVII სს-დან ამ გეოგრაფიულმა სახელმა მეორე მნიშვნელობაც მიიღო. იმერეთი ეწოდა ახლად ჩამოყალიბებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანას. არგუეთი ამ ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთობის შემადგენელი ნაწილი გახდა. მალე მისი საზღვრები მნიშვნელოვნად შეიცვალა.

XVI ს-ის ოთხმოციან წლებში იმერეთის სამეფოში შინაომი ატყდა. ამით ისარგებლა ქართლის მეფემ სიმონმა და „გარდმოვლო ლიხის მთა და მიერთნენ ზემოურნი რომელნიმე". ქართლის მეფემ გოფანთოსთან დაამარცხა მოწინააღმდეგე და იმერეთის სამეფო დროებით შეიერთა. ეს ცნობა ვახუშტი ეკუთვნის[38]. ბერი ეგნატაშვილთანაც, საქართველოს ისტორიის ამ მომენტის გადმოცემის დროს, სიმონ მეფის მოკავშირეებად „ზემოური იმერლებია" მოხსენიებული[39].

„ზემოური" ერთი გეოგრაფიული სახელის შემოკლებული ფორმაა, რომელიც XVI ს-დან დამკვიდრდა იმერეთის სამეფოში. XVII—XVIII სს-ში სრული სახით ეს სახელწოდება გვხვდება როგორც „ზემო მხარი". ამავე მნიშვნელობით შედარებით იშვიათად იხმარებოდა „ზემო ქვეყანაც". XVIII ს-ის წყაროებში გვხვდება „იმერეთის ზემო მხარი"[40], რომლისგანაც შემდეგ მივიღეთ სახელწოდება „ზემო იმერეთი". ამ უკანასკნელი გეოგრაფიული ტერმინის უძველესი დამოწმება ჩვენ იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძში შეგვხვდა[41].

სახელწოდებანი — „ზემო მხარი" თუ „ზემო ქვეყანა" ხმარებაში იმერეთის სამეფოში ჩატარებული სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ შემოვიდა. როგორც ცნობილია, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ძველი სამხედრო ორგანიზაცია მთლიანად მოიშალა და ცალკეულ, ახლად ჩამოყალიბებულ, დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებში ახალი ვითარების შესაბამისად მოეწყო. ქართლსა და კახეთში ამ მიზნით ოთხ-ოთხი სადროშო შეიქმნა. ასეთივე სადროშოები ჩამოყალიბდა იმერეთის სამეფოშიც, რომელსაც აქ ჩვეულებრივ სასარდლოებს უწოდებდნენ.

ისტორიოგრაფიაში არ არსებობს ერთიანი აზრი იმერეთში სასარდლოების შექმნის თარიღის შესახებ. ვახუშტი ბაგრატიონი არაფერს ამბობს ამ სამეფოში მათი შექმნის ხანაზე. მხოლოდ აღნიშნავს, რომ იმერთა მეფის ალექსანდრე III (1639-1660) შემდეგ ფეოდალებს თვითონვე გამოჰყავდათ თავიან-

---

37 ი. დოლიძე, II, გვ. 4.

38 ვახუშტი, აღწერა.., გვ. 820.

39 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 376.

40 „ვიბოძეთ იმერეთი ზემო მხარის სარდალს"... ეკითხულობთ ვახტანგ VI ერთ სიგელში (იხ. შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურიის-ოდიშის სამთავროებისა, თბ., 1958, გვ. 56).

41 იესეს ცნობით, 1778 წ. სოლომონ I-ს შვილი ალექსანდრე აუმხედრდა, „რომელსაც ჩხერის ციხე და ლომსიანთ ჯეკი და ზემო იმერეთი, თვინიერ წერეთლისა ჯელთ ჰქონდა"... (იხ. იესე ბარათაშვილი, ცხოვრება ანდერძი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო აეთანდილ იოსილიანმა (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1950, ნაკ. 28 გვ. 87).

თი ლაშქარი და სასარდლოები ფაქტობრივად მოშლილი იყო[42]. ს. ყაყაბაძე სასარდლოების შემოღებას სწორედ ამ ალექსანდრე III უკავშირებს[43]. ო. სოსელია ფიქრობს, რომ ამგვარი რამ 1651-1660 წლებში უნდა მომხდარიყო[44]. კ. კახაძეს იმერეთში სარდლის ინსტიტუტის შემოღება XVII ს-ის მეორე ნახევარზე ადრეულ წლებშიც დასაშვებად მიაჩნია[45], ხოლო გ. ჯანბურიას აზრით, სამხედრო რეფორმა იმერეთის სამეფოში XV ს-ის 70-იან წლებში უნდა ჩატარებულიყო[46].

ზემო მხარის ლაშქარი, რაც თავისთავად შესაბამისი სასარდლოს არსებობას გულისხმობს, წერილობით წყაროებში პირველად 1626 წ. ბაზალეთის ომთან დაკავშირებით გვხვდება[47]. ასე რომ ამ დროისათვის ამ სამეფოში სამხედრო რეფორმა უკვე ჩატარებულია. ეს რეფორმა ჩატარებული ჩანს XVI ს-ის 80-იანი წლებისათვისაც, როდესაც საისტორიო წყაროებში ჩნდება ტერმინი „ზემოური" რომელიც როგორც აღვნიშნეთ, „ზემო მხარის" ან კიდევ „ზემო ქვეყნის" შემოკლებული ფორმაა.

იმერეთის სამეფომ დასრულებული სახე იმერთა მეფის ბაგრატ III დროს (1510—1565) მიიღო. ბაგრატ მეფემ სამი საეპისკოპოსო კათედრალი დააარსა, მოახდინა რაჭის საერისთავოს რეორგანიზაცია. ამ მეფეს ზოგჯერ „მეორე აღმაშენებელსაც" უწოდებდნენ. ჩვენი აზრით, ბაგრატ III! მოახდინა იმერეთის სამეფოს სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობაც. მან პირველმა დაჰყო ეს სამეფო სასარდლოებად. ამ დროს შეიქმნა „ზემო მხარის" ანუ „ზემო ქვეყნის" სასარდლოც.

ვახუშტი დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული აღწერისას ზემო მხარს ან კიდევ ზემო ქვეყანას საერთოდ არ ახსენებს. ამავე დროს დასავლეთ საქართველოს ისტორიის გადმოცემისას ის ზოგჯერ ხმარობს სახელწოდებებს „ზემოურნი", „სრულიად ზემოურნი იმერნი", ან კიდევ „ზემო მჯარი", რომელთაც იგი არგუეთის სინონიმებად მიიჩნევს. ეს უკანასკნელი კი, ვახუშტის ცნობით, მის მიერ შემოხაზულ ფარგლებში იმერეთის „მეორე სადროშოს" წარმოადგენდა. დღეისათვის, XVIII ს-ის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ეს შეხედულება უყოყმანოდ არის გაზიარებული. სინამდვილეში იმერეთის სამეფოში არგუეთის სასარდლო ანუ როგორც ვახუშტი უწოდებს სადროშო არ არსებობდა. უფრო მეტიც, არგუეთი და ზემო მხარი//ზემო ქვეყანა, ამ დროისათვის ორი ერთმანეთისაგან გამიჯნული ტერიტორიის სახელწოდება იყო.

1660 წ. იმერეთი, მცირე ხნით, ქართლის მეფე ვახტანგ V-მ და ოდიშის

---

[42] ეხება რა იმერეთის სამოხელეო წყობას, ვახუშტი აღნიშნავს: „ხოლო იმერეთს მეფის ალექსანდრის გიორგის ძისამდე იყვნენ წესნი ეგრეთვე და შემდგომად მისსა არღარა, არამედ მთავარნი თჳს-თჳსითა სპითა შეკრბიან"... (ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 32—33). ჩვენი აზრით, მთავრთა მიერ საკუთარი სპითა შეკრიბა სასარდლოების მოშლას ნიშნავს.

[43] ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე, იმერეთის ციხისთავთა შესახებ XVII საუკუნეში. საისტორიო მოამბე, 1925, I, გვ. 87—88.

[44] ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., გვ. 282.

[45] კ. კ ა ხ ა ძ ე. სარდლის უფლება-მოვალეობისათვის იმერეთის სამეფოში, საისტორიო კრებული, VII, თბ., 1977, გვ. 234.

[46] გ. ჯ ა ნ ბ უ რ ი ა, ცენტრალური მმართველობა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, გვ. 238.

[47] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... გვ. 827, ა რ ჩ ი ლ ი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, „ჩვენი საუნჯე", IV, თბ. 1960, გვ. 209.

მთავარმა ვამეყმა გაიყვეს. ზოგი საისტორიო წყაროს მიხედვით, საზღვრად მეფესა და დადიანს შორის მდ. ბუჯა დაიდო[48], ზოგან კი საზღვრად მდ. ზუსაა მითითებული[49].

წყაროთა ჩვენებებს შორის ფაქტობრივად რაიმე განსხვავება არაა, რადგან ზუსა და ბუჯა ერთმანეთის პარალელურად მიედინებიან. ოამდენიმე კილომეტრის დაშორებით. სოფელ ჭალატყესთან ეს ორი მდინარე ერთდება და შემდეგ ჩოლაბურის სახელწოდებით ჩაედინება მდ. ყვირილაში. ამიტომ სრულებით არაა გასაკვირი, რომ „პარიზის ქრონიკა“ იმერეთის გაყოფას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მეფე და დადიანი ასრე შერიგდნენ: არგვეთს აქეთ ერთი წყალია ჩალაბური ჰქვიან, იმ წყალს აქეთ — მეფეს და წყალს იქით — დადიანს“[50]. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც წერილობით წყაროებში არგუეთის ნაცვლად არგვეთი გვხვდება. ამის შემდეგ ეს უკანასკნელი თანდათან დევნის ხმარებიდან სახელწოდება არგუეთს. ამ სახელწოდებას ხმარობს ფარსადან გორგიჯანიძეც, რომელსაც არგვეთი „პარიზის ქრონიკის“ შემდგენელსავით, 1660 წ. გაყოფის დროს დადიანის წილად მიაჩნია: „მეფე და დადიანი ასრე შერიგდეს, რომ არგვეთს აქეთ ქართველ მეფესა და იმას იქით დადიანსა“[51].

ვახტანგ V-ის ხელში გადასულა ზემო მხარი ანუ ზემო ქვეყანა. ეს კარგად ჩანს ქართლის ამ მეფის ერთი ბრძანების წიგნში; „... გიბრძანებთ, ერთობილნო ბუჯას წყალს ზედათნო ხრეითიანად ლიხის მთამდე. მერმე თქუენი სარდლობა ზაალ წერეთლისათვის გვიბოძებია და რომელითა ჩვენი სამსახური... დაგპატიჟოს ყველას მოუდექით“[52]. ამ „ერთობილ ბუჯას წყალს ზედათნში“ რომ ზემო მხარი//ზემო ქვეყანა იგულისხმება, მოწმობს XVII ს-ის უკანასკნელი ათიანი წლების სიგელი, რომელშიც წერეთლებს სარდლობას უმტკიცებენ: „თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს... არც ზემო ქვეყნის სარდლობა მოგიშალოთ, იქაური საქმეც გკითხოთ“[53]. ამის შემდეგ ზემო მხარი//ზემო ქვეყანა, როგორც წერეთლების სასარდლო, რამდენჯერმე გვხვდება ქართულ საისტორიო დოკუმენტებში[54]. ასე რომ, XVII ს-ის სამოციანი წლებიდან ზემო მხარის სასარდლოს წერეთლები განაგებდნენ. თავდაპირველად კი ზემო მხარის//ზემო ქვეყნის სასარდლო აბაშიძეთა გვარეულობის სახელოს წარმოადგენდა.

განსხვავებულ ქვეყნებად განიხილება ზემო მხარი//ზემო ქვეყანა და არგვეთი XVIII ს-შიც. იოსებ ყორღანაშვილის 1794—1795 წწ.-ში ბეჟან ავალიშვილისადმი გაგზავნილ ერთ წერილში ვკითხულობთ: „მე აქეთ არგვეთსა და ზემო მხარში მიბრძანა (იგულისხმება სოლომონ II — **თ. ბ.**) სამსახური და

---

[48] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 448, 835; ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 839—840.

[49] ფ ე შ ა ნ გ ი, შაქნავაზიანი, თბ., 1935, გვ. 66.

[50] ცხოვრება საქართველოისა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 111.

[51] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 63.

[52] შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, ისტორიული.. გვ. 33.

[53] იქვე, გვ. 28.

[54] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.) თბ., 1940, გვ. 445—446; შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41, 108.

მზადება"[55]. ხოლო 1810 წ. ზურაბ წერეთელი ატყობინებდა თავის ვაჟს „მეფეს ერთი ხუთასი კაცი ახლავს ზემოური (ე. ი. ზემო მხარელი — **თ. ბ.**), გაღმართელი, მარგველი (ე. ი. არგვეთელი — **თ. ბ.**) და რომელნიმე შინაყმა ვაკელი"[56].

ამრიგად, იმერეთის სამეფოში სასარდლოების ჩამოყალიბების შემდეგ, ძველი, შუაფეოდალური არგუეთი ორ ნაწილად გაიყო. მისი უდიდესი ნაწილი ზემო მხარში//ზემო ქვეყანაში შეიდა, ხოლო დასავლეთი მხარე საკუთრივ არგუეთს//არგვეთს შეადგენდა.

მათ შორის საზღვარი ზოგადად მდ. ჩოლაბურზე, ან უფრო ზუსტად მის შენაკადებზე გადიოდა. აღსანიშნავია, რომ ზემო მხარი//ზემო ქვეყანა და გვიანფეოდალური ხანის არგვეთი ეკლესიურადაც იყვნენ ერთმანეთისაგან გამიჯნულნი. არგვეთი თითქმის მთლიანად გელათის საეპისკოპოში შედიოდა, მაშინ როდესაც ზემო ქვეყანა ქუთაისის ეპისკოპოსს ემორჩილებოდა.

XVII—XVIII სს-ის წერილობით წყაროებში არგვეთის რამდენიმე სოფელი თუ ციხეა მოხსენიებული, როგორიცაა ალისუბანი, თერჯოლა, მაჭიტოური, ჩიხორი და სხვა...[57] ყველა მათგანი მდინარეების წყალწითელასა და ჩოლაბურს შორის მდებარეობს. როგორც ჩანს, არგვეთი ამ ხანებში მოიცავდა დაახლოებით დღევანდელ თერჯოლის რაიონს. იგი სოფელ კვახჭირიდან მდ. ჩოლაბურამდე იყო გადაჭიმული, თუმცა ზოგიერთი სოფელი, რომელიც ამ მდინარის აღმოსავლეთით მდებარეობდა, საფიქრებელია, ამ მხარეში შედიოდა. ამაში გვარწმუნებს გიულდენშტედტი, რომელსაც მოეპოვება გვიანფეოდალური ხანის არგვეთის ყველაზე ზუსტი აღწერილობა: „მას ეკუთვნის შემდეგი სოფლები: კვახჭირი, მდ. წყალწითელასა და ჭიშურას შორის მოთავსებულ დაბლობზე, დილიკაური, ბეღლევი, მარტოთუბანი, წიფლავაკე, საქარა, ყვირილასა და ჩოლაბურს შორის დაბლობზე; ნაგარევი, ჭიშურას სათავესთან, ძევრი ციხე და დიდი სოფელი ძევრულას სათავესთან, სიმონეთი, უფრო ქვემოთ ძევრულაზე, ჩხარი, განთქმული ეკლესიით, თხილთაწყარო, ალისუბანი, სკანდე, ამჟამად დანგრეული პატარა ციხე, ჩიხორი, ოდესღაც დიდი ამჟამად მცირე... ადგილი, მუჯირეთეი, ზოვრეთი, რუფოთი, მწუხარელა, თერჯოლა, ღვანკითი, ჭალატყე... საზანო, თავასა, მაჭუტაური, თუსი, ვარდიგორა, ქვაციხე, საკურწე, ხრეითი, ვაჭევი, მუხურა, შეუპოვარი ციხე, რცხილათი"[58]. ამ აღწერილობაში სოფ. ხრეითის მიკუთვნება არგვეთისადმი იწვევს ეჭვს, რადგან ზემოთ მოყვანილი ვახტანგ V-ის სიგელში იგი ზემო მხარშია დასახელებული. ხრეითი მდ. ზუსას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს; ამიტომ ადვილად შესაძლებელია, რომ XVIII ს-ის 70-იან წლებში იგი არგვეთში შედიოდა.

---

[55] საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფ., 1910, გვ. 366.

[56] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, ტ. II, თბ., 1953, გვ. 102.

[57] „არგვეთი, რომელიარს ალისუბანი" (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, თბ., 1921 გვ. 1); „მეორემან სოლომონ მეფემან..გიბოძეთ არგვეთს სოფელი თერჯოლა" (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საბუთი 5538); „მაჭუტოური ვიყიდეთ არგვეთს. ძველი ციხე იყო და აღშენება დაუწყეთ" (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, თბ., 1921, გვ. 69). „მოიწინეს ქვეყანასა არგვეთისასა და დაიბანაკეს ადგილსა ჩიხორს წოდებულსა"... (იქვე, გვ. 147).

[58] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1962, გვ. 303.

ზემო მხარში//ზემო ქვეყანაში შედიოდა ძველი არგვეთის ის ნაწილი, რომელიც მდ. ჩოლაბურის აღმოსავლეთით მდებარეობდა ლიხის ქედამდე, იმ რამდენიმე სოფლის გამოკლებით, რომელიც ჩოლაბურის მარცხენა ნაპირზე იყო განლაგებული და არგვეთის სოფლებად ითვლებოდა.

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, არგუეთი რამდენჯერმე ქართლის საზღვრებში მოექცა. XVI—XVIII საუკუნეებში ქართლის სამეფოს მიერ იმერეთის ასეთი დიდი ნაწილის დაუფლებას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ქართლსა და ამ სამეფოს შორის საზღვარი რამდენჯერმე შეიცვალა მდინარეების ჩხერიმელასა და ძირულას ხეობებში, რომლებიც დაბალი უღელტეხილებით არიან დაკავშირებულნი აღმოსავლეთ საქართველოს.

XVI ს-ის 20-იან წლებში იმერეთის სამეფო თავის საზღვრებს ლიხის ქედის აღმოსავლეთით ავრცელებს. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მთელი ზემო მხარი//ზემო ქვეყანა მის შემადგენლობაში შედის. ვითარება იცვლება ამ საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ქართლის სამეფოს ხელმეორედ სვიმონ I ეუფლება. ამ დროს ამ სამეფოს საზღვრებში ექცევა რიკოთის უღელტეხილის დასავლეთით მდებარე ხეფინის ხევი. რომელიც სოფლებისაგან ვერტყვილა, ვერტყვილის ჭალა, ბეინევი, გესამანია, გრიგალათი, ხუნევი, უხადი, ხევისჯვარი, წაქვა, ნადაბური, ციცქიური და მლაშესაგან შედგებოდა"[59]. უფრო მეტიც სვიმონ მეფეს, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა ძირულის ხეობის დიდი ნაწილი, რადგან ესტატე აბაშიძე, რომლის საძვალესაც უბისას მონასტერი წარმოადგენდა, ქართლის მეფის მდივან მწიგნობარი ყოფილა[60].

XVII ს-ის მეორე ათეულში მდგომარეობა შეიცვალა. იმერეთის ხელისუფლებმა დაიბრუნეს დაკარგული ტერიტორია და საზღვარი ქართლსა და იმერეთის სამეფოს შორის ძირითადად ლიხის ქედზე გადიოდა.

XVIII ს-ში ვითარება კვლავ შეიცვალა. ვახტანგ VI დროს ქართველმა თავისი საზღვრები მნიშვნელოვნად გააფართოვა, უპირველეს ყოვლისა, ჩხერიმელას ხეობაში.

XVIII ს-ის დასაწყისში ქართლის სამეფოს საზღვრები კვლავ ლიხის ქედის დასავლეთით ინაცვლებს, რაც პირველ რიგში ქართლის საბაშიოს ტერიტორიის გაფართოების გზით მოხდა.

როგორც ცნობილია, სამცხე-საათაბაგოს დამორჩილების შემდეგ თურქების ხელში აღმოჩნდა ბორჯომის ხეობა და ქვიშხეთის მხარე. ეს სოფელი 1595 წლის „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში" შეტანილია, როგორც მოსახლეობისაგან მთლიანად დაცლილი[61]. XVIII ს-ის დასაწყისში ქვიშხეთი და ბორჯომის ხეობის დიდი ნაწილი ქართველებმა უკან დაიბრუნეს. თურქთა ბატონობის შედეგად ძალზე შეთხელებული მოსახლეობა ძირითადად ზემო იმერეთიდან გადმოსულებმა შეავსეს. ამ დროს უნდა მიეღო სამამულოდ იმერეთის აბაშიძეთა ერთ წარმომადგენელს სოფელი ქვიშხეთი და მისი მიდამოები. ეს

---

[59] თ. ბერაძე, ხეფინის ხევი გვიანფეოდალურ ხანაში, „ძეგლის მეგობარი", № 43—44, თბ., 1978, გვ. 39.

[60] Е. С. Такайшвили, Археологические разыскания и заметки, СМОПК, т. 44, Тифлис, 1915, გვ. 15.

[60] თ. ყორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა, წიგნი მეორე, თბ., 1896, გვ. 425.

[61] ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ. 21, 332.

უნდა იყოს „აბაშიძე ღონენა ქვიშხეთელი“, რომელიც, არჩილის ცნობით, ბაზალეთის ომში თეიმურაზის მხარეზე იქნევდა მახვილს[62]. 1638 წ. ღონენა აბაშიძე მისივე ძმის თუ ბიძაშვილის იმერელი პაატა აბაშიძის ხელით დაიღუპა[63].

XVIII ს-ის მიწურულში ქართლის საბაშიოს გამგებელი არის პაატა აბაშიძე. შემორჩენილია ამ აბაშიძის წყალობის ერთი სიგელი „აზნაურისშვილ“ მამუკა ორჯონიკიძისადმი, რომელიც 1691 წ. არის გაცემული[64]. ამ სიგელში იგი თავის ვაჟთან ერთად არის დასახელებული, მაგრამ ეს უკანასკნელი ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა. ასე რომ „საქართველოს აბაშიძე პაატა უშვილოდ და უძეოდ ამოვარდა სახლიშვილი არავინ დარჩა“. ქართლის სამეფო ხელისუფლებას კი „მისი ადგილი და საბაშიო ისრევ მოუშლელად“ უნდოდა[65], რადგან ამ დროისათვის სათავადოს ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციაში შეუცვლელი ადგილი ეჭირა. პაატა აბაშიძე XVIII ს-ის პირველ წლებში გარდაიცვალა და 1705 წელს ქართლის გამგებელმა ვახტანგ VI-ემ ამის თაობაზე მოლაპარაკება დაიწყო იმერეთის აბაშიძეებთან, უფრო ზუსტად ამ საათავადოს თავთან გიორგისთან. „ამ ჟამებთა ეზრახა ვახტანგ განმგებელი ქართლისა, აბაშიძეს მძახლობასა და სთხოვა ძე მისი ლევან ქართლს, რათა მისცეს საბაშიო ქართლისა. და ასული თჳსი და იყოს სიმტკიცე მათ შორის“[66]. ამ გზით ქართლის სამეფოს ხელისუფლება ზემო მხარის დიდი ნაწილის თავის სამეფოს საზღვრებში შემოყვანას აპირებდა. ეს მოლაპარაკება მალე ჩაშალა. მაშინ ვახტანგ VI-ემ ქართლის საბაშიო 1711 წელს გიორგი აბაშიძის ძმისშვილს ვახუშტის გადასცა და შემდეგ წელს თავისი ქალიშვილი ანუკაც მიათხოვა[67]. წყალობის სიგელი ვახუშტი აბაშიძესადმი ქაიხოსრო მეფის სახელითაა გაცემული: „აბაშიძეს... ვახუშტის... მოგიყვანეთ და ამოვარდნილის აბაშიძის პაატას მამული გიბოძეთ და მას ზედან დაგადგინეთ; და დაგიმკვიდრეთ სამამულედ ყოველის კაცის უცილობლად მისი ნაქონი მონასტერი სასაფლაოდ, წინამძღვარი ხატი და ჯვარი და ყოველი მისი რიგი და წესი, აგრეთვე სასახლე და სახასო მამული: ქვიშხეთი, ტაშისკარი, ციხისძირი, მონასტერი, ტეზერი... აგრეთვე მთას იქით: სოფელი წიფა, გუდათუბანი, გოლათუბანი, ნებოძირი, გდეისი, ზედუბანი, ჩრდილი, მზვარე, ღოღათუბანი, ფიჭვნარი, ხარაგაული, ნუნის მონასტერი და სოფელი“[68]; სიგელში ჩამოთვლილი ლიხის ქედის დასავლეთით მდებარე სოფლები ვახუშტი აბაშიძის, როგორც იმერეთის აბაშიძეთა სათავადო სახლის წარმომადგენლის წილი უფრო იყო, ვიდრე ქართლის ხელისუფალთა წყალობა. მას ამ სოფლებზე ერთხანს საკუთარი ძმები ედავებოდნენ კიდეც. საბოლოოდ ვახუშტი აბაშიძემ მოახერხა ამ სოფლების გამკვიდრება. შემდეგ მან ვახანის ციხეც ჩაიგდო ხელში და თავისი სამფლობელო ქართლის სამეფოს საზღვარი ლიხის დასავლეთით მდ. ვახანურამდე გადაიტანა. ეს ვითარება დარჩა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე.

---

[62] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, გვ. 231.

[63] როსტომ მეფის ორენოვანი დოკუმენტის ქართულ დედანში ეს პაატა ღონენას ძმად არის დასახელებული, სპარსულ თარგმანში—ბიძაშვილად (იხ. ვ. ფუთურიძ), ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955, გვ. 146—147, 148.

[64] ექვთ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, თბ., 1910, გვ. 169.

[65] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 47.

[66] ვახუშტი, აღწერა... გვ. 867.

[67] იქვე. გვ. 491.

[68] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47—48.

XVIII ს-ის დასაწყისში ქართლის სამეფო ხელახლა დაეუფლა ხეფინის ხევს. ამ საუკუნის 70-იან წლებში კი ეს მხარე ორად გაიყო და ხეფინის ხევის დასავლეთი ნაწილი იმერეთის სამეფოს დაუბრუნდა.

ამრიგად, XVIII ს-ის 70-იან წლებში ზემო მხარი//ზემო ქვეყანა მოიცავდა მდ. ჩოლაბურის აღმოსავლეთით მდებარე იმერეთს ლიხის ქედამდე, იმ ტერიტორიის გამოკლებით, რომელიც ამ დროს ქართლის სამეფოს საზღვრებში შედიოდა.

ჩვენ ნაშრომს თან ერთვის რუკა, რომელზედაც გამოხაზულია XVI—XVII სს-ის ზემო მხარი//ზემო ქვეყანა და არგვეთი (იხ. ნახაზი № 1).

Т. Н. БЕРАДЗЕ

ИЗ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Уже в античную эпоху в Западной Грузии существовала квекана— «земля» Маргви, которая занимала часть современной Имерети от Лихского хребта до р. Риони. В VI-VII вв. эта местность стала называться Аргуети. В XI в. территория, занимаемая Аргуети, уменьшилась. Из нее выделилась Окриба и «Ломсианни» (в дальнейшем Ломсиатхеви).

В XVI в. царь Имерети Баграт III свое государство разделил на четыре военных округа — сасардло. Из них второй — Земо-мхари (Земо-квекана) составил основную часть Аргуети по течению р. Чолабури до Лихского хребта. Впоследствии название Аргуети обозначало территорию между реками Чкалцитела и Чолабури. В XVIII в. название Земо-Имерети постепенно сменил термин Земо-мхари (Земо-квекана.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

კოგა ხარაძე

დმანისის ხევის ტოპონიმები

დმანისის ხევი (დბანის ხევი)[1] ისტორიული ქვემო ქართლის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული იყო. იგი მდ. მაშავრის აუზს მოიცავდა (ფოლადაურის ხეობის გამოკლებით), ანუ თანამედროვე დმანისისა და ბოლნისის რაიონების საკმაო ნაწილს. ვახუშტი ბაგრატიონს აღწერილი აქვს დმანისის ხევის (ხეობის) საზღვრები: „ხოლო განჰყოფს ჯეობასა ამას (დმანისის ხეობა, — კ. ხ.) სამჯრით მთა ყარაღაჯი და ლოქისა, აღმოსავლით მცირე მთა ბოლნისისა, ჩრდილოთ მთა ლუკუნისა, წავლილი აღმოსავლეთად, კიდრე ნახიდურამდე, დასავლით მთა კეჩუთისა და ბოლოლისა"[2]. ე. ი. სამხრეთი და დასავლეთი საზღვარი თითქმის დღევანდელი დმანისის რაიონის სამხრეთ და დასავლეთ საზღვარს ემთხვევა (ჯავახეთის ქედის თხემი და სომხითის წინამთები); ჩრდილო საზღვარი კი მდ. მაშავრისა და ყარაბულახ-ქციას წყალგამყოფზე გადის; აღმოსავლეთი საზღვარი მდ. მდ. ფოლადაურ-ლოქისა და მაშავერა-ბალიჭის ხევის მერიდიანული მიმართულების წყალგამყოფი მთებით (ამ მთებს ვახუშტი ბოლნისის მცირე მთებს უწოდებს, რადგან ისინი ბოლნისების დასავლეთით განლაგებული დაბალი მთებია) და მაშავრის ქვემო ნაწილით. როგორც ჩანს, ადმინისტრაციული საზღვრები ძირითადად ბუნებრივ მიჯნებს ემყარება (წყალგამყოფი, მდინარე და სხვ.). ამ საზღვრებს შორის მოქცეული ტერიტორიის ფართობი 860 კმ²-ია.

დმანისის ხევის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვემო ქართლის ისტორიასთან. ქვემო ქართლი კი საქართველოს ისტორიის მსვლელობაში ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. დაწყებული უძველესი პერიოდიდან საუკუნეების განმავლობაში ქვემო ქართლი განიცდიდა უცხოელ დამპყრობელთა შემოსევას, რბევას, რასაც შედეგად ახალი მმართველობის სისტემის დამყარება მოჰყვებოდა ხოლმე. ამის გამო ხშირად იცვლებოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები და მათი საზღვრები. ასე მაგალითად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე (III ს. ფარნაოზ მეფის დროს) ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ორი საერისთავო იყო ჩამოყალიბებული.[3] ერთ-ერთი მათგანის — სამშვილდის ანუ გაჩიანის საერისთავოში შედიოდა დმანისის ხევი. ამასთან, თვით დმანისის ხევი ქვეშის იდენტურიცაა; თავდაპირველად არსებობდა ქვეშის ხევი, რომლის ცენტრი ქვეში იყო; V ს-ში საეკლესიო ეპარქიებად დაყოფის დროს ადმინისტრაციული ცენტრი კვლავ ქვეშია, საეკლესიო კი დმანისის საეპისკოპოსო ტაძარი. „მოგვიანებით, როცა დმანისი ქალაქად იქცა, ადმინისტრაციულმა ცენტრმაც იქ გადაინაცვლა, რაც აისახა კიდეც დასახელე-

---

[1] ძველ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში დმანისია მოხსენიებული, ვახუშტი ბაგრატიონი კი თავის შრომებში დბანის, დბანის ხევს აღნიშნავს.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 39.

[3] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 9.

ბაში. „ქვეშის ხევი, „დმანისის ხევმა“ შეცვალა“[4]. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები და საზღვრები, ადრეფეოდალური ხანის ხევი მომდევნო ხანებშიც რჩება ქვეყნის აღმნიშვნელ ერთეულად და „ხევი“ როგორც ადმინისტრაციული ერთეული XVIII საუკუნეშიც შემორჩა. ხევებად დაყოფა არის აღნიშნული ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზედაც[5]. აკად. ნ. ბერძენიშვილის[6] მიხედვით, „ეს ჯეობა მისი საზღვრებით მთელი ქვეყანაა“. ამასთან, ამ ჯეობაში არაერთი ჯევი შედის“. მაგრამ, „ჯეობის მაგივრად თვითონ ვახუშტი ხმარობს ჯევს“. ამდენად, აშკარაა „დბანისჯევი“ ისეთივე შინაარსის ცნებაა, როგორც ტ ა შ ი რ ი ან თ რ ი ა ლ ე თ ი, ე. ი. არავითარი განსხვავება არ ჩანს „ჯევსა“, „ქვეყანასა“ (თრიალეთი, ტაშირი) და „ჯეობას“ შორის“... საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქვემო ქართლის ტერიტორია თბილისის მაზრაში მოექცა, ხოლო მოგვიანებით (1880 წ.) ბორჩალოს მაზრაში.

ქვემო ქართლი, მათ შორის დმანისის ხევიც, საქართველოს სამხრეთ ფორპოსტს წარმოადგენდა და უეჭველია მტრისაგან პირველი დარტყმები მასაც ხვდებოდა. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სატრანსპორტო გზები: სწორედ ამ გზებით შემოდიოდა მტერი და ამიტომ პირველ დარტყმებს იგი ღებულობდა. მისი ტერიტორია მრავალჯერ დაურბევიათ არაბებს, სპარსელებს, თურქ-სელჩუკებს, მონგოლებს, ოსმალებს, ყიზილბაშებსა და სხვ.; ამის გამო, არაერთხელ გაჩენილა ნაფუზარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, პარტახტი და სხვ. მშვიდობიან პერიოდში კი ხდებოდა ხალხის დაბრუნება თავიანთ ნასახლარებზე, ან გადმოსახლება სხვა მხარეებიდან და დანგრეული მეურნეობის აღდგენა. ბუნებრივია, ხდებოდა ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებების შენარჩუნება (შესაძლებლობის ფარგლებში), ან შეცვლა ახალი სახელწოდებებით. უფრო ხშირად ეს უკანასკნელი გამოწვეული იყო უცხო ტომთა ჩასახლებით. ასე მაგალითად, XVII—XVIII საუკუნეებში „ელის“ ტომებმა დაარღვიეს ძველი საზღვრები და აითვისეს ახალი ადგილები. ნასიბლუს ტომმა დმანისის ხეობაში მიაღწია[7], რაც აისახა კიდეც ტოპონიმიკაში — ნასიბლუ, დასახლებული პუნქტი დატანილია ვახუშტის რუკაზედაც[8] დმანისის ხეობაში. აქვე, ამავე რუკაზე გვხვდება უცხო სახელწოდებები — აღბაბლუ, ყიშლაღი, თაყამარა, სევაგეღეცი და სხვ. აღსანიშნავია, რომ დმანისის ხევის ტოპონიმთა ნაწილი უძველესი პერიოდიდან მომდინარეობს, ზოგი მათგანი დღემდეა შემორჩენილი; ტოპონიმთა უმრავლესობა კი XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და შემდგომში შეიცვალა ახალი სახელწოდებებით. საქმე ისაა, რომ XIX ს-ის მანძილზე, ქვემო ქართლის ტერიტორიას, მათ შორის დმანისის ხეობასაც, დასასახლებლად ითვისებდა სხვა მხარეებიდან გადმოსახლებული ქართველი და არაქართველი მოსახლეობა — ჯავახეთიდან, ყარაბაღიდან, თურქეთიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან და სხვ. ორბელიანთა მამულების დავთართა (სიის) მეშვეობით გეოგრაფიული სახელწოდებების ნაწილმა შეინარჩუნა არსებობა, უმეტესობამ

---

[4] დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლი, „ძეგლის მეგობარი“, 1972, № 30, გვ. 13—14.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ატლასები, დედნები დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივის ფონდებში.

[6] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 70.

[7] ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, I—II, ტფ., 1935, გვ. 242.

[8] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

ველარ გაუბლო უცხოურ სახელწოდებების შემოჭრას და ეს უკანასკნელნი დღემდე იხმარება.

ვახუშტის შრომებისა და სხვა ლიტერატურულ-ისტორიული წყაროების საშუალებით შეეცადეთ შეგვესრულებინა XVIII ს-ის დასაწყისის დმანისის ხეობის ტოპონიმთა რეკონსტრუქცია, რეტროსპექტული კარტოგრაფირება.

სახელწოდება დმანისი მომდინარეობს დასახლებული პუნქტის დმანისის (დაბანისის) სახელიდან. თვით დმანისის (დბანისი) სახელწოდების წარმოშობას ვახუშტი სიტყვა ᲓᲐᲑᲐᲡ უკავშირებს: „...ეწოდა სახელი ესე დაბნებთა გამო: „დაბანი ისი“[9]. სულხან-საბა ორბელიანის[10] მიხედვით, დაბა არის „მომცრო ქალაქი, მოზღუდვილი“, დაბანი, დაბნები კი სოფლები. აღსანიშნავია, რომ დმანისი ეწოდება რაიონულ ცენტრს და სამ დასახლებულ პუნქტს. ამასთან, თავდაპირველად ეს სახელწოდება მიკუთვნებული ჰქონდა დღევანდელ ნაქალაქარ დმანისს. რაიონულ ცენტრს კი ეს სახელი 1947 წელს ეწოდა (მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამჟამად დამახინჯებულად დუმანისს უწოდებს).

დმანისის ხევის შუა ნაწილში მიედინება მდ. მაშავერი — „ხოლო ყარაღაჯისა და ტაშირის მთის ჩდილოთ კერძი არს ᲓᲐᲑᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲯᲔᲝᲑᲐ, და მდინარე ᲛᲐᲨᲐᲕᲔᲠᲘ, მიმდინარე მის შორის. ხოლო იწოდა ქციის რთვისათჳს: „მა, შაველიე ქციას“, და აწ მაშავრად წოდებული. არამედ გამოსდის კეჩუთის მთასა, და მიდის აღმოსავლით, და მიერთვის ქციას ნახიდურის ბოლოს“[11]. მაშაველი რამდენიმე ნაკადულის სახით იწყება ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთი კალთებიდან (ვახუშტით კეჩუთის მთა), უერთდება მდ. ქციას მარჯვენა მხრიდან სოფ. არუხლოდან (ვახუშტით ნახიდური) 3,5 კმ-ით სამხრეთით. მიედინება დმანისისა და ბოლნისის რაიონების ფარგლებში, უმეტესად ეროზიულ კანიონში, რომელიც დოლერიტული ლავებით არის აგებული. მდინარის კანიონის შვეულ კლდოვან გვერდებში მრავალი გამოქვაბულია, რომლებიც ძველად თავდასაცავად ან საცხოვრებლად იყო გამოყენებული[12]. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, როცა თამარ მეფე ამალით გადადიოდა მდ. მაშავერაზე (ახლანდელ ქ. ბოლნისსა და სოფ. რაჭისუბანს შორის), იმდენად დიდი ყოფილა წყალი, რომ შეფერხებულან და გასჭირვებიათ მდინარის გადალახვა. მაშინ თამარს უთქვამს „მაშა ვერა?!“ ე. ი. მაშ ვერ გახვედითო? ამის შემდეგ უბრძანებია იქ აეგოთ ხიდი. ამ ხიდს მოიხსენიებს ვახუშტი სამტრედოსთან (სატრედო), სადაც ვრცელი ჭალა ყოფილა: „ᲡᲐᲢᲠᲔᲓᲝᲡ, მაშავერზედ, შენი არს ხიდი ქვიტკირისა ზ თვალი, წყალდიდობისათჳს. აქა არს ჭალა“[13]. ვრცელი ჭალის ფრაგმენტები ახლაცაა შენარჩუნებული. თვით ხიდი ქვიტკირისა ყოფილა, რომელსაც (7) თვალი ჰქონია. ამჟამად შენარჩუნებულია 3 თვალი (თაღი). მათ შორის ცენტრალური, რომელიც ძველი სახით არის ახლაც და თითო თაღი ორივე მხარეზე. დანარჩენი, ცხადია, გაცილებით პატარები უნდა ყოფილიყო, რომლებიც დროთა განმავლობაში დანგრეულა (ახლა ეს ადგილები მიწაყრილებით არის დაფარული). თლილი ქვით დედაქანზე დაშენებული ეს ნაგებობა შუა საუკუნეებისაა. წარსულში მდინარე უფრო განიერ კალაპოტში მიედინებოდა, მით

---

[9] ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[10] ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ, სიტყვის კონა, I, თბ., 1949, გვ. 135.

[11] ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39.

[12] Ლ. ᲛᲐᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. II, თბ., 1970, გვ. 341—342.

[13] ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

უმეტეს, წყალდიდობის დროს და ისიც ჭალაში, საკმაოდ განიერ ხიდს მოითხოვდა ეს ადგილი; ამიტომ უნდა ჰქონოდა 7 თაღი, მაგრამ ამჟამად გაცილებით მეტი წყალი ეკარგება სარწყავად, რის გამო კალაპოტის სიგანე გაცილებით შემცირებულია. ამდენად, სატრედოს ხიდი არის ქ. ბოლნისსა და სოფ. რაჭისუბანს შორის მდ. მაშავერაზე არსებული ხიდი. ძველი ხიდის ნაშთები მდ. მაშავერაზე კიდევ რამდენადმე შენარჩუნებულია, და მიგვითითებს ამ მხარის კარგად განვითარებულ გზებზე.

მდ. მაშავერას მარცხენა მხარეზე, სატრედოს ხიდთან, მდებარეობდა ამავე სახელწოდების დასახლებული პუნქტი. იგი აღნიშნულია ვახუშტის რუკაზე[14] წყნეთის (მწყნეთის) დასავლეთით. ეს უკანასკნელი კი ხუთვერსიან რუკაზე[15] იმავე სახელითაა აღნიშნული, ასევ 1926 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაშიც[16]; შემდეგში კი მას დაუმკვიდრდა უცხო სახელწოდება — ასმალარი. ამდენად, წყნეთის მდებარეობა გარკვეულია; ისიც ცნობილია, რომ მის დასავლეთით, მდინარის იმავე მხარეზე, სატრედო მდებარეობდა. ასეთი ადგილი კი დღევანდელი სოფ. რაჭისუბნის სანახებია. მართლაც, აქ არის ძველი საკულტო ნაგებობის ნაშთი. ამასთან, სატრედო ძველ ხიდთან მდებარეობდა. სხვა შემთხვევაში, ძველი სატრედო დღევანდელ ქ. ბოლნისის ტერიტორიაზე ვერ მოთავსდება; ჯერ ერთი მის აღმოსავლეთ ნაწილში საკულტო და ნასახლართა კვალი არა ჩანს და ამასთან, ქ. ბოლნისის ტერიტორიაზე კიდევ ორი სხვა დასახლებული პუნქტი — ვერკეთილი და ყორანთა მდებარეობდა. სატრედო (სამტრედო) იხსენიება XVI—XVIII სს. რამდენიმე ისტორიულ საბუთში[17]. XVIII ს-ის დასაწყისში აქ სულ 10 კომლია აღწერილი, საიდანაც 8 აყრილი ყოფილა[18]. სატრედოს მიდამოები XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის მანძილზე დაუსახლებელია, ასევ ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის რუკებზე. შემდეგში, როცა აქ რაჭიდან გადმოსახლებულან, ადგილისათვის რაჭისუბანი შეურქმევიათ.

წყნეთის აღმოსავლეთით მუხრანი მდებარეობდა (მუხრანი, ისე როგორც წყნეთი, საქართველოში რამდენიმე ადგილს ერქვა). მუხრანის მდებარეობა ვახუშტის რუკაზე[19] გარკვევითაა ნაჩვენები, იგი ბორცვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ადგილია. ახლა ამ ადგილას დასახლებული პუნქტი აღარ არის. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ბორცვი და მისი მიდამოები წარსულში მუხის ხეებით ყოფილა დაფარული. თვით ჩამოთვლილი ძველი სახელწოდებები — ყორანთა, ვერკეთილი, სატრედო, წყნეთი და მუხრანა, რომლებიც ერთ ხაზზე, მდ. მაშავრის მარცხენა მხარეზე მდებარეობდა, ქართული წარმოშობისაა და მათი მნიშვნელობაც გარკვეულია. აღნიშნული დასახლებული პუნქტების აღმოსავლეთით, მდინარის ამავე მხარეზე, XVIII ს-ის დასაწყისშიც მდებარეობდა „ელის“ ტომით დასახლებული ორი პუნქტი აღბაბლუ და ნასიბლუ. ვახუშტის სოფლების სიაში[20] აღნიშნული აქვს ეს პუნქტები როგორც „ობა“. ტერმინი „ობა“, ძველი

---

[14] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[15] 5-ти верстной карты Кавказа с прилегающими частями Турции и Персии.

[16] საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ., 1926.

[17] ს. ც ი ნ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, II, ტფ., 1913, გვ. 56; საქართველოს სიძველენი, II, ტფ., 1909, გვ. 216, 351, 389, 508.

[18] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII საუკუნეში, ტფ., 1907, გვ. 232, 405.

[19] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[20] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

ლექსიკონების[21] მიხედვით, „თურქთ ულუსთ სადგომი ბანაკია“. ეს პუნქტები ვახუშტის რუკაზე[22] აღნიშნულია, მხოლოდ რამდენადმე უზუსტოდ არის დატანილი აღბაბლუ (მდინარის სანაპიროდან საკმაოდ მოშორებით). აღბაბლუ და ნასიბლუ 1721 წლის აღწერაში[23] შეტანილი არ არის. აღბაბლუ აღნიშნულია 1705 წლის საბუთში[24] და დატანილია XIX ს-ის დასაწყისის რუკებზე[25], ხოლო მოგვიანებით აღნიშნულია „აღბაბლო ანუ დაშთიკულარი“[26]; შემდგომში მხოლოდ ტაშტიკულარია[27], ასეა ახლაც. რაც შეეხება ნასიბლუს, იგი ასანხოჯალის სახელით შეიცვალა. გასარკვევია ამ ადგილის ძველი ქართული სახელი. შესაძლოა იგი ხიდისყური იყოს; ნახიდურისათვის ეს ადგილი, მართლაც, ხიდისყურია.

როგორც აღინიშნა, ქ. ბოლნისის ტერიტორიაზე ძველად ორი დასახლებული პუნქტი მდებარეობდა. ვახუშტის რუკაზე[28], მაშავრის მარცხენა მხარეზე აღნიშნულია სოფ. ვერკეთილი. იგი პატარა დასახლებული პუნქტი ყოფილა, რომელიც XVIII ს-ის დასაწყისშიც კი განადგურებული ჩანს. უფრო აღრე იგი ნახსენებია ველკეთილის ან ვერკეთილის სახელწოდებით[29]. თავისი მდებარეობის მიხედვით, ეს ადგილი რაიონული ცენტრის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილს შეესაბამება. მართალია, ახლა მის სანახებში ძველი საკულტო ნაგებობის ნაშთი არ არის შემორჩენილი, მაგრამ გასულ საუკუნეში ამ მიდამოებში ხელმეორედ განაშენიანების გამო იგი უნდა განადგურებულიყო. სამაგიეროდ, გასულ საუკუნეში აქ ორი მოზრდილი საკულტო ნაგებობა აუგიათ, რომლებიც ამჟამად შენარჩუნებულია (შესაძლოა, ეს საკულტო ნაგებობები ძველის აღგილას ააშენეს). საქმე ისაა, რომ აქ გასულ საუკუნეში (1818 წ.), გერმანელთა ახალშენი შეიქმნა. ეს იყო საქართველოში გერმანელთა ერთ-ერთი ადრეულ ემიგრანტთა ჯგუფი. ახალშენს ეკატერინეფელდი უწოდეს (ვიუტენბურგის სამეფოს დედოფლის ეკატერინეს სახელთან არის დაკავშირებული). ამ სახელით იგი აღნიშნულია XIX ს-ის ტოპოგრაფიულ რუკებზე. ახლად დასახლებული პუნქტი სახაზინო სოფლების სიაში შევიდა[30]. ეს დასახლება ჯერ მდ. მაშავრის სანაპიროსთან ახლოს მომხდარა, შემდეგ კი თანდათან დაშორებულან მდინარეს. სახელწოდება ეკატერინეფელდი ამ ადგილს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც შემორჩა და მხოლოდ 1924 წელს ლუქსემბურგის სახელი უწო-

---

[21] სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 493; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 322.

[22] ვახუშტი, დასახ. ატლასები.

[23] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა.

[24] ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 17.

[25] Подробная карта Грузии, 1804—1813, ЦГВИА, ф. ВУА, № 20549; Подробная карта Грузии, 1826, ЦГВИА, ф. ВУА, № 21177; Часть Борчалинской дистанции, 1804, ЦГВИА, ф. ВУА. № 19808.

[26] План части Закавказского края Тифлисской губернии, ЦГВИА, Ф. ВУА, № 21009.

[27] 5-ти верстной карты... დასახ. გამოცემა; საქართველოს ადმინისტრაციული... დასახ. გამოცემა.

[28] ვახუშტი, დასახ. ატლასები.

[29] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 55, 57; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, თბ., 1964, გვ. 89.

[30] შ. ქუთიძე, ქვემო ქართლში გერმანელთა ახალშენების ისტორიის საკითხისათვის, „მაცნე“, 1967, № 4, გვ. 117.

დეს. 1943 წელს კი ძველი ქართული სახელით — ბოლნისით შეცვალეს, თუმცა აღრე ბოლნისი სულ სხვა ადგილს ერქვა.

გარდა ამისა, ქ. ბოლნისის ტერიტორიაზე კიდევ ერთი დასახლებული პუნქტი იყო ძველად. ეს არის ყორანთა, რომლის ძველი ნაშთი ციხისა და ეკლესიის სახით შემორჩენილია ქ. ბოლნისის ჩრდილო-დასავლეთით, ზედ კულტურისა და დასვენების პარკის ჩრდილოეთით. ყორანთა ისტორიულ წყაროებში პირველად 1398 წელს არის მოხსენიებული[31]; შემდეგ თანმიმდევრობით გვხვდება 1447, 1587, 1691 და სხვა წლების ისტორიულ საბუთებში[32]. ამასთან, 1529 წლის საბუთიდან ჩანს, რომ 1466—72 წლების შემდეგ სოფ. ყორანთა ამოწყვეტილი ყოფილა[33], აქვეა დასახელებული ყორანთის ეკლესია. 1587 წლის საბუთში ყორანთა კვლავ სოფლად იხსენიება[34], 1721 წლის აღწერაში[35] კი. შეტანილი არ არის. სახელწოდება ყორანთა დაკავშირებულია ფრინველის სახელთან— ყორანი (სვავისებური ფრინველია), თა სუფიქსი კი ქართულ გეოგრაფიულ სახელებში საკმაოდაა გავრცელებული (შეადარეთ, აკაურთა, ბუჩუკურთა, გოგოლაურთა, უძილაურთა, ჯალაურთა და სხვ.). ფიქრობენ[36], რომ ყორანთის ეკლესია წმინდა გიორგის სახელზე ყოფილა აგებული. ვახუშტის თქმით: „ყ ო რ ა ნ თ ა ს არს ეკლესია, სასვენი ატოცის წმიდის გიორგის ჯვარისა“[37]. სხვა ადგილას ვახუშტივე წერს: „არს აქა (ჩხარი, იმერეთში — კ. ხ.) ეკლესია უგუნბათო, რომელსა შინა ასვენია ჯვარი დიდ ფრიად. მდებარებს მას შინა ბეჭი მთავარ-მოწამის გიორგისა. მარადის სასწაულთ-მოქმედი. ეს ჯვარი პირველ იყო ყორანთას, შემდგომად სამცხეს, მერმე ატოცსა და აწ აქა“[38]. გამოდის, რომ ვერცხლის ჭედური ჯვარი, რომელიც ახლა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება (თბილისში 1924 წელს ჩამოიტანეს), პირველად ყორანთაში ყოფილა დასვენებული, შემდეგ სამცხეში (სადგერი) და ბოლოს ჩხარის ეკლესიაში.

ყორანთის დასავლეთით, მდ. მაშავრის მოშორებით, აგრეთვე მდებარეობდა დასახლებული პუნქტი რატევანი. იგი მოხსენიებულია 1447-1459 წლების ისტორიულ საბუთში[39]. 1721 წლის აღწერით[40], 25 კომლი, ანუ 125 კაცი ცხოვრებულა. XVIII ს-ის მეორე ნახევარში ეს სოფელიც თითქმის დაცლილი იყო. XIX ს-ის დასაწყისში, რუსების მიერ გადაღებულ ტოპოგრაფიულ რუკაზე[41], რატევნის ადგილზე აღნიშნულია სოფ. კამარლო. შემდეგში ამ პუნქტს კვლავ დაუბრუნდა სახელი რატევანი (ამჟამად კამარლოს სახელით დასახლებული პუნქტია დმანისის რაიონში). ახლა სოფ. რატევანი მაშავრის სანაპირომდეა გაზრდილი.

რატევნისა და ყორანთის ჩრდილოეთით მდებარეობს ვრცელი ველი, რო-

---

31 მასალები საქართველოს ისტორიული... დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

32 საქართველოს არქივი, III, ტფ., 1927, გვ. 114; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 55—57; მასალები საქართველოს ისტორიული... დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

33 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, III, ტფ., 1913, გვ. 38.

34 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 55—57.

35 მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა.

36 ი. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ყორანთა — შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლი, „მაცნე“, 1966, № 3, გვ. 261.

37 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

38 იქვე, გვ. 153.

39 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 37.

40 მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა, გვ. 122—131.

41 Урочище Камарлы и Квеши. ЦГВИА, ф. ВУА, № 19811.

მელიც ქვემო ქართლის ლავური პლატოს ნაწილია[42]; ვახუშტი მას დისველს უწოდებს (ახლა თაფანი ჰქვია): „ამას ზეით (სატრედოს ხიდი,—კ. ხ.) დ ი ს ვ ე ლ ი ს მ ი ნ დ ო რ ი უწყლო, არამედ ნაყოფიერი, ქცია-მაშავერს შუა და მოუცადი მარცვალთა, ბრინჯ-ბამბას გარდა“[43]. მართლაც, მთელი 20 კმ-ის სიგრძის ეს პლატო არც ერთი მდინარით არ იკვეთება. მიუხედავად ამისა, კარგად არის ათვისებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად. აქ არსებული ერთადერთი ნასოფლარი (დისველი) ახლა ეკალ-ბარდებითაა დაფარული, სადაც დარჩენილია ნაგებობათა კვალი. შეიმჩნევა ხელოვნურად გათხრილი რამდენიმე ღრმა ორმო, რომლებიც, ალბათ, ჭის როლს ასრულებდნენ. სახელწოდება დისველის წარმოშობის შესახებ ხალხში შემდეგი თქმულებაა: თითქოს ერთ-ერთმა თავადმა თავის დას გათხოვებისას აჩუქა ეს ველი, „დის ველი“.

აღნიშნული ველის დასავლეთით სოფ. აკაურთაა. ძველად სოფელში თავადის სახლი ყოფილა. მართლაც, შემორჩენილია ორი ეკლესია (კარის), რომლებიც თავადებს ეკუთვნოდათ. გარდა ამისა, სოფელშივე დგას V-VI საუკუნეების ეკლესია. ვახუშტის თქმით, აკაურთას ქვითკირის მრავალი ნაგებობაა. 1721 წლის აღწერით[44], 27 კომლი ცხოვრებულა. შემდეგში მოსახლეობა ძლიერ შემცირებულა. XIX ს-ში მცხოვრებთა რაოდენობა კვლავ მომატებულა.

მდ. მაშავრის მარჯვენა მხარეზეც განლაგებული იყო დასახლებული პუნქტები, მათ შორის საბერეთი (პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სა-ბერ-ეთ-ი), ყიშლაღი, თაყამარა და ცრტა მოშორებით უშევანი. ეს უკანასკნელი იგივე მუშევანია. უშევანი აღნიშნულია ვახუშტის შრომებში და XVIII ს-ის რამდენიმე ისტორიულ საბუთში[45]; 1721 წლის აღწერით[46], იქ სულ 10 კომლი ცხოვრებულა. სოფელში შემორჩენილია ძველი საკულტო ნაგებობის ნაშთი (X ს.).

ვახუშტის შრომებში დმანისის ხევში გამოყოფილია რამდენიმე მცირე ხევი; ასე მაგალითად, კაზრეთის, ბალიჭის, ქვეშის და სხვ. ქვეშის ხევი მდ. მაშავრის მარცხენა მხარეზე მდებარეობდა. მდინარეს, რომელიც ქვეშთან ერთდება, ქვეშის ხევი ანუ გეტის ხევი ეწოდება. ამ მდინარის ორივე მხარეზე განლაგებული იყო რიგი დასახლებული პუნქტები. ზოგი მათგანი ამჟამად ნასოფლარია. მდინარის სათავეში მდებარეობდა ბაქრანი, რომლის მცირე ნაშთია ახლა შემორჩენილი ტყიან ადგილზე, სოფ. დარბაზის ზემოთ 4,5 კმ-ზე. ასევე ნასოფლარების ფრაგმენტებია ხახალაჯვარის (სახელწოდება წარმოშობილია ხახულის ჯვარისაგან), დამღალოს, წიფორის და სავანეთის (პრეფიქს-სუფიქსით წარმოებული სახელია სა-ვან-ეთ-ი). ყველა ეს ნასოფლარი შემორჩენილია ახლანდელ სოფ. დარბაზს ზემოთ, მდინარის ორსავე მხარეზე. ნასოფლარების დამღალოს და წიფორის ადგილას დარჩენილა ნასოფლართა უმნიშვნელო კვალი, ხოლო ნასოფლარ სავანეთის ადგილზე კი მოზრდილი საკულტო ნაგებობის ნაშთი, ძველი სასაფლაოთი. ამ სოფელს დიდი ფართობი სჭერია, რაზედაც მიგვითითებს ბუნებრივი პირობები და 1721 წლის აღწერის[47] მონაცემები. ჩამოთვლილი სახელწოდებები ქართულია. ბოლო სახელი დასასადგურებელ ადგილს ნიშნავს, როგორც აღვნიშნეთ, ამ სოფელს საკმაოდ მოზრდილი ფართობი ეჭირა და ხელ-

---

[42] ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

[43] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

[44] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა, გვ. 71, 129, 131.

[45] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III. თბ., 1955, გვ. 38.

[46] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა, დასახ. გამოცემა, გვ. 132, 225.

[47] იქვე, გვ. 63, 66, 68, 70, 73.

საყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. ამასთან, აქვე, სულ 1,5 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა მოზრდილი დასახლებული პუნქტი დარბაზი, სადაც აგრეთვე თავადი სახლობდა. თვით სახელი დარბაზი იმაზე მიგვითითებს, რომ იგი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი ყოფილა, ასე აქვს ვახუშტისაც[48] აღნიშნული. დარბაზის ტერიტორია ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებითაც ვრცელდებოდა. 1721 წელსაც[49] აქ 26 კომლი ანუ 130 კაცზე მეტი ცხოვრებულა. დარბაზის ძველი ნაგებობები ნასოფლარად გადაქცევის შემდეგ დაინგრა, ან ნაწილი ხელახლა დასახლების შემდეგ სხვა დანიშნულების ნაგებობად გადაკეთდა. ამ პუნქტს ძველად რიგი საცხედრო ტიპის ნაგებობებიც ამაგრებდა. ესენია მდინარის მარჯვენა მხარეზე ახლაც შემორჩენილი გეტისა და ჭრეშის ციხე-კოშკები. აქვე დარჩენილია საკულტო ნაგებობები და მათ გარშემო უამრავი ძველი ნასახლარის ნაშთი. ეს 1721 წლის აღწერითაც[50] კარგად ჩანს. ასე მაგალითად, სოფ. ჭრეშში 32 კომლი ცხოვრებულა. სახელწოდება ორივე ქართულია. ჭრეში XVII—XVIII სს-ის რამდენიმე ისტორიულ საბუთში იხსენიება[51]. ასევეა აღნიშნული ხუთვერსიან რუკაზე[52] მდინარის მარცხენა მხარეზე. მარჯვენა მხარეზე კი სოფლები ჯანაზიანი (ჯანავაზიანი) და მუსეფრიანი მდებარეობდა. პირველი ახლა ნასოფლარია, მეორე კი მუსოფრიანის სახელითაა დასახლებული პუნქტი. მდინარის მარცხენა მხარეზე კი ახლა ორი სოფელი გულავერია; ადრე ქვემო გულავერის სანახებში გულეული მდებარეობდა, რომლის ნაშთს წარმოადგენს გზისპირას შემორჩენილი საკულტო ნაგებობა.

მდ. გეტის მარცხენა შენაკადზე რამდენიმე დასახლებული პუნქტი მდებარეობდა. მათ შორის ძველი ქვეში, რომელიც ახლაც ძველი სახელითაა შემორჩენილი. უფრო ზემოთ ძეძვნარიანი, ანუ ძეძუნარიანი (ძეძვების ადგილი) იყო, რომელიც თავისი ადგილმდებარეობით ახლანდელი სოფ. არაქელის ადგილზე უნდა ყოფილიყო. აქვე ახლოს ნანგრევები და ეკლესიის ნაშთია, რომელიც ძველი სოფ. თოფრაყალას ადგილია. სოფ. ყარადაში კი ძველი სოფ. იწრიის ადგილზე მდებარეობს, ხოლო სოფ. ტანძია ახლაც იმავე საახელითაა. XIV ს-ის პირველ ნახევარში სოფ. ტანძია ფიტარეთის აღმშენებელს უყიდია და შეუწირავს ამ ეკლესიისათვის[53]. XVII ს-ში ეს სოფელი ორბელიანთა ახალი შტოს რეზიდენცია ყოფილა[54]. ტანძიას ყოველმხრივ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა უჭირავს და ამიტომაც იგი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული ადრიდანვე; ამას მოწმობს ძველი ნანგრევები და ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები.

ქვეშის ხევის შესართავთან მდებარეობდა სოფელი და ციხე ქვეში, რომელიც ცენტრალური პუნქტი იყო ამ გზაზე. სოფლის განაშენიანება ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე იყო; ამჟამად კი სოფელმა მდინარის (მაშავერა) სა-

[48] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[49] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა, გვ. 64, 67, 69, 70, 73, 190, 227.

[50] იქვე, გვ. 63, 66, 69, და სხვ.

[51] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 123; მასალები საქართველოს ისტორიული... დასახ. ნაშრომი, გვ. 268; მასალები საქართველოს ეკონომიური... დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[52] 5-ти верстной карты... დასახ. გამოცემა.

[53] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, I, „კავკასიონი", № 1—2, პარიზი, 1929, გვ. 188.

[54] იქვე, გვ. 93.

ნაპიროსთან გადაინაცვლა. ქვეშის ჭალა (ქუეშის ჭალა) მოხსენიებულია XI ს-ის ისტორიულ წყაროში[55], ხოლო 1307 წლის წარწერაში მოხსენებულია ლიპარიტ ქვეშელი[56]. შემდეგში ქვეში არაერთ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროშია აღნიშნული. ასე მაგალითად, 1468 წელს მეფე ბაგრატმა დაუმტკიცა ჯავახიშვილებს — „სომხითს ქვეში ციხითა და ბაჟითა“[57]. „ქვეშის საბაჟო“ კი მოწმობს ამ ციხის როგორც საგზაო პუნქტის მნიშვნელობაზე და სხვ. ქვეშში 1721 წელს[58] 19 კომლი ცხოვრებულა, აქედან 4 კომლი ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველად ქვეში ადმინისტრაციული ცენტრი იყო. ვახუშტის მიხედვით: „ქ ვ ე შ ი ს-ც ი ხ ე არს მაღალს კლდესა ზედა მდგომი, ჰავითა და თვალთათჳს მშვენი, წყარო კეთილი“[59]. 1468 წელს ბაგრატ მეფეს ციხე ჯავახიშვილებისათვის გადაუცია, ხოლო მალე იგი ხელთ უგდიათ ბარათაშვილებს. ერთხანს (1573 წ.) ქვეშის ციხე მეფის საჯდომი ადგილიც იყო (როცა დავით XI — დაუთხანმა ქართლი დაიპყრო). XVII საუკუნიდან ქვეშის ციხე ფალავანდიშვილების საკუთრება გახდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ კი სხვა ციხეებთან ერთად ქვეშის ციხეც კარგავს თავის ფუნქციას.

ვახუშტის რუკაზე[60] ქვეშის ხევის აღმოსავლეთიდან მდინარე მაშავერს მარჯვნიდან ერთვის კაზრეთის ხევი. სინამდვილეში, კაზრეთის ხევი გაცილებით დასავლეთით ერთვის მაშავერს. ხევზე განლაგებული დასახლებული პუნქტები სწორად არის აღნიშნული. შესართავთან სოფ. ღორისთავია ნაჩვენები. ეს ადგილი ახლა კაზრეთის სანახებია, მდ. მაშავრის სანაპიროზე. ამ ადგილს პატარა ბარაკებია. სახელწოდების წარმოშობის შესახებ არსებობს გადმოცემა: თითქოს თათრებს ქართველებისათვის ღორებივით წაუჭრიათ თავები, ამიტომ დარქმევია ღორისთავიო. ეს თქმულება ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ეს ადგილი ქ. დმანისისაკენ მიმავალ ცენტრალურ გზაზე მდებარეობდა. ამ შემთხვევაში სახელწოდება მეორადია: თუმცა ღორისთავი, ღვარის თავადაც არის გაზრებული[61]. განუწყვეტელი რბევის შედეგად 1721 წელს[62] აქ მხოლოდ 2 კომლია აღწერილი. იქვე ახლოს, მდ. კაზრეთის ხევის მარცხენა მხარეზე მონასტერი იყო დავითის სახელწოდებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კაზრეთის დასახლებაში შემორჩენილი ძველი მონასტრის ნაშთი „დავითი“ უნდა იყოს. თუმცა, ლ. მუსხელიშვილის[63] მიხედვით, ვახუშტის „დავითი“ არასწორად აქვს აღნიშნული და იგი „დავით საგარეჯოს“ ადგილზე უნდა იყოსო. დავით საგარეჯო კი კაზრეთის აღმოსავლეთით, ტყით მოცულ მთის თხემზეა. აქ, მართლაც, შემორჩენილია სამონასტრო კომპლექსი, მათ შორის მთავარი ტაძარი XIII—XIV საუკუნისა. ფიქრობენ[64], რომ ამ ძეგლმა დასახელება მიიღო კახეთ-

---

[55] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 307.

[56] Сборник матер. для местности и племен Кавказа, вып. XIII, 1892, გვ. 130.

[57] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 40.

[58] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა, გვ. 22, 59, 46.

[59] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[60] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[61] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, კრებულში — „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938, გვ. 327.

[62] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა, გვ. 231.

[63] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941, გვ. 33.

[64] რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, კიდევ ერთხელ ბოლნისისა და დმანისის ძეგლების შესახებ, „ძეგლის მეგობარი“, კრ. 26, 1971, გვ. 29.

ში VI ს-ში დაარსებულ დავით გარეჯის მონასტრიდან. ტაძრის კარის წარწერაში აღნიშნულია, რომ ეკლესია ხელმეორედ აუგია დიდი ორბელიანის ძეს, მეფე გიორგი XI ს-ის მდივანბეგს ერასტის (სულხან-საბა ორბელიანის ძმა) და მის მეუღლეს 1709 წელს[65]. თვით კაზრეთის მიდამოებში გასულ საუკუნეში დასახლებულან ხელმეორედ და ამ ადგილისათვის ტაბახმელა უწოდებიათ. ჩვენი საუკუნის დასაწყისში აქ 20 კომლი ცხოვრებულა[66], სახელწოდება კაზრეთი ფრჩხილებშია მოქცეული; 1926 წელს[67] კი 91 კომლამდე გაზრდილა მოსახლეობა და უკვე კაზრეთად იწოდებოდა, სახელწოდება ტაბახმელა მეორეხარისხოვანი გამხდარა. ნამდვილი კაზრეთის ნანგრევები, რომელიც მოზრდილ დასახლებას მოიცავდა, ახლანდელი კაზრეთის ცოტა ზემოთ მდებარეობს. სახელწოდება კაზრეთი დაკავშირებულია კაზარ-თან (მწერი). ᲔᲗ კი ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში საკმაოდ გავრცელებული სუფიქსია (შეადარეთ გომარეთი, თელეთი, დუშეთი, აფხაზეთი, იმერეთი და სხვ.). ამასთან, XVIII ს-ის დასაწყისში აქ მონასტერთან ერთად (დასახლებული პუნქტი მდინარის მარჯვენა მხარეზე) სულ 13 კომლი ყოფილა. მდინარის მარჯვენა მხარეზე მდებარეობდა ისპიანი. ისპიანს ახლაც უწოდებენ კაზრეთის (ახლა კაზრეთის სახელწოდებას კონკურენციას უწევს მადნეული) სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მახლობლად მდებარე „სამების“ ეკლესიის მიდამოებს.

კაზრეთის ხეობაშივე მდებარეობდა (მდინარის მარჯვენა მხარეზე), სოფ. ბიბილაშენი, რომელიც XIX ს-ის დასასრულს ნასოფლარ სამტრედოს სახელით ყოფილა ცნობილი[68]. აქვე, ე. თაყაიშვილი მიუთითებს ეკლესიას, რომელიც ლაპიდარული წარწერების თნახმად, 1697 წელს ყოფილა აგებული. ამავე ხეობაში მდებარეობს ძველი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლის ნაშთი, რომელსაც „სათხეს“ სახელით იცნობენ. როგორც აღნიშნავენ[69], მის მიდამოებში ხშირად ჩამოდიოდნენ და თავს აფარებდნენ გარეული თხებიო. ვახუშტის რუკის[70] მიხედვით, ამ ადგილს „კვირაცხოველია“ დატანილი. კვირაცხოველს ახლა მიუთითებენ ბალიჭსა და „სათხეს“ შორის მთის სახელწოდებად. ისე როგორც დმანისის ხევის ბევრი დასახლებული პუნქტი, კაზრეთის ხეობის სოფლებიც XVII საუკუნეში გარეშე მტერთა შემოსევების დროს ძლიერ დაინგრა.

კაზრეთის ხეობის სათავეში, მისსა და ფოლადაურის მარცხენა წყალგამყოფზე, კონუსურ შთენილ მასიურ კლდეზე, მდებარეობს ქვემო ქართლის ერთ-ერთი მიუვალი ციხე-სიმაგრე: ვახუშტი თავის რუკაზე[71] ამ ადგილს ციხის პირობით ნიშანი აქვს აღნიშნული სახელწოდება კი აქვე, ახლოს მდებარე პუნქტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბუჩუკუნი უნდა ვუწოდოთ, ასე აქვს აღნიშნული დ. ბერძენიშვილსაც[72].

---

[65] რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, კიდევ ერთხელ ბოლნისისა და დმანისის ძეგლების შესახებ, „ძეგლის მეგობარი“, კრ. 26, 1971, გვ. 29.

[66] 5-ти верстной карты... დასახ. გამოცემა.

[67] საქართველოს ადმინისტრაციული... დასახ. გამოცემა.

[68] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ნაწ. II, თსუ შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 163.

[69] იქვე, გვ. 57.

[70] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[71] იქვე.

[72] დ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 14

კაზრეთის ხევის პარალელურად, მდ. მაშავერს მარცხნიდან ერთვის ბალიჭის ხევი. ახლა ეს ხევი დამბლუტის ან უკანგორის სახელით არის ცნობილი. ვახუშტის სოფლების სიისა[73] და რუკის[74] მიხედვით, ამ ხეობაში 18 დასახლებული პუნქტია აღნიშნული. ამჟამად მხოლოდ ორი სოფელია დარჩენილი, ნასოფლარები კი ტყის მასივებით არის დაფარული. მდინარის შესართავთან მდებარეობდა სოფ. თავდიდიანი, ახლა აქ ეკლესიის, ძველი სასაფლაოსა და სხვა ნაგებობათა ნაშთებია შემორჩენილი. ამ ადგილს სოფ. ბალიჭის მოსახლეობა „ძეძვებს" ეძახის. მდინარის მარჯვენა მხარეზე სოფ. ბალიჭი მდებარეობდა; იგი ამავე სახელით არის ახლაც შემორჩენილი. XVIII ს-ის დასაწყისში აქ 29 კომლი ცხოვრებულა[75]. ბალიჭში შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეებისა და XIX ს-ის ეკლესიათა ნაშთები; ეს უკანასკნელი გასულ საუკუნეში აქ გადმოსახლებულ ბერიძეებს აუგიათ. მდ. ბალიჭის ხეობაშივე ახლაც შემორჩენილია კიდევ ერთი დასახლებული პუნქტი უკანგორი, დანარჩენი ყველა ნასოფლარია. XVIII საუკუნის დასაწყისში კი ისინი მცირე მოსახლეობით ხასიათდებოდნენ.

ასეთივე მდგომარეობაა ფინეზაურის ხეობაში, სადაც 26 დასახლებული პუნქტია აღნიშნული, მათ შორის 2/3 ნასოფლარია. ამ ხეობაშიც ნასოფლართა პოვნა და მათი ლოკალიზაცია ძლიერ გაძნელებულია. ფინეზაურის ხეობა თანამედროვე რუკებზე მოშევანის სახელითაა აღნიშნული. მის შესართავთან ახლოს მდებარეობს სოფ. მაშავერა. ადრე იგი გორინჯუკის სახელით იყო ცნობილი[76]; სახელწოდება გორინჯუკი აღნიშნულია XIX ს-ის რუკებზედაც[77]. მხოლოდ უკანასკნელ წლებში (1949 წ.) მაშავრის სახელით შეცვალეს. გორინჯუკზე გადიოდა ძველი საქარავნო გზა, რომლის კვალი დღესაცაა დარჩენილი.

გორინჯუკის (მაშავრის) სამხრეთ-დასავლეთით ფინეზაურის წყალს ერთვის პატარა ხევი, რომელსაც ჩინჩხვარის ხევს უწოდებენ. ვახუშტის ამ ხევზე სოფ. ჩინჩხური აქვს აღნიშნული. ამ ხევზე შეიმჩნევა ნასოფლარის კვალი, რომელიც ჩინჩხური უნდა იყოს. ეს სახელწოდება წყაროებში რამდენიმე ფორმით გვხვდება[78]. ასევე რამდენიმე ფორმით არის მოხსენიებული სახელწოდება სიქიშხანი[79]. ლ. მუსხელიშვილი[80] სიქიშხანის მდებარეობას ფინეზაურის მარჯვენა ნაპირას ვარაუდობს, პატარა დმანისს ზემოთ ორიოდე კმ-ზე, სადაც ადგილს „კისისხანა" ეწოდება. აქ, ახლაც დარჩენილია ძველი ეკლესიის ნანგრევები, შეიმჩნევა ნასოფლარის კვალი (აქვე დგას ფერმაც).

ფინეზაურის ხეობის შუა და ზემო ნაწილში ამჟამად უმეტესად ნასოფლარებია, ნაწილი კი გადადის სომხეთის სსრ (კალინინოს რ.) ტერიტორიაზე. ფი-

---

[73] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

[74] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[75] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობა..., დასახ. გამოცემა, გვ. 22, 59, 61, 90.

[76] მასალები საქართველოს ისტორიული..., დასახ. ნაშრომი, გვ. 62; მასალა საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა, გვ. 79, 81—84; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955, გვ. 90 და სხვ.

[77] Карта театра войны с персиянами, 1827.

[78] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 392; მასალანი, საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა, გვ. 187; ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე, ბარათაანთ გაყრის წიგნი 1536 წლისაა, საისტორიო მოამბე, I, ტფ., 1924, გვ. 184; ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 424; და სხვ.

[79] ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე, ბარათაანთ გაყრის წიგნი... დასახ. ნაშრომი, გვ 183; მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა, გვ. 225; ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[80] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, გვ. 322.

ნეზაურის წყალს მარცხნიდან უერთდება პატარა ხევი, ამამლოს სახელით ცნობილი. მათ შეერთების ადგილთან ვახუშტის აღნიშნული აქვს დასახელებული პუნქტი ლაკლაკაშენი[81]. იგი თავისი მდებარეობით ახლანდელ სოფ. საფარლოს ტერიტორიას ეფარდება. მის მოპირდაპირე მხარეზე კუჩენბახს (გერმანელი კოლონისტი) შუშის ქარხანა აუგია (გასულ საუკუნეში), რომლისთვისაც ადგილობრივ ნედლეულს იყენებდნენ. ხუთვერსიან რუკაზე[82] ამ ადგილს აღნიშნულია: „Стекл. Зас. (Алексановск.)", 1926 წლის ადმინისტრაციულ დაყოფით[83], „შუშის ქარხანა" შედიოდა კოშკათალას (ახლა საკირე) სასოფლო საბჭოში. ამჟამად ეს დასახლებული პუნქტი გაუქმებულია. ამავე შენაკადზე, მარჯვენა მხარეზე მდებარეობდა ორი სოფელი თაგუთის სახელწოდებით. მათ ადგილზე დარჩენილია ორი ეკლესია და ნასახლარები ძველი სასაფლაოთი ერთმანეთის მოპირდაპირედ მდინარის მარჯვენა მხარეზე. ლ. მუსხელიშვილს[84] ამ ადგილის სახელწოდება ადგილობრივ ჩაწერილი აქვს „ჯომუშ-ბათანი". 1721 წლის აღწერით[85] ორივე თაგუთში 33 კომლი ყოფილა. ამავე აღწერით 34 კომლი ცხოვრებულა აქვე, მდინარის მარცხენა მხარეზე მდებარე სოფ. ვარძაგარაში[86]. 1701-11 წლების აღწერით[87] კი ვარძაგარაში 55 კომლი ყმა ყოფილა. ამ მხრივ იგი ერთ-ერთი მოზრდილი დასახლებული პუნქტი ყოფილა იმ დროისათვის მაშავრის ხეობაში. თვით სოფ. ვარძაგარა თავისი ადგილმდებარეობით ახლანდელ სოფ. მამიშლოს ადგილას უნდა ყოფილიყო. ამავე ხევის აყოლებით, მამიშლოდან ამამლომდე, გზის პირას პატარა ნასოფლარია, რომელიც ძველი მოლამასხუტის ადგილი უნდა იყოს, ხოლო სოფ. ამამლო ვახუშტის მიერ აღნიშნულ[88] ფარანჯუკს უნდა შეესაბამებოდეს.

მდ. მაშავრის მარცხენა მხარეზე, ქვეშის დასავლეთით, ახლანდელი აბდალოს ადგილას ძველი დასახლებული პუნქტი ჯავშანიანი (სახელწოდება ქართულია) მდებარეობდა. სახელწოდება აბდალო გასულ საუკუნეშია შემოტანილი. მაგრამ იგი ერქვა ახლანდელი სოფ. ჯაფარლოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დასახლებულ პუნქტს, ხოლო ბოლნისში მცხოვრებმა გერმანელებმა როცა იძულებული გახადეს იქაური მოსახლეობა აიყარა და ნასოფლარ ადგილას დასახლდა. სახელწოდება აბდალოც ახალ ადგილას გადაიტანეს. სოფ აბდალოს დასავლეთით კი ახლაცაა ძველი სახელით — კიანეთი შემორჩენილი დასახლებული პუნქტი.

კაზრეთის დასახლების მოპირდაპირედ, გზის პირად, სოფ. ჯალდამი მდებარეობდა; ახლა იგი ნასოფლარია, სადაც რამდენიმე საკულტო ნაგებობაცაა შემორჩენილი, კერძოდ, ე. წ. „დაქცეული საყდარი" და „სვეტიცხოვლის" ეკლესია აქ ერთ-ერთ წარწერაში 1658 წელია აღნიშნული[89], ხოლო სოფ.

---

[81] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[82] 5 ти верстной карты,.. დასახ. გამოცემა.

[83] საქართველოს ადმინისტრაციული..., დასახ. გამოცემა.

[84] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური... დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[85] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა, გვ. 130, 131, 191, 192.

[86] იქვე, გვ. 186—187.

[87] იქვე,

[88] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[89] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური... დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

ჯალდამი ამავე საუკუნისა და შემდგომში მრავალ ისტორიულ საბუთშია მოხსენიებული[90]. ახლა ამ ადგილებში კაზრეთის მცხოვრებთა ნაკვეთებია.

აქვე, მდ. ბალიჭის შესართავთან, მოპირდაპირედ, მაშავრის მარცხენა მხარეზე რამდენიმე ნასოფლარია, ერთ-ერთი მათგანია „ორსაყდრები". აქ საკმაოდ მოზრდილი ნასოფლარია, სადაც ორი ახლო მდებარე ეკლესია დგას. სწორედ ამიტომ შეურქმევიათ ამ ადგილისათვის ორსაყდრები. წარსულში კი იგი სულ სხვა სახელით იყო ცნობილი — „ახალშენი". საქართველოში ასეთი სახელწოდების პუნქტი ამჟამადაც რამდენიმეა (15) და მისი ეტიმოლოგიაც გარკვეულია. მაგრამ ინტერესს იწვევს ამ ადგილის სახელწოდების ისტორია. აქ მდგარი ეკლესიები გვიანი შუა საუკუნეებისაა. ლ. მუსხელიშვილის[91] განსაზღვრით, ეკლესიის კედლებში ჩაყოლებულია ადრინდელი, კერძოდ, VI—VII სს. ქვების ფრაგმენტები. ეს გარემოება მიგვითითებს იმაზე, რომ ისინი სხვა ადგილებიდან უნდა იყოს მოტანილი. თვით მოსახლეობა აქ გვიან შუა საუკუნეებში უნდა მოსულიყო და ამ ადგილზე უნდა შეექმნა ახალშენი. XVIII ს-ის შუა წლებში, სადაც მხოლოდ რამდენიმე კომლი ცხოვრებულა, იგი ნასოფლარად ქცეულა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ ადგილიდან 2—2,5 კმ-ის დაშორებით, მოპირდაპირე მთის ფერდობზე, შეიმჩნევა ძველი ნასახლარები. კანონზომიერი იქნება თუ ვიგულისხმებთ, რომ ახალშენის მოსახლეობა თავდაპირველად სწორედ აქ ცხოვრებულა; შემდეგში მტერთა შემოსევების დროებით შეწყვეტის დროს, აღნიშნული მთის ფერდობიდან, სადაც ცხოვრების პირობები შედარებით ცუდი იყო, სოფლის მოსახლეობამ გადაწყვიტა მდინარის ახლოს დასახლება. თავდაპირველი მიტოვებული სოფლის სახელწოდება დავიწყებას მიეცა, იგი არც ვახუშტის აქვს აღნიშნული. სწორედ ამ ნასოფლარიდან (რომელსაც ხუთვერსიან რუკაზე „დანგრ. სამაგლება" აწერია, ახლანდელ რუკებზე აქვე მდებარე მთას კი „მ. ასიაგლება", სინამდვილეში უნდა იყოს „ამაღლება"), თავის დროზე წამოღებული უნდა იყოს ზემოთ ხსენებული ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვები და ჩართული ახალშენის ეკლესიაში. ძველი ნასოფლარებიდან მოტანილი ჩუქურთმიანი და წარწერიანი ქვების ჩართვა ახალ ადგილებში აგებულ საკულტო ნაგებობებში საკმაოდ ხშირი მოვლენაა. ასევე, დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის ასეთი მიგრაცია არა თუ ძველად, არამედ ამჟამადაც ხშირი მოვლენაა.

აქვე, მდ. მაშავრის მარცხენა შენაკადს წარმოადგენს ხინწის ხევი. მის მარჯვენა მხარეზე სოფ. ნინიასუბანი მდებარეობდა[92], ხოლო მარცხენა მხარეზე აბულმაგი: ხინწის ხევის—„...ქვეით დაბა ა ბ უ ლ მ უ გ ი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა"[93]. აბულმაგი (აბულმუგი) დღეს ნასოფლარია, რომლის მიდამოებს დმანისის რაიონის ქართველი მოსახლეობა ძველი სახელწოდებით იხსენიებს. აქ, სოფ. დიდი დმანისის მცხოვრებთა ნაკვეთებია (უფრო ზემოთ კი სათიბ-საძოვრები). შემორჩენილია ეკლესიის ნაშთები ლაპიდარული წარწერებით.

მდ. მდ. ფინეზაურისა და მაშავრის ხეობაში მდებარეობს ძველი ნაქალაქარი

---

[90] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 67, 202, 205; საქართველოს სიძველენი, I, ტფ., 1920, გვ. 70, 75, 76; საქართველოს სიძველენი, III, ტფ., 1910, გვ. 38; მასალები საქართველოს ისტორიული... დასახ. ნაშრომი, გვ. 279.

[91] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური... დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[92] ვ ა ხ უ შ ტ ი. დასახ. ატლასები.

[93] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

დმანისი. დმანისი პირველად ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია „მატიანე ქართლისაჲ-ში[94]. 853 წლის ამბებთან დაკავშირებით: „დარიალანით გამოიყვანნაა ოვსნი ვითარ სახლი ასი, და დასხნა იგი დმანისს, და ენება ზაფხულს შესლვა ოვსეთად". მაგრამ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ძვირფასი მასალა, რომელიც შუქს ჰფენს ქალაქის უფრო ადრინდელ ისტორიას. ასე მაგალითად, აქ აღმოჩნდა VI ს-ის მონეტა იუსტინიანე კეისრისა[95]. ჯერ კიდევ V ს-ში აქ იყო ეპისკოპოსის კათედრა დმანისისა და ტაშირის ტიტულით[96]. გარდა ამისა, აქ არის VII ს-ის ეკლესია „სიონი"[97]. ამდენად, დმანისი როგორც მნიშვნელოვანი პუნქტი არაბების გაბატონებამდე არსებობდა[98]. მაგრამ, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო და ხელოსნური ქალაქი სწორედ IX ს-დან უნდა ვიგულისხმოთ. ამიტომ აღნიშნავენ, რომ დმანისის ქალაქად გადაქცევა IX ს-დან მოხდაო. დმანისის ასეთ წინსვლას ხელს უწყობდა მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; იგი ხერთვისშია (ხერთვისში აგებული ძველი ქალაქებია: საშვილდე, ახალქალაქი, ხერთვისი და სხვ.), მაღალ კონცხზე და ცენტრალურ გზაზე.

დმანისის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია XI—XIII საუკუნეებში: იგი ამ პერიოდში აქტიურ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც დასტურდება, აქ, XIII საუკუნეში საკუთარ ფულსაც ჭრიდნენ[99], ხოლო იაკუთის[100] ცნობით, აქედან აბრეშუმიც კი გაჰქონდათ.

შემდგომში დმანისი არაერთ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროშია მოხსენიებული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის[101] მიხედვით: 1123 წელს „მარტსა გარდმოვიდა ქართლად, და აღიღო ქალაქი დმანისი". XIII საუკუნეში დმანისი არაერთ ამბებთან დაკავშირებით არის მოხსენიებული ჟამთააღმწერლის[102] მიერ, მათ შორის, მონგოლთა შემოსევებზე. დმანისზე ცნობები მოიპოვება აგრეთვე ბერი ეგნატაშვილის, ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტსა[103] და სხვა ისტორიულ ამბებთან დაკავშირებით არაერთგზის აქვს ვახუშტის[104] მოხსენიებული.

გარდა ამისა, დმანისს იხსენიებენ უცხოური წყაროებიც[105]. არქეოლოგიური, კერძოდ, მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალის მიიხედვით, შ. მესხა[106] აღნიშნავდა, შეიძლება ვთქვათ, რომ XV ს-დან დმანისი, როგორც ძლიერი ქა-

---

[94] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 257.

[95] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, გვ. 326.

[96] Пл. И о с с е л и а н и, Города существование и существующие в Грузии, 1850, გვ. 46.

[97] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936, გვ. 192.

[98] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დმანისის მონეტის გამო, „ლიტერატურული ძიებანი", II, 1944, გვ. 34.

[99] იქვე, გვ. 17.

[100] იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. 57.

[101] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344.

[102] ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.

[103] იქვე.

[104] ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.

[105] ე ს ა ი ჰ ა ს ა ნ ჯ ა ლ ა ლ ი ა ნ ჯ ი, ალვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, თბ., 1971; მუსტაფა სელიანქი საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, ტ. 91, 1960; შერეფხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ ახლო აღმოსავლეთის კრებული, II, 1962 და სხვ.

[106] Ш. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии (XVII—XVIII вв), Тб., 1959, გვ. 96.

ლაქი აღარ არსებობდა, მიუხედავად ამისა, დმანისი წარმოადგენდა გამაგრებულ ადგილს და მნიშვნელოვან სავაჭრო გზას.

დმანისი 1536 წლის ბარათაანთ გაყრის წიგნშიც[107] არის აღნუსხული. დმანისის ნახევარი იოთამ ბარათაშვილს რგებია, ხოლო მეორე ნახევარი მის ძმას ორბელს. ამ აღწერის მიხედვით, საშუალება გვეძლევა ზოგადად წარმოვიდგინოთ დმანისში მოსახლეობის რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა, მეურნეობის დარგები და სხვ. XVIII ს-ის დასაწყისში დმანისის მოსახლეობა ძლიერ შემცირებული ყოფილა, 1701—11 წლებში[108] აქ მხოლოდ 9 კომლია აღნუსხული. არც 1721 წლის აღწერით[109] არის მეტი. XVIII ს-ის მანძილზე კიდევ რამდენიმე საბუთში იხსენიება დმანისი და დატანილია ტოპოგრაფიულ რუკებზე. მუდმივი შემოსევების შედეგად, XVIII ს-ის მეორე ნახევარში დმანისმა საბოლოოდ დაკარგა მნიშვნელობა და ამ დროიდან უკვე დმანისის ეპისკოპოსიც აღარ იხსენიება. XIX ს-ის ათეულობით რუსულ და უცხოურ რუკებზეა აღნიშნული დმანისი, მაგრამ უმეტესად დამახინჯებული ფორმით — დუმანისი.

ამჟამად ნაქალაქარი დმანისი დაუსახლებელია (ასევე დახვედრიათ XIX საუკუნეში ჯავახეთიდან გადმოსახლებულ გლეხებს). აქვე აღსანიშნავია, რომ დმანისის სახელწოდებით არსებობს ორი პუნქტი — პატარა და დიდი დმანისი. დიდი დმანისი ძველი დასახლებული პუნქტის ვარდისუბნის ადგილზე მდებარეობს, მეორე ვარდისუბანი კი დღესაც იმავე სახელს ატარებს.

აქვე, მდ. მაშავრის მარცხენა მხარეზე მდებარეობს სოფ. დუნუსი; იგი ძველი ტნუსის სახეცვლილი თურქული ფორმაა. 1926 წლის ადმინისტრაციულ დაყოფაში[110] თნუსის სახელითაა მოცემული და ფრჩხილებში დუნუსია აღნიშნული. სამწუხაროდ, ამჟამადაც ასეთი ფორმით იხმარება. ამ სოფლის აღმოსავლეთით ნასოფლარის კვალია, სადაც ძველი სოფელი ვალდოვი მდებარეობდა. ამ ადგილს ახლა „ყანჩელას სოფელს“ ეძახიან. ვალდოვი მდინარის მარჯვენა მხარეზეც ყოფილა, იქ ახლა დარჩენილია მხოლოდ საკულტო ნაგებობის ფრაგმენტები. ნასოფლარ თევრეში, დგას ძველი ეკლესია ციხე-გალავნით (ციხე-გალავანი ტიპიური იყო XVIII ს-სათვის). დუნუსის მოპირდაპირედ მდინარის ნარჯვენა მხარეზე მდებარეობს ეკლესია, რომელსაც „თეკენებს“ უწოდებენ. აქ იყო გაშენებული ძველი სოფ. თეკენანი.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ მდინარის მარცხენა და მარჯვენა სახაპიროზე მდებარე პუნქტები ვახუშტის რუკაზე[111] ერთმანეთს არ უთავსდებიან, რაც უთუოდ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ვახუშტიმ მდინარის ერთი სანაპირო აიარა და სხვა გზით დაბრუნდა. ეს შეუსაბამობა სწორედ იმ მონაკვეთებზეა, სადაც ორივე მხრიდან ადიოდა გზები მდინარის სანაპიროზე. ამის ნათელსაყოფად შეიძლება დავასახელოთ სოფ. სოფ. ყალამშიანი და მიჯა. ვახუშტის რუკაზე[112] მათი სიგანედური განსხვავება, პირდაპირი ხაზით, თითქმის 9,5 კმ-მდეა. ორივე ეს სოფელი მოხსენიებულია ისტორიულ წყაროებში[113]. ორბელიანთა ბარათების მიხედვით, XIX საუკუნეშიც შეუნარჩუნდათ მათ ეს სახელე-

[107] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ბარათაანთ გაყრის წიგნი...დასახ. ნაშრომი, გვ. 176, 182.

[108] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა.

[109] იქვე, გვ. 182—183.

[110] საქართველოს ადმინისტრაციული... დასახ. გამოცემა.

[111] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[112] იქვე.

[113] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა, გვ. 184. 185, 325 და სხვ ; მასალები საქართველოს ეკონომიური ... დასახ. ნაშრომი, გვ. 39 და სხვ.

ბი და მხოლოდ 1949 წელს გადაარქვეს ძველი სახელები და შესაბამისად განთიადი და ჯავახი უწოდეს. XVIII ს-ის დასაწყისში ეს დასახლებული პუნქტები ორ-ორი იყო. მათ შორის ქვემო ყალამშიანი და ყაითმაზიანთ მიჯა დღეს ნასოფლარებია. 1721 წლისათვის ამ სოფლებში მოსახლეობა შემცირებულა და ოთხივე სოფელში ერთად 30 კომლი ცხოვრებულა. შემდეგში, როცა მოსახლეობა თითქმის დაიცალა ამ სოფლებში, აქ მოსულან ჯავახეთიდან გადმოსახლებული გლეხები. დღევანდელი სოფ. განთიადის ნდებარეობა ძველ ყალამშიას შეეფარდება, ხოლო ქვემო ყალამშიას ახლა ვერანას უწოდებენ. ძველი სოფ. მიჯა თანამედროვე ჯავახის სახელწოდებითაა, ხოლო ყაითმაზიანთ მიჯა, ანუ ქვემო მიჯა ნასოფლარია. იგი სოფ. ჯავახიდან აღმოსავლეთით მდებარეობს, სადაც ახლა ჯავახელთა სათიბებია, „ეიბოღლის“ სახელით ცნობილი.

სოფ. ჯავახიდან დასავლეთით კარგად ჩანს ნასოფლარის კვალი, აქ ძველი ეკლესიის ნაშთიცაა. ეს ადგილი შეესაბამება ძველ სოფ. ღადირყულს (ყადირყულს). ამავე სახელწოდებით კიდევ მეორე დასახლებული პუნქტი იყო, ახლანდელი დალარის ადგილას. უკანასკნელი ადგილი ახლა „ყადირყულის მამულის“ სახელითაცაა ცნობილი. იგი აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზედაც[114].

ამ ადგილიდან სამხრეთ-დასავლეთით ვახუშტის რუკაზე[115] აღნიშნულია სოფ. სევაგელი. სახელწოდება სომხურია და შავ ეკლესიას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ როცა აქ თათრული მოდგმის ხალხი დასახლებულა, სახელწოდება უთარგმნიათ და ყარაქლისა უწოდებიათ. 1949 წელს ეს სახელწოდება ვაკის სახელით შეიცვალა.

ინტერესს მოკლებული არაა დღევანდელი რაიონული ცენტრის დმანისის ძველი სახელწოდება. ჯერ კიდევ ლ. მუსხელიშვილი[116] ვარაუდობდა, რომ რაიონული ცენტრი დაახლოებით ძველი ტამალიას ადგილას უნდა იყოს გაშენებულიო. ჩვენ ვფიქრობთ, რადგან ტამალია აღნიშნულია ახლანდელი სოფ. განთიადის დასავლეთით, ხოლო რაიონულ ცენტრსა და სოფ. განთიადს შორის რამდენიმე ნასოფლარია შემორჩენილი, ამიტომ ტამალია უნდა იყოს იმ ნასოფლარის ადგილზე, რომელიც სოფ. განთიადის დასავლეთით 1,5 კმ-ის დაშორებითაა და ადგილს „ვერანას“ უწოდებენ. ვახუშტის რუკაზე [117] მაშავრის იმ მორკალებაში, რომელიც 180°-ით არის წარმოდგენილი, დასახლებული პუნქტი ავანჯუკი აქვს აღნიშნული; სწორედ აქ არის გაშენებული დღევანდელი რაიონული ცენტრი. აქვეა განლაგებული საკულტო ნაგებობებიც. რაიონული ცენტრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც აგრეთვე ძველი ნაგებობების ნაშთია, ყაჯილუხის სანახებს უნდა წარმოადგენდეს. ამდენად, დღევანდელი რაიონული ცენტრი დმანისი (ისე როგორც ქ. ბოლნისი) ორი დასახლებულ პუნქტის ადგილზეა გაშენებული. ამ ადგილას დასახლებული პუნქტი ჩანს XIX ს-ის დასაწყისშიც, მაგრამ იგი უკვე ბაშქიჩეთის სახელითაა; ასეა აღნიშნული მთელი XIX ს-ის რუსულ და უცხოურ რუკებზე. სიტყვა „ბაშ“ თურქულია და თავს ნიშნავს[118], „კიჩეთი“ (კეჩუთი) კი მთის სახელწოდებაა დმანისის დასავლეთით, მდ. მაშავრის სათავეში. მართლაც, თავგასასვლელია ეს ადგილი ამ მხარისათვის.

---

[114] 5-ти верстной карты..., დასახ. გამოცემა.

[115] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[116] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

[117] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[118] Турецко-русский словарь, М.. 1931, გვ. 115.

1947 წელს რაიონულ ცენტრს — ბაშქიჩეთს შეეცვალა სახელი და დმანისი ეწოდა.

ახლანდელი რაიონული ცენტრის — დმანისის აღმოსავლეთით ძველ რუკებზე აღნიშნულია მანაკერტი და ტამალია. ამ უკანასკნელის მდებარეობის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ, მანაკერტი კი ნასოფლარია აგრეთვე დმანისის აღმოსავლეთით ორიოდე კმ-ის დაშორებით. აღნიშნული ადგილების ჩრდილოეთით ამჟამად მდებარეობს სოფ. შინდლარი. ვახუშტის სოფლების სიაში და რუკაზე ამავე სახელით აქვს აღნიშნული ეს პუნქტი, მაგრამ ადრე ორი სოფელი ყოფილა. ერთი ახლა ნასოფლარია. სოფ. შინდლარის ჩრდილოეთით მთასაც შინდლარა ჰქვია. წარსულში იგი ლუკუნის სახელითაა აღნიშნული, ასეთივე სახელით იყო ცნობილი მის თხემზე გაშენებული ეკლესია, რომლის ნაშთი დღესაცაა შემორჩენილი (სახელი მიკუთვნებია ლუკა მახარებლის გამო). სოფ. შინდლარას აღმოსავლეთით მდებარეობდა წითელი ეკლესია, რომელსაც ამჟამადაც აქვს შენარჩუნებული ეს სახელწოდება, თუმცა თარგმნილია — ყიზილქილისად, აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთით ვახუშტის რუკაზე[119] სოფ. ტანძიაა აღნიშნული (ტანძია უფრო აღმოსავლეთითაც იყო, რომლის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ). იგი დატანილია აგრეთვე ხუთვერსიან რუკაზე[120] „Р. сел. Танзиа". ჩრდილოეთით კი ჯანდიდის მონასტერია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მონასტრის მდებარეობა ვახუშტის რუკით[121] არ ემთხვევა ახლანდელი ბოსლების „სამების" სანახებს, სწორედ ეს მიდამოები უნდა იყოს ჯანდიდი. სოფ. ქვაბევანი კი თავისი მდებარეობით დღევანდელი აზკაკლიანის იდენტურია, მისი მიდამოები ზუსტად გამოხატავს ძველი სახელწოდების მნიშვნელობას. აქედან სამხრეთით სოფ. ბოსლები მდებარეობს. ბოსლები რამდენადმე სახეცვლილი ფორმაა ძველი ბოსლეთისა[122]. ახლანდელ სოფ. განთიადთან ახლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩამოდის პატარა ხევი, რომელსაც ქარატაკის ხევს უწოდებენ. ეს სახელი ძველი სოფლის სახელწოდების ნაშთია, რომელიც ამ ხევზე მდებარეობდა. ქარატაკი მოხსენიებულია რამდენიმე ისტორიულ საბუთში[123]. აქვე მდებარეობდა სოფ. სამაგარა, რომელიც ახლა ნასოფლარია სოფ. განთიადის ჩრდილოეთით.

ახლანდელი რაიონული ცენტრის დასავლეთით, მდ. მაშავრის საწყის ერთ-ერთ სამხრეთ ნაკადულზე, ვახუშტის რუკაზე[124] აღნიშნულია ორი სოფელი და ტბა ორმოზანის სახელით. აქვე მდებარეობს ამჟამადაც ორი სოფელი, რომლებიც ზემო და ქვემო ორმოზმანის სახელითაა ცნობილი. ტბაც ამავე სახელითაა აღნიშნული, მაგრამ მისი მდებარეობის საწინააღმდეგოდაა ოცემული. აქ დასაშვებია მხოლოდ ერთი, ძველი სოფლები — ზემო და ქვემო ორმოზანი ახლანდელი ზემო ბეზაკლოსა და პანტიანის ტერიტორიაზე იყო, რაც სრულიად ამართლებს ამ სოფელთა მდებარეობას ტბის მიმართ. ხოლო ახლანდელი ოროზმანი

---

[119] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[120] 5-ти верстной карты... დასახ. გამოცემა.

[121] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

[122] მასალები საქართველოს ისტორიული... დასახ. ნაშრომი, გვ. 46; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 69.

[123] იქვე, გვ. 68; საქართველოს სიძველენი, II, გვ. 209; მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., დასახ. გამოცემა, გვ. 180; მასალები საქართველოს ისტორიული... დასახ. ნაშრომი, გვ. 215; მასალები საქართველოს ეკონომიური... დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[124] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ატლასები.

ძველ სოფ. აღუმბრუს უნდა შეესაბამებოდეს ჯერ კიდევ ხუთვერსიან რუკაზე[125] ტბის სახელწოდება „Солюглы-гель"-ია, თანამედროვე რუკებზედაც ამ სახელითაა აღნიშნული, ადგილობრივი მოსახლეობა უმეტესად უბრალოდ ტბას ეძახის.

მაშავრის საწყის ნაკადულთაგან ერთ-ერთ ჩრდილო დიდი ტოტს კეჩუთის ხევი ერქვა, ამჟამად იგი ცნობილია „სარფდერეს" სახელით. ამავე ნაკადულზე შემორჩენილია მღვიმეთა კომპლექსი, სადაც ვახუშტის „დავითის უდაბნო" აქვს აღნიშნული.

ჩვენ აღვნიშნეთ დმანისის ხევის ძველი ტოპონიმების ცვალებადობა და გადაადგილება ხანგრძლივი დროის მანძილზე. ყოველგვარი ეს ცვალებადობა ჯერკვეული მიზეზებით იყო გამოწვეული. პირველი და მთავარი მაინც ამ მხარის საკმაო მანძილზე მოსახლეობის დროებით შეწყვეტა და შემდეგ აქ ძირითადად სხვა მხარეებიდან მოსული ხალხის მიერ შერქმეული სახელწოდებებია ასეთი შერქმეული სახელები ხშირად გამართლებული არ არის, რაღვან უმეტესად ახალი სახელწოდება ადგილის ნამდვილ ბუნებას ვერ გამოხატავს.

დმანისის ხევის თანამედროვე ტოპონიმები კი წარმოშობის მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც:

1. უძველესი დროიდან უცვლელად იხმარება (ტანძია, კიანეთი, ქვეში, აკაურთა, რატევანი, კაზრეთი, ვარდისუბანი, დარბაზი და სხვ.); **2.** ადრინდელი ფორმიდან ნაწილობრივ შეცვლილი (მუშევანი, ტნუსი, ბოსლები, ოროზმანი, და სხვ.); **3.** გადადგილებული სხვა ადგილას (კაზრეთი, დმანისი და სხვ.): **4.** თარგმნის გზით მიღებული (ყიზილქილისა); **5.** სრულიად შეცვლილი უცხო სახელწოდებებით (ასანხოჯალი, ასმალარი, ყარადაში, დალარი, ამამლო, საფარლო, ბეზაკლო და სხვ.); **6.** თანამედროვე სახელწოდებებით შეცვლილი (რაჭისუბანი, ტყისპირი, პანტიანი, განთიადი და სხვ.): **7.** ამჟამად ნასოფლარებს შერჩენილი (აბულმუგი, ჯალდამი, ჭრეში, ისპიანი და სხვ.).

К. П. ХАРАДЗЕ

ТОПОНИМЫ ДМАНИСИС-ХЕВИ

Резюме

В историческом прошлом Дманис-хеви (Дбанис-хеви) была одной из административных единиц исторической провинции Нижней Картли, которая охватывала (исключая бас. р. Поладаури) бассейн р. Машавера — современные Дманисский и Болнисский районы. Исследуемый район богат древними грузинскими топонимами. Являясь южным форпостом Грузии, Нижняя Картли часто подвергалась нашествию иноземных захватчиков, принимая на себя все разрушительные удары. Истреблялось местное население, которое вдобавок испытывало притязания феодалов. В результате в середине XVIII столетия

[125] 5-ти верстной карты... დასახ. გამოცემა.

Дманис-хеви почти полностью было лишено коренного населения и превратилось в развалины. Часть местных жителей эмигрировала с родных мест. В дальнейшем эта провинция была заселена чужеземными народами, в результате чего потерялись многие грузинские топонимы края, а вместо них возникли новые — турецкие, армянские, немецкие и др.

В статье рассмотрены вопросы локализации и этимологии топонимов, а также вопросы расселения народа, границы и др. Используя труды Вахушти и другие литературно-исторические источники, мы постарались произвести реконструкцию и ретроспективное картографирование топонимики Дманис-хеви начала XVIII в.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტმა

დარეჯან კლდიაშვილი

XIV საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიიდან

(გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღისათვის)

XIII ს-ის დამლევს სამცხის მთავართა — ჯაყელთა სახლი საქართველოს სამეფო სახლს დაუმოყვრდა. ამ ფაქტმა გარკვეული როლი შეასრულა არა მარტო ბექა I ჯაყელის (1285—1308) პოლიტიკაში, არამედ თავისებური კვალი დააჩნია იმდროინდელი საქართველოს ისტორიასაც.

1266 წ. სამცხის ხასინჯულ ქცევის შემდეგ ჯაყელებსა და სამეფო ხელისუფლებას შორის ურთიერთობა დაიძაბა. იგი ერთგვარად შერბილდა დიმიტრი II-ის (1271—1289) მეფობაში. ქამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ **ბექა I ერთი მხრით ყაენს ემსახურებოდა, ხოლო მეორე მხრით ქართველთა** მეფეს: „ესრეთ დღითი-დღე განდიდნებოდეს და მსახურებდეს ყაენს აბაღას, და მორჩილობდეს მეფესა დიმიტრის“[1].

სწორედ დიმიტრი II-ის მეფობის დროს მიიღო სარგის I ჯაყელმა (1266—1285) მეჭურჭლეთუხუცესობა და ათაბაგობა, ხოლო ბექამ მანდატურთუხუცესობა[2]. ურთიერთობის გაუმჯობესება ჯაყელებსა და დიმიტრი II-ს შორის კეთილმოყვრობა-დანათესავებითაც იყო გამოწვეული. როგორც ცნობილია, დიმიტრი II-ის მეუღლე იყო ბექა I-ის ასული, რომელთანაც შეეძინა ვაჟი გიორგი (შემდგომში გიორგი V ბრწყინვალე).

გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა.

ვახუშტი ბატონიშვილი გიორგი V-ის გამეფების თარიღად 1313 წ. ასახელებს[3].

სოფ. დაბის (ბორჯომის რ-ნი) ეკლესიის წარწერის მიხედვით გიორგი V 1314 წელს გამეფებულა (წარწერა შესრულებულია მეფეთ-მეფე გიორგი დიმიტრის ძის მოლარეთუხუცესის მიერ, მისი მეფობის მე-19 ინდიქტიონს, ქორონიკონს კი (21)—1333 წ.)[4].

დაბის ეკლესიის წარწერაზე დაყრდნობით, დღეისათვის, გიორგი V-ის გამეფების თარიღად მიღებულია 1314 წ. ეს თარიღი შესულია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში და ენციკლოპედიებში[5].

---

[1] ქამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 273.

[2] დ. კლდიაშვილი, ჯაყელები საქართველოს მეფის კარზე (მეჭურჭლეთუხუცესი, მანდატურთუხუცესი, ათაბაგი) — (დაუბეჭდავი ნაშრომი).

[3] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 255, 894.

[4] Г. Н. Чубинашвили, К вопросу о дате в надписи на тимпане церкви близ села Даба Боржомского района, Вопросы истории искусства, т.I, Тб., 1970, გვ. 302—305.

[5] საქართველოს ისტორია, აკად. ს. ჯანაშიას, რედაქციით, თბ., 1943, გვ. 236; საქართველოს ისტორია, შემდგენელ-რედაქტორი გ. მელიქიშვილი, თბ., 1980, გვ. 131; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., ტ. III, 1978, გვ. 160. და ა. შ.

მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში, მკვლევართა მიერ არც ვახუშტის ცნობაა უარყოფილი.

თ. ჟორდანია გიორგი V-ის ხელმეორედ (1314 წ. შემდეგ) მეფედ კურთხევის თარიღად 1318 წ. მიიჩნევდა[6].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „... ვახუშტს თავისი თარიღი წერილობით წყაროზე უნდა ჰქონდეს დამყარებული, და ეს გარემოება ერთგვარ სიფრთხილეს გვიკარნახებს მსჯელობის დროს. ეტყობა ამ სიძნელეს თ. ჟორდანიაც გრძნობდა, მაგრამ ის იმით იცილებს მას თავითგან, რომ 1318 წელი გიორგი ბრწყინვალის მეორედ გამეფების თარიღად მიიჩნია. მაგრამ ჯერ კიდევ დასამტკიცებელია, გიორგი ბრწყინვალე იძულებული იყო თუ არა ორჯერ გამეფებულიყო და რა მიზეზს უნდა გამოეწვია ასეთი გარემოება"[7].

ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით: „ვახუშტ ბატონიშვილს მისი (გიორგი V-ის — **დ. კ.**) მეფობის პირველ თარიღად 1318 წელი აქვს დადებული, მაგრამ ნამდვილად მისი მოღვაწეობა ამაზე გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, როგორც უკვე ვიცით ის ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო სამეფო ტახტზე აყვანილი და თბილისში იმყოფებოდა. მაშინ მას, რა თქმა უნდა, თავისი ხელისუფლების გამოყენების საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ როდესაც ის მოიწიფა, მას ხელმეორედ გამეფება აღარ დასჭირდებოდა და ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ზედმიწევნით თარიღი იმ დროისათვის, როდესაც მან ქვეყნის მესაჭეობას უკვე თვითონ მოჰკიდა ხელი არ მოგვეპოვება, ეს, რასაკვირველია, თანდათან მოხდებოდა"[8].

ჯ. ოდიშელის აზრით, „სხვაობა ვახუშტი ბაგრატიონთან დაცულ თარიღსა და დაბის ეკლესიის თარიღს შორის, შეიძლება შეესაბამებოდეს სხვაობას — გიორგი ბრწყინვალის, გიორგი VI მეურვის, ფორმალურად მეფედ კურთხევასა და იმ დროს შორის, რა დროიდანაც ანგარიშობს იგი, მის მიერ სრული ძალაუფლების ხელში აღებას, გიორგი VI (მცირის) შემდეგ"[9].

წერილში „გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღის საკითხისათვის" ვ. კიკნაძემ ეჭვქვეშ დააყენა დაბის ეკლესიის წარწერის ქრონიკონი — კა. იგი ჟამთააღმწერლის და ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომებზე დაყრდნობით, გიორგი V ბრწყინვალის რეალურად გამეფების თარიღად მიიჩნევს ვახუშტის მიერ დასახელებულ 1318 წელს[10].

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების" III ტომში პირდაპირაა მოხსნილი წინააღმდეგობა გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღის შესახებ და აღნიშნულია: „გიორგი მცირის გარდაცვალების შემდეგ, 1314 წელს, მეფე გახდა გიორგი V", ხოლო სქოლიოში მითითებულია, რომ ჟამთააღმწერლის თხზულებაში ყოფილა გიორგი V ბრწყინვალის მოღვაწეობის ამსახველი ცალკე ნაწილი, რომელიც ადრევე დაკარგულა"[11].

---

[6] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, ტფ., 1897, გვ. 180.

[7] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 253.

[8] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 399.

[9] ჯ. ოდიშელი, XIV—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის, კრებ. „XIV—XVII სს. რამდენიმე ქართული დოკუმენტი", თბ., 1964, გვ. 77.

[10] ვ. კიკნაძე, გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღის საკითხისათვის, საისტორიო კრებული, VII, თბ., 1977, გვ. 219—231.

[11] ბ. ლომინაძე, მონღოლთა ბატონობის დასასრული და ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", III, თბ., 1979, გვ. 623.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფქირობთ, ძალაში რჩება ივ. ჯავახიშვილის მიერ დასმული კითხვა: „... დასამტკიცებელია, გიორგი ბრწყინვალე იძულებული იყო თუ არა ორჯერ გამეფებულიყო და რა მიზეზს უნდა გამოეწვია ასეთი გარემოება“.

საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია ყამთააღმწერლის თხზულების იმ ნაწილმა, სადაც მოთხრობილია გიორგი V ბრწყინვალის გამეფების ისტორია (დიმიტრი II-ის გარდაცვალებიდან ვიდრე 1318 წ-მდე). თუ ჩვენ გულდასმით ჩავუკვირდებით ყამთააღმწერლის თხზულების მოცემულ ნაწილს და წინ წამოვწევთ ჯაყელთა როლს გიორგი V ბრწყინვალის გამეფებისას, ეფიქრობთ, ნათელი მოეფინება მისი გამეფების ისტორიას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყამთააღმწერელს გიორგი V ბრწყინვალის გამეფება რამდენადმე ბუნდოვნად აქვს გადმოცემული. მისი გამეფების თარიღი შეტანილი არაა ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ქრონიკაში. ამას თავის მიზეზიც ჰქონდა — ტახტის მემკვიდრეობითობის დარღვევა. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა: „გიორგი ბრწყინვალე ტახტის მიმტაცებელი იყო, ისევე როგორც ერეკლე. გიორგიმაც იგივე ხერხი იხმარა ქვეყნის გასათავისუფლებლად, როგორც ერეკლემ“[12].

ყამთააღმწერლის ცნობით, დიმიტრი II-ის (1271—1289) ერთ-ერთი მეუღლეა ბექა I-ის ქალიშვილი ნათელი[13]. დიმიტრი II-ს „... ასულმან ბექასამან ნათელ უშვა ძე მხოლოდ გიორგი, რომელ უკანასკნელ ძმათა მისთა მეფე იქმნა, და განდიდნა უმეტეს შემდგომთა მეფეთა“[14].

1288 წ. გამომჟღავნდა შეთქმულება არღუნ ყაენის წინააღმდეგ, რომელიც მისმა ვაზირმა ბუღამ მოამზადა. ვინაიდან დიმიტრი II ბუღასთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა, ჩანს, მისი პიროვნება საეჭვოდ მიიჩნიეს და იგი ყაენთან დაიბარეს. დიმიტრი II-მ ურდოში გამგზავრების წინ „...ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, ასპარაშენს, და თჳთ წარვიდა ურდოსა“[15].

1289 წ. დიმიტრი II სიკვდილით დასაჯეს, რის შემდეგაც მისი მეუღლე ნათელი მამის ოჯახში დაბრუნდა („... ასული ბექასი წარვიდა მამისა მისისა თანა სამცხეს“[16]).

მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე ნარინ დავითის შვილი ვახტანგი (1289—1292) გაამეფეს. ვახტანგმა „... დაიპყრა ყოველი საქართველო ნიკოფსიით დარუბანდამდე, თჳნიერ ჯაყელ-ციხისჯუარელისა ბექასი“[17]. ყამთააღმწერლის ცნობით, ამის შემდეგ დიმიტრი II-ის უმცროსი ვაჟი გიორგი ბექა I-ს წაუყვანია და თვითონ აღუზრდია („ხოლო უმრწამესი ძე მისი (დიმიტრი II-ისა — **დ. კ.**) გიორგი, რომელი უშვა ასულმან ბექასამან, წარიყვანა პაპამან მისმან ბექამან და აღზარდა საკჳველი და უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ყამისათა“[18]).

ყამთააღმწერელთან დაცული ცნობებიდან ჩანს, რომ დიმიტრი II თავ-

---

[12] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, შენიშვნები „ქართლის ცხოვრების“ წაკითხვისას. (ყამთაღმწერელი), საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბ., 1979, გვ. 264.

[13] ყამთაღმწერელი, გვ. 282, 286, 292, 294.

[14] იქვე, გვ. 286.

[15] იქვე, გვ. 288—289.

[16] იქვე, გვ. 292.

[17] იქვე, გვ. 293.

[18] იქვე, გვ. 294.

დადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ურთიერთობა ბექა I-სა და საქართველოს სამეფო კარს შორის კვლავ შეიცვალა.

ვახტანგ II დავით ნარინის ძის გარდაცვალების შემდეგ მონღოლებმა ტახტის კანონიერი მემკვიდრე დიმიტრი II-ის ძე დავით VIII (1293—1311) გაამეფეს. ამ ფაქტს ბექა I, ჩანს, გაუნაწყენებია. ქამთააღმწერლის ცნობით: „... მოუწოდეს სამცხით ბექასა, და მან არა ინება მოსლვად, რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო, თჳთ არღარა წარვიდეს არცა ყაენს წინაშე და არცა მეფეს თანა, არამედ წარმოუვლინა ძე თჳსი პირმშო, სამცხის სპასალარი სარგის, და ყოველი ნამარხევი, რომელ აქუნდა მეფის დიმიტრისაგან შევედრებული"[19].

ნიშანდობლივია, რომ დავით VIII ვერ ახერხებს ბექა I-ის „დაპყრობას". დამორჩილებას. ბექა I თავის სამთავროში „მპყრობელია", იგი მხოლოდ „პატივსცემდა მეფესა დავითს, მრავალთა ნიჭთა და ძღუენთა წარმოუვლენდის"[20]

1295 წ. ილხანთა ტახტზე ყაზან ყაენი ავიდა. კინაიდან ილხანთა ტახტისათვის ამტყდარ ბრძოლაში დავით VIII-ს ყაზანის მიერ მოკლულ ბაიდუ ყაენის მხარე ეჭირა, ყაზან ყაენსა და დავით VIII-ს შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით, მონღოლებმა დავით VIII-ს დასამორჩილებლად ძმები დაუპირისპირეს. 1299 წ. ტახტზე აიყვანეს გიორგი, ხოლო 1302 წ. ვახტანგ III[21].

ჯერ კიდევ 1948 წ. ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით, თ. ლომოურმა დაამტკიცა, რომ ვახტანგ III-ის გამეფების თარიღად მიღებული 1302 წ. ეწინააღმდეგება ვახტანგის სახელით მოჭრილ ვერცხლის ფულს, რომელიც ჰიჯრის 698 წლით ანუ 1298—1299 წლებითაა დათარიღებული. თ. ლომოურის აზრით, ნუმიზმატიკური მასალის მონაცემებს ადასტურებს ქართული საისტორიო წყაროებიც. ავტორი გულისხმობს ქამთააღმწერლის ცნობას ვახტანგ III-ის მონაწილეობის შესახებ ყაზან ყაენის მიერ ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობებში (1299—1303). მაგრამ, მისი აზრით, ვახტანგ III-ის 1298—1299 წწ.-ში გამეფების ფაქტთან დაკავშირებულია ქამთააღმწერელთან დაცული რამდენიმე გაუგებრობა: დავით VIII-ისა და ვახტანგის ურთიერთობა 1301 ., რომელიც 1302 წ. ვახტანგ III-ის გამეფებით დამთავრებულა და 1299 წ. ყაზან ყაენის მიერ გიორგი დიმიტრის ძის გამეფება[22].

ჯ. ოდიშელმა გაიზიარა თ. ლომოურის მოსაზრება ვახტანგ III-ის 1298—1299 წწ.-ში გამეფების შესახებ. მისი აზრით, გიორგი V ბრწყინვალის თბილისში გამეფების თარიღი 1299 წ. ზუსტად ვერ ჩაითვლება და ვახტანგ III-ის გამეფების თარიღზე წინ უნდა იქნეს გადატანილი. ჯ. ოდიშელი ამ ვარაუდს გამოთქვამს ქამთააღმწერლის თხზულების გვიანი ჩანამატის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ყაზან ყაენმა გიორგი V-ეს მეფობა ვახტანგ III-ზე უწინ მისცა[23].

---

[19] ქამთააღმწერელი, გვ. 297.

[20] იქვე, გვ. 297.

[21] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 244, 385, 392; ეს ფაქტი შესულია საქართველოს ისტორიის ყველა სახელმძღვანელოში და 1979 წ. გამოსულ წიგნებში — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1979, გვ. 611, 623; საქართველოს ისტორია (ლექსიკონი), შემდგენელი რ. მეტრეველი, თბ., 1979, გვ. 205.

[22] თ. ლომოური, დავით VIII-ისა და ვახტანგ II-ის ფულები, „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XV—ბ", თბ., 1948, გვ. 75—77.

[23] ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

ი. სიხარულიძის აზრით, ვახტანგ III-ის გამეფება 1297 წ-ის მიწურულში უნდა მომხდარიყო, ხოლო გიორგი დიმიტრის ძისა 1299 წ.-ს[24].

მიუხედავად აზრთა ასეთი სხვაობისა, დღეისათვის, დიმიტრი II-ის ძეების გიორგი V-ისა და ვახტანგ III-ის გამეფების თარიღები — 1299 წ. და 1302 წ. მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს თარიღები მომდინარეობს ვახუშტი ბატონიშვილისაგან და გამოწვეულია ქამთააღმწერლის ტექსტის არასწორი გაგებით. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ქამთააღმწერლის თხზულების ჩვენთვის საინტერესო პერიოდი არასწორად აქვს გააზრებული ივ. ჯავახიშვილსაც, რაც შემდეგ გაიზიარეს სხვა მკვლევრებმაც.

ვახუშტის და ივ. ჯავახიშვილის, ქამთააღმწერელის მონათხრობი 1296—1298 წლებში — დავით VIII-ისა და ყაზან ყაენის ურთიერთობისა და გიორგი V-ისა და ვახტანგ III-ის გამეფების შესახებ ორ დამოუკიდებელ ამბად აქვთ მიჩნეული და ცალ-ცალკე გადმოსცემენ (1297 წ. დავით VIII-ის განდგომიდან ვიდრე 1299 წ. გიორგი დიმიტრის ძის გამეფებამდე და 1299-დან ვიდრე 1302 წ. ვახტანგ III-ის გამეფებამდე)[25].

თ. ლომოურმა, ჯ. ოდიშელმა და ი. სიხარულიძემ მართალია ეჭვი შეიტანეს ქამთააღმწერლის ცნობის სიზუსტეში და სამართლიანად დაეყარნენ ნუმიზმატიკური მასალის მონაცემებს, მაგრამ ქამთააღმწერლის ტექსტის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძველი გაგება ძალაში დატოვეს. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ქრონოლოგიური შეუსაბამობები, რაც შეიმჩნევა ერთი მხრივ თვით ქამთააღმწერლის თხზულებაში (1299 წ. გიორგი V-ის გამეფებასა და ვახტანგ III-ის ეგვიპტის ლაშქრობაში (1299—1303) მონაწილეობას შორის) და მეორე მხრივ ქამთააღმწერლის ცნობებსა და ნუმიზმატიკურ მონაცემებს შორის.

ქამთააღმწერელთან, 1296 წ. დავით VIII-ის ყაზან ყაენისაგან განდგომის შემდეგ მოკლედაა მოთხრობილი ურთიერთობა ყაზან ყაენსა და დავით VIII-ს შორის[26]. ამით ისტორიკოსი ასრულებს თხრობას დავით VIII-ის მეფობის შესახებ და კვლავ უბრუნდება 1296 ზაფხულის ამბებს, როდესაც მონღოლებმა გაამეფეს გიორგი V დიმიტრის ძე[27]. აქ უკვე ვრცლადაა მოთხრობილი მონღოლების ბრძოლა დავით VIII-ის დასამორჩილებლად და ვახტანგ III-ის გამეფება 1298 წ. გაზაფხულზე[28]. ქამთააღმწერელს აქ სრულიად გარკვევით აქვს ნაგულისხმები გიორგი დიმიტრის ძის გამეფება 1296 წ. ზაფხულში, ხოლო ვახტანგ III დიმიტრის ძისა 1298 წლის გაზაფხულზე.

1296 წ. დავით VIII ჩრდილოეთის ურდოს ყაენ თოხთასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ყაზან ყაენმა დავით VIII-ს უმცროსი ძმა გიორგი დაუპირისპირა და მას მეფობა მისცა. ქამთააღმწერლის ცნობით: „ხოლო ესე გიორგი იყო სახლსა ბექასსა, რამეთუ ესე ბექა განდიდებულ იყო, და აქუნდა ტასისკარითგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე... და ხარაჯას მისცემდა ყა-

[24] ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1967. გვ. 62.

[25] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 243—248., ივ ჯავახიშვილი, დასახ ნაშრომი, გვ. 242—250; 385—388.

[26] ქამთააღმწერელი, გვ. 301—303.

[27] იქვე, გვ. 303—304.

[28] იქვე, გვ. 305—309.

ზანსა, და ლაშქრითა შეეწეოდა. ამას სთხოვეს ყრმა გიორგი, რათა მოსცეს და მეფე ყონ ქართლსა დავითის წილ ძმისა მისისა, რომელი აღასრულა და მისცა, და თანა წარატანა ლაშქარი დიდი. ხოლო წარიყვანეს ესე გიორგი, და დასუეს მეფედ, და დაღათუ მცირე იყო, არამედ წინა-დაუსახვიდეს უძლეველობასა მეფობისასა და წინა-მოასწავებდეს"[29].

აშკარაა, ბექა I-მა გარკვეული როლი შეასრულა თავისი შვილიშვილის, გიორგის გამეფების საქმეში. 1296 წ. ზაფხულში, როცა ყაზან ყაენმა გიორგი დიმიტრის ძის მოსაყვანად ყურუმჩი ნოინი, ერთი თავისი შინაურთაგანი აღნაჯი და შანშე მხარგრძელი გაგზავნა, ბექა I-მა თანხმობა განაცხადა გიორგის გამეფებაზე „... და თანა წარატანა ლაშქარი დიდი"[30]. ამ სვლით ყაზან ყაენმა, სამცხის მთავარ ბექა I-ის სახით თავისი პოლიტიკის მომხრე და ხელისშემწყობი მოიპოვა.

საქართველო მონღოლთა მომხრე-მოწინააღმდეგეთა ბანაკებად იყო გაყოფილი, რომლის შემადგენლობაც მდგრადი არ იყო. დავით VIII-ს მონღოლების წინააღმდეგ მხარს უჭერდნენ: სურამელი აჰმადა, ამირეჯიბი აბაზას ძე ჭილა „და აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი"[31].

მონღოლებს კი „... შემწედ ჰყვა ივანეს ძე შანშე და ოსნი, რომელ სხდეს გორს, მესხნი ლაშქარნი, რომელნი წარმოევლინნეს სამცხის მთავარსა ბექას: თორელნი, თმოგუელნი და ტაოელნი"[32]. აშკარაა ბექა I-ის დაინტერესება მონღოლების მომხრეთა ბანაკში (თორელები და მხარგრძელები ჯაყელებთან კეთილმოყვარობით არიან დაკავშირებული; გიორგი, რომელიც თბილისის მეფეა, ბექას შვილიშვილია), ამდენად, ბექა I ამ დაჯგუფების მეთაურია.

ყაზან ყაენმა დავით VIII-ის დამორჩილება მაინც ვერ შეძლო. მაშინ მან გამოიყენა დავით VIII-სა და მის ძმა ვახტანგს შორის უთანხმოება. ყაზან ყაენმა ვახტანგი გაამეფა და ამით ძმას დაუპირისპირა. ქამთააღმწერლის ცნობით, ვახტანგი: „კუალად ჰგონებდა განდგომასა, ამის ძლით, რამეთუ შაბურის ძმის ასული შეირთო ვახტანგ ცოლად[33]. და ვერღარა თავს-იდვა ვახტანგ უპატიოდ ყოფნა, და წარვიდა ურდოს ყაზანის თანა. ხოლო მან კეთილად შეიწყნარა და მოსცა მეფობა"[34].

1297 წ.-ის დამლევს ყაზან ყაენმა გასამეფებლად წარმოგზავნილ ვახტანგ III-ს საქართველოში „...წარმოატანა ხუტლუბუღა ნოინი სპითა უძლიერესითა, და მოვიდა ტფილისს. და მუნ შ ე მ ო ი პ ი რ ნ ე ს ყოველნი თათარნი და ქართველნი, და სამცხის ბატონის ბექას შვილი, სარგის სპასალარი, ტაოელნი, თორელნი, თმოგუელნი და სომხითარნი, რამეთუ შანშე პირველვე იყო მუნ" (ხაზი ჩვენია. — **დ. კ.**)[35].

მოტანილი ტექსტიდან ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ტერმინზე „შემოიპირნეს". „ქართლის ცხოვრების" II ტომის ლექსიკონში „შემოპირე-

---

[29] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი. გვ. 304.

[30] იქვე.

[31] იქვე, გვ. 305.

[32] იქვე, გვ. 306.

[33] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს აღნიშვნით, „უფლისწულის ქცევაში უეჭველია დიდი ფეოდალის შაბურის ძის დამოყვრებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ტყუილად კი არ უკავშირებს მას მეამტიანე" (ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 254).

[34] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 308.

[35] ქართლის ცხოვრება, ლექსიკონი, II, გვ. 615.

ბა“ განმარტებულია, როგორც „თავის მხარეზე ყოლა“[36]. აღსანიშნავია, რომ ხუტლუშა და ვახტანგ III თბილისში, „სპითა უძლიერესითა“ მოვიდნენ, რასაც უნდა განეპირობებინა აქ დამხვდომთა (გიორგი დიმიტრის ძის მომხრეების, კერძოდ ჯაყელთა) „შემოპირება“ — ე. ი. თავის მხარეზე გადაყვანა.

ქამთააღმწერლის ცნობით, შანშე თავიდანვე მონღოლთა და ვახტანგ III-ის მხარეზე ყოფილა „რამეთუ შანშე პირველვე იყო მუნ“.

მართალია, მონღოლებმა ვახტანგ III გაამეფეს, მაგრამ 1296 წ. გიორგი დიმიტრის ძის საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლას უქმად მაინც არ უნდა ჩაეარა, რადგანაც, ქამთააღმწერლის სიტყვით, „წინა დაუსახვიდეს უძლევლობასა მეფობისასა და წინა-მოასწავებდეს“.

„ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით ვახტანგ III-მ გამოიყვანა გველეთს გამაგრებული დავით VIII და უბოძა ჯავახეთი და ალასტანი[36]. ჯავახეთის მიცემით, რომელიც საუფლისწულო მამულს წარმოადგენდა, ვახტანგ III და მონღოლები, როგორც ჩანს, შეეცადნენ დავით VIII-ის დაწყნარებას და პოლიტიკური ცხოვრებიდან განზე გაყვანას. ეს ამბავი 1698 წელს უნდა მომხდარიყო[37]. ქამთააღმწერლის ცნობით, ვახტანგ III ძმის მიმართ მკვეთრ წინააღმდეგობას არ ამჟღავნებდა. თუ რა მოტივით ხელმძღვანელობდა ვახტანგ III ამჯერად არაა ჩვენი კვლევის საგანი, მაგრამ ქამთააღმწერელი ასეთ მოქმედებას მის მშვიდობიან ხასიათს მიაწერდა. ვახტანგ III „... არა წინააღუდგებოდა ძმასა თვსსა დავითს, რამეთუ იყო ვახტანგ ყოვლითურთ სრულ, სარწმუნოებითა მტკიცე, ეკლესიათა პატივისმდებელ, მშვდ და ჰდაბალ, არა მოშურნე, მყუდრო და უშფოთველ“[38].

1308 წ. ვახტანგ III გარდაიცვალა. ვახტანგ III-ის გარდაცვალებას ქამთააღმწერელთან უშუალოდ მოსდევს თხრობა ჩოფანის (მონღოლების) ლაშქრობის შესახებ. „და ვითარ ჴელთ-უდვეს მჴედართ-მთავრობა თვთ ხუტლუბუღასი ჩოფანს, წარმოემართა ესე ჩოფან, ერითა ურიცხვთა. პირველად მოვიდა კოლას და არტანს, ვიდრე არსიანამდე, და აწუევდა ბექას, რათა ყაენი ანუ ჩოფან ნახოს, რომელ-ესე არა თავს-იდვა ბექამან, არამედ შვილი მისი უმრწამესი, სახელით შალვა, წარატანა თანა. წარვიდა და ჩავლო სომხითი და დარჩა ქუეყანა ბექასი მშვდობით“[39]. ბექას ჩოფანისათვის თან გაუყოლებია გიორგი დიმიტრის ძეც („ხოლო ესე გიორგი წარავლინა ბექამან ჩოფანს თანა, და მან მიიყვანა ყაენს წინაშე. ხოლო მან პატივით შეიწყნარა, და წინათვე დაუსახვიდა ნიშთა მეფობისათა“[40]).

საფიქრებელია, რომ ჩოფანი საქართველოში ტახტის საკითხის გადასაწყვეტად მოვიდა და ბექა I-მაც გიორგი გარკვეული მიზნით გაგზავნა ყაენთან. ამას გვაფიქრებინებს სიტყვები: ყაენმა იგი „პატივითა შეიწყნარა, და წინათვე დაუსახვიდა ნიშთა მეფობისათა“. ამავე დროს „... ყაენმა წარმოუვლინა მოციქული დავითს და სთხოვა შვილი, რათა მეფე ყოს. მაშინ მცირე იყო გიორგი (დავით VIII-ის ძე. — **დ. კ.**), იგიცა მოსცეს, და წარმოგზავნეს ურდოსა, და ყაენმან მოსცა მეფობა და ტფილისი, და უჩინა საზღვრად და საქმის მოურა-

---

[36] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1965, გვ. 105.

[37] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 309.

[38] იქვე, გვ 310.

[39] იქვე, გვ. 322.

[40] იქვე.

ვად დიდი გიორგი, და მოვიდეს ტფილისს"[41]. ამრიგად, მონღოლებმა ტახტზე დავით VIII-ის ძე გიორგი VI მცირე აიყვანეს, ხოლო მეურვედ ბიძა, გიორგი დიმიტრის ძე დაუდგინეს. ამ შემთხვევაში მონღოლები გარკვეულ მიზანს ისახავდნენ. გიორგი VI-ის გამეფებით, მათ უნდა შემოერიგებინათ დავით VIII, რომელსაც საკმაოდ ძლიერი მომხრეები ჰყავდა. როდესაც მონღოლებმა დავით VIII-ის მეუღლე ოლჯათ დედოფალი თავისთან დაიტოვეს და აღარ გამოუშვეს, დავით VIII-მ ქართლის ერისთავის ჰამადას ასულზე იქორწინა[42]. ამით მან დაიმოყვრა ისეთი ძლიერი მომხრე, როგორიც ქართლის ერისთავი და მსახურთუხუცესი ჰამადა იყო. ვახტანგ III-მ დავით VIII-ს ჯავახეთი და ალასტანი დაუთმო, რითაც იგი თითქოს ტახტისათვის ბრძოლას ჩამოაშორეს. მაგრამ ჩანს დავით VIII შესაფერის ვითარებას უცდიდა და სრულიად სამართლიანად კვლავ აცხადებდა პრეტენზიას საქართველოს ტახტზე.

ამავე დროს, გიორგი დიმიტრის ძის მეურვედ დანიშვნით მონღოლებმა ბექა ჯაყელის და მის მოხმრეთა გულიც მოიგეს და საქართველოს დროებით გაერთიანებაც შეძლეს. ამავე, 1308 წ. გარდაიცვალა ბექა I და ქამთააღმწერლის სიტყვით: „... დაიპყრეს სამცხე სამთვე ძეთა მისთა"[43].

1311 წ. გარდაიცვალა დავით VIII. ქამთააღმწერელი შემდეგნაირად მოგვითხრობს ამ ამბავს: „... ხოლო აღესრულა მესამესა წელსა მეფე დავით, გარჯილი სენთა მწარეთა მიერ, და დაფლეს სამარხოსა მეფეთასა მცხეთას, და დაუტევეს ნაცვლად მისად ძე მისი მცირე გიორგი, ორ წელ მეფე ქმნული"[44]. როგორც ქამთააღმწერლის სიტყვებიდან ჩანს, გიორგი VI მცირის ნაცვლად სამეფოს ფაქტობრივად მამამისი — დავით VIII განაგებდა და 1308 წლიდან სრულებითაც არ იყო განზე გაძდგარი პოლიტიკური ცხოვრებიდან. ამ ფაქტს უნდა მოწმობდეს 1310 წლით დათარიღებული დავით VIII-ის სპილენძის ფული, რომელიც დიმიტრი II-ის მონეტის ანალოგიას წარმოადგენს და სადაც იგი „მეფეთა-მეფედ" იწოდება[45]. ყოველივე ამის შემდეგ ვერ დავეთანხმებით თ. ლომოურს და დ. კაპანაძეს, რომ „რადგან ურჩი დავითი მთაში სიკვდილამდე იყო გახიზნული, საფიქრებელია, რომ ეს სპილენძის მონეტები სადღაც მთიულეთში ან ხევში იჭრებოდა"[46].

დავით VIII-ის გარდაცვალების ამბის შემდეგ, ქამთააღმწერელთან მოთხრობილია ჩოფან ყაენის მიერ შამზე (სირია) ლაშქრობა, რასაც უშუალოდ მოსდევს ოლჯაითუ სულტნის მიერ გიორგი VI მცირის მეფედ წარმოგზავნა: „ამან ოლჯათ სულტანმან წარმოაელინა მცირე გიორგი მეფედ, და ზაალ მელიქი ვინმე სპარსი ხუარასნელი, და ახრუნჩი, მამის ძმა ჩოფანისა, თანა წარმოატანა, რათა ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგისსა, და აჩინეს ამათ შანშე მჭარგრძელი და ზაქარია ავაგის ასულის ჯუაშაგის ნაშობი. მივიდეს ჯავახეთს, მიერ კოხტის თავსა, და აწუევდის სარგისს და ყუარყუარეს გამოსლვად, და არა ინებეს"[47]. გიორგი VI-ის მეფედ წარმოგზავნა 1314 წლისათვის უნდა მომხდარიყო. ქამთააღმწერელთან, ამ ამბავს

---

[41] ქამთააღმწერელი გვ. 323.
[42] იქვე. გვ. 309.
[43] იქვე გვ. 323.
[44] იქვე.
[45] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 98—99.
[46] იქვე, გვ. 99.
[47] ქამთააღმწერელი, გვ. 325.

მოსდევს საბერძნეთის (იკონიის) აჯანყების შესახებ თხრობა, რომელიც 1315 წ. მოხდა. ამ აჯანყების ჩასახშობად წასულ ჩოფან ნოინს არ გაჰყოლია გიორგი VI მცირის გამეფების მომხრე შანშე მხარგრძელი და ზაქარია-ავაგის ასულის ნაშობი, ისინი თბილისში შესულან.

იბადება კითხვა, რატომ უნდა დასჭირებოდა 1314 წლისათვის ოლჯაითუს გიორგი VI მცირის მეფედ წარმოგზავნა, როცა იგი მეფეა 1308 წლიდან. საფიქრებელია, რომ დავით VIII-ის გარდაცვალების შემდეგ (1311 წ.), ისარგებლა რა გიორგი VI მცირის არასრულწლოვანებით გიორგი დიმიტრის ძემ ხელში ჩაიგდო მმართველობა. სწორედ ამიტომ ოლჯაითუ გზავნის გიორგი VI მცირეს და თან ატანს ზაალ მელიქს და ჩოფანის მამის ძმას ახრუნჩის. „... რათა ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგისსა". ნიშანდობლივია, რომ ამ იდეის გასახორციელებლად მათ სწორედ შანშე მხარგრძელი და ავაგის ასულის ხუაშაგის ნაშობი ზაქარია „აჩინეს". მხარგრძელები ჯერ კიდევ ვახტანგ III-ის გამეფების დროს განუდგნენ ბექა ჯაყელს. მხარგრძელთა ფეოდალურ სახლს, რომელიც ერთ-ერთი ძლიერი საგვარეულო იყო იმდროინდელ საქართველოში, რასაკვირველია სრულიადაც არ აწყობდა ჯაყელთა ესეოდენი გაძლიერება.

გასაგებია ბექა I-ის ვაჟების სარგისის და ყვარყვარეს პოზიციაც, როდესაც არ ინებეს გიორგი VI მცირესთან გამოცხადება. რასაკვირველია, ისინი თავის დისშვილს გიორგი დიმიტრის ძეს უჭერდნენ მხარს.

ქამთააღმწერლის ცნობით, „ამა ქამთა შინა", საბერძნეთში. იკონიაში ოლჯაითუ ყაენს „ფარმანის შვილნი" განუდგნენ. ოლჯაითუმ აჯანყების ჩასახშობად გაგზავნილ ჩოფანს ქართველებიც გააყოლა „და წარჰყვა გიორგი (გიორგი V. — **დ. კ.**) ჩოფანს. ხოლო გოგაზილა მალაქ, შანშე და ზაქარია არა წარჰყვეს თანა, წარვიდეს და აიყარნეს, და ტფილისს შეეიდეს. და წარიტანეს თანა მეფე გიორგი საბერძნეთს, და ვერ წინაღუდგეს ფარმანიანნი ლაშქართა მათ ერთ წელ, და ყოველნი მას შინა მყოფნი ქართველნი მოსცა მეფესა გიორგის. იახლნეს ჯავახნი და თორელნი, რაოდენნი ყვეს, და სადაცა ილაშქრიან და შეიბნიან ციხეთა ზედა, მუნ მჯნედ მბრძოლად გამოჩნდის მეფე გიორგი, და მის თანა ყოველნი ქართველნი. ესრეთ მოიმორჩილნა ყოველნი განდგომილნი და ურჩნი მისნი, და მოქცევასა წელიწადისასა მოვიდა შინა"[48].

რ. კიკნაძეს ამ ცნობასთან დაკავშირებით ქამთააღმწერლის ტექსტში სათანადო შესწორება შეაქვს: „წარჰყვა გიორგი ჩოფანს, ხოლო გიორგი მცირე, ზაალ მელიქ, შანშე და ზაქარია არა წარჰყვეს თანა"[49].

ქამთააღმწერლის ამ ცნობის მიხედვით შემდეგი დასკვნების გამოტანა შეიძლება:

გიორგი დიმიტრის ძე ჩოფანს თან მიჰყვება საბერძნეთში, მაშინ როცა გიორგი VI მცირე და მისი მომხრეები: ზაალ მელიქ, შანშე და ზაქარია „არა წარჰყვეს თანა, წარვიდეს და აიყარნეს და ტფილისს შეეიდეს". საფიქრებელია, რომ დავით VI მცირის მომხრეები — მხარგრძელები, უპირატესობისა-

---

[48] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 324.

[49] **რ.** კ ი კ ნ ა ძ ე, ქამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის დაზუსტებისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, IV, თბ., 1977, გვ. 105; Р. К и к н а д з е, Очерки по источниковедению истории грузии, Пасрадан Гергиджанидзе и «Карталис цховреба», Тб., 1980. გვ. 123—125.

თვის ბრძოლაში დამარცხდნენ. ეს კარგად ჩანს მათი საქციელითაც, სწორედ ამიტომ არ გაჰყვნენ ისინი მონღოლებს საბერძნეთში. ამდენად, უპირატესობა გიორგი V დიმიტრის ძის დაჯგუფებამ მოიპოვა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ჟამთააღმწერლის ამ ცნობაში, რომელიც საბერძნეთში აჯანყებას შეეხება, გიორგი „მეფედ" იწოდება. გიორგის ამ ლაშქრობის დროს თან ახლავან ჯავახნი და თორელნი, რომლებიც თავიდანვე ბექა I-თან კეთილმოყვრობით დაკავშირებულები, მისი გამეფების მომხრენი იყვნენ.

საბერძნეთში ლაშქრობა ერთი წელი გრძელდებოდა. გიორგი V „მოქცევასა წელიწადისასა მოვიდა შინა". ვინაიდან აჯანყება იკონიაში გრძელდებოდა ერთი წელი და მოხდა 1315 წელს, ამდენად გიორგი V-ის გამეფება სწორედ 1314 წლიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ (რაც ეთანხმება დაბის ეკლესიის თარიღს. გიორგის გამეფების მე-19 ინდიქტიონს ანუ „ქა" ქრონიკონს — 1333 წელს ე. ი. 1333—19-1314 წ.).

ჟამთააღმწერლის ცნობით: „სთულის ჟამსა" ე. ი. შემოდგომაზე გიორგი V ჩოფანთან წასულა. ერთი თვის შემდეგ გარდაცვლილა ოლჯაითუ ყაენი[50]. ოლჯაითუ, მართლაც, 1316 წ. 16 დეკემბერს გარდაიცვალა[51]. ჟამთააღმწერელისავე ცნობით, „ხოლო ესმა რა გიორგი მეფესა სიკუდილი ყაენისა და მის წილ დადგინება მუსაითისა, წარვიდა ურდოსა და, მივიდა რა ურდოსა მეფე გიორგი განიხარა ჩოფან და შეიტკბო ვითარცა შვილი, და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი. და მესხნი, შვილნი ბექასანი"[52].

ამ ცნობაშიც გიორგი დიმიტრის ძე მეფედ იწოდება (მეფედ იხსენიება იგი 1315-ის საბერძნეთის აჯანყების დროსაც). ეს ცნობა გულისხმობს არა გიორგი V-ის გამეფებას, არამედ საქართველოს გაერთიანებას გიორგი V-ის ძალაუფლების ქვეშ.

საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ თუ რატომ უნდა გაჩენილიყო ვერსია 1313—1314 წწ.-ში გიორგი VI მცირის გარდაცვალების შესახებ და საიდან უნდა ჰქონოდეს ამოღებული ვახუშტი ბატონიშვილს ცნობა, რომ გიორგი V ბრწყინვალე 1318 წ. გამეფდა.

ჯ. ოდიშელის აღნიშვნით, „ჟამთააღმწერლის ბოლო ნაწილში გიორგი VI დავითის ძე (მცირე) და გიორგი ბრწყინვალე ერთმანეთშია არეული. სრულად არ ჩანს დასასრული დავითის ძე გიორგი VI-ის მეფობისა"[53].

მართლაც, ჟამთააღმწერლის თხზულების ბოლო ნაწილი რამდენადმე ბუნდოვანია. ამის მიზეზი კი უნდა იყოს ის არეულობა, რაც 1311 წ. დავით VIII-ის გარდაცვალების შემდეგ მოხდა. 1314 წ., როგორც უკვე დავინახეთ, გიორგი დიმიტრის ძემ მოახერხა გიორგი VI მცირესათვის ტახტის წართმევა და გამეფება. ჟამთააღმწერელი, რომელიც გიორგი V ბრწყინვალეს მეხოტბეა, ცხადია, ერიდება გიორგის მიერ არაკანონიერი გზით ტახტის მიტაცების ფაქტის აღიარებას. სწორედ ამით აიხსნება, რომ გარკვევით არც გიორგი V ბრწყინვალეს გამეფებაა მოთხრობილი და არც გიორგი VI მცირეს მეფობის დასასრუ-

---

[50] ჟამთააღმწერელი, გვ. 324.

[51] В. Бартольд, Абу Саид, Сочинения, т. VII, М., 1974, გვ. 481.

[52] ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

ლი. ამიტომ სწორი არაა მოსაზრება, რომ გიორგი V ბრწყინვალე 1314 წ. ტახტზე ავიდა გიორგი VI მცირის გარდაცვალების შემდეგ[54].

რაც შეეხება ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას გიორგი V ბრწყინვალის 1318 წ. გამეფების შესახებ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს ცნობა მას რომელიმე საისტორიო წყაროდან უნდა ჰქონდეს ამოღებული[55].

ჟამთააღმწერლის და ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომების შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ვახუშტის გიორგი V-ის 1318 წ. გამეფების თარიღი ჟამთააღმწერლის თხზულების მიხედვით აქვს მიღებული. საფიქრებელია, რომ მან ჟამთააღმწერლის ცნობა 1318 წლისათვის გიორგი V ბრწყინვალის ძალაუფლების ქვეშ საქართველოს გაერთიანების შესახებ (იგულისხმება ჩოფანის მიერ გიორგი V-სათვის დავით VIII-ის და ბექა I-ის შვილების გადაცემა) მიიჩნია მისი გამეფების ფაქტად. ეს რომ ასეა კარგად ჩანს ვახუშტის საისტორიო ნაშრომიდანაც.

ჟამთააღმწერელი გიორგი დიმიტრის ძეს უკვე 1315 წ. საბერძნეთის აჯანყების დროს მეფედ იხსენიებს. ასევე მეფეს უწოდებს მას 1317—1318 წწ.-ში, როდესაც აბუ-საიდის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით გიორგი ურდოში წავიდა[56]. ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის თხრობაც ჟამთააღმწერლის თხზულებას მისდევს, 1315 წ. საბარძნეთის აჯანყებიდან მოყოლებული გიორგი V ბრწყინვალეს შეგნებულად არსად მეფედ არ იხსენიებს და ყველგან უწოდებს „გიორგი ძე დიმიტრი მეფისა“[57].

ვახუშტი ბატონიშვილის ქრონოლოგიურ ცხრილში გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღად, ასევე 1318 წელია მოცემული. ვ. კიკნაძის გამოკვლევით, ეს თარიღი იმერული ძველი გარიგების წიგნის ქრონიკიდან უნდა იყოს ამოღებული[58]. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც, ვახუშტი ბატონიშვილი ჟამთააღმწერლის თხზულებას ემყარება. ვახუშტი ბატონიშვილის ქრონოლოგიური ცხრილით: 1318 წ. „3 დაჯდა დიმიტრი თავდადებულის ძე გიორგი მ˜ეფე, და იწყო მთიებმ˜ნ აღმობრწყინება, და დაიპყრა ქართლი, სომხითი. ჰერ-კახნი და მესხნი“[59].

როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა იმერული ძველი გარიგების წიგნის ქრონიკა ფაქტების მხოლოდ მშრალი აღნუსხვით კმაყოფილდებოდა[60]. გამოთქმა „და იწყო მთიებმ˜ნ აღმობრწყინება“ კი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ჟამთააღმწერლის თხზულების გამოყენებაზე მიგვითითებს. სწორედ ჟამთააღმწერელი ხმარობს ამ გამოთქმას გიორგი V-სთან დაკავშირებით: „აქა დაიწყო აღმოცისკრებად ძემან მეფისამან გიორგი“, „და იწყო მთიებმან აღმოჭვრეებად, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკრველისა და საშინელისა თქმად“[61].

ვფიქრობთ, რომ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ გიორგი V ბრწყინვალე გამეფდა 1314 წელს.

---

[54] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 623.
[55] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 253.
[56] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 324—325.
[57] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 254—255
[58] ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 229—230.
[59] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 894.
[60] იქვე, გვ. 302.
[61] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 322. 323.

Д. К. КЛДИАШВИЛИ

ИЗ ПОЛИТИЧЕСКОЙ ИСТОРИИ ГРУЗИИ НАЧАЛА XIV в

Резюме

В статье дана новая интерпретация одной части текста сочинения грузинского анонимного историка XIV в. и уточнен ряд дат и фактов истории Грузии рубежа XIII — XIV вв.

На основе изучения сочинения анонимного историка установлено, что сын Демстре II Георгий V, считавшийся опекуном Георгия V Мцире (малолетнего сына Давида VIII), в 1314 году сумел отобрать у него престол. В воцарении Георгия V Блистательного решающую роль сыграли представители феодального рода Джакели (дед по матери Георгия V — Бека I (1285—1308) и дяди по матери — Саргис, Кваркваре и Шалва).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ვასილ ციცკარიშვილი

ქართული ზარები

ქართული მატერიალური კულტურის ნაშთებიდან ზარები სადღეისოდ ყველაზე ნაკლებაა შესწავლილი. ზარებს უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მრავალი ხალხის ყოფაში, სარწმუნოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდეგ; ამიტომ ისინი საყურადღებო წყაროს წარმოადგენენ ჩვენი წარსულის შესასწავლად.

ზარების წარმოშობის ისტორია სავსებით ნათელი არ არის. ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ისინი გაჩნდნენ მცირე ზომის საწკარუნე ეკვნებიდან, რომლებსაც სამკაულის დანიშნულება ჰქონდათ. უძველესი დროით დათარიღებული ბრინჯაოს ზარაკი ცნობილია ნინევიაში (ასირია) სალმანასარ II-ის სასახლიდან და განეკუთვნება ძვ. წ. IX ს-ეს.

ეს პატარა ზომის ზარები, ანუ ზარაკები, როგორც არქეოლოგები უწოდებენ, ცნობილი იყო: მახლობელ აღმოსავლეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომში, „ბარბაროსულ“ ევროპასა და აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, საერთოდ კი მის თავდაპირველ სამშობლოდ იაპონია მიაჩნიათ. მათი დანიშნულება სხვადასხვაგვარი იყო: სამკაულადი (ტანსაცმელზე დასაკიდებლად); საყოფაცხოვრებო (მსახურების მოსახმობი); სამხედრო (ნიშნების მისაცემად და გამარჯვებულთა ეტლების მოსართავად); საზოგადოებრივი (ხალხის შესაკრებად); სარწმუნოებრივი (ლოცვაზე მოსახმობად, დაკრძალვის წესის შესასრულებლად, ავი სულების გასაფანტად). ზარები იხმარებოდა საკრავებადაც და, როგორც ფიქრობენ, მათ ჩინეთში საცვლელი ღირებულებაც ჰქონდათ[1].

კავკასიაში, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე ზარაკები ჩნდება ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებისათვის. ისინი წარმოადგენენ ლითონის (უმთავრესად ბრინჯაოს) ეკვნებსა და საწკარუნებლებს, რომლებიც სამკაულებად გამოიყენებოდა. ამავე დროს ცნობილია უკვე ნამდვილი ზარაკები. ე. ი. დაახლოებით ცილინდრული მოყვანილობის ენიანი საკიდები, რომლებიც მაგრდებოდა სარიტუალო ნივთებზე, კერძოდ შტანდარტის — დროშის ან კვერთხის თავსა და ბოლოზე. ყველაზე თვალსაჩინოა ყაზბეგის განძის, ახალგორისა და ითხვისის შტანდარტებთან დაკავშირებული ზარაკები[2], რომლებიც დღემდე ხალხში შემორჩენილი ხატის დროშების პროტოტიპები უნდა იყოს, რაც მათი დანიშნულების შესახებ კარგად მეტყველებს.

---

[1] ვრცლად იხ. Н. Оловянишников, История колоколов и колокололитейное искусство, М., 1912.

[2] Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тб., 1934, გვ. 92; ი. გაგოშიძე, ადრე ანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 49; ლ. წითლანაძე, ყაზბეგის განძის ზოგიერთი საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, 1963, გვ. 53.

ამ დროიდან მოკიდებული, მცირე ზომის ზარები, ანუ ზარაკები, საკმაოდ ფართოდ ვრცელდება საქართველოში ფეოდალურ ხანამდე. ისინი კვლავ იხმარება, ძირითადად, როგორც სარიტუალო საგნებთან დაკავშირებული ნაწილები და ტანსაცმლის სამკაული, რის მაგალითადაც საკმარისია დავასახელოთ არმაზის ხევის პიტიახშთა საფლავში (II ს-ის მიწურული) აღმოჩენილი ოქროს პატარა ზარაკები[3].

როგორც სხვაგან, საქართველოშიც დიდი ზომის ზარების გავოცელებას ხელი შეუწყო ქრისტიანულმა ეკლესიამ. მის წიაღში მოიპოვა ზარებმა ახალი, ჩამოყალიბებული ფორმა და შინაარსი. ზარების ეს ორი — ძველი და ახალი კატეგორია, მსგავსებასთან ერთად, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. როგორც უკვე ითქვა — ზარები ქრისტიანულმა ეკლესიამ წარმართული დროიდან მიიღო, მაგრამ მან ის გადაამუშავა გარეგნულადაც და შინაარსობრივადაც.

ზარების ამ ორი კატეგორიის აღნიშნული განსხვავება მათი შეასწავლისას თავისებურ მიდგომას მოითხოვს. პატარა ზომის ზარების ანუ ზარაკების გაჩენა-განვითარების ისტორიის კვლევა არქეოლოგების საქმეა, რაც ჩვენში წარმატებით სრულდება კიდეც. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ, როგორც წერილობითი ძეგლებიდან ჩანს, ზარაკებს „ეკვნებს“ უწოდებდნენ. ასე მაგალითად: „და ქმნეს ეკვნები იგი ოქროსა“[4]; „ნუკრი ველური გაზარდა და ეკვანი შეაბა ყელსა მისსა“[5], „და ესმოდის ყაენსა ჴმა ეკვანთა“[6].

საეკლესიო ზარის გაჩენამდე სიტყვა „ზარი“ არსებობდა ჩვენში და, როგორც საბა აღნიშნავს, ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: „ზარი — რვალის დიდი სარეკელი“ და „ზარი — საზარლისაგან შიში“[7]. ასევე აღნიშნავდა ზარი ზეიმს, სიხარულს. მოვიტანთ ორივე მნიშვნელობის დამადასტურებელ მაგალითებს. შიშის მნიშვნელობით: „და ტირილად იწყო ზარისა მისგან“[8]. „ვითარღა იყო ზარის ასაკდელი იგი შიში მეფეთა“[9]. სიხარულის, ზეიმის მნიშვნელობით: „და იყო ზარი და ზეჰმი ქალაქსა შინა, სიხარული და შუება“[10], „აწკეს და მოიწკეს დიდითა ზარითა და პატივითა დედოფალი რუსუდან“[11].

საქართველოში XIII ს-მდე ზარების არსებობის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი ჩვენ არ შოგვეპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ ძეგლს — „წესი და განგება მეფედ კურთხევისა“, სადაც ნათქვამია: „... და წარემართნენ ესრეთ სახედ: წინათ ზარი მეფე (36)თა და შემდგომად დროშა

---

[3] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ს. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა I, გვ. 30, სურ. 11, № 5.

[4] დაბადება, წიგნი წ. მოსესი, თავი ლვ. 1884, გვ. 187.

[5] სიბრძნე ბალავარისა, ი. აბულაძის რედაქციით, 1937, გვ. 43.

[6] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1959, გვ. 301.

[7] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1, 1966, გვ. 274.

[8] ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955, გვ. 114.

[9] იქვე, გვ. 69.

[10] ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 27.

[11] იქვე, გვ. 64.

და შუბი და შემდგომად მთავარდიაკონი და ჯუარის მტვირთველი მეფე და ლაშქარი"[12].

დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუ რა მნიშვნელობით არის ნახმარი სიტყვა „ზარი" მოტანილ ტექსტში, მაგრამ, ალბათ ნივთი (სარეკი ზარი) უნდა იგულისხმებოდეს და არა ზეიმი, ლხინი.

საქართველოში ზარების გავრცელების შესახებ, სპეციალურ ლიტერატურაში რამდენიმე იდენტური მოსაზრებაა გამოთქმული: ი. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ XIII ს-მდე ქართულ ეკლესიას სამრეკლო არ გააჩნდა, რადგან არ იყო ზარიც. მანამდე სარეკელას როლს ასრულებდა ჩამოკიდებული ძელი, ე. ი. ფიცარი, რომელსაც ხის უროს შემოჰკრავდნენ ხოლმე. მისივე თქმით, წინათ არსებული ზარი უენო იყო და უმთავრესად ცხოველებისათვის ხმარობდნენ. ასეთი ზანზალაკები ეკლესიისათვის გამოუსადეგარი იყო მისი მცირეხმიანობის გამო. ი. ჯავახიშვილის აზრით, თუ დასავლეთ ევროპაში ზარი XII ს-დან იყო ცნობილი, ჩვენში იგი XIII ს-ის პირველ ნახევარში თუ არა, მეორე ნახევარში მაინც უნდა გაჩენილიყო. „თუმც დანამდვილებით ამისი თქმა შეუძლებელია, რადგან ამის შესახებ ცნობები წყაროებში არ მოგვეპოვება"[13].

დაახლოებით ი. ჯავახიშვილის მოსაზრებასვე იზიარებს გ. ჩუბინაშვილიც. იგი კავკასიაში სამრეკლოების გავრცელების საკითხის განხილვის დროს გაკვრით ეხება იმ საკითხსაც, თუ როდის იქნა შემოტანილი ქრისტიანული სამყაროს მღვდელთმსახურებაში ზარები. გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით, სამრეკლოები საქართველოში და სომხეთში შემორჩენილია მხოლოდ XIII ს-დან. მაგრამ მათი რაოდენობა და დასრულებული არქიტექტურული ფორმა მას აფიქრებინებს, რომ ისინი აქ XII ს-ში უნდა ყოფილიყო ცნობილი და გამოყენებული[14].

XIII ს-ში ზარების ფართო გავრცელება სომხეთში აფიქრებინებს ი. ორბელს, რომ თუ უფრო ადრე არა, XII ს-ში მაინც უნდა შესულიყო იქ საეკლესიო ზარები. თავისი დებულების დასადასტურებლად მკვლევარს არა ერთი საბუთი აქვს მოტანილი[15].

როგორც აღვნიშნეთ, საერთოდ ქრისტიანულ სამყაროში და საქართველოშიც ლითონის ზარის შემოსვლამდე ძელს, ფიცარს რეკავდნენ ეკლესიებში. ასე მაგალითად, შიო მღვიმელის სასწაულებში ნათქვამია: „ესმა რაი ყოველი ევგარის უბრძანა რათა დაჰრეკონ ძ ე ლ ს ა და შემოკრბენ ყოველნი ძმანი"[16]. იმავე ძეგლში სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ხოლო იხილნეს რაი მამათა მონასტრისათა ეგრედ საწყალობლად გუემულნი იკითხვიდეს მიზეზსა ჭირისასა მის მათისასა, ხოლო ცნეს რაი, მიისწრაფეს ეკლესიად და ჰკრეს ძ ე ლ ს ა, ვიდრემდის შემოკრბეს ყოველნი ძმანი"[17]. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თქმით, ქართველებმა შამქორი რომ აიღეს — „მადრასათა წილ

[12] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც., 1965, გვ. 50.

[13] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობა ძველ საქართველოში, 1946, გვ. 89—90.

[14] Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, Тб., 1959, зз. 508.

[15] И. О р б е л и, Колокол с анцискими орнаментальными мотивами XII—XIII вв., Записки восточ. отделеня имп. Русского археологического общества, т. 20, 1940, зз.23.

[16] ბ ა ს ი ლ ი ვ ა ჩ ე ს ძ ე, შიო მღვიმელის სასწაულები, სირიელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ი. აბულაძის რედაქციით, 1955, გვ 202.

[17] იქვე, გვ. 205.

აღმართნეს ეკლესიანი და მყივანთა წილ ჰკრეს ძ ე ლ თ ა, და ნაცვლად მუყრთა იხილვებოდა ღაღადება მღვდელთა...“[18].

საყურადღებოა, რომ ეკლესიებში ძელის რეკვის შემთხვევები, ზარის შემოღების დიდი ხნის შემდეგაცაა ჩვენში ცნობილი. საინტერესო ცნობა დაგვიტოვა ამის შესახებ XVII ს-ის ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა. იგი წერს: „წმ. ძელი თხელია, განით ერთი მტკაველია და სიგრძით დაახლოებით ხუთი. მას იყენებენ ეკლესიაში მორწმუნეთა მოსახმობად, როდესაც ზარი არა აქვთ, მაგრამ იმ ეკლესიებშიც კი სადაც ზარი არის, პირველად მაინც ამ წმინდა ძელს შემოჰკრავენ ხოლმე და შემდეგ რეკავენ ზარს“. შარდენს აღნიშნული აქვს აგრეთვე, რომ „სამეგრელოში ლითონის სიძვირის გამო ზარები ნაკლებად არის და ზომით პატარებია“[19].

ზარების მოსაძიებლად ჩვენ მოვიარეთ აღმოსავლეთ საქართველო და დასავლეთ საქართველოს ბარის ნაწილი.

დღემდე მოღწეული ზარები მუზეუმების გარდა დაცულია სკოლებში, რკინიგზის სადგურებში და მთის ზოლის ეკლესია-სამლოცველოებში.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული და დღემდე შემორჩენილი ზარები შეიძლება ორ ეთნოგრაფიულ ჯგუფად გაიყოს: ადგილობრივი წარმოებისა ე. ი. ქართული და რუსული

ქართულმა ზარებმა ძალიან მცირე რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე. 14 ქართული ზარი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზარების ფონდში და 7 ზარი — აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ამრიგად, სულ 21 ქართული ზარია ჩვენთვის ცნობილი, რაც შეეხება რუსულ ზარებს, ისინი დიდი რაოდენობით არიან გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე.

ზარების ეს ორი ჯგუფი თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ზოგადი ფორმით, ისევე დეტალებში.

აღგილობრივი, ქართული ზარებისათვის დამახასიათებელია შედარებით სიმარტივე და ზოგადი ფორმის სიმკაცრე, თუმცა მათ შორისაც შეინიშნება აშკარა განსხვავება.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს მაღალი, კონუსურტანიანი ორი დიდი ზარი. ისინი გამოირჩევიან ერთგვარი ტლანქი ხელობით და ტანზე შემოვლებული წვრილი რელიეფური სარტყლებით.

ამ ჯგუფის დანარჩენი ზარები ერთმანეთისაგან მხოლოდ ზომითა და პროპორციებით გამოირჩევიან. მათთვის დამახასიათებელია შედარებით მცირედ კონუსური, ზოგჯერ თითქმის ცილინდრული ტანი, მკვეთრად გაშლილი ქობა და პირი, და ბრტყლად წაკვეთილი თავი, რომელზედაც გამობმულია დასაკიდებელი; ეს უკანასკნელი ყველგან ერთნაირია: ცენტრში — ღერო და მასთან შეერთებული კუთხოვანი ოთხი ყური. ზარების ერთადერთ შემკულობას აქ წარმოადგენს უმთავრესად წყვილ-წყვილი რელიეფური სარტყლები ტანის თავსა და ბოლოში, აგრეთვე ქობაზე. ზოგიერთ ზარზე მოთავსებულია მარტივი რელიეფური ჯვრისა და ანგელოზების გამოსახულება.

ზარების მეორე ჯგუფი ბევრად უფრო ერთფეროვანია და თამამად შეიძ-

---

[18] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 72.

[19] შარდენის მოგზაურობა, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მ ა ნ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ მ ა, 1975, გვ. 50—51.

ლება ითქვას, რომ მათ შორის განსხვავება მხოლოდ ზომებში და ორნამენტებშია.

ამ რუსულ ზარებს ახასიათებს თანაზომიერად და რბილად, „ზარისებურად“ გაფართოებული ტანი და ექვსყურიანი ჩამოსაკიდებელი. ტანზე ამ ზარებს რელიეფური სარტყლები აქვთ: პირზე, ქობაზე და ტანის ზემო ნაწილში, მათ შორის დატოვებულია ფართო ზოლი, ხოლო ზემოთ და ქვემოთ გაყოლებული აქვთ სტილიზებული ფოთლოვანი სახეები, მედალიონების მწკრივი, ან სხვა რაიმე სახე. გარდა ამისა, ამგვარ ზარებს ამკობს ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული სასულიერო პირების წელზევითა გამოსახულებები, როგორც მაგალითად: ყაზბეგის მუზეუმის ეზოში მდგარ ეკლესიის ზარს. ზარებს ხშირად აქვთ ქარხანაში ჩამოსხმის დროს გაკეთებული რუსული წარწერები, რომლის მიხედვით ირკვევა მათი დამზადების ადგილი და, ზოგიერთ შემთხვევაში, დამკვეთისა და ჩამომსხმელის ვინაობა. სვეტიცხოვლის სამრეკლოზე მოთავსებული ზარის წარწერაში ნათქვამია, რომ იგი ჩამოსხმულია იაროსლავში. არაგვის ხეობაში სოფ. ფშავლების მახლობლად, მონასტრის ნანგრევებში, ხეზე დაკიდებული ზარის რუსული წარწერით ვვებულობთ, რომ იგი დამზადებულია, თბილისის საეკლესიო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობის დაკვეთით, ალექსი ბურცოვის მიერ.

ამ რუსული ზარების ნაწილს აგრეთვე აქვთ შემწირველთა მიერ აღმოჩრილი ქართული წარწერები. ამგვარი ქართული წარწერიანი ზარების მეტი ნაწილი, მათი წარწერების მიხედვით, განეკუთვნება XIX ს-ეს, უმცირესი კი — XVIII ს-ის II ნახევარს. ამ მხრივ გამონაკლისია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ერთი ზარი, რომელზედაც ამოკვეთილია 1686 წელს შესრულებული წარწერა. საფიქრებელია, რომ ეს იყო პირველ რუსულ ზართაგანი, შემოტანილი საქართველოში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაცხოველების შედეგად.

ორივე ჯგუფის ზარებს აქვთ ძირითადად ერთნაირად შეკიდული ენები — გრძელი ღერო, გამსხვილებული და თოკის გამოსაბმელი ნახვრეტიანი ბოლოთი.

ქართულ ზარებს ჩვენ დაწვრილებით აღვწერთ, და განვიხილავთ მათზე მოთავსებულ წარწერებს, ხოლო რუსული ზარების შესახებ ზემოთქმულით ვკმაყოფილდებით.

ვიდრე ზარების აღწერასა და მათზე მოთავსებული წარწერების განხილვას შევუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მუზეუმში დაცული ზარების სადაურობისა და შემოსვლის ვითარების შესახებ ვიცით მხოლოდ, რომ 5 ზარი 1928 წელს „რუდმეტალტრესტს“ მიუცია მუზეუმისათვის, ხოლო 8 ზარის შესახებ, რომლებიც 1930 წელსაა საინვენტარო წიგნში გატარებული, ნათქვამია: „ეს ზარები ჩამოხსნილი იქნა ეკლესიებიდან და როგორც ისტორიული მნიშვნელობის მქონე, გადაეცა აღმასკომის განკარგულებით საქართველოს მუზეუმს“[20].

როგორც ვხედავთ, საკმარისი ცნობების უქონლობის გამო, ზარები დეტალურად არ ყოფილა აღწერილი, ინვენტარიზებული და დანომრილი. ამიტომ ჩვენ ვცადეთ მათი ქრონოლოგიური დალაგება და მივეცით აღმავალი ნომერი.

[20] იხ. საინვენტარო წიგნი — „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი 1927—1932 წწ. კოლექციის №№ 14—28, გვ. 13—30.

მუზეუმში დაცული ზარები

1. ბრინჯაოს ზარი (h—76, d—60 სმ.). წაკვეთილი, ძლიერ კონუსური მოყვანილობის, მცირედ გაშლილი პირით. თავზე აქვს დასაკიდებელი — ცენტრალურ ღეროსთან დაკავშირებული სწორკუთხა მუხლიანი ხუთი „ყური", რომელთაგან ერთი მოტეხილია.

ზარის ზედაპირი სრულიად სადაა, მხოლოდ მკრთალად ჩანს გასახსნელი ყალიბის ნაკერების კვალი, რომლებიც ზედაპირს ჰყოფს სამ ჰორიზონტალურ და ხუთ ვერტიკალურ მონაკვეთად.

ვერაფერს ვიტყვით ზარის თარიღის შესახებ; მოსაზრების სახით გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ჩვენთვის ცნობილი 21 ზარიდან ყველაზე ადრინდელად გვეჩვენება ეს ზარი.

2. ბრინჯაოს ზარი (h—89, d—55 სმ.), მაღალი, წაკვეთილი კონუსური ტანით, და მცირედ გაფართოებული პირით. თავზე აქვს ერთნახვრეტიანი ყური. ტანზე შემოვლებული აქვს სამი რელიეფური წყვილ-წყვილი და ცალმაგი ზოლები, რომლებიც ოთხნაწილად ჰყოფს მას. ბრტყელი რელიეფური სარტყელი შემოვლებულია პირზეც. ზარის ტანი დანაწილებულია აგრეთვე სამი ვერტიკალური ზოლით; ასე შექმნილია ცხრა ჩარჩო.

ზედა სამივე ჩარჩო შევსებულია ქარხნისეული, რელიეფური ასომთავრული წარწერით; ასეთივე წარწერის მკრთალი კვალი შეიმჩნევა შუა მონაკვეთის ერთ ჩარჩოშიც. ზარი ტლანქი ხელობისაა. ჩამოსხმის დროს დაზიანებული უნდა იყოს ზარის ზედა ნაწილი და ნაწილობრივ წარწერაც. ჩამოსხმის შემდეგ ზარი დამუშავებული არ არის და ყველა მისი დეფექტი ჩამოსხმის დროისაა.

წარწერა ისეა დაზიანებული, რომ ჩვენ ვერ შევძელით მისი წაკითხვა. ყურადღებას იქცევს წარწერის ასოთა ნაწილის არაჩვეულებრივი სიმაღლე — 10—13 სმ.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ XV ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს ეს წარწერა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ისიც, რომ, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული — XVI ს-დან, ძირითადად მხედრულით აკეთებდნენ წარწერებს[21].

3. ბრინჯაოს ზარი (h—57, d—46 სმ.), წაკვეთილი კონუსური ფორმის, ოდნავ შებერილი ტანითა და გაშლილი პირით. ტანს, თავსა და ბოლოში შემოვლებული აქვს ორ-ორი, ხოლო წელზე ერთი რელიეფური, სადა სარტყელი. სარტყლებს შორის მოქცეულ არეზე მოთავსებულია ქარხნისეული მსხვილი რელიეფური ასოებით შესრულებული ორსტრიქონიანი მხედრული წარწერა. ორივე სტრიქონის თავში, ე. ი. დასაწყისში დასმულია თითო რელიეფური ჯვარი. ზარს თავზე აქვს ცენტრალურ-ყურიანი ღერო და მასთან დაკავშირებული სწორკუთხა მუხლიანი ოთხი ყური, რომლითაც ზარი იკიდებოდა.

წარწერა ასე იკითხება:

+ ამა ზარისა ჩამომსხმელსა თითაძესა ძედანსა

+ მისი ც[ო]დვ[ან]ი შეუნდნეს ღამერთმანა მთ...

წარწერის ბოლო გადალეულია, ერთი, ან ორი სიტყვა უნდა აკლდეს. წარ-

---

[21] ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1966, გვ. 216; ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, 1959, გვ. 18.

წერა „წიგნურია“, მდარე ხელით შესრულებული; რამდენიმე ასო გადაბმულია; ერთგან ადგილი აქვს ა მეტობას (ღამერთმან), რაც არც თუ იშვიათია მხედრულ წარწერებში.

წარწერაში მოხსენიებული გვარი — თითაძე, ჩვენ არ გაგვიგია და არც წერილობით წყაროებში შეგვხვედრია.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ჭირს წარწერის დათარიღება. ვიტყვით მხოლოდ, რომ XVI ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს. XVI საუკუნეზე ადრინდელი რომ იყოს, უთუოდ ასომთავრული იქნებოდა.

4. ბრინჯაოს ზარი (h—37, d—29 სმ.), წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის, ოდნავ გაშლილი პირით, თავთან და პირთან შემოვლებული აქვს წყვილ-წყვილი რელიეფური ზოლებისაგან შედგენილი თითო სარტყელი. თავზე აქვს ბრტყელი, ბოლოგახვრეტილი ღერო, რომელთაგანაც შეერთებულია სწორკუთხამუხლიანი ოთხი ყური. ჩამოსხმის შემდეგ ზარი დამუშავებული არ არის, ტანის ზედა ნაწილზე მოთავსებულია 1514 წელს გაკეთებული, ქანწილით დაწყებული ოთხსტრიქონიანი მხედრული წარწერა. განკვეთის ნიშნად ნახმარია სამი წერტილი, რაც ალაგ-ალაგ ეტყობა.

წარწერა ასე იკითხება:

შემოგწირეთ თქვენ წმინდის გიორგის გომარეთისასა წ...ემან პატრონმან ალექსანდრე ზარი ესე მას ჟამსა ოდეს ყაფლანს მცირე ზარი თქვენთვის შემოეწირა, ის ზარი ჩვენ გამოვსცუალეთ, მისად სამუქფოდ ეს ზარი გკადრეთ და მოგახსენეთ წმინდაო გიორგი ნუ გამიწყრები შენის იოსეს ქრისტეს სიყვარულის მადლისა ქკს სბ.

წარწერაში მოხსენიებული ალექსანდრე და ყაფლანი ორბელიანები არიან.

5. ბრინჯაოს ზარი (h—45, d—31), წაკვეთილ-კონუსური, წელში ოდნავ გამოყვანილი. თავთან აქვს წყვილი რელიეფური ზოლისაგან შედგენილი სარტყელი; პირი გამოყოფილია ღარისებური სარტყლით. ზარის ტანზე, შუა ადგილას მოთავსებულია პატარა, ტოლმკლავა რელიეფური ჯვარი. თავზე აქვს მაღალი, დაწახნაგებული ღერო და მასთან შეერთებული სწორკუთხა-მუხლიანი ოთხი ყური; ერთი ყური და ღეროს თავი მოტეხილია.

ზარის ტანის ქვედა ნაწილზე მოთავსებულია 1701 წელს გაკეთებული ქანწილით დაწყებული სამსტრიქონიანი მხედრული წარწერა. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი.

წარწერა ასე იკითხება:

ქ. ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ანდრონიკაშვილმა ქიზიყის მოურავის აბელის ძემან ბოდბელ მიტროპოლიტმა ზაქარიამ შემოგწირე ორივე ზარები ესე შენს წმინდას ნინოს ბოდბეს ჩვენის სულის და ცოდვათ ჩვენი შესანდობლად ვინც გამოგწირონ მოიპაროს შენამც რისხვამდე ამინ ქკ ტპთ (389 + 1312 = 1701).

ყურადღებას იქცევს წარწერაში ნათქვამი — „... ვინც გამოგწირონ, მოიპაროს შენამც რისხვამდე...“, რაც იმისი მაჩვენებელია, რომ ეკლესიებიდან ზარების მოპარვასა და გამოწირვას ჰქონია ადგილი

როგორც ცნობილია, 1699 წელს მარტყოფში სამრეკლო აუშენებია ბოდბელ მიტროპოლიტს ზაქარია ანდრონიკაშვილს: „ჩვენ მინდობილმან ძალისა ღვთაებისამან, საჭეთ მპყრობელმან საყდრისა ამისგან, ენდრონიკა-

შვილმან, ქიზიყის მოურავის შვილმან ზაქარიამ, ჯელვყავ ძირითგან აღშენებად სამრეკლოსა ამისა...“[22].

ზაქარია ანდრონიკაშვილის მიერ ნინოწმინდის სამწყსოში შემავალი მარტყოფის სამრეკლოს აშენება იმისი მაჩვენებელი ხომ არ არის, რომ ნინოწმინდელია იგი? თვით სამრეკლოს აშენების ფაქტს გარდა, ყურადღებას იქცევს წარწერაში ნათქვამი — „საჭეთ მპყრობელმან საყდრისა ამისმან“, ე. ი. ზაქარია ანდრონიკაშვილი მარტყოფის „საყდრის“ საჭეთმპყრობელად აცხადებს თავს.

ანდრონიკაშვილებისათვის უცხო არ იყო ნინოწმინდელობა. ნინოწმინდის ეკლესიის 1671 წ. და დავით ბარეჯის 1673 წ. წარწერებში მოხსენიებულია „ენდრონიკაშვილი ნიკოლოზ ნინოწმინდელი“[23].

6. თითბრის ზარი (h—22, d—22 სმ.), მოკლე, თითქმის ცილინდრული ტანით და ამობურცული, ფართოდ გაშლილი პირით. თავზე აქვს წყვილი რელიეფური სარტყელი, წელზე — სამმაგი, ხოლო პირზე — ერთმაგი ზემოდან აქვს მოკლე ღერო, რომელსაც თავზე უზის მრგვალბრტყელი „ღილი“ ჯვარედინი ჭდეებით აღნიშნული ცენტრით. ღეროს უერთდება მუხლიანი ოთხი ყური. ზარი ჩამოსხმის შემდეგ არის გაჩარხული.

ზარზე მოთავსებულია 1777 წ. 3 დეკემბერს გაკეთებული სამსტრიქონიანი მხედრული წარწერა. წარწერის დასაწყისში არსებული ქანწილის წინ და შემდეგაც დასმულია თითო პატარა, ტოლმკლავა ჯვარი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი წერტილი. ა და ო რამდენიმეჯერ ხაზს ზემოთ არის ატანილი. წარწერა შესრულებულია ძალიან ლამაზი ხელით.

წარწერა ასე იკითხება:

ქ. სიტყვისა ღთისა დედაო დედოფალო ქრისტიანეთაო
ჩვენ მონათა მსისოებელთა შენთა ნამორაძემ მეფის მგა-
ლობელმან სოლომონ და ძმამან ჩვენმან იოანემ ძმისა
ჩვენისა მიქელის სულის საოხად შემოგწირეთ წყვილი
ესე ზარი ტაძარსა შინა შენსა ვარიანს ტაძრად
მოყვანებისა შენისა ეკლესიასა ვინცა ამ ტაძარს
გამოსწიროს მიავლინე რისხვა ძისა შენისა მის
ზედა დეკემბერს ბ წელსა ჩღოზ ქკს უჲე

წარწერაში მოხსენიებული „ვარიანი“, რომლის ეკლესიისთვისაც წყვილი ზარი შეუწირავთ ნამორაძეებს, ალბათ ხაშურის რაიონში მდებარე სოფ. ვარიანია.

წარწერაში ყურადღებას იქცევს სიტყვა — „მგალობელი“. გვიანი ფეოდალური ხანის საბუთებში ხშირად გვხვდება „მგალობელი“, მაგრამ ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემთხვევა, სადაც მეფის, ან და სხვათა (დიდებულთა) „მგალობელი“ იხსენიებოდეს.

თითქმის არაფერი ვიცით „მგალობლის“ უფლება-მოვალეობის შესახებ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1719 წლის ერთ საბუთში ნათქვამს: „... მგა-

---

[22] კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, შედგენილი თ. ბარნაველის მიერ. 1962, გვ. 113.
[23] იქვე, გვ. 47, 121.



1



2





5



6



7



ლობელს იაკობს დამიწერია და მოწამეც ვარ"[24]. ეს იაკობი მგალობლად იხსენიება აგრეთვე მის მიერ 1722 წელს დაწერილ საბუთშიც[25].

შესაძლებელია „მგალობელი" გალობიდან იყოს ნაწარმოები, ე. ი. ის პირია, ვინც გალობს, მღერის.

7. ბრინჯაოს ზარი (h-56, d-56 სმ). წაკვეთილი კონუსის ფორმის, მსუბუქად გამოყვანილი ტანით და გაშლილი, საგრძნობლად ამობურცული პირით. ზარს თავსა და ბოლოზე, და აგრეთვე პირზე შემოვლებული აქვს წყვილ-წყვილი, სამმაგი და ცალი რელიეფური სარტყლები. ზემოდან აქვს მოკლე ცენტრალური ღერო და მასთან შეერთებული ოთხი მუხლოვანი ყური, დაკბილული ზედაპირით.

ზარის ქობაზე მოთავსებულია 1786 წ. პირველ ოქტომბერს გაკეთებული მხედრული წარწერა.

წარწერა ასე იკითხება:

მეფობასა ღთის მსახურისა მეფისა მეორისა ირაკლისა სადიდებლათ მათა შევწირე ზარი ესე კახეთის ხახულისა მღვთისა მშობელს ქობულოვის კახთ მდივნის ზურაბის ძემან მოძღვართ მოძღვარმან ნიკოლოზ სულთა ჩემთა საკსრად რიცხვით ლიტრა (კვ) თეთრი (იდ) თვესა ოქტომბერსა (ა) ქკს უოდ.

ამ წარწერის შინაარსს ქვემოთ, მომდევნო ზარის წარწერასთან ერთად განვიხილავთ.

8. ბრინჯაოს ზარი, ორად გატეხილი (d—42 სმ.) გადატეხის ადგილას ნაწილი აკლია. ტანი წაკვეთილი კონუსის მოყვანილობისაა; პირი ფართოდ გაშლილი, საგრძნობლად ამობურცული. ზარზე შემოვლებულია რელიეფური ზოლისაგან შედგენილი ექვსი სარტყელი: ერთი პირზე, სამი წელზე და ორი თავზე. ზარს თავზე აქვს ვერტიკალური ღერო და მასთან შეერთებული ოთხი მუხლისებური ყური. იგი გაჩარხული არ არის.

ზარის ქობაზე მოთავსებულია 1786 წელს გაკეთებული ორსტრიქონიანი მხედრული წარწერა. განკვეთილობის ნიშნად ერთი წერტილია ნაბმარი, რაც ყველგან არ ეტყობა.

წარწერა ასე იკითხება:

შემოგწირე ხახულისა ღვთისმშობელო მე ქობულოვს კახთ მდივნის ზურაბის ძემ (ა) ნიკოლოზ მოძღვარ(თ) მოძღვარმან შემდგომი მეორე ზარი. პირველი ზარი წონით ოცდაექვსი ლიტრა და თუმანი (იდ) ფასით და მეორე ესე წონით ლიტრა (ივ) ფასი (ც) ქკს უოდ ნაცვლად მამე მადლი შენი დღესა განკითხვისასა.

როგორც წარწერაშია ნათქვამი, ნიკოლოზ ქობულოვს, ეს მეორე ზარი შეუწირავს ხახულის ღვთისმშობლისათვის. მის მიერ ხახულის ღვთისმშობლისათვის შეწირული პირველი ზარი, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ზარია, რომლის წარწერაშიც ნათქვამია, რომ ნიკოლოზ ქობულოვს შეუწირავს იგი ხახულის ღვთისმშობლისათვის 1786 წელს. ამრიგად, 1786 წ. ნიკოლოზ ქობულოვს ორი ზარი შეუწირავს კახეთის ხახულის ღვთისმშობლისათვის.

არ ვიცით სად მდებარეობდა წარწერაში მოხსენიებული კახეთის ხახულის ღვთისმშობლის ეკლესია.

[24] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 389.

[25] იქვე, გვ. 392.

ნიკოლოზ ქობულოვი ცნობილია სამშენებლო საქმიანობითაც. — 1757 წელს „ბურჯი და საყდარი“ აუშენებია კისისხევში[26].

ჩვენი ზარების წარწერებში მოხსენიებული ზურაბის გარდა XVIII ს-ში, კიდევ რამდენიმე „კახთ მდივანი“ ქობულოვია ცნობილი: 1726 წ. იხსენიება — ონიანი, 1797 წ. — დავითი. XVIII ს-ის ერთ საბუთში — სვიმონი[27]. როგორც ჩანს, ქობულოვების საგვარეულოს სჭერია „კახთ მდივნის“ სახელო XVIII ს-ში.

საყურადღებოა, რომ ნიკოლოზ ქობულოვის მიერ ხახულის ღვთისმშობლისათვის შეწირულ ორივე ზარის წარწერაში აღნიშნულია მათი (ზარების) წონა და ფასი. პირველი ზარის წონა 26 ლიტრა ყოფილა, ხოლო მეორისა — 16 ლიტრა.

ძველ საქართველოში ლიტრის ოდენობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ერთ და იმავე დროს სხვადასხვა ადგილას ლიტრის ოდენობა არ იყო ერთნაირი. მაგ., ქალაქური ლიტრა სოფლურზე ნაკლები ყოფილა[28].

ჩვენ ავწონეთ ნიკოლოზ ქობულოვის მიერ ხახულის ღვთისმშობლისათვის შეწირული პირველი ზარი. იგი 84,5 კგ გამოვიდა. ერთი ლიტრის ოდენობის გასაგებად 84,5 კგ გავყავით 26-ზე და მივიღეთ 3 კგ და 250 გრამი. ამრიგად, ჩვენს ზარზე მოთავსებული წარწერის მიხედვით, 1786 წელს ლიტრის ოდენობა 3 კგ და 250 გრამი ყოფილა.

რამდენადაც ნიკოლოზ ქობულოვის მიერ ხახულის მონასტრისათვის შეწირული მეორე ზარი, ორადაა გატეხილი, და ნაწილი აკლია, ამიტომ მის მიხედვით შეუძლებელია მაშინდელი ლიტრის ოდენობის დადგენა.

აღსანიშნავია მხოლოდ რომ, პირველი ზარის წარწერის მიხედვით, მისი ფასი 14 თეთრია, ხოლო მეორე ზარის წარწერაში პირველი ზარის ფასად მითითებულია 14 თუმანი. ე. ი. გამოდის, „თეთრი“ და „თუმანი“ სინონიმებია.

9. ბრინჯაოს ზარი (h—30, d—24 სმ.), წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის ტანით და მკვეთრად გამობერილი და გაშლილი პირით. ტანს თავსა და ბოლოში წყვილ-წყვილი რელიეფური სარტყელი აქვს შემოვლებული. თავზე მოთავსებულ ღეროს უერთდება მკვეთრმუხლიანი ოთხი ყურა. ზარი ტლანქი ნახელავია. პირი ორ ადგილას მოტეხილი აქვს.

ზარის წელზე მოთავსებულია თავდაყირა ამოჭრილი, 1806 წელს გაკეთებული მხვდრული წარწერა. რამდენიმეჯერ ასო Ო ხაზს ზემოთაა ატანილი, ხოლო Ი დაბლაა ჩატანილი.

წარწერა ასე იკითხება:

წმინდანო სამებაო ერთ არსებასა შინა ცნობილო შენსა წმინდასა
ტაძარსა შემოვწირე ზარი ესე მე ცოდვილმან ბაზიერის
მეუღლე ანა ხანუმა რომელიც სურდა სასურველსა ძესა ჩემსა
გიორგის შემოწირვად შენდა მი(ი)რთუ(ი) ესე ვითარცა მწყალული
ქურივისა ჩემ გლახაკისა სალხინელად სულისა ძისა ჩემისა
და ცოდვათა მიტევებისა ნოემბერსა წელსა ჩუვ

სამების რამდენიმე ეკლესიაა საქართველოში და ამიტომ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანისათვის შეუწირავს ანა ხანუმს ეს ზარი.

---

[26] კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 108.

[27] თ. ჟორდანია, ქრონიკები. 1967, გვ. 11, 419, 439.

[28] ვრცლად იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართულ საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1925, გვ. 100.

10. ბრინჯაოს ზარი (h—25, d—23 სმ.). აქვს მოკლე ცილინდრული ტანი, ამობურცული ქობა და მკვეთრად გაშლილი პირი. ქობაზე შემოვლებულია ერთზოლიანი რელიეფური სარტყელი, წელზე — სამზოლიანი და თავთან ორზოლიანი. თავზე მოთავსებულ მოკლე ღეროს. აქვს ჯვარედინი ჭდე; ღეროსთან შეერთებულია მუხლოვანი ოთხი ყური. ზარის ტანის ზემო ნაწილი შემკულია ქერობინების ოთხი რელიეფური გამოსახულებით; ასეთივე წყვილი და ცალი გამოსახულება მოთავსებულია ცალი მხრიდან წელზე და ქობაზე, ერთ ადგილას ზარის პირი ამოტეხილია.

ზარზე მოთავსებულია 1819 წელს გაკეთებული სამსტრიქონიანი მხედრული წარწერა. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგაა ნახმარი — ორი და სამი წერტილი.

წარწერა ასე იკითხება:

ცხოვრებისა ივნისის(ბ) ჩყ̃ით წელსა ქ. ქალმოწამისა
მარინას ეკლესიას შემოგწირეთ მცირე ესე ძღუიდნი
მაგალითი მკუდართა აღდგომისა მაიორმან და კავალერ-
მან თ̃ ერმოლოს ლუკიანეს ძემან ბარათოვმან ჩემმან
ზაალ და ძმისწულმან ჩემმან ალექსანდრემ სადღეგრძე-
ლოდ ჩვენ და დიდებად საუკუნოს.

არ ვიცით სად მდებარეობდა წარწერაში მოხსენიებული „ქალმოწამისა მარიანას“ ეკლესია.

11. ბრინჯაოს ზარი (h—32, d—27 სმ.). წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის ტანითა და მკვეთრად გამობერილი პირით. ტანს თავსა და ბოლოში წყვილ-წყვილი რელიეფური სარტყელი აქვს შემოვლებული. თავზე მოთავსებულ ცენტრალურ ღეროსთან შეერთებულია მკვეთრმუხლიანი ოთხი ყური.

ზარს ეტყობა ჩამოსხმის წუნი, რის გამოც ცალ მხარეს ჰაერის ორი ნიჟარა — ნახვრეტი აქვს: იქვე ნაპირი გაბზარულია.

ზარის ტანზე მოთავსებულია ქანწილით დაწყებული, ძალიან დაუდევრად და მდარე ხელით შესრულებული სამსტრიქონიანი მხედრული წარწერა. განკვეთილობის ნიშნად, სადაც კი ეტყობოდა, სამი წერტილია ნახმარი.

წარწერა ასე იკითხება:

ქ. შემ(ო)გწირე ყოვლისა შემძლებელს სამების ჩხიკფთისთვისა
(Sic) **მე მეუღლემა აფხაზისამა სოფიომ ჩემთვის ოხრათ სნე-**
ული ვიყავ და განმკურნე დ(ა) მი(ი)ღეთ რაც ქ(ვ)რივის წილი
შევწირე ვინც მაიპაროს იმისი მადლი გაუწყრეს.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XVIII ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს ეს წარწერა.

12. სპილენძის ზარი, მცირე ზომის (h—21, d—18 სმ.), ძალიან ტლანქად ჩამოსხმული. ტანმოკლე, წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის, მცირედ გამობერილი პირით. ტანს თავსა და ბოლოზე შემოვლებული აქვს წყვილ-წყვილი რელიეფური სარტყლები. ამ სარტყლებს შორის, სადა არეზე მოთავსებულია ქანწილით დაწყებული ორსტრიქონიანი მხედრული წარწერა. ზემოდანა აქვს ცენტრალური მოკლე ღერო და მასთან შეერთებული მკვეთრმუხლიანი ოთხი ყური.

წარწერა ასე იკითხება:

შევწირე ჯავახიშვილმა ნინიამ, ქიტესამა, თომამ, დიმიტრიმ, ტეფანემ წმინდის ნიკოლოზის მონასტერს.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIX საუკუნისა უნდა იყოს ეს წარწერა.

არ ვიცით სად მდებარეობს წმ. ნიკოლოზის მონასტერი, რომლისთვისაც ეს ზარი შეუწირავთ ჯავახიშვილებს.

13. ბრინჯაოს ზარი (h—29, d—26 სმ.), ძლიერ კონუსური თავწაკვეთილი. აქვს მოკლე ტანი, თავსა და ბოლოზე შემოვლებული წყვილ-წყვილი რელიეფური სარტყლით, ძლიერ ამობურცული ქობა და ერთი რელიეფური სარტყლით გამოყოფილი, მკვეთრად გაფართოებული პირი. თავზე აქვს ცენტრალური ღერო, ჯვარედინად დაჭდეული თავით და მასთან შეერთებული მკვეთრმუხლიანი ოთხი ყური.

14. ბრინჯაოს ზარი (h—45, d—36 სმ.), წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის, მცირედ გამობურცული და გაფართოებული პირით; თავსა და ბოლოზე შემოვლებული აქვს წყვილ-წყვილი რელიეფური სარტყლები. თავზე აქვს ყუნწისებური ღერო. ცალი ნახვრეტით, და მასთან შეერთებული მორკალული ყური.

ტანზე, სარტყლებს შორის სიმეტრიულად განლაგებულია ტლანქად გამოყვანილი ორი რელიეფური ჯვარი. ცალ გვერდზე ემჩნევა გასახსნელი ყალიბის წიბოს ნაკვალევი. ტანზე, რამდენიმე ადგილას აქვს ნასვრეტები — ჩამოსხმის წუნი.

გორის რაიონი

15. გორისჯვრის ბრინჯაოს ზარი (h—27, d—24 სმ.), დამჯდარი ტანით, თავთან შემოვლებული აქვს წყვილზოლიანი რელიეფური სარტყელი, წელზე — სამზოლიანი, და ქობაზე ერთზოლიანი. ზედა სარტყლებს შორის მოთავსებულია პატარა რელიეფური ჯვარი და მის აქეთ-იქით თითო ქერობინის გამოსახულება. თავზე აქვს ცენტრალური ღერო და მასთან შეერთებული მკვეთრმუხლიანი ოთხი ყური.

თბილისი

16. დიდუბის რკინიგზის სადგურის ზარი, თითბრის (h—40, d—32 სმ.), ტანწვრილი, წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის, ოდნავ გამობერილი ფართოდ გაშლილი პირით. თავთან და წელზე წყვილი რელიეფური ზოლებისაგან შედგენილი თითო სარტყლით; ასეთივე, ოღონდ ერთზოლიანი სარტყელი აქვს ქობაზეც. თავზე აქვს მაღალი ღერო და მასთან შეერთებული სწორკუთხა მუხლოვანი ოთხი ყური.

თელავი

17. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ბრინჯაოს ზარი (h—43, d—36 სმ.), წაკვეთილი კონუსური ტანით, ფართოდ პირგაშლილი; თავთან და პირზე შემოვლებული აქვს წყვილ-წყვილი რელიეფური ზოლებისაგან შედგენილი თი-

თო სარტყელი. თავზე აქვს ღერო და მასთან შეერთებული სწორკუთხა მუხლიანი ოთხი ყური.

ზარზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი მხედრული წარწერა, რომელიც არ იკითხება, რადგან ზარი შეღებილია და წარწერას საღებავი ფარავს.

ქარელის რაიონი

18. სოფ. ურბნისის სამრეკლოს ბრინჯაოს ზარი (h—48, d—43 სმ.), წაკვეთილი კონუსური ტანით, პირგამობერილი, თავთან და ტანზე შემოვლებული აქვს წყვილ-წყვილი რელიეფური ზოლებისგან შედგენილი თითო სარტყელი, ხოლო ქობაზე — ღარისებური სარტყელი. პირი ორიოდე სანტიმეტრის სიმაღლეზე მომტვრეული აქვს. თავზე მოთავსებულია მრგვალი, ვერტიკალური ღერო და მასთან შეერთებული სწორკუთხა მუხლიანი ოთხი ყური.

ფითელფუარის რაიონი

19. სოფ. ზემო მაჩხაანის სკოლის ზარი, პატარა ზომის (გაზომვა ვერ შევძელით), ტანდაბალი, რელიეფურზოლიანი სარტყლებით; თავთან და ქობაზე აქვს თითო ზოლი, ხოლო წელზე — ორი ზოლი, თავზე მოთავსებული ღერო შეერთებულია კუთხოვან მუხლოვანი ოთხი ყურით.

20. სოფ. მირზაანის სკოლის ბრინჯაოს ზარი (h—22, d—22 სმ.), დამჯდარი ტანით, ოდნავ პირგაშლილი. თავთან და წელზე შემოვლებული აქვს წყვილ-წყვილი რელიეფური ზოლებისაგან შედგენილი თითო სარტყელი. თავზე მოთავსებული ცენტრალური ღერო მასთან შეერთებულია კუთხოვან-მუხლოვანი ოთხი ყურით.

21. სოფ. ოზაანის სკოლის ბრინჯაოს ზარი (h—20, d—18 სმ.), ოდნავ პირგაშლილი, თავთან და ქობაზე შემოვლებული აქვს თითო რელიეფური ზოლისაგან შედგენილი სარტყელი, ხოლო წელზე — ორზოლიანი სარტყელი. თავზე აქვს ცენტრალური ღერო და მასთან შეერთებული კუთხოვან-მუხლოვანი ოთხი ყური.

საქართველოში გავრცელებული, დღემდე, შემორჩენილი, ჩვენ მიერ მოძიებული ზარების პირველადი თავმოყრა და აღნუსხვა გვაძლევს რამდენიმე საყურადღებო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.

1. ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ უძველეს ქართულ ზარზე მოთავსებული წარწერა (XV ს.) გვაფიქრებინებს ქართული ზარების ადგილობრივი წარმოების ხანგრძლივ ტრადიციაზე. ამ ზარებს ერთგვარი სიტლანქის მიუხედავად, ჩამოყალიბებული ფორმა აქვთ და მათზე შემორჩენილი გასახსნელი ყალიბის ნაწიბურები გვავარაუდებინებს, რომ ისინი მზადდებოდნენ სერიულად XV ს-ზე ბევრად ადრე. ჩვენს დებულებას ამაგრებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები. ასევე ზარების ადგილობრივი წარმოების კიდევ ერთი დამადასტურებელია თითაძის მიერ დამზადებული ქართული ზარი.

2. აღსანიშნავია, რომ გვიანფეოდალური ხანიდან საქართველოში დიდი რაოდენობით არის შემოტანილი რუსული ზარები. ამის ერთ-ერთი მიზეზი ადგილობრივი მეურნეობის მოშლა და ლითონის ნაკლებობა უნდა იყოს, რასაც შარდენმაც მიაქცია ყურადღება. საქართველოში შემოტანილი პირველი რუსული ზარი, მასზე ამოკვეთილი წარწერის მიხედვით, 1686 წელსაა ჩამოსხმუ-

ლი. რუსული ზარების დიდი ნაწილი XVIII ს-ის II ნახევარსა და XIX ს-ში შემოუტანიათ საქართველოში.

საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, როგორც ჩანს, ადგილობრივ ზარები აღარ ისხმებოდა. ამის საუკეთესო საბუთია თბილისის საეკლესიო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობის დაკვეთით რუსეთში დამზადებული ზარები.

ამგვარად, შედარებით მცირერიცხოვანმა მასალამ უკვე ზოგიერთი, დღემდე უცნობი და ახალი ფაქტი გამოაჩინა. მართალია, ზარების უმრავლესობა დაკარგულია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ საგანგებო ძიების შედეგად შესაძლებელია კიდევ აღმოჩნდეს როგორც ქართული, ისე ქართულწარწერიანი რუსული ზარები, რომლებიც ახალ საყურადღებო ცნობებს მოგვაწვდიან.

В. Г. ЦИСКАРИШВИЛИ

ГРУЗИНСКИЕ КОЛОКОЛА

Резюме

В работе дается краткий обзор истории появления и распространения в Грузии колоколов. Исследуются как хранящиеся в Гос. музее Грузии, так и сохранившиеся в Восточной Грузии грузинские колокола, в количестве 21 ед. Даны краткое их описание, предположительная датировка, чтение имеющихся на них надписей.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა

ნოდარ ლომოური

კვლავ პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის

1962 წ. პროფ. გ. გოზალიშვილმა გამოსცა საკმაოდ მოზრდილი მონოგრაფია „მითრიდატე პონტოელი". 1965 წ. იგივე წიგნი მეორედ გამოვიდა. წიგნის ორ მესამედზე მეტი დათმობილი აქვს პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და მითრიდატე ევპატორის წარმომავლობის პრობლემას. პროფ. გ. გოზალიშვილის კონცეფცია შემდეგში მდგომარეობს: 1. პონტოს სამეფო წარმოიქმნა იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ძველთაგანვე ქართველი ტომები, კერძოდ ხალიბები სახლობდნენ და ესენი ჰქმნიდნენ პონტოს სამეფოს ძირითად მოსახლეობას; 2. მითრიდატე VI ევპატორი, ისევე როგორც მისი წინამორბედი მეფეები, ადგილობრივი მოსახლეობის წრიდან იყვნენ გამოსული და მაშასადამე ეკუთვნოდნენ ქართულ ეთნიკურ სამყაროს.

1979 წ. ჩვენ გამოვაქვეყნეთ ნაშრომი „პონტოს სამეფოს ისტორიისათვის" (რუსულ ენაზე)[2]. რამდენადაც წიგნი საგანგებოდ პონტოს სამეფოს ისტორიას ეძღვნებოდა, იძულებული გავხდით საკმაოდ დაწვრილებით განგვეხილა გ. გოზალიშვილის კონცეფცია. ჩვენ არ დავეთანხმეთ ამ კონცეფციის ძირითად დებულებებს და არსებულ წყაროთა ანალიზის საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ არც ხალიბები, არც სხვა ქართული მოდგმის ტომები არ მოსახლეობდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც თავდაპირველად წარმოიქმნა პონტოს სამეფო; ამდენად, ქართული ტომები არ წარმოადგენდნენ ამ სამეფოს მოსახლეობის შემადგენელ ნაწილს და ვერც მითრიდატიდები ჩაითვლებიან ჩამომავლობით ქართული მოდგმისად. ამასთან, არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ უფრო გვიან ქართული ტომებით დასახლებული ტერიტორია ოანდათან შევიდა პონტოს სამეფოს ფარგლებში და ამის შემდეგ ამ ტომებმა დაიწყეს გარკვეული როლის შესრულება პონტოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

გ. გოზალიშვილმა ჟურნალ „მაცნეში" (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1980 წ., № 3) დაბეჭდა წერილი, რომელშიც დაიცვა თავისი კონცეფცია და მეტად მკაცრი ტონით პასუხი გასცა ჩვენი წიგნის იმ მონაკვეთებს, სადაც მისი დებულებები იყო კრიტიკულად განხილული[3].

წერილში რომ ყველაფერი რიგზე იყოს, ჩვენ არც შეეპაექრებოდით პა-

---

[1] ქვევით ყველგან ვიყენებთ ამ წიგნის მეორე, 1965 წლის გამოცემას.

[2] Н. Ю. Ломоури, К истории Понтийского царства, ч. I, Тб., 1979 (ქვევით ყველგან — „ჩვენი წიგნი").

[3] გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის; რამდენადაც წერილი შეიცავს მხოლოდ პასუხს ჩვენს კრიტიკაზე, ქვემოდ და ყველგან მის დამოწმებას ვიძლევით მოკლედ: „პასუხი".

ტივცემულ მკვლევარს და საკამათო პრობლემის გადაჭრას სპეციალისტთა განსჯას მივანდობდით. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დებულებების კრიტიკულ განხილვას ისე აღუშფოთებია ავტორი, რომ მის წერილში მთლიანად დარღვეული აღმოჩნდა მეცნიერული პაექრობისთვის აუცილებელი ეთიკური ნორმები. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ წერილი სავსეა ჩემს მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ არაკორექტული გამონათქვამებით, პატივცემული მეცნიერი ისეთ ბრალდებებს გვიყენებს, რომ ჩვენ იძულებული ვხდებით მკითხველს, მით უფრო არასპეციალისტ მკითხველს, ზოგიერთი განმარტება მივაწოდოთ. ამას გვაბედვინებს ის გარემოებაც, რომ „მაცნეს“ აღნიშნული სერიის რედკოლეგიამ გ. გოზალიშვილის წერილი დაბეჭდა რუბრიკით: „დისკუსია და განხილვა“ და ამდენად, თვითვე იგულისხმა ამ პრობლემაზე დისკუსია-პაექრობის გაგრძელების შესაძლებლობა.

გ. გოზალიშვილსა და ჩვენს შორის მთავარი სადაო პრობლემა არის ხალიბთა ტომის ადგილსაცხოვრისის საკითხი. რამდენადაც პონტოს სამეფო თავდაპირველად წარმოიქმნა მდ. ჰალისის (აწინდ. ყიზილ-ირმაკის) შესართვის რაიონში და მოიცავდა ამ სექტორში ჰალისის ორივე სანაპიროს, გასარკვევია რომელი ტომები სახლობდნენ შაკი ზღვის სანაპიროს ამ მონაკვეთზე, ჰალისის მარცხნივ და მარჯვნივ. გ. გოზალიშვილს მიაჩნია, რომ ჰალისის შესართავის მიდამოებში, მის ორივე ნაპირზე სახლობდნენ ხალიბები, ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ხალიბები არასოდეს არამცთუ ჰალისის დასავლეთით, არამედ მის მარჯვენა სანაპიროზედაც არ ცხოვრობდნენ; ხალიბთა ადგილსაცხოვრისი ვრცელდებოდა დასავლეთით მდ. თერმოდონტამდე, ე. ი. აწინდელ მდ. თერმე-ჩაიმდე, რომელიც ჰალისის შესართავიდან აღმოსავლეთით დაახლოვებით 160 კმ-ის დაშორებით უერთდება ზღვას. ამასთან ჩვენ ვეყრდნობით მთელი რიგი წყაროების მითითებას, რომ ჰალისის ქვემო დინების დასავლეთით სახლობენ პაფლაგონიელები, ხოლო აღმოსავლეთით — სირიელები (იგივე ლევკოსირიელები, იგივე ასირიელები) და ეს ორი ხალხი მიგვაჩნია პონტოს სამეფოს თავდაპირველი მოსახლეობის შემადგენელ ნაწილად.

ძველ წყაროებში არის ორად ორი ცნობა, რომელიც ხალიბებს მდ. ჰალისის დასავლეთით ათავსებს: ერთი ეკუთვნის ძვ. წ. V ს-ის ისტორიკოსს ჰეროდოტეს, მეორე — I ს-ის კომპილატორ მწერალს პომპონიუს მელას[4]. და სწორედ ეს ცნობებია გ. გოზალიშვილის ძირითადი დასაყრდენი.

უპირველეს ყოვლისა ჰეროდოტეს ცნობის შესახებ. თავისი „ისტორიის“ I წიგნის 28-ე თავში ჰეროდოტეს მართლაც ჰყავს ხალიბები მოხსენიებული იმ ხალხთა შორის, რომლებიც ჰალისის დასავლეთით სახლობენ. მაგრამ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჰ. შტაინმა, გარკვეულ არგუმენტთა საფუძველზე, ტექსტის ეს აღგილი გვიანდელ ინტერპოლაციად მიიჩნია[5]. ეს მოსაზრება

---

[4] პროფ. გ. გოზალიშვილის მტკიცებით არის კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ლ ი კ ო ფ რ ო ნ ი ს ს ქ ო ლ ი ა ს ტ ს ეკუთვნის; ეს უკანასკნელი მას ძვ. წ. 285—247 წლების მოღვაწედ გამოჰყავს („პასუხი“, გვ. 170). სინამდვილეში ცხოვრობდა თვით პოეტი და გრამატიკოსი ლიკოფრონი, ხოლო მისი სქოლიასტი იყო XII ს-ის ბიზანტიელი კომენტატორი, რომელსაც მართლაც აქვს ნათქვამი, რომ ხალიბები ჰაფლაგონიაში არიან, მაგრამ ესოდენ ზოგადი და ესოდენ გვიანდელი ცნობა არ გვგონია სერიოზულ საბუთად გამოდგეს იმის გასარკვევად, კონკრეტულად სად სახლობდნენ ხალიბები ძვ. წ. III—I საუკუნეებში. ყოველ შემთხვევაში პროფ. გ. გოზალიშვილს მკითხველი შეცდომაში არ უნდა შეეყვანა ამ ცნობის რეალური თარიღის საკითხში.

[5] Herodotes erklärt von H. Stein, I. Bd., Berlin, 1883, გვ. 33.

ფაქტობრივად მეცნიერთა უმეტესობის მიერ გაზიარებულია, მხოლოდ ზოგიერთი სპეციალისტი აქ ხალიბების ხსენებას თვით ჰეროდოტეს შეცდომად მიიჩნევს (თ. მიშჩენკო, თ. ყაუხჩიშვილი, მ. მაქსიმოვა და სხვ.). ყოველ შემთხვევაში, ჰეროდოტეს ეს ადგილი მეცნიერებს საეჭვოდ აქვთ მიჩნეული და ხალიბთა ადგილმდებარეობის გარკვევისას, როგორც წესი, არ იმოწმებენ.

გ. გოზალიშვილს მიაჩნია, რომ ჩვენ უგულებელვყავით სამეცნიერო ლიტერატურაში თითქოს-და არსებული მტკიცე აზრი ჰეროდოტეს აღნიშნული ცნობის სანდოობაზე და სხვა წყაროთა ამის დამადასტურებელი მონაცემები და „გაუგონარი სიჯიუტით"(!) უარვყოფთ ჰეროდოტეს ცნობას. მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, პროფ. გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა ზ რ ი თ, ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი ა რ ს ე ბ ობ ს მ ტ კ ი ც ე ა ზ რ ი ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს მ ი ე რ ხ ა ლ ი ბ თ ა ჰ ა ლ ი ს ი ს დ ა ს ა ვ ლ ე თ ი თ მ ო თ ა ვ ს ე ბ ი ს ს ა ნ დ ო ო ბ ა ზ ე. სხვა ადგილას ის უფრო გადაჭრით ამბობს ამასვე: „... ჰეროდოტეს ცნობა თანამედროვე მეცნიერების განკარგულებაში მყოფი დოკუმენტური მასალების მიხედვით, გარდუვალ, ე ჭ ვ მ ი უ ტ ა ნ ე ლ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს შეიცავს („პასუხი", გვ. 172).

ვნახოთ რა მიაჩნია გ. გოზალიშვილს სამეცნიერო ლიტერატურაში ჰეროდოტეს ამ ცნობის სანდოობის აღიარებად:

1. მას მოაქვს ამონაწერი თ. ყაუხჩიშვილის ნაშრომიდან („ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ"): „ხალიბებს (ალიბებს) იცნობს ჯერ კიდევ ძველი ბერძნული ეპოსი. ამდენად სავარაუდებელია, რომ ჰეროდოტე იცნობდა მათ და სრულიად თავისუფლად შეეძლო მათი ხსენება". ეს მიაჩნია პროფ. გ. გოზალიშვილს შტაინის „ჰიპერკრიტიკული აზრის" საწინააღმდეგო დებულებად („პასუხი", გვ. 173). თუმცა ამ ამონაწერიდანაც არ ჩანს, რომ თ. ყაუხჩიშვილი გადაჭრით უჭერდეს მხარს ჰეროდოტეს მიერ ხალიბების ჰალისს გადაღმა მოთავსებას, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პროფ. გ. გოზალიშვილს შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, როცა უმალავს მას თ. ყაუხჩიშვილის ნამდვილ მოსაზრებას ამ საკითხში, მოაქვს რა მხოლოდ ამონაგლეჯი მისი კონტექსტიდან; სინამდვილეში კი თ. ყაუხჩიშვილი, უკეთებს რა კომენტარს ჰეროდოტეს შრომის დასახელებულ ადგილს (I,28), წერს: „თუ ამ ადგილას შეცდომა არ გვაქვს და ნამდვილად „ხალიბები" არიან ხსენებული, უ ნ დ ა გ ა ვ ი ზ ი ა რ ო თ თ. მ ი შ ჩ ე ნ კ ო ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა: „Халибы... жили по ту а не сю сторону р. Галиса, т. е. там куда не простирались завоевания Креза". ამასთან უნდა დავძინოთ ისიც, რომ შტაინის აზრით, მთელი მეორე ნაწილი ამ ციტატისა... არის უფრო გვიანდელი ჩანართი". და უფრო ქვეკით, გ. გოზალიშვილის მიერ მოტანილი სიტყვების შემდეგ: „გეოგრაფიული პერსპექტივი მას (ჰეროდოტეს) საერთოდ ცოტა დარღვეული აქვს. ამდენად ხალიბები ჰალისის აქეთ არიან თუ იქით, შეიძლება მან ზუსტად ვერ განსაზღვრა"[6].

რას ნიშნავს ეს? ნუთუ იმას, რომ თ. ყაუხჩიშვილი ჰეროდოტეს ამ ცნობას სანდოდ მიიჩნევს?!

2. გ. გოზალიშვილი გვიპირისპირებს მ. მაქსიმოვას ნაშრომებიდან («Античные города Юго-восточного Причерноморья», Ксенофонт, Анабазис, перевод... М. И. Максимовой») ამონაწერებს, სადაც მეცნიერი აღნიშნავს, რომ ქ. სინოპე ადგილობრივი ტომების ტერიტორიაზე წარმოიქმნა,

[6] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960, გვ. 33.

ხოლო ხალიბები სამხრეთ-აღმოსავლეთ შაკიზღვისპირეთის მკვდარი მოსახლეობა იყო („პასუხი“ გვ. 172). მაგრამ ამ ორ დებულებას ხომ არავითარი კავშირი არა აქვს ერთმანეთთან, რამდენადაც სინოპე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ მდებარეობს. მ ა გ რ ა მ ყ ვ ე ლ ა ზ ე გ ა ს ა ო ც ა რ ი ი ს ა ა, რ ო მ მ. მ ა ქ ს ი მ ო ვ ა ე რ თ-ე რ თ ი ი მ მ ე ც ნ ი ე რ თ ა გ ა ნ ი ა, რ ო მ ლ ე ბ ი ც გ ა დ ა ჭ რ ი თ ე მ ხ რ ო ბ ი ა ნ შ ტ ა ი ნ ი ს მ ო ს ა ზ რ ე ბ ა ს; ი გ ი გ ა რ კ ვ ე ვ ი თ უ ა რ ყ ო ფ ს ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს ა ღ ნ ი შ ნ ულ ი ც ნ ო ბ ი ს ს ა ნ დ ო ო ბ ა ს დ ა ხ ა ლ ი ბ ე ბ ი ს ჰ ა ლ ი ს ი ს დ ა ს ა ვ ლ ე თ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს. ამას ხომ თვით პროფ. გ. გოზალიშვილი თავის „პასუხშიც“ აღნიშნავს; იგი წერს: „შტაინის ეჭვი უყოყმანოდ გაიზიარა მ. მაქსიმოვამ, რის საფუძველზეც მცდარად ჩათვალა ყველა პირველწყაროს ცნობა ხალიბების მდ. ჰალისის დასავლეთით მოსახლეობისშესახებ“ („პასუხი“, გვ. 173). მაშ. როგორ მოხდა, რომ სწორედ მაქსიმოვას მოსაზრებას უპირისპირებს გ. გოზალიშვილი ჩვენსას?!

8. ასეთივე რიგისაა გერმანელ მეცნიერთა ო. ბლაუს და კ. რიტერის მოსაზრებანიც: ისინი მართლაც აღნიშნავენ, რომ სინოპეში იმთავითვე არაბერძნული მოსახლეობა იყო, მაგრამ არც ერთი სიტყვა არა აქვთ ნათქვამი იმაზე, რომ ეს ადგილობრივი მოსახლეობა ხალიბები იყვნენ. გ. გოზალიშვილს ო. ბლუას ნაშრომი, როგორც ჩანს, საერთოდ არ წაუკითხავს, თორემ ნახავდა, რომ ეს უკანასკნელი იმ ადგილობრივ ელემენტში, რომელიც მისი აზრით ძვ. წ. IV ს-დან სინოპში დაწინაურდა, გულისხმობს არამეულ-სირიულ და სპარსულ ელემენტს, ხოლო ხალიბები მთელ ნაშრომში ერთხელაც არა აქვს ნახსენები[7]. რაც შეეხება კ. რიტერს, მცირე აზიის აღწერისას იგი სრულიად გარკვევით ხალიბებს ათავსებს მდ. თერმე-ჩაის (ძველი თერმოდონტის) აღმოსავლეთით, ქალაქების უნიესა და ორდუს მიდამოებში[8]: ხოლო სინოპესთან დაკავშირებით ხალიბებს მხოლოდ იმ კონტექსტში ახსენებს, რომ ამ ქალაქს სავაჭრო კავშირი ჰქონდა ხალიბებთან და ამ ვაჭრობის უკეთ ორგანიზაციისათვის მათ ტერიტორიაზე დააარსა ქალაქები კოტიორა და კერასუნტი[9].

მთავარი ბრალდება, რომელსაც გვიყენებს პატივცემული მკვლევარი, ის გახლავთ, რომ მე თურმე არ ვიცნობ „თანამედროვე მეცნიერების განკარგულებაში მყოფ დოკუმენტურ მასალებს“, რომელთა მიხედვით ჰეროდოტეს ცნობა „გარდაუვალ, ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებას შეიცავს („პასუხი“, გვ. 172), ჩვენ თურმე ამ „უნიკალურ აკადემიურ მოვლენას“ „შეგნებულად აუარეთ გვერდი და დუმილით მივიჩქმალეთ“ (იქვე, გვ. 176). ეს ბრალდება მას რუსულ რეზიუმეშიც აქვს გატანილი: «Н. Ломоури необдуманно обходит данные советской историографии последних времен, по которым твердо можно установить, что означенное место в тексте Геродота является неоспоримым»... („პასუხი“, გვ. 190.)

ეს „უნიკალური დოკუმენტური მასალები“ არის თურმე ის მონაცემები, რომლებიც მოკლე ინფორმაციის სახით გ. სტრატანოვსკიმ დაურთო ჰეროდოტეს „ისტორიის“ რუსული თარგმანის 1972 წლის გამოცემას. აქ აღნიშნულია.

---

[7] O. Blau, Beiträge zur phönikischen Münzkunde, «Zeitschrift der deutsch-morgenländischen Gesellschaft,» IX Band, 188, გვ. 82—91.

[8] C. Ritter, Die Erdkunde, Theil XVIII, 3. Buch, 1. Bd., Berlin, 1958,

[9] იქვე, გვ. 773—794.

რომ არსებობს ჰეროდოტეს ნაშრომის X—XV სს. მრავალი ხელნაწერი, რომლებშიც კითხვასხვაობები დიალექტური ხასიათისაა და იშვიათად შეიცავს აზრობრივ განსხვავებებს; ამდენად, ამ ხელნაწერთა შეჯერება საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ტექსტი, რომელიც პრაქტიკულად არ განსხვავდება იმისგან, რომელიც ხელთ ჰქონდა ჰეროდოტეს უმცროს თანამედროვეს — თუკიდიდეს. აქვეა აღნიშნული, რომ XX ს-ის დასაწყისში აღმოჩნდა ჰეროდოტეს ნაწყვეტები პაპირუსებზე, რომელთაც დაადასტურეს შუა საუკუნეთა ხელნაწერების სანდოობა და რომ ამ ნაწყვეტთაგან უძველესია I—II საუკუნეებით დათარიღებული პაპირუსი, რომელიც შეიცავს I წიგნის 115—116 თავებს[10].

რამდენადაც ყველაფერი ეს გ. გოზალიშვილმა, როგორც ჩანს, საბჭოთა სპეციალისტის გ. სტრატანოვსკის 1972 წლის გამოცემაში მოთავსებული ინფორმაციიდან გაიგო, მან ეს მიიჩნია საბჭოთა ისტორიოგრაფიის უკანასკნელი ხანების მიღწევად. სინამდვილეში ეს ყველაფერი კარგა ხანია ცნობილია და საბჭოთა ისტორიოგრაფია აქ არაფერ შუაშია. ჯერ კიდევ ჰ. შტაინის 1861—1881 წლების ხუთტომიან გამოცემაში 46 ხელნაწერია გათვალისწინებული, ხოლო პაპირუსებზე შენახული ნაწყვეტები 1908 წ. გამოსცა კარლ ჰუდემ[11].

მაგრამ ეს არაა მთავარი. სად ხედავს გ. გოზალიშვილი აქ „დოკუმენტურ მასალას“ ან „უნიკალურ აკადემიურ მოვლენას“, ჩვენთვის სრულიად გაუგებარია. ჩვენ ხელთ რომ იყოს პაპირუსთა ნაწყვეტებში I წიგნის 28-ე თავი იმ სახით, როგორც ის მერმინდელ ხელნაწერებშია, მაშინ კიდევ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ გვაქვს დადასტურება ტექსტის ამ ადგილის უცვლელობისა, აუთენტურობისა, მაგრამ რამდენადაც ამგვარი არ გაგვაჩნია, აქ არავითარ „დოკუმენტურ მასალაზე“ ლაპარაკი არ შეიძლება. მაგრამ იმ შემთხვევაშიც ძალაში დარჩებოდა შესაძლებლობა თვით ჰეროდოტეს შეცდომისა.

ამრიგად, თვით გ. გოზალიშვილის მიერ დამოწმებულ ავტორთაგან არც ერთი არ ადასტურებს ჰეროდოტეს მოცემული ტექსტის სანდოობას; ნაწილი, პირიქით, უარყოფს ამ ცნობის ჭეშმარიტებას (თ. ყაუხჩიშვილი, მ. მაქსიმოვა), კ. რიტერი ხალიბებს თერმოდონტის აღმოსავლეთით ათავსებს, ო. ბლაუ საერთოდ არ ახსენებს ხალიბებს და სინოპის უძველეს ადგილობრივ მოსახლეობად ასურელები და სირიელები მიაჩნია, ხოლო გ. სტრატანოვსკის ინფორმაციას საერთო არაფერი აქვს ხალიბთა განსახლების პრობლემასთან.

ამასთან ერთად გ. გოზალიშვილი ამტკიცებს, რომ თითქოს ჰეროდოტეს აღნიშნული ცნობის ჭეშმარიტებას სხვა ანტიკური წყაროებიც ადასტურებენ და ჩამოთვლის მათ: ესაა ლიკოფრონის სქოლიასტი, პომპონიუს მელა, სტრაბონი, ჰეკატე მილეტელი და სკილაქს კარიანდელი.

ლიკოფრონის სქოლიასტზე ჩვენ ზევით უკვე გვქონდა ლაპარაკი და მეთოდოლოგიურად გაუმართლებლად მიგვაჩნია XII ს-ის კომენტატორის ძალზე ზოგადი ხასიათის ცნობის მოშველიება ძვ. წ. III—I სს-ის ეთნიკური გეოგრაფიის გასარკვევად.

პომპონიუს მელას მართლაც აქვს აღნიშნული, რომ სინოპე და ამისო ხალიბების ტერიტორიაზე მდებარეობენ (chorographia, I, 19). მაგრამ სამე-

---

[10] Геродот, История, перевод и примеч. Г. А. Становского, Л., 1972, зд. 500.

[11] Herodotos, erklärt von H. Stein, fünf Bde, Berlin, 1866—1881; Herodoti Historiae, rec. C. Hude, Oxonii, tomus I—II, 1908.

ცნიერო ლიტერატურაში ეს ცნობა საეჭვოდაა მიჩნეული (მ. მაქსიმოვა), რადგან ის ეწინააღმდეგება ყველა დანარჩენი ანტიკური მწერლის მონაცემებს ხალიბთა ადგილსაცხოვრისის შესახებ. ჩვენც ვიზიარებთ ამ ეჭვს იმავე საფუძველზე და ჩვენი მხრით დავუმატებთ, რომ პომპონიუს მელას „ხოროგრაფია“ კომპილაციური ხასიათის ნაშრომია და მას ტომთა განსახლების განსაზღვრაში სხვაგანაც მოსდის შეცდომები. ასე მაგალითად, პომპონიუს მელას აზრით, აქეელები და მოსხები კასპიის ზღვის ზევით ცხოვრობენ, ხოლო მიდიელები, არმენიელები და კომაგენელები — შავ ზღვასთან (Chronogr., I, 13)[12]. თავისთავად ცხადია, ძნელია ენდო ასეთ ავტორს ამა თუ იმ ტომის ადგილსაცხოვრისის განსაზღვრისას, მით უფრო თუ მის ცნობებს ეწინააღმდეგება ყველა სხვა მონაცემი.

ახლა ვნახოთ რას გვაძლევენ ხალიბთა ლოკალიზაციისათვის პროფ. გ. გოზალიშვილის მიერ დამოწმებული სხვა წყაროები:

1. სტრაბონი: მის მონაცემთა მოშველიება თავისი კონცეფციის დასადასტურებლად გ. გოზალიშვილმა წიგნშიც სცადა, ამიტომ ჩვენ საკმაოდ ვრცლად შევეხეთ სტრაბონის ცნობების განხილვას და მისი გამეორება ამჟამად შორს წაგვიყვანს. გავაანალიზეთ რა სტრაბონის საკმაოდ მრავალრიცხოვანი მონაცემები ხალიბების შესახებ, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ სტრაბონის ცნობებით ხალიბები სახლობდნენ არამცთუ ჰალისის დასავლეთით, არამედ ქ. ამისოსაგან შორს აღმოსავლეთით, ფარნაკიის მიდამოებში[13]. შევეხებით აქ მხოლოდ იმ კონტექსტს, რომელიც პროფ. გ. გოზალიშვილს მოაქვს ამჯერად თავის „პასუხში“ როგორც მაგალითი იმისა, რომ სტრაბონიც თითქოს ხალიბების ჰალისის დასავლეთით მოსახლეობას უჭერს მხარს. ესაა სტრაბონის „გეოგრაფიის“ XIV წიგნის მე-5 თავის § 24. ეს ადგილი, პროფ. გ. გოზალიშვილის აზრით, მოწმობს, რომ ხალიბები ცხოვრობენ ჰალისის დასავლეთით („პასუხი“, გვ. 170); მეორე ადგილას იგი აღნიშნავს, რომ ამასვე მოწმობს „სტრაბონის აკადემიური დაცა ეფორესთან ხალიბების სინოპეს მიმართულებით მოსახლეობაზე“ (იქვე, გვ. 173). ვნახოთ მითითებული კონტექსტი; სტრაბონი წერს: „... უნდა ვკითხოთ ეფორეს, რატომ ათავსებს იგი ნახევარკუნძულის შიგნით ხალიბებს, რომლებიც მოსახლეობენ ესოდენ შორს აღმოსავლეთით სინოპესა და ამისოსაგან“ (strabo, XIV,5,24)[14]. ნუთუ ვინმეს შეიძლება მოუვიდეს აზრად, რომ სტრაბონის ეს ადგილი მოწმობს ხალიბების ჰალისის დასავლეთით, ან თუნდაც „სინოპეს მიმართულებით“ მოსახლეობაზე? პირიქით, სწორედ ეს ადგილი არის ერთ-

[12] დაწვრილებით იხ. ჩვენი წიგნი, გვ. 124—125; სპეციალისტთა საერთო აზრით, პომპონიუს მელას ნაშრომი შედგენილია სხვადასხვა დროის და განსვავებული ხასიათის წყაროთა საფუძველზე და მათი მონაცემები ხშირად მექანიკურადაა გაერთიანებული, ამიტომ იგი საგანგებო კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს (იხ. ა. გამყრელიძე, პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“. ნაკ. 1, 1965, გვ. 13). ზოგიმკვლევარი პომპონიუსის ნაშრომს საერთოდ უარყოფით შეფასებას აძლევს: Дж. О. Томсон, **История древней географии**, М., 1953, გვ. 321—322.

[13] იხ. ჩვენი წიგნი, გვ. 126—133.

[14] გ. სტრატანოვსკი ამ ადგილს ასე თარგმნის: «...почему тот помещает халибов внутри полуострова, тогда как они находятся так далеко к востоку от Синопы и Амиса», Страбон, **География в 17 книгах**. М., 1964, გვ. 632.

ერთი მკაფიო მოწმობა, რომ სტრაბონით ხალიბები ჰალისიდან შორს აღმოსავლეთით სახლობენ.

2. ჰეკატე მილეტელი. მის შემორჩენილ ფრაგმენტებში აღნიშნულია მხოლოდ, რომ „ხალიბებს სამხრეთიდან არმენიელები ესაზღვრებიან“ (ფრ. 195) და ვარდა ამისა, მას დასახელებული აქვს მათი ქალაქი სტამენე (ფრ. 196). ჩვენ საერთოდ არ გვესმის, რისთვის მოაქვს პროფ. გ. გოზალიშვილს ჰეკატეს ცნობა იმის შესახებ, რომ ხალიბებს აქვთ ქალაქი სტამენე, ან ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობა, რომ მათ აქვთ ნავთსადგური გენეტისი? ეს ორი პუნქტი რომ ჰალისის დასავლეთით იყოს, მაშინ გასაგები იქნებოდა ამ ცნობების დამოწმება, მაგრამ ორივე ამ პუნქტის ლოკალიზაცია ხდება იაზუნ-ბურუნის კონცხზე, რომელიც არა მარტო ჰალისის შესართავის, არამედ მდ. თერმოდონტის აღმოსავლეთითაც მდებარეობს[15]. რაც შეეხება პირველ ფრაგ-მენტს, არ გვგონია ჰალისის დასავლეთით შეიძლებოდეს ლოკალიზება იმ ტო-მისა, რომელსაც სამხრეთიდან არმენიელები ესაზღვრებიან. ამასადამე, ჰეკატე მილეტელის ცნობები არამცთუ არ უჭერენ მხარს პროფ. გ. გოზალიშვილის კონცეფციას, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგებიან მას.

3. სკილაქს კარიანდელი. ამ ავტორს რა ცნობები ჰქონდა ხალიბების შესახებ, ან საერთოდ ჰქონდა თუ არა, ჩვენ არ ვიცით, რადგან მი-სი ნაშრომის მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული. უნდა აღი-ნიშნოს, რომ პროფ. გ. გოზალიშვილი საერთოდ ვერ გაერკვა სკილაქს კარია-ნდელის პრობლემაში: ერთგან იგი აღნიშნავს, რომ „სკილაქს კრიანდელის (ძვ. წ. IV ს.) მოწმობით, ხალიბებს აქვთ დახურული ნავთსადგური გენეტი („პა-სუხი“, გვ. 170). მიორეგან იგი ამ ცნობას ისევ სკილაქს კარიანდელს მიაწერს, მაგრამ მას უკვე ჰეროდოტეზე ადრინდელ (ძვ. წ. VI ს.) ავტორად აცხადებს (იქვე, გვ. 174). აქ ყველაფერი არეულია: სკილაქს კარიანდელი ძვ. წ. VI ს. მოღვაწე იყო, მაგრამ მისი თხზულების შემორჩენილ ფრაგმენტებში ხალიბე-ბის ხსენება საერთოდ არაა. ხოლო ზემომოტანილი ცნობა ეკუთვნის ძვ. წ. IV ს. უცნობ ავტორს, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „ფსევდო-სკი-ლაქსის“ სახელი დაუმკვიდრდა[16]. აი სწორედ ამ ფსევდო-სკილაქსს აქვს ცნო-ბები შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ტომების შესახებ. იგი აღწერს ჯერ ჩრდი-ლოეთ შავიზღვისპირეთში სანაპიროზე მოსახლე ტომებს, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოპყვება, შემდეგ აღმოსავლეთ სანაპიროზე კოლხებს ასახელებს, ხოლო მერე, უკვე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროთა გასწვრივ ჩამოთვლის ბიძერებს, ეკეხეირიელებს, ბეხეირებს, მაკრო-კეფალებს, მოსინიკებს, ტიბარენებს, ხალიბებს, ასირიელებს და ამ უკანას-კნელთა მიწა-წყალზე ასახელებს მდ. თერმოდონტს, ხოლო მათ შემდეგ პაფლა-გონიელებს (Ps. Scyl., Periplus, fr. 70—90). ჩვენს წიგნში მოტანილ ამ ცნო-ბას გ. გოზალიშვილი ასეთ კომენტარს უკეთებს: „მაგრამ ეს ცნობა იმას არ გუ-ლისხმობს, რომ სირიელები ხალიბებისა და პაფლაგონიელებს შორის ცხოვრობენ. არც ერთ ძველ ცნობაში ამის მსგავსი არა არის რა. ყველგან მხოლოდ იმაზეა ლაპარაკი, რომ ხალხები დაპაფლაგონიე-ელები უშუალო მეზობლები არიან („პასუხი“, გვ. 174).

[15] ВДИ, 1947, № 3, გვ. 243.
[16] თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, 1976,

ჯერ ერთი, ფსევდო-სკილაქსის ცნობის სხვაგვარად გაგება, თუ არა ისე, რომ სირიელები ხალიბებსა და პაფლაგონიელებს შორის ცხოვრობენ, სრულიად გამორიცხულია. პროფ. გ. გოხალიშვილს, როგორც ჩანს, ძველველობიდან გამორჩა, რა ხასიათის ნაშრომია ფსევდო-სკილაქსის თხზულება, რომ ეს არის ე. წ. „პერიპლუსი“, ე. ი. ზღვის სანაპიროთა აღწერა, სადაც ერთმანეთის მიყოლებით არიან დასახელებული ერთმანეთის მეზობლად მოსახლე ტომები; მაშასადამე აქ ჩამოთვლის თანამიმდევრობა ნიშნავს განსახლების თანამიმდევრობასაც[17]. როდესაც რომელიმე წყაროს მონაცემებით ვსარგებლობთ მეცნიერული კამათის დროს, ის ხომ მაინც უნდა ვიცოდეთ — ვინაა ამ წყაროს ავტორი, როდინდელია და რა ხასიათისაა ეს თხზულება!

მეორეც, არაა მართალი თითქოს „არც ერთ ძველ ცნობაში ამის მსგავსი არა არის რა“ და რომ „ყველგან მხოლოდ იმაზეა ლაპარაკი, რომ ხალიბები და პაფლაგონიელები უშუალო მეზობლები არიან“.

წყაროთა უმეტესობაში სწორედ ის ჩანს, რომ პაფლაგონიელთა უშუალო მეზობლები სირიელები (ასირიელები, ლევკოსირიელები) არიან, ხოლო ხალიბები უკანასკნელთა აღმოსავლეთით ცხოვრობენ. თვით ჰეროდოტე ორზგის აღნიშნავს, რომ მდ. ჰალისი საზღვრავს ერთმანეთისაგან პაფლაგონიელებს და სირიელებს (*1,6; 1,72*); იგივე ცნობაა სტრაბონთან (XIII, 3, 9); ჰეკატე მილეტელით ქალაქი ხადისია ლევკოსირიელებს ეკუთვნის (იხ. Steph. Byzant., „Χαδισία“), ხოლო ეს უკანასკნელი მდებარეობდა ჰალისსა და მდ. ირის (აწინდ. ეშილ-ირმაკს) შორის, მაშასადამე ლევკოსირიელები სახლობდნენ მდ. ჰალისის აღმოსავლეთით ვიდრე თერმოდონტამდე, ხალიბები კი, იმავე ჰეკატეს მიხედვით, თერმოდონტის აღმოსავლეთით ჩანან[18], აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. III ს.) გვაძლევს იმავე სურათს, რაც არის ფსევდო-სკილაქსთან: მისი აღწერთი არგონავტები პაფლაგონიის შემდეგ მივიდნენ ასირიელთა მიწაზე, შემდეგ შევიდნენ თერმოდონტის შესართავში, აქედან წასულნი კი მხოლოდ მეორე დღეს მიადგნენ ხალიბთა მიწას (Argon., II, 940—1005). რა არის ეს? განა ყველა ეს წყარო, დაწყებული ჰეკატე მილეტელით და დამთავრებული სტრაბონით, არ ადასტურებს, რომ პაფლაგონიელთა უშუალო მეზობლები არიან სირიელები, ხოლო ხალიბები ამათგან უფრო აღმოსავლეთით ცხოვრობენ?!

გარდა ზემომოყვანილი ავტორებისა, ხალიბების თერმოდონტის აღმოსავლეთით მოსახლეობას ადასტურებენ აგრეთვე პლინიუსი (Natur. Hist.. VI, II), ვალერიუს ფლაკუსი (Argonaut., IV, 600 და შემდ.), დიონისე პერიეგეტი (Perieg., 768).

გვ. 80—81; P. Fabre, La date de rédaction du périple de Scylax, «Les études classiques», Namur, XXXIII, 1965, გვ. 353—366

[17] შეად. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 81.

[18] ნ. ხაზარაძე, ჰეროდოტე და მატიენების ლოკალიზაციის საკითხი, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 2, გვ. 127—128.

ამრიგად, ყველა იმ ძველ წყაროთა მონაცემებით, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროს ეთნიკურ რუკას ეხებიან, მხოლოდ ორად ორი ცნობა (ჰეროდოტეს შრომის ერთი ადგილი და პომპონიუს მელას „ხოროგრაფია“) ათავსებს ხალიბებს ჰალისის დასავლეთით და ეს ორი ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში საეჭვოდაა მიჩნეული; ხოლო ყველა დანარჩენი ავტორი (ჰეკატე მილეტელი, ქსენოფონტი, ფსევდოსკილაქსი, აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი, პლინიუსი, დიონისე პერიეგეტი, ვალერიუს ფლაკუსი) ერთხმად, შეთანხმებულად და სავსებით გარკვეულად ათავსებენ ხალიბებს არა მარტო ჰალისის, არამედ ამ უკანასკნელის აღმოსავლეთით ზღვაში ჩამდინარე მდ. თერმოდონტის აღმოსავლეთითაც.

მაშ როგორ მოვიქცეთ, ვის ვენდოთ? ორ განცალკევებით მდგარ და საეჭვოდ მიჩნეულ ცნობას, თუ ყველა დანარჩენ შეთანხმებულ და გარკვეულ ცნობას სულ ცოტა რვა ავტორისა? დაე ამ საკითხზე თვით მკითხველმა გასცეს პასუხი და მანვე განსაზღვროს, მართლაც „აბსურდულია“ ჩვენი დასკვნები იმის შესახებ, რომ ხალიბები მდ. ჰალისის სანაპიროზე (მით უფრო მის დასავლეთით) არ ცხოვრობდნენ, თუ ეს დასკვნა არსებულ წყაროთა ყოველმხრივი ანალიზიდან გამოდის! ან ჩვენ „ავყარეთ წინდაუხედავობით“ (პასუხი, გვ. 178). ხალიბები სინოპის რეგიონიდან, თუ, არსებულ წყაროთა თანახმად, მათ იქ არასდროს უცხოვრიათ!?

ამრიგად აღმოჩნდა, რომ არც სამეცნიერო ლიტერატურაშია ხალიბთა ჰალისის დასავლეთით მოსახლეობა აღიარებული და წყაროთა გადამწყვეტი უმრავლესობაც სწორედ ამის საწინააღმდეგო მონაცემებს შეიცავს. გ. გოზალიშვილი, ცხადია, შეიძლება კვლავ თავის პოზიციაზე დარჩეს, მაგრამ რა საჭიროა ჩვენთვის ისეთი არგუმენტების დაპირისპირება, რომლებიც არ არსებობს!

ამაზე შეიძლებოდა გ. გოზალიშვილის „პასუხის“ განხილვა დაგვემთავრებინა, მაგრამ მასში ჩვენს მიმართ ისეთი ბრალდებებია წამოყენებული, რომელთა რეაგირების გარეშე დატოვება შეუძლებელია.

ასე მაგალითად, გ. გოზალიშვილი რამდენჯერმე „გვიჭერს“ იმაში, რომ ჩვენ თითქოს საკუთარსავე დასკვნებს ვეწინააღმდეგებით. კერძოდ, ვამტკიცებთ, რომ სირიელები ჰალისის აღმოსალეთით სახლობენ, ხოლო ძერე ვიეიწყებთ ამ ჩვენს დასკვნას და სირიელებს ჰალისის დასავლეთითაც ვათავსებთ, რადგან მოგვყავს ჰეროდოტეს სიტყვები, რომ ლიდიის მეფე კრეზოსმა პტერიაში დაიბანაკა და ხელი მიჰყო სირიელთა მინდვრების აოხრებას. „ეს, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მოსახლე, სირიელები როგორ გაჩნდნენ მარცხენა სანაპიროზე, სადაც მათ მინდვრებს აოხრებს პტერიასთან დაბანაკებული კრეზი? — გაკვირვებული კითხულობს გ. გოზალიშვილი („პასუხი“, გვ. 177). მაგრამ გაკვირვების საფუძველი სწორედ ჩვენ გვაქვს! სადაა აქ წინააღმდეგობა? რატომ არ შეეძლო ქ. პტერიაში მოსულ კრეზოსს ჰალისის აღმოსავლეთით, ე. ი. მის მარჯვენა სანაპიროზე მოსახლე სირიელთა მიწების აოხრება? დასკვნა ერთია: პატივცემულმა მკვლევარმა არ იცის სად მდებარეობდა ქ. პტერია; მას იგი ჰალისის დასავლეთით ჰგონია. სინამდვილეში კი პტერია მდებარეობდა სწორედ ჰალისის აღმოსავლეთით, თანამედროვე ბოღაზ-კოის მახლობ-

ლად[19]. როდესაც კოლეგას მეცნიერული მეთოდოლოგიის დარღვევას ვსაყვედურობთ გარკვეულ ცნობაზე დაყრდნობით, ის ხომ მაინც უნდა ვიცოდეთ ამ ცნობაში მოხსენიებული პუნქტი სად მდებარეობს!

მეორე მაგალითი, რომელიც, გ. გოზალიშვილის აზრით, მოწმობს, რომ ჩვენ საკუთარ დასკვნებს ვეწინააღმდეგებით, ეხება მითრიდატიდების ეთნიკური წარმომავლობის საკითხს. ვეყრდობით რა არსებულ წყაროთა მონაცემებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მითრიდატიდები სპარსული წარმომავლობის დინასტია იყო, მაგრამ ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ «...конечно же Митридат VI был во всех отношениях понтийцем, безотносительно его генеалогии». აი სწორედ აქ ხედაკს გ. გოზალიშვილი იმის მაგალითს რომ ჩვენ „თავს ვერ ვაღწევთ ჩვენთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობას“ („პასუხი“, გვ. 188).

ფრიად სამწუხაროდ გვეჩვენება, რომ ისტორიკოსი საჭიროებს იმის განმარტებას, თუ როგორ შეიძლება წარმომავლობით სპარსელი იყოს ამავ დროს „ყველა თვალსაზრისით პონტოელი“. განა ისტორიამ ცოტა მაგალითი იცის იმისა, რომ გენეტიკურად რომელიმე ეთნიკური წრიდან ჩამომავალი ადამიანი, როგორც მოღვაწე სულ სხვა ეთნიკურ წრეს ეკუთვნის? რომ მას გაწყვეტილი აქვს კავშირი თავის წარმომავლობით ეთნოსთან და კულტურულ-პოლიტიკურად, ეროვნული თვითშეგნებით და მოღვაწეობით მთლიანად ეკუთვნის სხვა ეთნოსს?! მითრიდატე VI მერვე მეფე იყო პონტოსი, მისი დინასტია 200 წლის მანძილზე მეფობდა აქ, ხოლო ამ დინასტიის წინამორბედნი უფრო ადრეც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ამ რეგიონში; განა რა არის აქ უჩვეულო და არაკანონზომიერი, რომ მითრიდატიდებს დაეკარგათ ყოველგვარი კავშირი იმ ეთნიკურ სამყაროსთან, რომელსაც ეკუთვნოდნენ წარმომავლობით და „ყველა თვალსაზრისით პონტოელები“ გამხდარიყვნენ? და მით უმეტეს ელინისტურ ეპოქაში, როცა ელინიზაციის საფუძველზე ესოდენ ძალუმად მიდიოდა ეროვნებათა ნიველირების პროცესი.

რაკიღა მითრიდატიდების ეთნიკურ წარმომავლობაზე ჩამოვარდა საუბარი, აქვე აღვნიშნავთ, რომ პროფ. გ. გოზალიშვილი აქაც იმავე გზებითა და მეთოდებით გვეპაექრება, როგორც ხალიბების ჰალისის დასავლეთით განსახლების საკითხზე.

გ. გოზალიშვილი თავის წიგნში ცდილობს დაამტკიცოს, რომ მითრიდატიდები „ქართველ ტომთა ნაშიერნი“ იყვნენ. ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, რამდენადაც, ჩვენი ღრმა რწმენით, იმ რეგიონში, სადაც წარმოიქმნა პონტოს სამეფო, ქართული მოსახლეობა არ იყო. თავის „პასუხში“ პატივცემული მკვლევარი კვლავ ამტკიცებს, რომ „არ არსებობს ა რ ც ე რ თ ი უ ძ ვ ე ლ ე ს ი წ ყ ა რ ო, რომელიც პ ი რ დ ა პ ი რ მ ი უ თ ი თ ებ დ ე ს მითრიდატე ევპატორის სპარსულ წარმომავლობაზე“ („პასუხი“, გვ. 184, ხაზგასმა ჩვენია, **ნ. ლ.**).

ჯერ ერთი, გ. გოზალიშვილის ამ განცხადების საფუძველზე მკითხველს

[19] ეს ჩანს თუნდაც თვით ჰეროდოტეს ცნობიდან, რომ კრეზოსმა ჰალისზე გადასვლის შემდეგ მიაღწია პტერიას (Herod., I, 76); იხ. აგრეთვე რომელიც ვნებავთ ისტორიული რუკა, რომელიც ჰეროდოტეს მონაცემებს ითვალისწინებს, მაგალითად, გ. სტატანოვსკის რუსული თარგმანის გამოცემისათვის დართული რუკა ან: Die Welt der Antike (Atlas antiquus), bearb. von. Dr. A. van Kampen, იხ. რუკა 7 (Asia Minor).

შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მითრიდატიდების ქართულ წარმომავლობაზე არსებობს უდავო წყაროები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ამაზე. სინამდვილეში ასეთი წყაროები არც უდავო, და არც სადავო, არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი არ არსებობს. მითრიდატიდების ქართულ წარმომავლობას თვით პროფ. გ. გოზალიშვილი ამტკიცებს იმის საფუძველზე, რომ ისინი ადგილობრივი მოსახლეობის წრიდან გამოსულებად მიაჩნია, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობად კი ქართულ ტომებს აცხადებს. მაშასადამე რა გამოდის? ჯერ დასამტკიცებელია, რომ პონტოს მეფეთა დინასტია, მართლაც, ადგილობრივი წარმომავლობისა იყო; ამას პროფ. გ. გოზალიშვილი ცდილობს, მაგრამ დამაჯერებლად ვერ ახერხებს. შემდეგ დასამტკიცებელია, რომ პონტოს სამეფოს მოსახლეობა მხოლოდ ქართველ ტომთაგან შედგებოდა; გ. გოზალიშვილი ამასაც ცდილობს, მაგრამ ვერც ამას ახერხებს. და საბოლოოდ ორი დაუმტკიცებელი დებულების საფუძველზე მტკიცდება მესამე დებულება!

მეორეც, ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობს მკვლევარი „უდავო წყაროდ“ ან „პირდაპირ მითითებად“, მაგრამ ყველა ის ავტორი, რომელიც კი ეხება მითრიდატიდების წარმომავლობას, პირდაპირ და უყოყმანოდ მხოლოდ მათ სპარსელობაზე მიუთითებს; სხვა ვერსია ძველ წყაროებში არ არსებობს. მითრიდატიდების სპარსულ ჩამომავლობაზე წერენ: აპიანე ალექსანდრიელი, პოლიბიოსი, სალუსტიუს კრისპუსი და დიოდორე სიცილიელი.

პოლიბიოსი, მაგალითად, წერს, რომ მითრიდატე II „იკვეხნიდა, რომ ჩამომავალი იყო ერთ-ერთ იმ შვიდ სპარსთაგან, რომელთაც მოკლეს მოგვი და რომ მან მიიღო ხელისუფლება პონტოს ქვეყნაზე უწყვეტი თანამიმდევრობით წინაპართაგან, რომელთაც იგი დარიოსმა მიანიჭა“ (Polib., V, 42, 3). მეორე ადგილას იგივე პოლიბიოსი აღნიშნავს რომ პონტოს მეფეები „ჩამომავალნი, არიან რომელიღაცა სპარსელი მეფისა“ (Polib., V, 4, 3, 2). სალუსტიუსი გადმოგვცემს, რომ დარიოს I-ის ვაჟმა არტაბაზმა საფუძველი დაუდო პონტოს აქემენიდურ დინასტიას, „რომლისგანაც წარმომავლობენ მითრიდატები“ (Sallust. ფრ. II, 53). მოგვის მომკვლელ შვიდ სპარსთაგან ერთ-ერთის შთამომავლად თვლის მითრიდატე კიუსელს დიოდორე სიცილიელი (Diodor., XIX, 40), ხოლო აპიანე წერს მითრიდატე ევპატორზე: „ასე მოკვდა მითრიდატე, რომელიც იყო მეთექვსმეტე თაობა სპარსეთის მეფის დარიოს ჰისტასპის ძის შთამომავლებისა და მერვე შთამომავალი მითრიდატესი, რომელიც მაკედონელებს აუჯანყდა და პონტოს სამეფო დააარსა (Appian., Mithr., 102).

რა უნდა იყოს ამაზე პირდაპირი მითითება მითრიდატიდების სპარსული წარმომავლობის შესახებ, ჩვენ აღარ ვიცით!

მაგრამ გ. გოზალიშვილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მის გარდა მითრიდატიდების სპარსულ წარმომავლობას უარყოფს მთელი რიგი საბჭოთა და უცხოელი ავტორებისა, რომელთაც ჩვენ ჩვენი „მანკიერი მეთოდის თანახმად“ არ ვახსენებთ და „ბეჯითად ვჩქმალავთ“ („პასუხი“, გვ. 187). მაინც ვინ არიან ეს „მთელი რიგი საბჭოთა და უცხოელი მეცნიერებისა“? პროფ. გ. გოზალიშვილი ასახელებს სულ სამს: თ. დროიზენს, ედ. მეიერს და ა. ბოკშჩანინს (იქვე, გვ. 187—188). არ გვგონია სამი ავტორი, რომელთაგან მხოლოდ ერთია საბჭოთა, „მთელ რიგს“ წარმოადგენდეს! მაგრამ მთავარი უბე-

დურება ისაა, რომ ეს სამი მეცნიერიც სრულიადაც არ უარყოფს მითრიდატიდების სპარსულ წარმომავლობას.

თ. დროიზენი წერს: «Три династии: Армении, Каппадокии и Понта с гордостью указывают на свое происхождение или от рода персидских царей, или от одного из семи персов, сломивших государство магов; теперь они признаны царями в свох государствах[20].

ნუთუ ამ ციტატიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ დროიზენი უარყოფს მითრიდატიდების სპარსულ ჩამომავლობას?!

ედ. მეიერს, გ. გოზალიშვილის მტკიცებით, „სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნია ცნობა მითრიდატიდების სპარსული ჩამომავლობის შესახებ და ამბობს, რომ ეს ცნობა შემდეგშია გაჩენილი“ („პასუხი“, გვ. 187). ედ. მეიერის აზრი არაზუსტადაა გადმოცემული: მას შემდეგში გაჩენილად მიაჩნია ცნობა მითრიდატების ა ქ ე მ ე ნ ი დ თ ა ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო დ ა ნ ჩ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს შესახებ, ხოლო მათ სპარსულ წარმომავლობას იგი უეჭველად თვლის („....die persische Herkunft der Könige vor Pontos ist zweifellos...“)[21].

იგივე ითქმის ა. ბოკშჩანინის შესახებაც: ძალზე მოკლედ ეხება რა თავისი წიგნის 157-ე გვერდზე მითრიდატე I-ის პონტოში დამკვიდრებას, ა. ბოკშჩანინი სქოლიოში (შენ. 290), მართლაც მიიჩნევს პონტოს მეფეთა დარიოს I-ის ერთ-ერთი მეგობრისაგან ჩამომავლობის ვერსიას ხელოვნურად შექმნილად, ხოლო მითრიდატიდების სპარსეთის მეფეებთან ნათესაობას „აშკარა შეუსაბამობად“ («явное недорозумение»)[22]. მაგრამ, განა ეს ნიშნავს, რომ ა. ბოკშჩანინი უარყოფს მითრიდატეს სპარსულ წარმომავლობას? განა დარიოსის მეგობარ შვიდი სპარსელისაგან ან აქემენიდთაგან წარმომავლობის უარყოფა ნიშნავს საერთოდ სპარსული წარმომავლობის უარყოფას?! რაც შეეხება ა. ბოკშჩანინის ამავე წიგნიდან გ. გოზალიშვილის მიერ მოტანილ მეორე ციტატს ის საერთოდ არ ეხება პონტოს მეფეთა შთამომავლობის საკითხს. ავტორი აქ იხილავს არიანეს ცნობას პართიაში ორი ძმის — არშაკისა და ტირიდატის მიერ ხუთ მეგობართან ერთად ხელისუფლების ხელში ჩაგდების შესახებ და აღნიშნავს, რომ შეთქმულთა რიცხვი (2 ძმა + 5 მეგობარი = 7) იწვევს ეჭვს და უნდა იყოს დუბლირება ჰეროდოტეს ცნობისა 7 სპარსელი შეთქმულის მიერ მოგვის ჰაუმატას მოკვლის შესახებ[23]“. რა შუაშია აქ პონტოს სამეფო და მისი მმართველი დინასტიის წარმომავლობა?!

რაკი ავტორიტეტების მოშველიებაზე დადგა საკითხი, მკითხველს გვინდა მოვახსენო, რომ ჩვენ კი შეგვიძლია, მართლაც, დავასახელოთ საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა მთელი რიგი, რომელნიც სწორედ მითრიდატიდების სპარსულ წარმომავლობას ემხრობიან. ესენი არიან: თ. რაინაკი, თ. მომზენი, ვ. ტარნი, გ. გეიერი, მ. როსტოვცევი, ა. დიუგენი, ა. რანოვიჩი, ნ. მაწკინი, მ. მაქსიმოვა[24]. აი პროფ. გ. გოზალიშვილი კი ამ მეცნიერებს საერთოდ არ ასა-

---

[20] Т. Дройзен, История эллинизма, М., 1893. гв. 314.

[21] Ed. Meyer, Geschichte des Königreichs Pontos, Lpz., 1879, გვ. 32—33.

[22] А. Г. Бокшанин, Парфия и Рим, ч. I, М. 1960, გვ. 157.

[23] იქვე, გვ. 182 (ამ ციტატის დამოწმებისას რატომღაც მითითებულია გვ. 71).

[24] Th. Reinach, Mitridates Eeupator..., გვ. 7; Т. Моммзен, История Рима, т. II, გვ. 250; В. В. Тарн, Эллинистическая цивилизация, გვ. 29; RE, 30 Hbband, გვ. 2158; M. Rostovtzeff, Die hellenistische Welt. ., München, 1955, გვ. 453; A. Dug-

ხელებს და მკითხველს უმალავს, რომ ყველა ისინი მის კონცეპციას ეწინააღმდეგებიან.

ასეთი გახლავთ რეალური სიტუაცია! ჩვენ თავს ავარიდებთ კვალიფიკაციებს და მიუკერძოებელ მკითხველს მივანდობთ განსაჯოს, ვისა აქვს „მანკიერი მეთოდი", ან ვინ „განაგრძობს სინამდვილის მიჩქმალვის მავნე გზით სვლას"?!

მითრიდატიდების ეთნიკურ კუთვნილების საკითხზე ჩვენთან დავისას პროფ. გ. გოზალიშვილი კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) არაზუსტად გადმოსცემს ჩვენს მსჯელობას. მითრიდატე VI-ის ადგილობრივი ეთნიკური სამყაროსადმი კუთვნილების ერთ-ერთ არგუმენტად მას მოაქვს დიონ კასიუსის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ, მითრიდატე VI, რომაელთა აქედან წასვლის შემდეგ, შეიჭრა მცირე არმენიასა და მეზობელ ოლქებში, ადგილობრივი მოსახლეობა მას კეთილგანწყობილად შეხვდა, როგორც თანამეტომესა და მამაპაპეული მეფობის უფლების მქონეს. გ. გოზალიშვილის აზრით, ეს ცნობა უარყოფს მითრიდატეს სპარსელობას და უეჭველს ხდის მის კუთვნილებას ადგილობრივი ეთნიკური სამყაროსადმი (მითრიდატე პონტოელი, გვ. 234).

ჩვენ არ დავეთანხმეთ გ. გოზალიშვილს სწორედ ზემოხსენებულ მოსაზრებათა საფუძველზე: ძვ. წ. I ს-ის 70-იან წლებში პონტოს დინასტიის მე-8 მეფე სხვაგვარად არ შეიძლებოდა ადგილობრივ მოსახლეობას აღექვა, თუ არა როგორც თანამეტომე და მამაპაპეული ხელისუფლების მქონე, რა წარმომავლობისაც უნდა ყოფილიყო იგი, მით უფრო, როცა ის მომხვდურ, დამპყრობელ რომაელებს უპირისპირდებოდა (იხ. ჩვენი წიგნი, გვ. 22—23).

გ. გოზალიშვილი კი ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, რომ ჩვენ არ მოგვეწონა მის მიერ ტექსტში ნახმარი სიტყვა „თანამეტომე", შევცვალეთ იგი სიტყვით «соотечественник» და ამ ორ სიტყვას შორის განსხვავების საფუძველზე გვსურს დავასკვნათ, რომ „მითრიდატე ამ მოსახლეობის მიერ (თუ დიონ კასიუსის მიერ) განიხილებოდა არა როგორც ადგილობრივი ხალხის შვილი, არამედ როგორც უცხო, მაგრამ აქ დაბადებული..." პროფ. გ. გოზალიშვილი წერს: „ეს ხელოვნურად შეთხზული საბაბი — ბერძნულ სიტყვაში, რომელიც ავტორიტეტულ ლექსიკონებში ჩვეულებრივ ითარგმნება როგორც თანამეტომე და სიტყვა ἤφιλη მხოლოდ ტომს აღნიშნავს (დამოწმებულია რამდენიმე ლექსიკონი,—ნ. ლ.) მასში მისთვის სასურველი შინაარსის ჩადება გამოწვეულია ნ. ლომოურის იმ მცდარი შეხედულებიდან, რომ პონტოს სამეფოს მოსახლეობა იყო არაქართული მოდგმისა" („პასუხი", გვ. 186, ორთოგრაფია დაცულია უცვლელად).

არაფერი მაგდაგვარი ჩვენს მსჯელობაში არ არის! მართალია, ჩვენ დიონ კასიუსის მოცემულ კონტექსტში სიტყვა ὁ ὁμόφυλος ვთარგმნეთ «соотечественник», მაგრამ ჩვენი და გ. გოზალიშვილისეული თარგმანის ამ განსხვავებაზე არავითარი მსჯელობა არ ავვიგია და იგი არ გამოგვიყენებია რაიმე დასკვნების გამოსატანად. როგორც არ უნდა ითარგმნოს აღნიშნული სიტყვა — „თანამეტომედ" თუ „თანამემამულედ" — ამით დიონ კასიუსის ამ ცნობის შინაარსი არ არ შეიცვლება და ორივე შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ეს ცნობა ვერ დაადასტუ-

---

gan. He did Old Mithridates Eupator, King of Pbontos,, London, 1958, გვ. 6; А. Б. Ранович. Эллинизм..., М.—Л., 1950, გვ. 95; Н. А. Машкин, История древнего Рима, М., 19348, გვ. 237; М. И. Максимова, Античные города...., გვ. 172.

ტებს მითრიდატეს გენეტიკურად ადგილობრივ მოსახლეობისადმი კუთვნილებას.

ჩვენთან დავის აკადემიური დონის საილუსტრაციოდ აქვე გვინდა შევნიშნოთ კიდევ ერთი: გ. გოზალიშვილი ამტკიცებს, რომ „ავტორიტეტულ ლექსიკონებში“ სიტყვა ἤφιλη მხოლოდ ტომს აღნიშნავს. არც იმ ოთხ ლექსიკონში, რომელიც დამოწმებული აქვს გ. გოზალიშვილს და არც ერთ სხვა ლექსიკონში სიტყვა ἤφιλη სერთოდ არაა, რადგანაც ასეთი სიტყვა ბერძნულ ენაში არ არსებობს! შესაძლოა აქ კორექტურული შეცდომაა და უნდა იყოს ἡ φίλη მაგრამ უბედურება ისაა, რომ არც გ. გოზალიშვილის მიერ დამოწმებულ და არც სხვა რომელიმე ლექსიკონში ἤφιλη ა რ ა ს ო დ ე ს ა რ ნ ი შ ნ ა ვ ს ტ ო მ ს ესაა მდედრობითი ფორმა სიტყვიდან φίλος (მოყვარული, დამეგობრებული) და ნიშნავს „მეგობარ ქალს“, „სიყვარულს“. ხოლო სიტყვა ტ ო მ ი ბერძნულად არის τόφυλα და აქედანაა სიტყვა ὁ ἐτόφυλος — „თანამეტომე“. ვფიქრობთ კომენტარები ზედმეტია!

საჟურნალო სტატიის შეზღუდული მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას შევეხოთ დანარჩენ საკითხებს, რომლებზედაც გ. გოზალიშვილი ჩვენ გვეკამათება, ან იმ ბრალდებებს, რომელთაც ის ჩვენ გვიყენებს. მეთოდი ყველა, უკლებლივ ყველა შემთხვევაში იგივეა: ჩვენი წიგნიდან ხელოვნურად ამოგლეჯა ციტატებისა, წყაროთა მონაცემების არასწორად მოტანა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა არაზუსტი დამოწმება.

მაგრამ ჩვენს მიმართ წაყენებულ ერთ ბრალდებას კი არ შეგვიძლია არ შევეხოთ. გ. გოზალიშვილი გვაბრალებს, რომ ჩვენ „უგულებელვყავით ხალიბები“, „არ დავტოვეთ ადგილი ქართველი ტომებისათვის მცირე აზიაში“, „გულგრილად წავართვით ქართველ ტომებს მათი ფიზიონომია“... ამ ბრალდებას იგი თავისი „პასუხის“ სხვა ადგილასაც გამოთქვამს უფრო მკაცრად. 175-ე გვერდზე იგი წერს: „ნ. ლომოურმა კალმის ერთი მოსმით წაართვა ხალიბებს ის დამსახურება, რაც მისი თქმით, ვითომდა, მხოლოდ გ. გოზალიშვილის მიერ არის აღიარებული, რომელიც მათ მიუძღვის კაცობრიობის წინაშე, როგორც პირველ ლითონდამმუშავებლებს. ა მ ი თ მ ა ნ ა მ ო გ ლ ი ჯ ა ე ს ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ფ უ რ ც ე ლ ი ჩ ვ ე ნ ი ხ ა ლ ხ ი ს მ ა ტ ე ა ნ ე დ ა ნ“ (ხაზგასმა ჩვენია, — **ნ. ლ.**).

მოგვიტევოს პატივცემულმა მკვლევარმა, მაგრამ არ გვგონია ეს აკადემიური მეცნიერული პაექრობის მეთოდი იყოს; ეს ხომ აშკარა „აკრძალული ილეთია“! გ. გოზალიშვილი ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს მკითხველის პატრიოტულ განწყობაზე, იმთავითვე აამხედროს იგი ჩვენს წინააღმდეგ და დაარწმუნოს, რომ ჩვენ ისეთი არაპატრიოტი, ეროვნული გრძნობებისაგან გაწმენდილი ადამიანი ვართ, რომ ჩვენი ხალხის მატეანიდან კალმის ერთი მოსმით ვგლეჯთ ბრწყინვალე ფურცლებს!

სად, ჩვენი წიგნის რომელ გვერდზე, ან რომელ სტრიქონში ამოიკითხა გ. გოზალიშვილმა, რომ ჩვენ უგულებელვყოფთ ხალიბთა არსებობას, ან არ ვუტოვებთ ქართველ ტომებს ადგილს მცირე აზიაში, ან უარვყოფთ ხალიბთა დამსახურებას, როგორც ერთ-ერთ პირველ ლითონდამმუშავებლებისა?

განა ჩვენი წიგნის 167-ე გვერდზე ჩვენ არ აღვნიშნავთ, რომ ფარნაკე I-ის და მითრიდატე ევპატორის დროიდან პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდნენ ხალიბთა, ტიბარენთა, მოსინოიკთა, მაკრონთა, კოლხთა და სხვა

მეგრულ-ჭანური ტომები, რომელთა ნაწილი მანამდეც თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ქალაქების სინოპესა და ამისოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, ხოლო მათი პონტოს სამეფოსთან შეერთების შემდეგ ეს როლი შესამჩნევად გაიზარდა?! განა მე იქვე არ აღვნიშნავ ამ ტომთა ტერიტორიის სიუხვეს გემთსაშენი და სამშენებლო ხეტყით, ხილით?! და ბოლოს აი რას ვწერთ ჩვენ იქვე: «Особое значение для экономики Понта несомненно имела металлургическая деятельность вышеназванных племен, в особенности халибов, тибаренов, моссинойков, на территории которых добывалось серебро, медь, свинец, но главным образом железо. Греки и римляне связывали добычу этих металлов с племенем халибов, которым приписывалось даже изобретение железа».

და იქვე მოგვყავს სათანადო წყაროები და უახლესი ლიტერატურა, კერძოდ მეტალურგიის ისტორიის ისეთი ცნობილი სპეციალისტების შრომები, როგორც არიან შტ. პრჟევორსკი, რ. ფორბსი, ლ. აჩისონი, რომელთა გამოკვლევები უცნობი დარჩა პროფ. გ. გოზალიშვილისთვის.

ან შემდეგ გვერდზე, როცა პონტოს სამეფოში მეტალურგიის განვითარების შესახებ ვწერთ, განა იქვე არ აღვნიშნავთ, რომ პონტოს მეტალურგიული წარმოების «основной сырьевой базой были те области Юго-восточного Причерноморья, которые издревле славились своими рудными богатствами и металлургической деятельностью здешних племен, в первую очередь, халибов».

ან განა 139-ე გვერდზე ჩვენ არ ვწერთ რომ ფარნაკ I-ის დროიდან პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდნენ ქართველი (მეგრულ-ჭანური) ტომები ხალიბები, მოსინოიკები, ტიბარენები, «начавшие несомненно с того времени играть определенную роль в его политической, экономической и культурной жизни».

რას ნიშნავს ყოველივე ეს? როგორ ეფარდებიან აქ მოტანილი ადგილები ზემოხსენებულ ბრალდებებს? განა ის, რომ ჩვენ არ გვჯერა ხალიბების ჰალისის დასავლეთით მოსახლეობა ან მითრიდატე VI-ის ხალიბობა, ნიშნავს ხალიბთა და სხვა ქართველ ტომთა უგულებელყოფას, მათ აღმოფხვრას საერთოდ მცირე აზიიდან და მათთვის მათი დამსახურების წართმევას? ეს ხომ აშკარა ცილისწამებაა!

და კიდევ ერთი საკითხი: გ. გოზალიშვილი ამტკიცებს, რომ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ჰალისსა და თერმოდონტს შორის წყაროებში დასახელებული სირიელები (იგივე ასირიელები ან ლევკოსირიელები) ამ ადგილების არაავტოხთონური მოსახლეობა იყო („პასუხი", გვ.გვ. 177, 180). მისი აზრით, ისინი აქ ასურეთის მეფეს სარგონ II (ძვ. წ. VIII ს.) გადმოუსახლებია (იქვე. გვ. 181). უპირველეს ყოვლისა, რას ნიშნავს „არაავტოხთონეები"? ძვ. წ V ს-დან (ჰეროდოტე) ახ. წ. I ს-დე (სტრაბონი) ყველა წყაროების მიხედვით ისინი ამ ადგილებში სახლობენ, ე. ი. ხუთი საუკუნის მანძილზე მათ უკავიათ შავი ზღვის სანაპიროს ეს მონაკვეთი და რაღა არაავტოხთონობაზე შეიძლება აქ ლაპარაკი, ან რაღა მნიშვნელობა აქვს იმას, საიდან მოვიდნენ ისინი მანამდე! მეორეც, ამ პონტოსპირა სირიელების კავშირი მესოპოტამიელ ასურელებთან არაფრით არ მტკიცდება.

გ. გოზალიშვილი გვსაყვედურობს, რომ ჩვენ არ უნდა გამოგვრჩენოდა

მისი წიგნის სათანადო ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ასურეთის მეფის სარგონ II-ის „საზეიმო წარწერაში“ მოთხრობილია ამ მეფის გამარჯვებაზე ტაბალის მეფე ამბარისზე და ნათქვამია, რომ მან ამბარისი, მისი ოჯახი და საგვარეულო გადაასახლა ასურეთში, ასირიელები კი იქ დაასახლა და დაუდგინა ნდობით აღჭურვილი პირი. „სწორედ ესენი არიან ის სირიელები და ე. წ. ლევკოსირიელები“... კატეგორიულად დასძენს პროფ. გ. გოზალიშვილი („პასუხი“, გვ. 181).

ჩვენ კი არ გამოგვრჩა გ. გოზალიშვილის წიგნის ეს ადგილი, არამედ შეგნებულად ავუარეთ მას გვერდი, რათა რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ჩვენი წიგნის მეშვეობით საყოველთაოდ ცნობილი არ გამხდარიყო ის საოცარი შეუსაბამობა, რომელიც აქ არის დაშვებული პატივცემული მკვლევრის მიერ, რომ არ შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ ძველი ისტორიის ჩვენი სპეციალისტები ესოდენ ჩამორჩებიან ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კვლევის თანამედროვე დონეს.

საქმე ისაა, რომ გ. გოზალიშვილის წიგნის 133-ე გვერდზე მოტანილ მასალას მცირე აზიაში ასურელთა ღასახლების შესახებ და ამჟამინდელ „პასუხშიც“ ციტირებულ სარგონ II-ის „საზეიმო წარწერასაც“ არაფერი საერთო არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს იმ ტერიტორიასთან, სადაც ანტიკურ წყაროთა სირიელები ანუ ლევკოსირიელები სახლობენ. ეს უბრალოდ უკრიტიკო გამეორებაა ძალზე მოძველებული და ამჟამად საყოველთაოდ უარყოფილი მოსაზრებისა, რომელიც წარსულ საუკუნეში იყო გამოთქმული ზოგიერთი მეცნიერის მიერ (ვ. შტოიბერი, ედ. მეიერი, ი. ნიოლდეკე და სხვ.) და რომელთა თანახმად შავიზღვისპირეთის სირიელები ძვ. წ. XX—XIX სს. ასურელ კოლონისტთაგან წარმომავლობდნენ. უახლესი გამოკვლევები თვალსაჩინოდ ცხადყოფენ, რომ ასურელი ახალშენები დაარსებული იყო მცირე აზიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ოლქებში, რომ ასურელ კოლონისტებს არ შეუღწევიათ შავი ზღვის სანაპირო ზოლში, არ გადაულახავთ ჩრდილო ანატოლიის ქედი[25].

სამწუხაროდ, გ. გოზალიშვილისთვის ეს ლიტერატურა წიგნის დაწერის დროსაც უცნობი იყო და ამჟამადაც უცნობი დარჩა, თუმცა ჩვენ იგი ჩვენს წიგნში მოტანილი გვაქვს (იხ. გვ. 138).

მით უფრო ვერანაირად ვერ დაუკავშირდებიან შავი ზღვის სანაპიროზე მდ. ჰალისის შესართავის სექტორში მოსახლე სირიელები სარგონ II-ის დროს თაბალის ტერიტორიაზე გადასახლებულ ასურელებს. პროფ. გ. გოზალიშვილი რომ იცნობდეს უახლეს გამოკვლევებს. მას ეცოდინებოდა, რომ თაბალის ქვეყანა ჰალისის შუა დინების სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა[26], ხოლო ზოგიერთ მკვლევართა აზრით, კიდევ უფრო წამხრეთ-აღმოსავლეთით — სამხრეთ კაპადოკიაში[27]. ამდენად, ორსავე შემთხვევაში ის ტერიტორია, სა-

---

[25] B. Landsberger, Assyrische Handelsckolonien in Kleinasien, «Das Altes Orient», Lpz., 1925, 24. Bd., № 4 A. Goetze, Kleinasien, München, 1957, გვ. 67—81; P. Gazeli, Les Assyriens an Cappadoce, BAHIFAI. vol. XIX, 1963, გვ. 31—79.

[26] B. Landsberger, Sam'al, Ankara, 1948, გვ. 19, შენ. 39; ნ. ხაზარაძე, თაბალის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის, „ძველი ისტორიის საკითხები“ თბ., 1970, გვ. 64—84.

[27] И. М. Дьяконов. АВИИУ, № 46, прим. 43 (ВДИ, 1951, № 2, გვ. 320); მისივე, Предистория армянского народа, Ереван, 1968, გვ. 134.

დაც სარგონმა ასურელები დაასახლა, ჰალისისპირა სირიელთა ადგილსაცხოვრისიდან რამდენიმე ასეული კილომეტრით იყო დაცილებული.

დიახ, ჩვენ ეს ადგილი გ. გოზალიშვილის წიგნიდან შეგნებულად გამოვტოვეთ, რათა არ გამეორებულიყო ჩვენი მეცნიერების პრესტიჟისათვის ფრიად არასასიამოვნო ვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1973 წ., როდესაც ცნობილმა საბჭოთა მეცნიერმა მ. ა. კოროსტოვცევმა გამოაქვეყნა, რბილად რომ ვთქვათ, მეტად მკაცრი რეცენზია პროფ. გ. გოზალიშვილის ნაშრომზე „ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის ისტორიიდან". ამ რეცენზიაში მ. კოროსტოვცევი, პირველ რიგში, სწორედ იმას აღნიშნავს, რომ წიგნის ავტორი, ეხება რა ეგვიპტოლოგიურ საკითხებს, არ იცნობს ეგვიპტოლოგიურ ლიტერატურას და ეგვიპტურ წყაროებს, არ დგას მეცნიერების თანამედროვე დონეზე[28].

დასასრულ მკითხველს გვინდა გავახსენოთ, რომ 1981 წ. 14 იანვარს გაზეთში «Заря Востока» გამოქვეყნდა პროფ. ო. ლორთქიფანიძის რეცენზია ჩვენს წიგნზე, სადაც რეცენზენტი დადებითად აფასებს ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევას პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პრობლემისა და დასძენს: «Мы считаем, что проведенный автором методологически правильный и по существу верный анализ сведений античных авторов со всей очевидностью показал неправомерность предположения, что население собственно Понтийского царства принадлежало к грузинской этической среде или что сами цари Понта (митридатиды) являлись выходцами из той же среды».

მაშასადამე, არამცთუ სხვა სპეციალისტები, არამედ ქართველი მეცნიერებიც არ ყოფილან იმ აზრისა, რომ პროფ. გ. გოზალიშვილის კონცეფცია ერთადერთი სწორი და ხელშეუხებელი კონცეფციაა.

ჩვენ საერთოდ არ გვესმის, რამ გამოიწვია პატივცემული მეცნიერის ესოდენი აღშფოთება. განა სავალდებულოა უთუოდ მისი შეხედულების გაზიარება და ნუთუ მასთან კამათი რაიმე დანაშაულს წარმოადგენს?! ან იქნებ პროფ. გ. გოზალიშვილს მიაჩნია, რომ, უარვყოფთ რა პონტოს მოსახლეობის ან მითრიდატიდების ქართულ წარმომავლობას, ჩვენ ამით ხელვყოფთ ქართულ ეროვნულ ტრადიციას. ჩვენ პრინციპულად სხვა აზრისა ვართ და ღრმად გვჯერა, რომ ჩვენს ერს და ჩვენს ისტორიას არ სჭირდება ხელოვნური შელამაზება და მითვისება იმისა, რაც მათ არ ეკუთვნით. მეცნიერებაში პატრიოტობა ის კი არაა მაინცა და მაინც ქართველად გამოაცხადო რომელიმე ისტორიული პიროვნება, მაშინაც, როდესაც საამისო მყარი საბუთები არ არსებობს. ჭეშმარიტი პატრიოტობა არის ღრმა და პირუთვნელი წარმოჩენა შენი ერის ისტორიული ნამღვაწარისა, მისი ფხიზელი და მეცნიერული შეფასება, ჩვენი მეცნიერების დაცვა პროვინციული ცრუ-პატრიოტიზმისაგან, რომელსაც მისთვის მხოლოდ სახელის გატეხვა შეუძლიათ. ფარსმან ქველისა და ვახტანგ გორგასალის, იაკობ ცურტაველისა და ექვთიმე ათონელის, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის, იოანე პეტრიწისა და რუსთველის პატრონთ რაში გვჭირდება მითრიდატე პონტოელის მაინცა და მაინც გაქართველება ან, თუნდაც კომნენოსთა დინასტიის ქართული წარმომავლობისად დასახვა?!

---

[28] ВДИ, 1973, № 3, გვ. 177—181.

М. Ю. ЛОМОУРИ

ВНОВЬ К ВОПРОСУ ОБ ЭТНИЧЕСКОМ СОСТАВЕ НАСЕЛЕНИЯ ПОНТИЙСКОГО ЦАРСТВА

(Ответ профессору Г. К. Гозалишвили)

Резюме

В 1980 г. в № 3 журнала «Мацне» (серия истории, археологии, этнографии и истории искусства) была опубликована статья проф. Г. К. Гозалишвили, в которой ученый подверг критике ту часть нашей книги «К истории Понтийского царства» (Тбилиси, 1979, изд-во «Мецниереба»), где мы касались проблемы этнического состава населения Понтийского царства. При этом Г. К. Гозалишвили вновь отстаивал свою точку зрения о том, что население Понтийского царства состояло, в основном, из грузинских племен.

Критические замечания Г. К. Гозалишвили в наш адрес не являются достаточно обоснованными, они зачастую неточно передают наши взгляды и положения, а концепция о принадлежности населения Понтийского царства к грузинскому этническому миру представляется беспочвенной.

რ. კოპლამაზაშვილი, საქართველოს გლეხთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (1930—1937 წწ.)

თბ., „მეცნიერება", 1981

რ. კოპლამაზაშვილის ნაშრომი ორიგინალური გამოკვლევაა. იგი მიძღვნილია დღემდე თითქმის გამოუკვლეველი პრობლემის შესწავლისადმი.

გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი ჩვენი ქვეყნის ისტორიის საკმაოდ მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს. ამ ურთიერთობათა შესწავლა ნათელს ჰფენს იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ხასიათს, რომელიც არსებობდა ჩვენში ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის. ამ პერიოდის საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყაროები და მასთან დაკავშირებული სოციალური კლასებისა და ფენების თანაფარდობა განსაზღვრავს სოციალიზმის მშენებლობის სიძნელეებს, მის თავისებურებებსა და კლასობრივი ბრძოლის ხასიათს, რის გამოც იქმნება პროლეტარიატის დიქტატურის თავისებური ფორმა, ყალიბდება თავისებური ურთიერთობა გამარჯვებულ და დამარცხებულ კლასებს შორის.

ცნობილია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები დიდ ყურადღებას უთმობდნენ გარდამავალი პერიოდის მეცნიერულ შესწავლას. ვ. ი. ლენინმა თავის მრავალ შრომაში მოგვცა ამ პერიოდის ღრმა მეცნიერული ანალიზი და შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სწორი პოლიტიკის საფუძვლები როგორც ეკონომიკის, ისე საზოგადოების გარდასაქმნელად. ახასიათებდა რა ამ პერიოდის ეკონომიკის გარდამავალ ხასიათს, იგი აღნიშნავდა, რომ ამ წყობილებაში მოიპოვება როგორც კაპიტალიზმის, ისე სოციალიზმის ელემენტები, მაგრამ „ყველა როდი უფიქრდება იმას, თუ სახელდობრ, როგორია სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობათა ელემენტები... საკითხის მთელი დედაარსი კი ამაშია"[1]. ვ. ი. ლენინი სწორედ ამ საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობების სხვადასხვა ტიპში ხედავდა მდგომარეობის თავისებურებას და ამოიხოვდა მათ გულდასმით შესწავლას.

ჩვენი ქვეყნის ამ პერიოდის წარმოებითი ურთიერთობანი შესწავლილია უმთავრესად რუსი ეკონომისტებისა და ისტორიკოსების მიერ, ქართული ისტორიოგრაფია კი ძეტად ღარიბია ამ ხასიათის გამოკვლევებით. ამ ხარვეზს რამდენადმე ავსებს რობერტ კოპლამაზაშვილის ნაშრომი „საქართველოს გლეხთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (1930—1937 წწ.)", რომელიც ფაქტობრივად 1975 წელს მის მიერვე გამოცემული წიგნის „საქართველოს გლეხურ მეურნეობათა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი (1921—1929 წწ.)" — გაგრძელებას წარმოადგენს.

ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ამ საკითხებზე არსებულ ლიტერატურას, აღნიშნავს თითოეული მათგანის ღირსება-ნაკლოვანებებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ პრობლემის სრულყოფილად კვლევის მიზნით აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ყველა ელემენტის ღრმად შესწავლა.

შრომაში დეტალურადაა გაშუქებული საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, მისი განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები. ნაჩვენებია, თუ როგორ ინეიგებოდა სოფლის მეურნეობის ახალი ტექნიკა, პირუტყვისა და თესლის ახალი ჯიშები. ამ ღონისძიებათა მეოხებით იზრდებოდა ნათესი ფართობები და მეცხოველეობა, იცვლებოდა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. მაგალითად, მემცენარეობაში გაიზარდა მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წილი. ამაღლდა სოფლის მეურნეობის ენერგო და მანქანათაღჭურვილობა. გაფართოვდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრების გამოშვება. ნაჩვენებია აგრეთვე ამ სფეროში არსებული ნაკლოვანებებიც. ავტორი აქვე განიხილავს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს და სხვ.

წარმოებით ურთიერთობათა ისტორიის შესწავლა სოფლად შეუძლებელია საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობების ხასიათისა და მათი ხვედრითი წილის დადგენის გარეშე. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მან პირველმა გამოიკვლია ეს ეკონომიკური წყობები სოფლის მეურნეო-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 27, გვ. 400.

ბაში და განსაზღვრა მათი ხვედრითი წილი. ამ მიზნით მან გამოიყენა როგორც გამოქვეყნებული, ისე მდიდარი საარქივო მასალები. ამ მასალებზე დაყრდნობით ავტორი ამტკიცებს პატრიარქალურ-გლეხური, წვრილი სასაქონლო მეურნეობის, კერძო სამეურნეო კაპიტალიზმის, სახელმწიფო კაპიტალიზმისა და სოციალისტური მეურნეობის ელემენტების არსებობას საქართველოს კოლექტივიზაციამდელ სოფლებში.

უკეთებს რა ანალიზს ამ წყობათა ელემენტებს, ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ 1930—31 წლისათვის პატრიარქალურ-გლეხური მეურნეობის ელემენტების ხვედრითი წილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში შეადგენდა 4—5%-ს. ამ წყობის ელემენტები შემორჩენილი იყო უმთავრესად საქართველოს მთიან რეგიონებში. ამ რაიონების მოსახლეობა ძირითადად თვითონ იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს და იშვიათად მიმართავდა ბაზარს. ამ წყობის მეურნეობათა დიდ ნაწილს არ ყოფნიდა საკუთარი შემოსავალი და ხშირად მიმართავდა თავისი სამუშაო ძალის გაყიდვას.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აქ შევნიშნოთ, რომ ავტორი უდავოდ მართალი იყო, როდესაც თავის დასახელებულ პირველ წიგნში ასაბუთებდა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პირველ წლებში საქართველოში პატრიარქალურ-გლეხური მეურნეობის არსებობას, მაგრამ სადავოა, როდესაც იგი ამასვე ამტკიცებს უკვე 30-იანი წლების დასაწყისისათვის. მოტანილი მასალები სვანეთის შესახებ, ამას ვერ ადასტურებენ. არ ჩანს, რომ სვანეთის გლეხობა ამ დროისათვის ყველა მოთხოვნილებას საკუთარი ნაწარმით იკმაყოფილებდა: დახმარებას რომ იღებდა მთავრობისაგან, ვაჭრობაც ხომ იყო ამ **დროს. ახე რომ, პატრიარქალურ მეურნეობებზე** სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით საუბარი ამ დროისათვის არ უნდა იყოს **მარ-ჯვენული. გამონაკლისები, რა თქმა უნდა, შეიძლება აღინიშნოს.**

წვრილი სასაქონლო მეურნეობა, როგორც ნაშრომიდან ჩანს, სპარბობდა ძირითად სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. წვრილი საქონელმწარმოებლები შეადგენენ სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს. თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ ისინი თავიანთ ნაკარბ პროდუქციას ყიდდნენ.

შრომაში განხილულია წვრილი საქონელმწარმოებლების ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ნაწილები. აღნიშნულია, რომ მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა საკუთარი მეურნეობა, ხოლო გასავლის დიდი ნაწილი იხარჯებოდა პირადი მოხმარებისა და სამეურნეო დანიშნულების სამრეწველო საგნების შეძენაზე. ამ უკანასკნელზე იხარჯებოდა ბიუჯეტის გასავლის ნაწილის 37%. მეტად უმნიშვნელო ხვედრითი წილი ეკავა გასავალში საშუშაო ძალის დაქირავებაზე დახარჯულ თანხას.

წვრილი საქონელმწარმოებლები წარმოადგენდნენ უმთავრესად საშუალო გლეხობას. 1931 წლისათვის წვრილი სასაქონლო მეურნეობის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობაში შეადგენდა 66%, ე. ი. ორ მესამედს. ეს საკმაოდ ნორმალური მოვლენა იყო.

შრომაში გაანალიზებულია აგრეთვე კერძო სამეურნეო კაპიტალიზმის ელემენტები. ეს წყობა მოიცავდა კულაკებსა და ვაჭრებს. ისინი კარგად იყენენ უზრუნველყოფილნი მიწითა და წარმოების სხვა საშუალებებით. ისინი ასხვისებდნენ მიღებული პროდუქციის დიდ ნაწილს, ეწეოდნენ ვაჭრობას, მევახშეობას, ქირაობდნენ სამუშაო ძალას და აქირავებდნენ თავიანთ წარმოების საშუალებებს, ოჯარით იღებდნენ სახნავ მიწებს. მათი შემოსავლის დიდი ნაწილი იხარჯებოდა პირად მოხმარებაზე და წარმოების საშუალებათა განახლებაზე. შემოსავლის გარკვეული ნაწილი იხარჯებოდა აგრეთვე დაქირავებული მუშა ხელის შრომის ანაზღაურებაზე.

ავტორის გამოანგარიშებით, კერძო-სამეურნეო კაპიტალისტების ხელში 1928/29 წელს თავმოყრილი იყო 20 მლნ მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (იმდროინდელი ფასებით). 1931 წლისათვის კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობაში შეადგენდა 6,5%.

შრომაში მოყვანილია აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალიზმის არსებობის დამადასტურებელი ფაქტები, მაგრამ ავტორის დასკვნით, მისი ხვედრითი წილი ამ პერიოდში ჯერ-ჯერობით უმნიშვნელო იყო.

შრომაში მოცემულია საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ფართო ანალიზი. ნაჩვენებია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გზები და კრიტიკულად განხილულია მათი ეკონომიკური მაჩვენებლები. 1934 წელს კოლმეურნეობების რიცხვი საქართველოში შეადგენდა 3439, მათში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი კი — 175 739 (36,1%). 1937 წლისათვის კოლმეურნეობების რიცხვმა მიაღწია 4 366, ხოლო მათში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვმა კი — 378 400 (76,1%). მათ ხელში იყო 689 700 ჰექტარი ნათესი, ე. ი. რესპუბლიკის მთელი ნათესი ფართობის 82,8%.

დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას. 1932 წელს საქართველოში იყო 192 საბჭოთა მეურნეობა, რომელთა განკარგულებაში იყო 295 700 ჰექტარი ნათესი. 1934 წელს საბჭოთა მეურნეობების რიცხვმა მიაღწია 460, ხოლო 1937 წლისათვის, მათი რიცხვი შემცირდა 121-მდე. დიდ

წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე სხვა მარტივმა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებმა.

განმტკიცდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით კი მისი სოციალისტური სექტორის ტექნიკური ბაზა. 1933 წლისათვის საქართველოში არსებობდა 31 მტს-ი, რომელთა ხელშიც იყო 635 ტრაქტორი 3,2 ათასი ცხენისძალის საერთო სიმძლავრით და 7 კომბაინი. 1937 წლისათვის მტს-ების რიცხვი გაიზარდა 45-მდე. ახლა უკვე მათ განკარგულებაში იყო 1954 ტრაქტორი 32,4 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრით, ხოლო კომბაინების რიცხვი გაიზარდა 222-მდე. ამის გარდა, 1937 წლისათვის საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდა 200 ტრაქტორი და 19 კომბაინი. სოფლის მეურნეობაში ამ დროისათვის მუშაობდა სულ 2 507 ტრაქტორი, 241 კომბაინი და 1 039 სატვირთო ავტომობილი.

შრომაში ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია შრომის ნაყოფიერებისა და საერთო მოსავლის ზრდა. გამოანგარიშებულია აგრეთვე სოციალისტური მეურნეობის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობაში. 1931 წლისათვის იგი შეადგენდა 21,8%-ს.

როგორც ავტორი ამტკიცებს, 1931 წლამდე საქართველოს სოფლის მეურნეობა იყო მრავალწყობიანი. 1931 წელს არსებობა შეწყვიტა სახელმწიფო კაპიტალიზმმა, ხოლო 1934 წელს კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმმა. პატრიარქალურ-გლეხური მეურნეობის ელემენტები შემორჩენილი იყო 1935 წლამდე. ჩვენი აზრი ამის შესახებ ზემოთ იყო გამოთქმული.

სოფლის მეურნეობაში წარმოებით ურთიერთობათა გარკვევა ასევე შეუძლებელია სოფლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შესწავლის გარეშე. სწორედ ამიტომ ავტორი სპეციალურ თავს უძღვნის ამ საკითხს და წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის დაქირავება-გაქირავების საფუძველზე იკვლევს სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ დიფერენციაციას. ამ მიზნით ავტორს გამოყენებული აქვს უმთავრესად ინდივიდუალური დაბეგვრის მასალები. მაგრამ ავტორი საკმაოდ ფრთხილად და კრიტიკულად ეპყრობა ამ მასალებს, რადგან ინდივიდუალურად ყველა კულაკური მეურნეობა არ იბეგრებოდა. ამავე დროს, როგორც თვით ავტორი დასკვნის, დაბეგვრის დროს დაშვებული იყო მთელი რიგი შეცდომები. ზოგიერთი მეურნეობა, რომელიც აშკარა კულაკური ნიშნებით ხასიათდებოდა, არ იყო დაბეგრილი ინდივიდუალური წესით, ხოლო ზოგიერთი საშუალო მეურნეობა, რომელსაც არ ახასიათებდა ექსპლუატატორული ნიშნები, იბეგრებოდა ინდივიდუალურად. ამიტომ ავტორი ფხიზლად და ღრმად აანალიზებს არსებულ მასალებს. იშველიებს სხვა მონაცემებსაც, მაგალითად, სოფლის მოსახლეობის არჩევნებში მონაწილეობის მასალებსაც (როგორც ცნობილია, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველას არ ჰქონდა — კულაკებს, ყოფილ საეკლესიო მსახურებს და სხვ.) და იძლევა სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის სურათს წლების მანძილზე.

როგორც ავტორი დასკვნის, 1929/30 წელს საქართველოში კულაკურ მეურნეობათა რიცხვი აღწევდა 2,4% (10657 მეურნეობა), საშუალო მეურნეობათა რიცხვი 66%, ხოლო ღარიბ მეურნეობათა რიცხვი — 29%. დანარჩენი გლეხობა შეადგენდა კოლმეურნეთა კლასს, რომელიც შემდეგ უმრავლესობა ხდება.

აღნიშნულ წელს კულაკურ მეურნეობათა დასაბეგრი შემოსავალი შეადგენდა 7 018 000 მანეთს, გადასახადი — 1 365 082 მანეთს, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მთელი თანხის 42%. თითოეულ კულაკურ მეურნეობაზე მოდიოდა 195 მან. გადასახადი, ხოლო თითოეულ ჩვეულებრივ წესით დაბეგრილზე — 11 მან.

1930/31 წლისათვის ერთპიროვნულ მეურნეობათა საერთო რიცხვში ღარიბი მეურნეობები შეადგენდნენ 30%, საშუალო მეურნეობები — 68,5% და კულაკები — 1,5%-ს. კულაკთა დასაბეგრი შემოსავალი შეადგენდა 3 473 000 მან., ხოლო გადასახადი — 1 690 600 მანეთს.

1931 წლისათვის ღარიბი გლეხობა შეადგენდა 30%, საშუალო გლეხობა — 69% და კულაკობა 1%. კულაკურ მეურნეობათა დასაბეგრი თანხა ამ წელს აღწევდა 4 449 255 მანეთს, ხოლო გადასახადი — 4 964 500 მანეთს. როგორც ჩანს, ყოველწლიურად იზრდებოდა კულაკურ მეურნეობათა დაბეგვრის სიმძიმე. მათ აიძულებდნენ გაეყიდათ თავიანთი წარმოების საშუალებები, რაც აჩქარებდა მათი, როგორც კლასის ლიკვიდაციას.

1932 წლისათვის 347 581 ინდივიდუალური მეურნეობიდან 1 114 იყო კულაკური, ე. ი. დაახლოებით 0,3%, 65 131 — ღარიბი, ე. ი. დაახლოებით 19% და 281 336 — საშუალო, ე. ი. 80,7%. კულაკურ და ღარიბ მეურნეობათა ხარჯზე იზრდებოდა საშუალო გლეხთა რიცხვი.

1935 წლისათვის კულაკური მეურნეობანი ერთპიროვნულ მეურნეთა საერთო რიცხვში შეადგენდნენ 1 050 (0,3). მათი შემოსავალი ამ წელს შეადგენდა 1 952 700 მანეთს, ხოლო გადასახადი 3 946 100 მანეთს. მოგების პროცენტი უდრიდა 202,1.

1934 წლისათვის ფასი 204, ხოლო 1935 წლისათვის 103 კულაკური მეურნეობა. მაგრამ, როგორც ავტორიც აღნიშნავს, ისინი უკვე

აღარ წარმოადგენდნენ არავითარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალახ.

აღნიშნულ სოციალურ-ეკონომიკური გარღვევების შემდეგ საქართველოს სოფელში დარჩა კოლმეურნე გლეხთა კლასი და საშუალო გლეხობის ნაწილი, რომელიც კოლმეურნეობაში არ იყო. ეს უკანასკნელი მოიცავდა გლეხთა ერთ მეოთხედს, ე. ი. დაახლოებით ნახევარ მილიონ კაცს.

ამ პერიოდში სოციალისტურმა მეურნეობამ საბოლოოდ გაიმარჯვა სოფლად.

ერთპიროვნული გლეხური მეურნეობები, კოლმეურნეობები და კოლმეურნეები გადასახადებით დაბეგვრისას სარგებლობდნენ მთელი რიგი შეღავათებით. ეკონომიკური დონის მიხედვით იმ პერიოდში ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდებოდნენ, როგორც კოლმეურნეობები, ისე კოლმეურნეები. შრომაში მოცემულია მათი ეკონომიკური მდგომარეობის მეცნიერული ანალიზი.

შრომაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი სოფლად მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის ხასიათს და გლეხთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის საკითხებს. მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ იმ პერიოდში სოფლად ჯერ კიდევ არსებობდა ანტაგონისტური კლასები და მათ შორის მიმდინარეობდა კლასობრივი ბრძოლა. ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა და გლეხთა, განსაკუთრებით კი ღარიბ გლეხთა აქტიური მოქმედების შედეგად, სოფლის მეურნეობის კოოპერირების საფუძველზე, განხორციელდა კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია.

რესპუბლიკის ეკონომიკის წარმატებები და ცვლილებანი სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში ხელს უწყობდა გლეხთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ზრდას. გლეხობა აქტიურად ებმებოდა საკოლმეურნეო მშენებლობაში, ხელმძღვანელობდა მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობებს, იბრძოდა მათი სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის.

გლეხთა პოლიტიკური აქტიკობა ნათლად ვლინდებოდა სასოფლო და რაიონული საბჭოების როგორც არჩევნებში, ისე მათ ყოველდღიურ მუშაობაში.

გლეხობა ირჩევდა და თავის წარმომადგენლებს გზავნიდა სოფლისა და რაიონის საბჭოებში, მათი პრეზიდიუმების, რაიაღმასკომებისა და რესპუბლიკის ცაკის შემადგენლობაში.

შრომაში მოყვანილია გლეხობის პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობის მრავალი ფაქტი. განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიების დროს, ორატორი გლეხები საარჩევნო საანგარიშო კრებებზე ეხებოდნენ გზების მშენებლობის, სოფლის ელექტროფიკაციის, სატელეფონო ქსელის გაფართოების, სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების, საგადასახადო პოლიტიკის, კოოპერაციის მუშაობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს და სხვ. ისინი აკრიტიკებდნენ საბჭოების ხელმძღვანელობას მიწის ყიდვა-გაყიდვის, კაბალური იჯარის, მევახშეობისა და ქურდობის წინააღმდეგ ზომების მიუღებლობის გამო. იყო დეპუტატების უკან გამოწვევის შემთხვევები. 1935 წელს 30 981 დეპუტატიდან 5 426 (17,5%) უკან გამოიწვიეს.

გლეხთა საზოგადოებრივი აქტივობა ვლინდებოდა, აგრეთვე გლეხკომების, ღარიბთა ჯგუფების, საწარმოო თანამირების და სხვა მუშაობაში. ისინი შედიოდნენ კომუნისტური პარტიის, კომკავშირის რიგებში.

ამ საკითხების გასაშუქებლად ავტორს უამრავი ფაქტიური მასალა აქვს გამოყენებული. ბევრი საარქივო დოკუმენტი და მასალა ამ საკითხზე ავტორმა პირველად შემოიტანა მეცნიერულ ბრუნვაში.

უკანასკნელი მეხუთე თავი ეთმობა სოფლად ვაჭრობის, განსაკუთრებით კი საკოლმეურნეო ვაჭრობის საკითხებს. კონკრეტული ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე დადასტურებულია, რომ სოფლის კოოპერირების ზრდის შესაბამისად ვითარდებოდა საკოლმეურნეო ვაჭრობა, რომელიც წარმოადგენდა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის ეკონომიკური კავშირის განმტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს. იგი ხელს უწყობდა კერძო ვაჭრობისა და სპეკულაციის გამოდევნას ვაჭრობის სფეროდან, სასაქონლო პროდუქციისა და საქონელბრუნვის ზრდას, ფასების შემცირებას და სხვ.

დასკვნაში ავტორი საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამდე სოფლად არსებულ წარმოებით ურთიერთობათა ხასიათზე წერს, რომ „საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებობდა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობათა ელემენტები (მათ ელემენტებს ვუწოდებთ იმიტომ, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ ჩვეულებრივი კაპიტალისტური ტიპის ურთიერთობებს, რადგან მათი მოქმედების ფარგლები შეზღუდული იყო მრავალი ფაქტით. მიწის ნაციონალიზაცია — მისი ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა, მდიდარი მიწათმფლობელებისათვის მიწების ჩამორთმევა და მისი გადაცემა ღარიბ გლეხურ მეურნეობებზე, ამ უკანასკნელთა მომარაგება წარმოების საშუალებებით, მიწის იჯარისა და დაქირავებული შრომის გამოყენების შეზღუდ-

ვა — ხოლო შემდეგ მთლიანად აკრძალვა, საბჭოთა შრომითი კანონმდებლობისა და კლასობრივი საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება, კონტრაქტაცია, კოოპერაცია და სხვ.). მათ გვერდით არსებობდა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის ელემენტები" (გვ. 141).

1932 წლისათვის არსებობა შეწყვიტა ბურჟუაზიულმა წარმოებითმა ურთიერთობამ. 1937 წლისათვის საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალისტურმა წარმოებითმა ურთიერთობამ. ამ დროისათვის ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო წვრილგლეხური მეურნეობის ელემენტები.

საბჭოთა ისტორიოგრაფია დღემდე კოლექტივიზაციამდელ სოფელში აღიარებს ან ბურჟუაზიულ ან წვრილბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობას ან ორივეს ერთად. როგორც ვხედავთ რ. კოკლამაზაშვილს რამდენადმე განსხვავებული პოზიცია უჭირავს, იგი ამ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს ახასიათებს როგორც წვრილბურჟუაზიული, ბურჟუაზიული და სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის ელემენტების ერთობლიობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძირითადად მაინც ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი არსებობდა.

ნაშრომის მიმართ უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი შენიშვნაც. ნაშრომში არ არის ფართოდ წარმოჩენილი მუშათა და გლეხთა კავშირი აღნიშნულ პერიოდში.

ნაშრომში გამოყენებულია უამრავი ფაქტობრივი მასალა. მათ შორის ციფრობრივი მონაცემები, მაგრამ ეს მონაცემები ბევრია. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა მათი გარკვეულად შემცირება და დახვეწა.

ავტორი ნაშრომში კარგად გვიბასიათებს კულაკურ მეურნეობებს, მაგრამ მაინც საჭირო იქნებოდა მკვეთრად, ნათლად ჩამოეყალიბებინა კულაკური მეურნეობის ნიშნები ერთ მთლიანობაში და დაეხასიათებინა კულაკობის სოციალური ტიპი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კოლმეურნეების სოციალური სტრუქტურის საკითხები, ავტორი წერს: „კოლმეურნეები არა მარტო სოციალურად, არამედ ეკონომიკურადაც ძირითადად თანასწორნი არიანო" (გვ. 92, 93). იგი იქვე დასძენს, რომ კოლმეურნეობის წევრები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ეონებრივი მდგომარეობის მიხედვით. დაფიქრება უნდა იმას, შეიძლება მივაკუთვნოთ ისინი ერთსა და იმავე სოციალურ კატეგორიას? გამოდის, რომ იყვნენ ღარიბი კოლმეურნეები, საშუალო კოლმეურნეები, და შეძლებული კოლმეურნეები (თუ კოლმეურნე გლეხები).

კარგი იქნებოდა, თუ ავტორი რეკომენდაციას მისცემდა საზოგადოებას, რომ აღდგეს კოლმეურნეთა მეურნეობების აღწერის 30-იანი წლების პრაქტიკა თანამედროვე ეტაპზე.

შეიძლებოდა იმ ადგილების გაფართოება, სადაც გაშუქებულია სოციალისტური მეურნეობა სოფლად.

ნაშრომი დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე და მისი გამოსვლა მისასალმებელია.

სანდრო ჩხარტიშვილი

თამაზ ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში

თბ., „განათლება“, 1981, 185 გვ.

ქართველ ხალხს იმთავითვე ხელსაყრელ რეგიონში უხდებოდა ცხოვრება. წყალუხვი მდინარეები, ტბები და, რაც მთავარია, ზღვა დიდ გავლენას ახდენდა მის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ განვითარებაზე.

შავი ზღვა საქართველოს აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალებას აძლევდა, მაგრამ უცხოელთა ბატონობის შემოკრასაც ხელს უწყობდა. მისი მნიშვნელობის მონაცეცლობა ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად საგარეო ფაქტორზეც დიდად იყო დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ქართველი ხალხის ისტორია უძველესი დროიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ზღვასთან.

აღნიშნულის მიუხედავად, ძველი საქართველოს ზღვაოსნობის შესახებ დღემდე სპეციალური გამოკვლევა არ არსებობდა. ეთნოგრაფიული ხასიათის რამდენიმე სტატია (ავტორები მ. გაგეშიძე, თ. ჩიქოვანი, ზ. კუტალეიშვილი, ჭ. ნიკოლაიშვილი, ალ. დავითაძე, ქ. მირიანიშვილი) ზღვაოსნობის შესახებ აღძრულ ჩვენს ცნობისმოყვარეობას ვერ აკმაყოფილებენ. აღნიშნულის ფონზე, 1981 წელს „ნაკადული“-ს მიერ დასტამბული თ. ბერაძის ნაშრომის „ზღვაოსნობა ძველ საქართველოში“ მნიშვნელობა ძალზე დიდია.

წიგნის შესავალში საუბარია სახელწოდება „შავი ზღვის“ მნიშვნელობაზე, ნავთსაყუდლებზე, გემთმშენებლობისათვის საჭირო მასალაზე და სხვ. მითითებულია, რომ ზღვაოსნობის განვითარების ისეთი აუცილებელი კომპონენტი, როგორიცაა ხის მასალა, საქართველოში უძველესი დროიდანვე ეხვად იშოვებოდა (გვ. 16).

ჩვენი აზრით, თითოეულ საკითხზე საკმაოდ სრული პასუხებია გაცემული.

ნაშრომის პირველ ნაწილში „ძველი ქართული სანაოსნო ტერმინოლოგია“, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ „ქართლის ცხოვრებისა“ და მრავალი სხვა წყაროს მოშველიებით დადგენილია ქართულ ენაში დამკვიდრებული სანაოსნო ტერმინების სადაურობა, მათი უცხოურ ტერმინებთან დამოკიდებულება, გემთა ტიპები, მათი წყალწყვა, მომსახურე პერსონალის რაოდენობა და სხვ.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე თავში „ზოგიერთ ქართველთა ზღვაოსნობის შესახებ“ სტრაბონის, ოვიდიუს ნაზონის და შემდგომი პერიოდის სხვა ავტორთა ცნობების საფუძველზე აღწერილია ქართველ ზღვაოსანთა საქმიანობა. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა XIV—XIX საუკუნეების ამსახველ მასალებს. ამ თვალსაზრისით განხილულია ჯიქეთზე სხვადასხვა დროს მოწყობილი საზღვაო ლაშქრობები, ურთიერთობა კაზაკებთან, ჩერქეზ, აფაპ მეკობრეებთან და სხვ. საქართველოს ზღვაოსნობის ისტორია XIX ს-ის 40-იან წლებამდეა მოყვანილი.

წიგნის შესავალი ნაწილიც, მიმოხილული თავებიც, ისე როგორც მთელი ნაშრომი, დაწერილია დინჯი, გამართული ქართული ენით. იგი ხელმისაწვდომია მკითხველისა ფართო მასებისათვის.

ნაშრომის მესამე თავში „შავ ზღვაზე რეწვის ისტორიიდან“ ლაპარაკია მარილის მიღების მიზნით ზღვის წყლის გამოხდაზე, თევზის ჯიშებსა და ჭერის ხერხებზე. განხილულია ანკესების, ბადეების ტიპები, აღწერილია თევზეულის მოვლა-პატრონობა, მითითებულია, რომ მეთევზენი ფეოდალთა ყმები იყვნენ და მათი საქმიანობა ე. წ. „ნავტობა და მეთევზეობა“ ბატონის წინაშე ნავით სამსახურის ვალდებულება იყო (გვ. 112).

ავტორი ცალკე თავში იხილავს დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე ნაოსნობას. როგორც წყაროებიდან ჩანს, დასავლეთ საქართველოში იმთავითვე კარგად იყო განვითარებული სამდინარო ნაოსნობა. ხშირი წვიმები მდინარეების ადიდებასა და კალაპოტიდან გადმოსვლას იწვევდა, რაც აძნელებდა მიმოსვლას და ტვირთის გადაზიდვას ხმელეთით. სამაგიეროდ მდინარეებზე ნავით მიმოსვლა და ტრანსპორტირება გაცილებით იოლი იყო.

ავტორის აზრით, სამდინარო ნავის უძველესი ტიპია „ნავტიკი“ (გვ. 115).

მნიშვნელოვანია თ. ბერაძის მსჯელობა დასავლეთ საქართველოს სანაოსნოდ ვარგის მდინარეებზე. სხვადასხვა წყაროს მოშველიებით მას დადგენილი აქვს მათი სანაოსნოდ გამოყენებული მონაკვეთის სიგრძე.

ნაშრომში ახსნილია და ხაზგასმულია რუსეთის იმპერიის დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე ნაოსნობით დაინტერესების მიზეზები,

საუბარია „ცივის“ არხის გაყვანაზე და მნიშვნელობაზე (გვ. 145—147).

წიგნის მნიშვნელოვან ნაწილად გვეჩვენება თავი „საქართველოს საზღვაო საზღვრები ფეოდალურ ხანაში“. ფეოდალიზმის, ამ მეტისმეტად ხანგრძლივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მთელ მანძილზე საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ერთგვარი არ იყო. საგარეო ფაქტორის ზეიქმის უწყვეტი მოქმედება მის საზღვრებს არასტაბილურ ხასიათს აძლევდა. ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობასთან შესაბამისად საზღვრებიც ხან ფართოვდებოდა, ხან ვიწროვდებოდა. თ. ბერაძე სწორედ ამ თვალსაზრისით უდგება საკითხს. მართალია, თუ გუბაზ I დროს ეგრისის სამხრეთი საზღვარი ხუფითზე გადიოდა, ამ სამეფოს გაუქმების შემდეგ აღნიშნული პუნქტი ბიზანტიელების ხელში აღმოჩნდა. თუმცა 1054 წელს საქართველომ კვლავ დაიბრუნა იგი.

XIII ს-ის 90-იან წლებში რიზეს მხარეც საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. ახლა, — წერს ამასთან დაკავშირებით თ. ბერაძე, — საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა სანაპირო ხაზი რკინის პალოდან ვდ. ნიკოფსიამდე (გვ. 154).

ავტორი საინტერესოდ მსჯელობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან დაკავშირებითაც. ყურადსაღებია მისი აზრი ამ მხარის ზოგიერთ ტოპონიმზე. მონოგრაფიაში თურქების დამეზობლება საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრების შევიწროების ძირითად მიზეზადაა მიჩნეული, რაც სრული სიმართლეა. ნაშრომში აღნიშნული შეხედულების არაერთი დამადასტურებელი ფაქტია მოტანილი (გვ. 156—157). ავტორს მხედველობიდან არ რჩება შავიზღვისპირეთში რუსების გამოჩენა და თანმხვედრი შედეგები (157—161).

საქართველოს საზღვაო საზღვრის ისტორიის უწყვეტად წარმოდგენა, რა თქმა უნდა, ძნელია. ნაშრომს ამის პრეტენზია არც აქვს, მაგრამ მასში ამ საზღვრის ცვალებადობის ძირითადი ტეხილები, ჩვენი აზრით, სწორად არის ფიქსირებული.

რომელ ქვეყნებთან ჰქონდა ფეოდალურ საქართველოს საზღვაო ურთიერთობა? — იბადება კითხვა სარეცენზიო ნაშრომის ხელში აღებისთანავე. პასუხს ეღებულობთ თავში „ფეოდალური საქართველოს უცხო ქვეყნებთან საზღვაო ურთიერთობის ისტორიიდან“.

— ფეოდალურ ხანაში, — წერს ავტორი, — საქართველოს მყარი საზღვაო ურთიერთობა ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან, კონსტანტინეპოლთან და ჩრდილო შავიზღვისპირეთთან. შედარებით იშვიათი იყო საზღვაო კავშირი საქართველოსა და დასავლეთ შავიზღვისპირეთს შორის (გვ. 164). ეს სიტყვები აღნიშნული თავის რეზიუმედ შეიძლება ჩაითვალოს.

განსაკუთრებით საინტერესოა ვსჯელობა გენუელებთან ვაჭრობის შესახებ (გვ. 176—178). საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნაშრომში დამოწმებულ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ კაფის დოკუმენტებს (გვ. 181). მათში კარგად ჩანს თუ რა მსხვილ სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობდნენ ქართველი ვაჭრები (გიორგი კაკაძე და სხვ.).

წიგნის კითხვისას დაგვებადა რამდენიმე შენიშვნა, კერძოდ:

ნაშრომში, გასაგები მიზეზების გამო, ძირითადად ყურადღება დასავლეთ საქართველოზეა გადატანილი. მაგრამ მიგვაჩნია, რომ თუ ავტორი დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე არსებულ ნაოსნობას შეეხო არც აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეები უნდა გამორჩენოდა. ცნობილია, რა როლს ასრულებდა მტკვარი მსოფლიოს სავაჭრო სისტემაში. კარგი იყო წიგნში გვენახა ლიხსაქეთა მდინარეთა, როგორც სანაოსნო ობიექტების ანალიზი.

ჩვენი აზრით, კაფის დოკუმენტები ჭეტისმეტად შეკუმშულად არის დამოწმებული. ქართული ისტორიოგრაფია მოიგებდა თუ თ. ბერაძე აღნიშნული საბუთების შინაარს უფრო ვრცლად გადმოსცემდა, ანდა მოლიანად მოიყვანდა.

გვ. 115-ზე გამოთქმული აზრი — სამდინარო ნავის უძველესი ტიპს ნავტიკი წარმოადგენდაო, საეჭვოა. ნავტიკის დამზადება იმდენად ძვირი ჯდებოდა (ხუთი კამეჩის ტყავი სჭირდებოდა), თანაც ისე ჩქარა გამოდიოდა მწყობრიდან (ორ-ოთხ თვეს სძლებდა), რომ მისი იმავითვე პრაქტიკაში დანერგვა ძნელი წარმოსადგენია. ჩვენი აზრით, სამდინარე ნავის უძველესი ტიპად წყაროებში ცნობილი ერთ ხეში ამოკვეთილი ნავი უნდა იქნეს მიჩნეული. აკ არქანჯელო ლამბერტიც მიუთითებს, დასავლეთ საქართველოში ასეთი ნავი ყველა ოჯახს აქვსო (იგულისხმება მდინარის ახლოს მცხოვრებნი).

ამრიგად, თ. ბერაძის ნაშრომის სახით, ქართულმა ისტორიოგრაფიამ მიიღო ერთობ საჭირო და საინტერესო ნაშრომი.

ჯემალ სტეფნაძე

ედუარდ მენაბდე



1981 წლის 28 აპრილს გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ედუარდ მენაბდე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საზღვარგარეთის იდეოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა შემსწავლელი განყოფილების ხელმძღვანელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ე. მენაბდე დაიბადა 1928 წელს თბილისში, პარტიული და საბჭოთა მუშაკის, იურისტის აკაკი მენაბდის ოჯახში.

ედუარდ მენაბდემ 1945 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-10 საშუალო სკოლა. 1946 წელს ის შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1951 წელს საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის სპეციალობით.

იმხანად თბილისში პირობები შეიქმნა, რომ ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით მეცნიერთა მომზადებას ფართო გზა ეახსნოდა, საფუძველი ჩაყრიდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიკოსთა ქართულ სკოლას, რომელიც დღეს ასე ცნობილია მსოფლიოში. ე. მენაბდე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში სამუშაოდ ასპირანტურაში ჩარიცხეს. ამასთანავე ჩვენში ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კვლევის ობიექტიც გაფართოვდა და ე. მენაბდე ხეთოლოგიაში დასპეციალდა.

1952—1955 წწ. ე. მენაბდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი იყო. 1956 წლიდან ის ამავე ინსტიტუტში მოღვაწეობდა ჯერ როგორც უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 1960 წლიდან ის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1974 წელს ინსტიტუტში გაიხსნა საზღვარგარეთის იდეოლოგიურ და სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემათა შემსწავლელი განყოფილება, რომელსაც სიკვდილამდე ე. მენაბდე ედგა სათავეში.

მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად ე. მენაბდე სხვადასხვა დროს ლექციების კურსს კითხულობდა თელავისა და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში; ბოლო წლებში იყო საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორი.

ე. მენაბდემ თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და კერძოდ, ხეთების ისტორიის შესწავლას მოანდომა. 1956 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მონობის ინსტიტუტის კანონთარება ხეთების სახელმწიფოში". მისი მეცნიერული გამოკვლევები იბეჭდებოდა „Вестник древней истории"-ში, „აღმოსავლურ კრებულში". 1960 წელს ე. მენაბდე მოხსენებით წარსდგა აღმოსავლეთმცოდნეების XXV საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში. 1955 წელს გამოვიდა მისი წიგნი „Хеттское общество (экономика, собственность, семья и наследование)", სადაც თავმოყრილი იყო მის მიერ ხეთების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესასწავლად ჩატარებული კვლევის შედეგები.

1966 წელს ე. მენაბდემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1969 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

ე. მენაბდის მეცნიერული ინტერესები მარტო ხეთების ისტორიით არ იფარგლებოდა. მის ყალამს ეკუთვნის „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელოში (1971 წ.) გარკვეული თავები შორეული აღმოსავლეთის რეგიონის შესახებ.

ე. მენაბდე ფართო პროფილის ისტორიკოსი იყო. მას განსაკუთრებით იზიდავდა საერთაშორისო ურთიერთობა და მისი ისტორია, ისტორიული მეცნიერების თეორია და მეთოდოლოგია. აქ

მნსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით გამოსული კრებული „Вопросы идеологии“ (1978 წ.). წიგნში დაბეჭდილია ე. მენაბდის ორი წერილი, სადაც კარგად ჩანს მისი ფართო განათლება, გონებამახვილობა. წერილი „Соединенные Штаты против Ричарда Никсона“, ჩვენი იზრით, საბჭოთა ლიტერატურაში ამ საკითხზე დაბეჭდილ ნაშრომებიდან ერთ-ერთი საუკეთესოთაგნია. ასევე იპყრობს ყურადღებას მისი მეორე წერილი „Национализм на пути социального прогресса: препятствие или катализатор?“

ე. მენაბდე 30-ზე მეტი ნაშრომის ავტორია. მისი გამოკვლევები დაიბეჭდა მოსკოვსა და ლენინგრადში, უნგრეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ე. მენაბდე საერთაშორისო ურთიერთობის ცნობილი მიმომხილველი იყო. სხვადასხვა წლებში ის მუშაობდა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“, გაზეთ „კომუნისტის“, საქართველოს რადიოსა და ტელეხედვის პოლიტიკურ მიმოიხილველად. ახალგაზრდობაში იყო საქართველოს ალკკ ცკ-ს, ხოლო 1957 წლიდან საქართველოს კომპარტიის ცკ-ს შტატგარეშე ლექტორი, პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „საერთაშორისო მუშათა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობის ისტორიის“ საპრობლემო საბჭოს საქართველოს სექციის თავმჯდომარე.

ე. მენაბდე სკკპ წევრი იყო 1956 წლიდან. 1966—1967 წწ. არჩეულ იყო ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მდივნად. იყო საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის წევრი.

ე. მენაბდე მეტად ნიჭიერი, ფართო განათლების ისტორიკოსი იყო. ის გამოირჩეოდა გონებამახვილობით, მოსწრებული სიტყვითა და ბახვილი კალმით. ჩვენ საზოგადოებაში მას როგორც საერთაშორისო ურთიერთობის მიმოიხილველს მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა. ჰყავდა მსმენელთა ფართო აუდიტორია და თვითონაც სიამოვნებით და ხშირად გამოდიოდა საჯარო ლექციებით. იყო კეთილი და მოყვარული, გულღია და უშუალო ადამიანი, კარგი მეგობარი და ამხანაგი.

ნანა ხაზარაძე,
უშანგი სიდამონიძე

ოთარ გვინჩიძე



ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 1981 წ. 7 ივლისს გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სკკპ წევრი 1954 წლიდან ოთარ შალვას ძე გვინჩიძე. მისი სახით ჩვენს რიგებს გამოაკლდა დაკვირვებული, ერუდირებული მკვლევარი, სპეტაკი მოქალაქე და მამულიშვილი.

ო. გვინჩიძე დაიბადა 1927 წელს, თბილისში, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის შალვა გვინჩიძის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა.

წლების მანძილზე ოთარ გვინჩიძე ემსახურებოდა უცხოეთთან საქართველოს კულტურული ურთიერთობის საქმეს. 1951 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაშია: იყო ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე, ჟურნალ „მაცნეს“ პასუხისმგებელი მდივანი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის დირექტორის მოადგილე. 1980 წელს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული მეცნიერული თარგმნის მთავარი სარედაქციო კოლეგიის მთავარ რედაქტორად დაინიშნა და ენერგიასა და ცოდნას არ აკლებდა ახალი დაწესებულების ჩამოყალიბებას.

ო. გვინჩიძე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იყო საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საერთაშორისო ცხოვრებისა და იდეოლოგიური ბრძოლის პრობლემების პროპაგანდის დაგეგმვის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებასთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს წევრი, საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრი, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასთან არსებული მსოფლიო ისტორიის სამეცნიერო საბჭოს წევრი და სხვ.

ოთარ გვინჩიძე ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. 1959 წელს მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, იყო 6 მონოგრაფიისა და მრავალი სტატიის ავტორი; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის რუს, უკრაინელ, რუმინელ და ბულგარელ ხალხებთან კულტურული კავშირის საკითხების გაშუქებაში.

მონოგრაფიაში „ნიკოლოზ ანდრიას ძე წერეთელი — უკრაინული ხალხური შემოქმედების პირველი მკვლევარი“ (1954 წ.) გულმოდგინებით აქვს გამოკვლეული და შესწავლილი XVIII ს. ოცდაანი წლებიდან რუსეთში ემიგრირებულ ქართველთა მდგომარეობა, მათი საქმიანობა, დამსახურება. შეგროვილი დიდძალი

მასალა წარმოადგენს მათ მოღვაწეობასა და ნააზრევს. ნაშრომში ახლებურადაა გააზრებული ნ. ა. წერეთლის ფოლკლორისტული საქმიანობა.

ო. გვინჩიძემ დიდი სიყვარულით მოგვითხრო ნიკოლოზ წერეთლის ვაჟზე — დიპლომატ ალექსი წერეთელზე ნაშრომში „ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთელი — რუსეთის გენერალური კონსული აღმოსავლეთ რუმელიაში". წიგნში მოტანილი მასალიდან აშკარად ჩანს ამ პიროვნების მეტად საინტერესო დიპლომატიური საქმიანობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ო. გვინჩიძის ნაშრომი „ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების ცხოვრება და მოღვაწეობა" (1967 წ.). წარმოშობით ქართველები ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები პოლიტიკურ ასპარეზზე დეკაბრისტებზე გაცილებით ადრე გამოვიდნენ. მათ შეიმუშავეს რუსეთის საზოგადოებრივი წყობილების ძირეული შეცვლის, სამეფო ხელისუფლების გაუქმებისა და მის ნაცვლად სენატის დაარსების აზრი. ამ გარდაქმნებს მათი რწმენით, ხალხისთვის თავისუფლება უნდა მოეტანა. აღნიშნული ფაქტი პირველად ო. გვინჩიძემ გამოამზეურა და ხალხისათვის თავდადებული ძმების მიმზიდველი ბიოგრაფიული ნარკვევიც მოგვცა.

ო. გვინჩიძემ ცალკე ნაშრომი მიუძღვნა განოქმული მოღვაწის ანთიმ ივერიელის საქმიანობას (1973 წ.). მან ახლებურად წარმოადგინა ანთიმ ივერიელის მოღვაწეობის მთელი რიგი საკითხები. სწორედ ამან განაპირობა ბევრი ცნობილი მეცნიერის დადებითი გამოხმაურება აღნიშნულ ნაშრომზე.

კვლევის დროს ო. გვინჩიძეს აჩქარება და ზერელე დასკვნების გამოტანა არ უყვარდა. ერთსა და იმავე საკითხს რამდენჯერმე უბრუნდებოდა, ხვეწდა და აშალაშინებდა, თავის შეხედულებებს ახალ-ახალი მონაცემებით ამაგრებდა.

წმინდა მეცნიერული მოღვაწეობის გვერდით ო. გვინჩიძე მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. გერმანულიდან თარგმნა ვილი ბრედელის „ერნსტ ტელმანი" და ბულგარული ენიდან „ბულგარული მოთხრობები" და სხვ.

ოთარ გვინჩიძე იყო დაკვირვებული, ერუდირებული მკვლევარი, უმწიკვლო, ალალმართალი მოქალაქე და მამულიშვილი. მისი ნაშრომები უთუოდ ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული საბჭოური საისტორიო მეცნიერების ისტორიაში.

ამირან ავალიანი,
ჯემალ სტეფნაძე

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-50 Телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.V.82; შეკვ. 3938; ანაწყობის ზომა 7×12;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 17,2; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი; 13,8; უე 05573; ტირაჟი 1100;
ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19